



1980
2

სასტატიულის საფასით და რედაქციით გამოცემული.

Nº 8.

ცივილიზაციის ისტორია ინგლისში.

პრემია სურათი.

ადგილ-გასაგებბ ენით გადმოღებული

გრიგორ სოლორაშვილის-მიერ.

„ჩეენ უნდა ეშობოთ ჩეენი მყობალი,
ჩეინ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!..“
ი. ჭავჭავაძე.

„ყოველი წუთი თავისუფალი დროსი
ადამიასშია სწავლას უნდა მოახმაროს!..“
კონტაცია.

ტფილისი
სტატია ექვთიმე ივ. ხელაძეს.
1896

დაბრუნეთ წიგნი დროზე
Возвратите книгу во время

ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული.

Nº 8.

ԱՌՅՈՒՋՈՒԹԵԱՑՈՒԵ

ԱՏԵԼԻՆՈՅ ՊԵՇԱԾՈՒՅՈ.

ବିଜ୍ଞାନ ଓ ଶାସତାତ୍ତ୍ଵ.

194

ადგილ-გასაგები ენთ კადმოლებული

ଗୁଣିତାଳ୍ପ ଲେଖନକୁଳାଶ୍ଵରି-୩୦୯.



„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადარ,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!..”
o. ჭავჭავაძე.

„ପୁରୁଷେଣ ଶ୍ଵତୀ ତାଙ୍କିରୁହାଳୀ ଫରନେ
ଅଦାମିଗନମା ବିଜୁଲାର ଖନଦା ମାତାମାରନୀକୁ...“ ୧୦

6303060

ବ୍ୟାକିଲିଙ୍ଗ ପରିମାଣରେ ଏହାରେ ବ୍ୟାକିଲିଙ୍ଗ ପରିମାଣରେ ଏହାରେ

1896

Дозволено цензору, Тифлисъ 16 февраля 1896 года.

Engen
Engenbysen

3283750000 - Some day

W. S. L. 1900

ქართველ მაითხმელს.

აი წიგნი, რომელზედაც პირუთვნელად მივაქცევთ
ქართველი მკითხველის უაღრეს ეურადღებას. მასში გა
მოთქმულია ისეთი დრადი აზრები და ფართო შეხე
ღულებანი კაცთა ცხოვრებაზე და ბუნებაზე, რომ ჩვენ,
ქართველები, მის მარტო წაკითხვით არ უნდა დავკმა
უოფილდეთ: ჩვენ სრული სავსებით უნდა შევი-
სწავლოთ იგი, მით უმეტეს, რომ ბაზა სოლორა-
შეიღლმა შესანიშნავის სიმარტივით შესძლო მისი ქარ-
თულად გადმოღება...

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ წიგნის გამო-
ცემით შესამჩნევად დაწინაურდება ქართველის ცნობი-
ერება, საჭიროა მხოლოდ, რომ ეოველი ჩვენგანის
სახლში შევიდეს იგი... და რომ ეს, ადრე, თუ გვიან,
ასე იქნება, ამაში ეჭვი არა გვაქვს, რადგანაც ბოკლი
ისეთი ფართო განათლების წყაროა, რომ მას ეველანი
სარბად დავეწავებით...

ივანე როსტომაშვილი.

წინასიტყვაობა.

თუ ჩეკნ-მიერ შემოგდებით გადმოდებული დიდებული ბოკლის უკვდავი თხზულება „ციცილიზაციის ისტორია ინგლისში“ ქართველი მკითხველისთვის ადგილ-გასაგები გამოდგა, მაშინ კიტუგით, რომ ჩეკნ ჩეკნს მიზანს მივაღწიეთ.

რაც შეესება შემოგდებას, უნდა კსოვებათ, რომ ჩეკნ არ გამოგდიოდება არც ერთი აზრი, რომელიც კი განმარტებული აქვს ბოკლის თავის თხზულებაში. ამ წიგნის გადმოდების დროს ჩეკნ გვჭრნდა სელთ ბოკლის თხზულება რუსულად ნათარგმნი ტიბლენის და გერბელის-მიერ 1864 წ.; რუსულადკე ნათარგმნი ბუინიცკის-მიერ 1895 წ.; რუსულადკე ნათარგმნი ბ. ნოტლივიჩის-მიერ 1895 წ. და რამოდენიმე ბიოგრაფიული და კრიტიკული წერილები.

როგორ უნდა იწერებოდეს პრაგმატიკული ისტორია? ¹⁾ რა ის უდიდესი მიზეზი, რომელიც ამოძრავებს კაცობრიობას? ეს ორი საკითხი შირდაპირ ერთი მეორეზე არის დამოკიდებული. თუ მეტნიერება ამოცნობას იმ მიზეზს (ფაკტორს), რომელიც ამოძრავებს კაცობრიობას მის ისტორიულ ცხოვრებაში, მაშინ, რასაკვირკველია, ის საკითხავიც ამოცნობიდან იქნება, თუ როგორ უნდა იწერებოდეს პრაგმატიკული ისტორია, რადგანაც ისტორია არის განსილება იმ მოძრაობისა, რომლითაც კაცობრიობაში ანუ რომელიმე ერმა მიაღწია დღევანდელ თვის მდგრადებელს. და თუ ამ მოძრაობის ძირი-

1) „პრაგმატიკული ისტორია“ არის ისტორია არა მხოლოდ ფაკტებზე, არამედ მათ მიზეზებზე და შედეგებზედაც.

თადი მიზეზი საპოვნი იქნება, მაშინ ისიც ცხადი იქნება, თუ რას უნდა მიაქციოს. ისტორიულისა თვისი უმთავრესი უურადღება. დღეს ეს საკითხი ჯერ არ განესაზღრავთ, ანუ უკეთ რომ კსოვებათ, ამ საკითხზე ისტორიულისები სულ სსკა-და-სსკა ჰასუბს გვაძლევენ.

საფრანგეთის XVII საუკუნის ისტორიული ბოსუეტი განცობრიობის მოძრაობის მიზეზად სთვლის ზესთაბუნების გავლენას (ბოსუეტის ის. ამ წიგნის XIII თავი). მის შემდეგ ენციკლოპედის¹⁾ (კოლტენს, მასტესკის, ის. იგივე XIII თავი) თუმცა დღიდ ღვაწლი მიუძღვის ისტორიული მეცნიერების წინაშე, რადგანაც მათ პირველად შემოიტანეს ის აზრი, რომ ისტორიული თვის უმთავრეს უურადღებას უნდა საზოგადოებას და მის განვითარებას აქცევდეს და არა მხოლოდ ომებს და მეივეების წხოვრებას, თუმცა მათ ისტორიული მწერლობა უფრო სწორე გზაზე დააყენეს, მაგრამ ძირითადი მიზეზი კაცობრიობის მოძრაობისა მათიც კრამიცნების და არც დღეს არის ამოცნობილი. ინგლისის მე-XIX საუკუნის ისტორიული კარლეილი ისტორიაში უშირატეს ადგილს ამღვდა კერძო პირს, უ. ი. გმირებს (გენიოსებს). მსოფლიო ისტორია იმის აზრით არის ისტორია დიდებულ მოღვაწეთა. ამათ მიჰყავდათ კაცობრიობა წინ და ამათ შექმნეს უპლა ის, რის შექმნასაც მიისწრავებოდა კაცობრიობათ. რაც აქამდისინ კაცობრიობას აქვს აღსრულებაში მოყვანილი, ის არის ნაყოფი გმირების (გენიოსების) აზროვნებისა და მოღვაწეობისათ. მსოფლიო ისტორიის სული არის ამ გენიოსების ისტორია. არ რა შეხედულობისა იყო კარლეილი მსოფლიო ისტორიაზე და რას რაცდა იგი ძირითად მიზეზად კაცობრიობის მოძრაობისა და განვითარებისა!...

¹⁾ „ენციკლოპედი“: მე-XVII საუკუნეში საფრანგეთის მსწავლულებმა დიდერომა და დალამბერმა გამოსცეს წიგნი „ენციკლოპედია“, რომელშიაც მოთავსებული იყო იმ დროის ფილოსოფიის ყველა სწავლაზე და შეხედულებაზე რჯულზე, სახელმწიფოზე და სწვ. მიმღვართ ამ ენციკლოპედიისა უწოდებენ ენციკლოპედიად.

თანამედროვე ისტორიული მწერლები განიუთვებიან ორ დღი ბანაკად. ერთი არიან მომხრენი ასე წოდებული, „ეკონომიური მა-ტერიალიზმის ჰიპოტეზისა“. ესენი ამტკიცებენ, რომ კაცს შეუძლიან გავლენა იქონის ისტორის მსვლელობაზე. თავდაპირებელი და ძირითადი მიზეზი უფლისა, მათი აზრით, არის კაცობრიობის ეკონომიური მდგრამარეობა. დანარჩენი, როგორც, მაგალითად, მეცნიერება, ხელოვნება და სხვა, არის ნაურთი და ზედ-ნაშენი ეკონო-მიური მდგრამარეობისათვის; მაგალითად: ენციკლოპედიის ფილოსოფია არის ნაურთი ეკონომიური ბრძოლისა ფეოდალიზმისა და ბურ-უჟაზისა შორისო. მეორე ბანაკი კაცს რაცხს თავისი ბედ-იღბლის შემომქმედად. ესენი ამბობენ, რომ, თუმცა კაცის მოქმედება ეჭვე-მდებარება ბუნებრივ კანონს და წეს-წყობილებებს, მაგრამ კაცის იდებს და გრძნობას დადი გავლენა აქვს ისტორიულ მოძრაობაზე. ამ მეორე ბანაკს ეჭვთვიან მიღლი, ტენი, რიბო, უორდი და სსკანი.

ბოკლი ძირითად მიზეზად ისტორიულ მოძრაობისას და პროგ-რესისას რაცხს გონებრივ განვითარებას და ისტორიის კანონებისას—გონებრივი განვითარების კანონებს. ბოკლს ეს მოკლედ აქვს გამოთქმული ოთხ ძირითად კანონიში (ის. მეორე ნაწილის პი-რველი თავი ამ წიგნისა). ამ დასკვნამდის ბოკლი მიკიდა შემდეგი საბუთებით: ჯერ მან დაამტკიცა, რომ ეკროპის ცივილიზაციისთვის ფიზიკურ კანონებზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სულიერ კა-ნონებს და შემდგომ, რომ ამ სულიერ კანონებში უფრო მოძრავი და გავლენიანი არიან გონებრივი აღმოჩენანი, კიდორე ზენობრივი სწავლანი, რომელიც, ბოკლის აზრით, უფრო უძრავი არიან.

ჩეენ აქ საკუთრივ გერ დაკახასიათებთ ბოკლის თხზულებას, მის ადგილს ისტორიულ მეცნიერებაში და მის გავლენას ისტორიულ მწერლობაზე. ვატუკათ მხოლოდ, რომ იშვიათი წიგნი უოფი-ლა იმდენად გავლენიანი და იმდენად მეცნიერულად დასაბუთებული, როგორიც არის ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“...



ბოკლი.

ჭერი ბოკლი დაბადდა 22 ნოემბერს 1821 წელს, ინგლისში
ამის მამა იურ მდიდარი კატერი. ბოკლს ჰუგედა არი და, მმა მას

არ ჰეროლდია. ბოკლობისას ბოკლი მშობლების ძლიერ განებივრებული ჰყავდათ. ათი წლისა რომ შესრულდა, ჰერი მიაბარეს ერთ კერძო სასწავლებელში, სადაც იგი თუმცა მუქათად არ მეცადინებდა, მანც უკითეს მოწაფედ ითვლებოდა. ბოკლი დიდ სანს არ დარჩენილა სასწავლებელში; ამის მიზეზი ის იურ, რომ სკოლა ბევრ დროს ართმევდა და სარგებლობა-კი ცოტა მოჰქმნდა. ბოკლმა განიძრასა სასწავლებლიდგან გამოსკლა და, როდესაც ერთი გამოცდის შემდეგ, იგი მივიდა მამასთან დაჯილდოვებული კარგი მეცადინებისათვის, მამამ ჰყითსა მას: „რა გსურს რომ აგისრულოვთ?“ ჰერიმ სთხოვა: „ნება მომეცი სკოლა დავტოვო!“ მამა დათანხმდა. ამის შემდეგ ბოკლი კიდევ ერთხელ მიაბარეს ერთ კერძო მასწავლებელს, მაგრამ აკადმიურობის-გამო ისიც მალე მიატოვა. 19 წლის ბოკლს მამა მოუკვდა და დიდი სიძღვიდრე დაუტოვა (ნასეკარი მიღიონ). მამის სიკვდილის შემდეგ, ბოკლმა იმოგზაურა კერძოში, ინახულა ჭილანდა, გერმანია, იტალია, საფრანგეთი და ერთ-ნასეკარი წლის შემდეგ დაბრუნდა ინგლისში.

ბოკლი იურ 18 წლისა, როდესაც მან განიძრასა „ციცილიზაციის ისტორიის“ დაწერა და შეუდგა მის შესრულებას. მის მუშაობას და სიბეჭითეს სამზღვარი არა ჰქონდა. თავის უმეტეს დროს ბოკლი წიგნების კითხვაში ატარებდა. წიგნების კითხვა იმისთვის საჭიროებათაც და გასართობ საგანთაც შეიქმნა. უწიგნოთ მას გაძლება არ შეეძლო. ბოკლი სეირნობის დროს შედიოდა ბევრი წიგნების დუქნებში, ეძებდა იქ საჭირო წიგნებს და როდესაც რაიმე „კარგ წიგნს“ შეხვდებოდა, ის სიხარულით აღარ იურ. ბოკლის წიგნთ-საცავში იურ 22,000 წიგნი, რომელიც მის უკლა წაკითხული ჰქონდა. ბოკლი კერ ფიქრობდა მსოფლიო ცივილიზაციის ისტო-

რის დაწერას, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამის შესრულება ერთი კაცისათვის უოგლად შეუძლებელია და ამიტომ მან თავისი შირველი გეგმა შეამოკლა და გადასწუვიტა მხოლოდ „ინგლისის ციეილიზაციის ისტორიის“ დაწერა. თვრამეტი წლის შრომის შემდეგ ბოკლმა გამოსცა თავისი თხზულების შირველი ნაწილი, რომელსაც ინგლისის კრიტიკამ თავ-და-პირველად ჯეროვანი უურადღება არ მიაქცია. ბეკრნი გაოცდნენ კიდეც მისი გამბედაობით და უსაკუდურებლენენ ბოკლს, რომ მან კაჭედა მრავალი თანამედროვე შეხედულობის უარის უოფა და უძახოდნენ მას „ურწმუნოს“, „გარუნილს“, მაგრამ, როგორც ცეცხლი თიგაში არ დაიმალება, ისე მისი შესანიშნავი წიგნიც უუურადლებოდ კერ დარჩებოდა. შირველიგი წელს მისი „ციეილიზაციის ისტორია ინგლისში“ თითქმის უკელა ეპორა-პიულ ენებზე (გარდა ესპანურისა და თათრულისა) იყო გადათარგმნილი. უკელა ამბობდა, რომ ბოკლის მთელი გეგმის შესრულება შეუძლებელია, რადგანაც ახლად გამოცემული წიგნი იყო მხოლოდ შირველი ნაწილი. 1860 წელს ბოკლს დედა მოუკვდა. დედის დაკარგვამ საშინელი გავლენა იქნია მასზე, მაგრამ ბოკლმა მაინც არ უმტკუნა თავის შრომას და 1861 წელს გამოსცა მეორე ნაწილიც.

ბოკლი ბაკშობიდამეგე სუსტი აგებულობის იყო და ხშირად აკადმიურობდა. აუარებელმა შრომამ ხომ მთლად მოსწუვიტა ბოკლის კანმრთელობა. ბოკლს ისე სიკვდილისა არ ეშინოდა, როგორც მისი, რომ იგი კერ დამთავრებს თავის თხზულებას. ბოკლი „ციეილიზაციის ისტორიის“ გარდა თითქმის არაფერს სწერდა, რომ ამით მისი საუკარელი თხზულება არ დაბრკოლებულიყო. 1862 წელს ბოკლი გაემგზავრა ეგვიპტეში და იქიდამ სირიაში. აჭ

— VII —

ქალაქ დამასკში იგი გახდა საოფლით ავად და გარდაიცებალა კიდეც. ამბობენ, გრძნობა დაკარგული ბოკლი მხოლოდ ამას გაიძახდა: „წიგნი! ჩემი წიგნი!.. მე კერასოდეს კერ დაკამთავრებ ჩემს წიგნს“... იმავე წლის 29 მაისს ბოკლი გარდაიცებალა და დაკრძალულ იქმნა დამასკშივე, რომლის ნასკას იგი ბაკშიბიდამკე მიისწავლიდა, როგორც ციკილიზაციის პირველ აგვისა.

გრიგოლ სოლორაშვილი.

თ ა ვ ი I.

განხილვა დამხმარებელ საშუალებათა ისტორიის შესწავლისათვის. დამტკიცება კაცოა მოქმედების სისწოდისა. ამ მოქმედების განაგებენ სულიერი და ფიზიკური კანონები და ამიტომ თავე განათხების შესწავლაა საჭირო.

არც ერთ ცოდნაზე იმდენი არ დაწერილა და არც ერთ ცოდნაზე იმდენი მასალა არ არის შეკრებილი, რამდენიც ისტორიის შესახებ. მართლაც, პოლიტიკური და სამხედრო მატიანები ეკროპის ქვეყნებისა და მის გარეშე ხალხებისა საკმარისად არის შეკრებილი და გამოკვლეული; აგრეთვე საკმარისალა შეკრებილი კანონმდებლობის, სარწმუნოების, მეცნიერების, ხელოვნების და სხვა საგნების ისტორიაზე; ამასთანავე, განხილული და შესწავლილია ძველი მწერლობანი, წარწერანი, ენები და თითქმის ალდენილია დაეიწყებული ენები; გარდა ამისა, სწავლანი და მეცნიერებანი, რომელიც ისტორიის შესწავლას ხელს უწყობენ, სახელობრ, პოლიტიკური-ეკონომია¹), სტატისტიკა²), ფიზიკური გეოგრაფია და სხვა, ამ ბოლო დროს ძრიელ წინ წავიდა.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ, თუმცა ისტორიის ნაწილები ცალ-ცალკე კარგად არიან შიმუშავებული, მაგრამ ესენი აქამდის არავის შეუერთებია და, როგორც ერთი, ყოველმხრივ შემუშავებული საგანი, არ წარმოუდგენია; არც ერთი ისტორიკოსი იმდენად მომზადებული არ ყოფილა, რომ შეს-

¹) პოლიტიკური ეკონომია არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს ხალხის სიმღიდრეს და მის განაწილებას საზოგადოებაში.

²) სტატისტიკა—არის რიცხვებით აღნიშვნა სახელმწიფოს თუ ხალხის კულტურული და ბუნებრივი ძლიერებისა და მდგომარეობისა.

ძლებოდა ამ გვარი შრომის დაწერა. მთელი ეკრანის მწერ-ლობაში ორი-სამი თხზულებაც არ მოიპოვება, რომ მათი ის-ტორიული გამოკვლევანი მეცნიერულ ჭრიშარიტებად შექმნილიყ-ვნენ.

ამ თხზულების მიზანი არის: შექმნას ისტორიიდან იმ გვარი მეცნიერება, როგორც, მაგალითად, არის ბუნების მეტყველება, რომელიც გვასწავლის, რომ ყველაფერში წეს-რიგი, მეთოდი¹⁾ და კანონი არსებობს. მაშასალამე, ჩვენ უნდა დაერწმუნდეთ, რომ თუ ეხლა ისტორიაში რაიმე აუხსნელი და გამოკვლეველი გვრჩება, მომავალში აიხსნება და გამოიკვლევა. თუ ეს აქამ-დის არ მომხდარა, ამისი მიზეზი ის არის; რომ, ერთის მხრით, ისტორიის გამოკვლევა და შემუშავება უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე სხვა მეცნიერებისა, და მეორე მხრით, ისტორიულ მე-ცნიერებაში ჩვენ ვერ ვპოვებთ იმ გვარ გენისეჟს²⁾, როგორც სხვა მეცნიერებისთვის უღლეაწნიათ. გარდა ამისა ისტორიკოსები დარწმუნებულნი იყენენ, რომ გაცობრიობის ცხოვრება განსაზღვრულ კანონებზე-კი არ არის აგებული, არამედ ამ ქვეუქნაზე უგელათერი შემთხვევითაო. ველურ და განუვითარებელ კაცობრიობას ეფონა, რომ ყველა მოვლენა შემთხვევითი და განცალკევებულია და სხვა მოვლენასთან მათ არავითარი კავშირი არა აქვთ. ამ გვარი შეხე-დულება აქვთ, მაგალითად, იმ მატანტალა ხალხთა ნათესავთ, რომელნიც ნადირობითა და მეთევზეობით ცხოვრობენ და ამი-ტომ ცხოვრება მათი შემთხვევითს საშოგარზეა დამოკიდებული. როდესაც რომელიმე ერთი ნადირობას თავს ანებებს და მიწის შემუშავებას ჰქიდებს ხელს, მაშინ იგი თან-და-თან რწმუნდება, რომ მოვლენათა შორის, ერთი მეორისაგან დამოკიდებული კანონები არსებობენ; მაგალითად, ხელაც, რომ

¹⁾ მეთოდი—გზა ანუ მისავალი საშუალება საგნის გამოსარკვევა-გა-მოძიებისა.

²⁾ გენისი—ალმატებული გონების და აზრის კაცი.

ჭირნახულის მოსაევალი დამოკიდებულია ხენა-თესევაზე და არა უბრალო შემთხვევაზე, როგორც ეს ნადირობაშია. როდესაც რომელიმე ხალხის სიმღიდოებები იმდენად გაიზრდება, რომ მრავალი კერძო პირი დიდი ქონების პატრონი ხდება, მაშინ ამ უკანასკნელებს, რასაკეირეველია, ხეალინდელი საზრდო საძებარი არა აქვთ და ამიტომ შეუძლიანთ ბევრი დრო გადასდონ განყენებულ გონიერით აზროვნებისათვის. ამის შემდევ მაღა იბადება ორგვარი სწავლა: 1) სწავლა თავისუფალ ნებაზე, რომელიც არის შედევი იმ შეხედულობისა, ეითომც ყოველი მოელენა. შემთხვევითია და 2) სწავლა განგებაზე, რომელიც წარმოსდგება იმ რწმენიდამ, რომ მოელენათა შორის კავშირი აუცილებელია. მეორე გვარ სწავლას, ე. ი. სწავლას განგებაზე, ჰბადავს სარწმუნოება და მღვმარეობს იმაში, რომ შემოქმედმა გაჩენისათანავე განაგო და განსაზღვრა ყველა ის, რაც მომავალში მოსახდენი და მოსალიოდნელია, მაგრამ კაცის უოლნა ამ სწავლას ვერ გამოიკვლევს და მეცნიერულად მისი განხილვა შეუძლებელია. სწავლა თავისუფალ ნებაზე დამყარებულია იმ განყენებულ დებულებაზე, რომ ადამიანი თავის თავს თავისუფალ არსებად გრძნობს და აქვს დამოუკიდებელი შემეცნება (сознание), რომელიც ეითომც არასოდეს არ შესცდება, მაგრამ ეს სწავლა ირლვევა შემდევი საბუთებით: 1) კაცის შემეცნება შეუცდომელი რომ იყოს, მაშინ კერძო პირთა და ხალხთა შორის ამდენი უთანხმოება არ იქნებოდა; 2) კაცი არ შეითვისებდა სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნებას; 3) არაფერი არ უმტკიცებს კაცს, რომ შემეცნება მისი არ ატყუილებდეს მას. თუ ეს ასეა, ცხადია, რომ შემეცნება კაცისა დამოკიდებული ყოფილა სხვა რაღაც გარეშე ძალაზედ; გამოდის, რომ იგი თავისუფალი არ არის.

ეისაც სწამს, რომ ისტორია, როგორც მეცნიერება შესაძლებელი საგანია, იმისთვის საჭირო არ არის ამ ირ სწავლას ეთან-

ხმებოდეს. საჭიროა დავეთანხმოთ მხოლოდ შემდეგს: თვითეული მოქმედება დამოკიდებულია ერთ ან რამოდენიმე იძულებაზე (побужденіе), რომელიც (ე. ი. ეს იძულება) თავის მხრით არის შედეგი სხვა წინად მომხდარ მიზეზისა. როდესაც ამ თანამიმყოლობას (послѣдовательность) დავეთანხმებით, მაშინ, თუ წარსული კარგათა გვაქვს შესწავლი ილი, შეგვიძლიან მოვისაზროთ, თუ რა მოქდება მომავალში, როგორც მაგალითად: ჩენ შევიძლიან წინ-და-წინვე მიეხვდეთ, თუ როგორ მოიქცევა ამა და ამ ხასიათის კაცი ამა და ამ შემთხვევაში. ამ გვარად, ჩენ მივაღწიეთ იმ უმთავრეს კანონამდე, რომელიც ასე გამოითქმის: სრულიად ერთ-გვარი მიზეზისაგან წარმოსდგება სრულიად ერთ-გვარი შედეგი.

ყოველივე, რაც მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში, არის შედეგი ორ-გვარი მოქმედებისა: ა) გარეშე მოვლენათა გავლენისა ჩვენს სულიერ არსებაზე და ბ) ჩვენი სულიერი არსების გავლენისა გარეშე მოვლენაზე. ჩვენი უმთავრესი საგანი არის ამ თან მოვლენათა კანონების გამოყვლევა.

კაცის ყველა მოქმედებანი განიყოფებიან: სათხოდ და ბიწიქად, რომელთა შორის დიდი დამოკიდებულება სულევს: როდესაც ერთი მათგანი ცოტავდება ანუ მცირდება, მეორე მატულობს და, როცა მეორე მცირდება, ჰირველი მატულობს. ყოველივე ცვლილება კაცის მოქმედებაში, როგორც კარგი, ისე ავი, თვითეულ პირის ნებაზე-კი არა, არამედ მთელი საზოგადოების ცვლილებაზეა დამოკიდებული. ამ აზრს კარგად ამტკიცებს სტრისტიკა მკვლელობისა. არც ერთი დანაშაულობა არ ხდება ისეთი დახლართული მიზეზებისაგან, როგორც მკვლელობა. კაცი ჰგონია, რომ თვითეული მკვლელობა სულ სხვა-და-სხვა მიზეზების, სხვა-და-სხვა მდგომარეობის შედეგია. მკვლელობაში არსებობს მეტად რთული და დახლართული დამოკიდებულებანი (კომბინაცია) შინაგანი იძულებისა და გარეგანი პირობებისა.

სტატისტიკური ცნობები-კი, რომელნიც ამ ბოლო დროს გვა-
რიანად არიან გამოკვლეულნი, გვიმტკიცებენ, რომ მკვლელო-
ბა ისეთივე სისწორით ხდება და იმ გვარივე დამოკიდებულება
აქვს სხვა-და-სხვა მიზეზებთან, როგორც, მაგალითად, დღის და ღა-
მის შეცვლას ერთმანერთთან. სტატისტიკოსი კეტი, რომელმაც ამ
გვარი ცნობების შეკრებას მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა,
ამავე აზრისა არის და თანვე ამბოს: „არამც თუ მკვდელობა, არა-
მედ თვით იარაღის რაოდენობაც-კი, რომელსაც მკვდელობისთვის
ხმარობენ, ყოველ წელს თითქმის ერთი და იგივეა“. უფრო გა-
საოცარი მაგალითი, რომელიც ამტკიცებს მოცელენათა მუდმი-
უობას და ერთ-მსგავსობას, არის თვით-მკვდელობა. არც ერთი
დანაშაულობა სხვისაგან ისე დამოუკიდებელი არ არის, როგორც
თვით-მკვლელობა, რადგანაც ამ შემთხვევაში ხელის შეშლა
თვით-მკვლელისთვის მეტად ძნელია; თვით-მკვლელი ყოველ-
თვის იშოვნის დროს და საშუალებას შეისრულოს წალილი.
მეორე მხრით, თუმცა ძრიელ ძნელი გასარჩევია, ესა და ეს შე-
მთხვევა თვით-მკვლელობაა, თუ სხვა ისიგანმე მოკვლა (მაგალი-
თად მოწამლეაში) და თანვე ხშირად ბევრი თვით-მკვლელობა არ
აშკარავდება საქვეყნოდ, — მაინც მიუხედავად ამისა, სტატისტიკა
ცხადი რიცხვებით ამტკიცებს, რომ: ა) თვით-მკვდელობა შეადგენს
საზოგადოების მდგრადირების შედეგს და ბ) რომ ამა და ამ მდგრადი-
რებიაში საზოგადოებისა ამდენი და ამდენი კაცი აუცილებლად მოიკლავს
თავს. ამ მოცელენის სისწორობა და მუდმივობა დამტკიცებულია
სხვა და სხვა ქვეყნის შესახებ. მოცავილი მაგალითებიდგან
ორი დასკვნა გამოდის: ერთი, რომ ამა და ამ პირის დანაშაუ-
ლობა უფრო იმ საზოგადოების მდგრადირების შედეგია, რომელ-
შიაც ცხადობის ეს პირი, კიდევ თვით მისი ბიწიერებისა და
მეორე, რომ კაცთა ზნეობითი მოქმედებანი მათი ნების შედეგი-კი
არ არის, არამედ წინად მომხდარ გარემოებების ნაყოფია.

ამავე წესით და ასეთივე სისწორით ხდება სხვა და სხვა

საზოგადოებრივი მოვლენანი, მაგალითად: ქორწინების რიცხვი დამოკიდებულია ჭირნახულის მოსავალზე და შრომის ხელფასზე; თუ ეს ორივე მატულობს, მაშინ ქორწინებაც მეტი ხდება და წინააღმდეგ. კიდევ მაგალითი: ყოველ წლივ ერთ და იმავე რაოდენობას ავიწყდება ადრესების დაწერა წერილებზე და უადრესი წერილებს აგდებენ ფოსტის ყუთში.

ამ გვარად, ყველა მოვლენაში სისწორე არსებობს და თუ აქამომდე კაცის მოქმედებებს, როგორც საყოველთაო წესწყობილების შედეგს, მეცნიერები ყურადღებას არ აქცევდნენ, და ამ კანონს მხოლოდ ბუნებაში პოულობდნენ, მაგანავალი ისტორიკოსის მოვალეობაა გამოიყვლითხ კაცის და ბუნების ზედმოქმედებანი ურთიერთზე, რადგანაც კაცობრითის ისტორიის საგანი ეს არის.

თ ა ვ ი II.

ბუნების კანონების გავლენა საზოგადოების წევბილებაზე და კერძო პარების სტაიარზე.

ბუნების გავლენა კაცობრითიაზე შესდგება ოთხი ლილი ნაწილიდგან, რომელიც არიან: ჭავა, საზრდო, ნიადაგი და ბუნების საერთო სახიერება. ადეილი შესამჩნევია, რომ პავას, საზრდოს და ნიადაგს მულმიერი ზედ-მოქმედება აქვთ ერთმანეთზე. უმთავრესი შედეგი რომელიმე ერისათვის, რომელიც მოაქვს პავას, საზრდოს და ნიადაგს, არის სიმდიდრის მოსკუპი. უმეცარი და ველური ერის სიმდიდრე პირდაპირ დამოკიდებულია ბუნების სიუხვეზე და სიმდიდრეზე. სანამდის, გონების დახმარებით, ფიზიკური მუშაობა არ აღეილდება, იქამდის სიმდიდრის გამრავლება დამოკიდებულია, ერთი მხრით თავგამოდებულ (ენერგიულ) და თავდარიგიან შრომაზე, და, მეორე მხრით, თითონ ბუნების სიუხვეზე. ეს ორი მიზეზი ბუნების კანონებს ემორჩილება.

მუშაობის საშუალებით შეძენილი ნაყოფი სიმრავლით და თვისებით დამოკიდებულია ნიადაგის ნოვიერებაზე; ენერგია და თაღარიგიანი შრომაც ჰავის გავლენის ქვეშ იმყოფება; ეს მტკიცდება მით, რომ ძრიელ ცხელი ჰავა კაცის სხეულს აღუნებს, ძრიელ ცივი-კი, მაგალითად, ჩრდილო ქვეყნის სუსტი და სინათლის სიმცირე, ენერგიას და თაღარიგიან მუშაობას ხელს უშლის.

ძნელი წარმოსაზევნია უმეტესი განსხვავება მართებლობაში, კანონებში, სარწმუნეობაში და ჩეცულებებში, რომელიც არ-სებობს, ერთის მხრით, შვეცია და ნორვეგიაში და, მეორე მხრით, ესპანია და პორტუგალიაში. მაგრამ ჰავის გავლენა ოთხივე ქვეყანაში ერთი და იგივეა; ამ ქვეყნებში მიწის მუშაობა თითქმის შეუძლებელია; ჩრდილოეთში მას უშლის სუსხიანი ზამთარი და მოკლე დღე; სამხრეთში—კი—უზომო სიცხე და გვალვა. საერთოდ, ამ გვარი ჰავის შედეგი ის არის, რომ ოთხსავე ხსენებულ ქვეყნებში მკვიდრნი მეტად დაუდევარნი და თავის-ნება ხასიათისანი არიან.

როგორც წინედ იყო ნათქეამი, საზოგადოების განვითა-
რების პირველ საფეხურზე სიძლიდობის მოხკეჭა განსაკუთრებით
ჰავაზე და ნიადაგზე არის დამოკიდებული. ამის დამტკიცება
შეიძლება ისტორიული მაგალითებით. აზაში ცივილიზაცია
აღმოცენდა და განვითარდა იქ, სადაც ნიადაგი მეტად ნაყო-
ფიერი იყო – ჩინეთიდგან დაწყებული ხმელთა-შუა ზღვამდის.
აზიის ჩრდილოეთ ნაწილში-კი მუდამ ველური ერნიცხოვბ-
დნენ. გარდა ამისა, როდესაც მონალოლების და თათრების
ურდოებმა დასტოვეს უნაყოფო ტდაბნოები, მაშინ მათ დაარსეს
დიდი სახელმწიფოები: ჩინეთისა, ინდოეთისა და სპარსეთისა, რო-
მელთაც საკუთარი ცივილიზაცია ჰქონდათ. როდესაც არაბებმა,
ხანგრძლივი ველური მდგომარეობის შემდეგ, დასტოვეს თაეგიან-
თი უნაყოფო ქვეყანა და დაიპყრეს სპარსეთი, ესპარსები საუ-

კეთესო ნაწილი და თითქმის მთელი ინდოეთი და გახდნენ ძლევა-მოსილი სახელმწიფოების დამაარსებლად, მაშინ ესევე ხალხი აშენებდა ქალაქებს, აარსებდა სასწავლებლებს და წიგნთ-საცავებს. მღინარე ნილოსის ეიჭრო ბარი, შეიქმნა ეგვიპტის ცივილიზაციის აკენად, მის მეზობლად მდებარე უზარმაზარ უდაბნოში-კი მუდამ ველურნი დატანტალებდნენ.

ამ გვარად, დიდი გავლენა ჰქონდა ძეველი სამეფოების დაარსებაზე და განვითარებაზე ნიადაგს. ევროპის ცივილიზაციაში-კი უდიდესი აღგილი ჰავას უჭირავს. ამ ორი სხვა და სხვა ცივილიზაციის განსხვავება ცხადად სჩანს. აზიაში და აფრიკაში ცივილიზაცია ვითარდებოდა სიმდიდრის საშუალებით, რომელიც იყო შედეგი ჭირნახულის უხვი მოსავლისა; ევროპაში-კი ცივილიზაციის წარმატებას ხელს უწყობდა ზომიერი ჰავა, რომელიც ენერგიულ და თაღარიგიან შრომას შეელოდა. ჩვენ გამოცდილებით და განსჯითი დასკენით შეგვიძლიან დავამტკიცოდ ის აზრი, რომ კაცის ძალა განუსაზღვრელია, რადგანაც, ჩვენ ვერც-კი წარმოვიდგენთ იმ სამჩღარს, სადაც ადამიანის აზროვნება და განვითარება, აუცილებლად უნდა შეჩერდეს; ბუნების ძალა-კი განსაზღვრულია და დაუშრეტელი არ არის; ამიტომ ცხადია, რისთვისაც ეფროპის ცივილიზაციამ ძეველ ცივილიზაციაზე უფრო მეტი პროგრესული თვისება გამოიჩინა.

ჩვენ უჩვენეთ მკითხველს, თუ რა ნაირი გავლენა აქვს ჰავას და ნიადაგს სიმდიდრის მოხვეჭაზე; ახლა განვიხილავთ, თუ რა გვარად ინაწილება სიმდიდრე საზოგადოების სხვა და სხვა ხარისხის პირებთა შორის. სიმდიდრის მოხვეჭისათანავე საზოგადოებაში არსდება სამი წოდება: პირეველი, რომელიც მუშაობს; ამათი რიცხვი ყველაზე უფრო მეტია და ესენი ყველაზე უფრო მეტი განუვითარებელნი არიან. მეორე, რომელიც არ მუშაობს; მათ მოხვეჭილი აქვთ სიმდიდრე და თავიანთი ქონებით და განვითარებით სარგებლობენ: იჯარით იღებენ მუ-

შაობას, რომელსაც პირველი წოდების პირნი ასრულებენ. ის, რაც ჩემთვის მეორეებს არის მოგება, რაც მუშებს — ხელფასი. მე-სამე წოდების პირნი მეორეებს თავიანთ ქონებას სესხად აძლე-ვენ და მათგან მოგების რამოდენიმე ნაწილს იღებენ. ამ გვარად ეკონომიურ ალებ-მიცემაში არსბებობს სამი დასაბამი (ელემენტი): ხელფასი, მოგება და სარგებელი. რაღაც ხელფასი არის შრომის ფასი, ამიტომ ხელფასის მეტ-ნაკლებობა დამოკიდებულია მუშაობის მსურველთა რიცხვზე, ე. ი., თუ მუშების რიც-ხვი მოთხოვნილებას გადაყმატა, ხელფასი მცირდება და თუ მოთხოვნილება მუშების რიცხვზე მეტია, ხელფასი მატულობს. სხვა-ნაირად რომ ვსთქვათ, კითხვა ხელფასზე არის კითხვა ხალ-ხის ოცხვეზე. ამის-გამო ჩვენ უნდა განვიხილოთ ის ბუნებითი პირობები, რომელიც ხელს უწყობენ ხალხის გამრავლებას, რის-გამოც მუშების რიცხვი მატულობს და ხელფასი ძრიელ მცირ-დება.

უდიდესი გავლენა მუშა ხალხის გამრავლებაზე ყოველგან აქვს საზრდოს. რომელიმე ქვეყანაში, რაც უფრო უხვად და იაფად მოიპოვება საზრდო, იმდენად უფრო მრავლდება ხალხი და ამით, როგორც ვსთქვით, ხელფასი უფრო მცირდება.

საზრდოს აქვს კაცის აგებულებაზე ორ-ნაირი მოქმედება: 1) იგი იძლევა ცხოველ სითბოს და 2) უბრუნებს კაცის აგებულებას იმას, რაც ცვდება ანუ კარგება. ცხოველი სითბოს აღძროსათვის საჭიროა უაზოტო¹⁾ ნივთიერება, რომელიც უფრო ცხოველებ-ში მოიპოვება, ხოლო მეორისთვის—კი საჭიროა აზოტი, რო-მელიც უფრო მცენარებშია ბევრი. ცხელ ქვეყნებში ცხოველი სითბო აღვილიდ ინახება, ამიტომ იქ კაცი უფრო აზოტიან საზრდოს (მცენარეებს) ხმარობს, ვიღრე ცივ ქვეყნებში; ამასთან ეს საჭმელე-

¹⁾ აზოტი—ნაწილია ჰაერისა, რომელიც მოიპოვება მასში 79%; იგი არც თვითონ იწვის და არც წვას შველის.

ბი, ე. ი. ახოტიანი ანუ მცენარეობითი, თბილ ქვეყნებში უფრო კოტა უნდება კაცს, რაღანაც კაცი იქ უფრო ნაკლებად მოძრაობს და მისი აგებულება ისე ჩქარა არ ცედება, როგორც ცივ ქვეყნებში. ცხადია, რომ თბილ ქვეყნებში, საღაც უფრო ნაკლებ საზრდოს ხმარობენ, ნაკლებად არის იგი საჭირო და მცხოვრებლების ჩიტვიც უფრო ჩქარა გამრავლება, ეიღო ცივ ქვეყნებში, რაღანაც, პირელებში საზრდო უფრო უხვად მოღის, ეიღო მეორეებში. რამდენადაც უფრო ცივა ქვეყნაში, იმდენად უფრო მეტ ნასშირდედას (ყელერი) უნდა შეიცავდეს. ის საჭმელები, რომლებსაც მცხოვრებლები ხმარობენ და, მართლაც, დელა-მიწის თავ-ბოლო (პოლიარულ). ქვეყნებში მკეიდრნი ბეერს მსუქან და ქონიან საჭმელს სჭამენ; ცხელ ქვეყნებში-კი ადამიანი უმეტესად იკვებება ხილით, ბრინჯით და სხვა მცენარებით. ის საზრდო, რომელიც ნახშირდედას უხვად შეიცავს, უფრო ძელად იშოვება, ეიღო მცენარეულობა და თითონ მისი შოვნაც უფრო გასაჭირი და სახიფათოა. ამისგამო, რაღანაც ცივი ქვეყნის მცხოვრებნი იძულებულნი არიან თბილი ქვეყნის ხალხზე უფრო მეტი და უფრო ძეირფასი საზრდო მოიპოვონ, ამიტომ ისინი თავის განვითარების პირველ ნაბიჯზე უფრო გულაღნი და გამბედავნი არიან; ეიღო ის ერი, რომელიც თავის საზრდოს უფრო აღეილად და უბრძოლველად ჰითულობს.

მოყვანილი მსჯელობიდგან დაისკვნება შემდეგი: ხელფასის მეტ-ნაკლებობა დამოკიდებულია მცხოვრებლების რიცხვზე, ხოლო ეს უკანასკნელი — საზრდოს რიცხვზე; საზრდო, რომელიც საჭიროა სიცოცხლისათვის, ცივ ქვეყნებში თბილ ქვეყნებზე უფრო ნაკლებია და თანებ უფრო მეტია საჭირო. ეს დასკვნა მარტივად ასე ითქმის: თბილ ქვეყნებში ხელფასი მუდაშ მიეშერება, რომ დაიკლას, ცივ ქვეყნებში-კი, რომ მოიმატოს.

ამ უდიდეს დასაბამს ისტორიის საერთო მიმოსვლა ყოველ მხრივ ამართლებს. ძველი მსოფლიო ცივილიზაცია დაარსდა აზის, აფრიკის და ამერიკის ცხელ ქვეყნებში და დამყარებული იყო მცირე ხელფასზე და მუშა ხალხის სიღატაკეზე. ევროპის ცივილიზაცია-კი აღმოცენდა (წარმოსდგა) ცივ ქვეყნებში და, ამისგამო, ევროპაში ხელფასი უფრო მეტი იყო და სიმდიდრის განაწილებაც უფრო თანასწორი, ვიღრე იმ ქვეყნებში, სადაც საზრდოს სიუხვე ხალხის გამრავლებას ხელს უწყობდა. პირველი შეხედვით ირლანდიის ცხოვრება ამ კანონს არ ემორჩილება, მა- გრამ, როცა საქმეს ჩაეუკეთდებით, დაეინახავთ, რომ ირლანდიის ცხოვრება ამ კანონს სამაგალითოდ ამტკიცებს. ირლანდიაში მუშა ხალხი კართოფილით იკვებება; კართოფილი იქ უხვად მოდის; ერთ დღიურზე მოყვანილი კართოფილი ორ იმდენ სულს დაარჩნს, რამდენსაც ამოდენივე მიწაზე მოსული ხორ- ბალი; ამისგამო ირლანდიის მცხოვრებლები ერთი ორად უნდა გამრავლებული-იყვნენ, ვიღრე იმ ქვეყნის მკვიდრნი, რო- მელნიც პურით იკვებებიან და, მართლაც, სანამდის ირლანდიე- ლებმა სამშობლოდგან გადასახლება არ დაიწყეს და სანამდის კართოფილს ჭირი არ გაუჩნდა, იქამდის ირლანდიის მცხოვრებ- თა რიცხვი ყოველ წლივ 3% -ით მატულობდა, ინგლისში-კი $1\frac{1}{2}\%$ ემატებოდა. ხალხის გამრავლებამ ირლანდიაში იმდენად გაა- იაფა ხელფასი, რომ დღეში მუშა ოთხი ჰენსი¹⁾ ლირდა (ორი შაური).

იქ, სადაც ხელფასი მცირეა, სიძიდიდრეც უთანასწოროდ არის განაწილებული, ხოლო, სადაც სიძიდიდრე უთანასწოროდ არის გა- ნაწილებული, იქ, პოლიტიკური და საზოგადოებრივი უფლებაც უთა- ნასწოროა. მაგალითად, ინდუეთში, როგორც ყველა ცხელ ქვე- ყანაში, ხალხი იკვებებოდა მცენარეულობით, უმეტესად ბრინ- ჯით, რომელიც იქ ერთი სამოცად მოდის; გარდა ამისა, ცხელი

¹⁾ ჰენსი—ევროპლის ფულია ინგლისში, უდრის $2\frac{1}{2}$ კაპეიკს.

ჰაერ ადუნებდა ხალხის ენერგიულ მუშაობას; ამისგამო ხალხი ინდოეთში მეტად გამრავლდა, ხელფასი დაეცა და სიმდიდრე უთანასწოროდ იყო განაწილებული. ისტორიიდამ ვიცით, რომ, ორი-სამი ათასი წლის წინეთ, ზოგიერთ პირებს აუარებელი სიმდიდრე ჰქონდათ, ხალხის უმეტესობა-კი შემაძრწუნებელი სიღარაკის მორევში იყო ჩავარდნილი. ამასთანავე სიმდიდრის წარმომადგენელნი, პოლიტიკური და საზოგადოებრივი უფლებების წარმომადგენელნიც იყვნენ, დიდი უმეტესობა ხალხისა-კი მონებად გარდაქცეულიყო.

ხელფასი უფლებან ამ გვარად განისაზღვრება: სიმდიდრე შესდგება ოთხი დასაბამიდგან (ელემენტიდგან): ხელფასი, ლალა (რენტა), მოგება და სარგებლისაგან. რაღანაც სარგებელი საზოგადოდ მოგების საწყაოა, ამიტომ ცხადია, რომ როცა და-ლა და სარგებელი დიდია, მაშინ მოგება და ხელფასიც ნაეჭები უნდა იყოს. ინდოეთში ლალა და სარგებელი ყოველის დიდი იყო. „მენუს კანონებში“, რომელიც ქრისტეს დაბადების 900 წლის წინად არის შედგენილი, სარგებელი დანიშნულია $15^{\circ}/_0$ — $60^{\circ}/_0$ რაც შეეხება ლალას, რომელსაც მიწის მუშა მიწის პატრონს აძლევს, ინდოეთში წლიური შემოსავლის ნახევარი მაინც უნდა ყოფილიყო; ინგლისში და შოტლანდიაში-კი, ლა-ლა შემოსავლის მეოთხედია, საფრანგეთში — მესამედი, ამერი-კაში — ბევრად ამაზე ნაკლები და ზოგიერთ ქვეყნებში, ლალა მხრილოდ სახელით არსებობს, ე. ი. არაფერს არ იხდიან. სხვა-ნაირად რომ ესთქეათ: ინდოეთში მუშის ჯილდო მაღალ ხარისხის შირების ჯილდოსთან სულ მცირედია. მართლაც, ჩვენ ამ ქვე-ყანაში ვხედავთ, რომ მაღალი ხარისხის პირნი უზომოდ მდი-დარნი არიან, დაბალი წოდება-კი — შესაბრალისად ლარიბი; ეხედავთ, რომ ვისი ჯაფრთაც გროვდება სიმდიდრე, იგი იმის სულ მცირე ნაწილს იღებს, უდიდეს ნაწილს-კი მდიდარნი შთან-თქამენ. სამუდამო და სასირცევილო მონობა, როგორც შე-

დეგი თოხუმური (კასტური) წეს-წყობილებისა, ინდოელების უმეტესი ნაწილის ბუნებითი მდგომარეობა არის. ინდოეთში ყველაზე უფრო დაბლა დგანან ეგრედ წოდებულმი სუდრები¹⁾, რომლების შესახებ ადგილობრივ კანონებში შევხვდებით ამ გვარ მუხლებს: თუ სუდრამ გაბედა და დაჯდა იმ ადგილას, სა- დაც სხვა წოდების ბირი იჯდა, მაშინ იგი სამშობლოდგან უნდა იყოს განდევნილი, ან და საშინელს სასჯელს მიეცეს; თუ მან წარჩინებული გვამი უპატიოდ მოიხსენა, მაშინ მას ბაგე უნდა ამო- ეწვას; თუ სიტყვით შეურაცხუოვა მიაუენა, ენა უნდა მოექრას; თუ ბრამინ- თან ერთ ხალიჩაზე დაჯდა, სამუდამოდ უნდა დამახინჯდეს; თუ სასულიერო წიგნის კითხვას უური დაუგდო, უურში ცხელი ზეთი ჩაესხას; თუ ამგვარი წიგნი ზეპირად ისწავლა—მოიკლას; თუ კინმე სუდრას მოჰქმდავდა, მკვდელს იმნაირიგე ჯარიძა უნდა გადაესადა, რო- გორც ძაღლის, კატის ანუ ყვავის მოკვდისათვის და სხვა...

ამასვე ეხედავთ ყველა ცხელ ქვეყნებში. ცხელ ჰავას საზ- რდო უხვად მოჰყავს და ამისგამო, ჯერ სიმდიდრე და მერმე პოლიტიკური და საზოგადოებრივი უფლებები უთანასწოროდ ნაწილდება. უმეტესი ნაწილი სიმდიდრის, პოლიტიკური და სა- ზოგადოებრივი უფლებებისა ეკუთვნის მხოლოდ მცირე ნაწილს. ამ გვარი ქვეყნების მკეიდროა უმეტესობას ბედად ხელება მო- ნობა და მორჩილობა; აქ სახელმწიფოებრივი რეფორმები და ცელილებანი, მხოლოდ მაღალ ხარისხოვანთ სასარგებლოდ ხდება. მაგრამ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ სა-

¹⁾ სუდრა—სულ უკანასკნელი წოდებაა ინდოეთში, რომელიც უფრო ხელისნობით ირჩენს თავს.

²⁾ ბრამა—ინდოელების მთავარი ღმერთია; აქედგან წარმოსდგება სიტყვები ბრა მანიზ მი, რომელიც არის ბრამის სარწმუნოება და ბრა- მინი, რომელიც არის ბრამანიზმის მინდევარი მღვდელი.

ბრალო ხეედრი (სვე) ამა ხალხისა უფრო ბუნებაზე იყო და-
მოკიდებული, ვიღრე კაცის ნებაზე.

აფრიკის ხალხთა შორის, მხოლოდ ეგვიპტელებმა მიიღეს
ცივილიზაცია, რაღაც მათი ქვეყნის ბუნება სიმდიდრის მო-
ხედას ხელს უწყობდა. როგორც ეგვიპტეში, აგრეთვე ინდო-
ეთში, ნიაღაგის ნაყოფიერებამ და ცხელმა ჰავაშ გამოიწვია ჭრ-
თი და იგივე კანონები და მიიყვანა ერთ და იმავე შედეგამ-
დინ: საზრდო უხვად და იაფად იშოვებოდა და მუშათა რიცხვი
ძრიელ გამრავლებული იყო და ამიტომაც ხელფასი მეტად მცი-
რე იყო; სიმდიდრე და უფლება უთანასწოროდ იყო განაწი-
ლებული და სხვა. აზის ჩეულებრივ საჭმელს — ბრინჯას,
აფრიკაში უდრის ინდის-სურმა. ინდის-ხურმის ხე, რომელიც იზრ-
დება მდინარე ტიგრიდამ დაწყებული ატლანტიკის ოკეანემდე,
არაბეთში და მთელ აფრიკაში, ეკვატორიდგან ჩრთილოეთი-
საკენ, ძრიელ დიდი ნაყოფის მომცემია და აუარებელი ხალ-
ხისათვის და პირუტყვებისათვის უხეი საზრდო მოაქვს. ჭავის
და ჩადაგის გავლენა მეტად შესამჩნევა ეგვიპტის ნაურფიერ ნა-
წილში — საიდში ანუ ფიბადიაში, ¹⁾ საღაც დღევანდლამდინ შე-
ნახულა ხელოვნების გასაოცარი ნაშთი, შენობები და ქალა-
ქების ნანგრევები. საიდში საჭმელად ერთგვარ მცენარეს ხმარო-
ბენ, რომელსაც ჰქონდა დგურა და რომელიც ერთი 240-ცად
შოდის. თუმცა აფრიკაში საზოგადოდ ხალხის გამრავლებას ცხე-
ლი ჰავა ხელს უწყობდა, მაგრამ სამაგიეროდ მას ნიაღაგის
უნაყოფობა უშლიდა. ეგვიპტეში-კი ჰავასაც და ნიაღაგსაც ძრი-
ელ კარგი გაელენა ჸქონდა, რადგანაც იაფი და უხეი საზრდო
მოქმედათ მცხოვრებლებისთვის და თანვე თითონ მოთხოვნი-
ლებაც ძრიელ მცირე ჸქონდა ხალხს. ეგვიპტეში, მაგალითად,

¹⁾ საიდი ანუ ფიბადია არის სახელ-წოდება ზემო ეგვიპტისა, სა-
დაც გაშენებული იყო შესანიშვავი ქალაქი ფიბა ანუ ფიბადი.

სულ მსუბუქი ტანსაცმელი იყო საჭირო და ღატაკები და ბავშები თითქმის დედის შობილა დაიარებოდნენ. ამ მიზეზების-გამო ეგვიპტე ყველა ძველ ქვეყნებშე სქლად იყო დასახლებული; ისტორიკოსი ჸეროდორი¹⁾ მოწმობს, რომ ეგვიპტეში ამაზის მეფობის დროს (570-526) 20,000 კალაქი ითვლებოდათ. ცხადია, რომ ბუნების გავლენისაგან პოლიტიკური და ზნეოპრიეტი შედეგი ეგვიპტეში იმგვარივე იყო, როგორიც ინდოეთში. ხალხი თოხუმებად (კასტებად) იყო დაყოფილი; დაბალი ხალხი მარად მონობაში იმყოფებოდა; მმართველნი მათი ხელით უზარმაზარ და უსარგებლო შენობებს აშენებდნენ. თუ ხალხის რამდენ ლონეს და სიმდიდრეს ხარჯავდა მთავრობა, სჩანს შემდეგი მაგალითებიდგან: ორი ათას კაცს ელეფანტიდგან საისამდის სამი წლის განმავლობაში ერთი ქვა გადაჭქონდათ; წითელი ზღვის არხის გაყენამ 120,000 კაცის სიცოცხლე შეიწირა²⁾; ერთი პირამიდის³⁾ აშენებაზედ 360,000 კაცი 20 წლის განმავლობაში მუშაობდა.

ძველ ამერიკაშიაც, როგორც აზიაში და აფრიკაში, ცივილიზაცია აღმოცენდა ცხელ ქვეყნებში—მექსიკაში და პერუში. მაგრამ ამერიკის შესახებ საჭიროა გამოვიყელიოთ კიდევ ერთი ბუნებრივი ძალა, რომელზედაც აქამდინ არაფერი გვითქამს. ცხობილია, რომ, გარდა სხვა პირობებისა, ნიადაგის ნაყოფიერება დამოკიდებულია სითბოზე და ნოტიოზე (წყალზე); ნოტიოზე უნდა ესთქვათ, რომ ამერიკაში ყველა დიდი მდინარენი არიან

¹⁾ პეროდორე—იყო საბერძნეთის შესანიშნავი ისტორიკოსი, დაბადა 484 წელს და გარდაიცვალა 420 წელს ქრისტეს დაბადებამდე.

²⁾ ეგვიპტის მეფემ სეზოსტრისმა 1394-1328 წ. მოისურვა წითელი ზღვის არხით შეერთება ხმელთა შუა ზღვასთან. ამ მუშაობაზე ბევრი ხალხი გაწყდა.

³⁾ პირამიდა—უზარ-მაზარი შენობებია ეგვიპტეში, რომლებსაც უწინდელნი მეფენი აშენებდნენ თავის დასაკრძალავად სიკვდილის შემდეგ.

მის აღმოსავლეთ ნაწილში, დასავლეთში-კი ერთი დიდი მდინარეც არ მოიპოვება; არც ჩრდილოეთ და არც სამხრეთ ამერიკაში, არც ერთი შესამჩნევი მდინარე არ ერთვის დიდ ოკეანს. სითბოს შესახებ ჩრდილოეთ ამერიკაში შენიშნულია შემდეგი მოვლენა: აღმოსავლეთ ნაწილში მეტია ნოტიო, და-სავლეთში-კი—სითბო. ამ მოვლენას ამერიკის ძველ ცივილი-ზურაზე თავისებური გავლენა ჰქონია. რაღანაც მექსიკიდან ჩრდილოეთისაკენ ერთ ნაწილში ნოტიო და მეორეში სითბო არ იყო საკმარისი, და ამიტომ ამ ადგილებში საესებით არ მოიპო-ვებოდნენ ის პირობები, რომლებიც საჭიროა ნიადაგის ნოუოფი-ერებისათვის, ამისგამო ამ ქვეყნებში სიმდიდრის მოხვეჭა შე-ჩერებული იყო და ამასთანავე მცხოვრებლების განვითარებამ ვერ მიაღწია იმ წერტილამდინ, სადამდინაც ინდოეთის და ეგვიპ-ტის ცივილიზაცია აღვიდა. თეითონ მექსიკაში-კი ორივე პი-რობები, ნოტიოც და სითბოც, საკმარისად მოიპოვებოდა, რაღანაც მექსიკას უჭირავს ეიწრო ადგილი, რომელიც პანამის ყელით თავდება და ძევს ეკვატორის ახლოს. რაღანაც ამერიკის სხვა ქვეყნები ამ პირობებს მოკლებულნი იყვნენ, ამიტომ ცხადია, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ცივილიზაცია მექსიკაში უნდა აღმოჩენილიყო. რაც შეეხება სამხრეთ ამერიკას, იქაური ქვე-ყნები ბუნების სულ სხვა კანონებს ემორჩილებოდნენ: აქ ეკვატორი-დგან ჩრდილოეთისაკენ, აღმოსავლეთი ნაწილი დასავლეთისაზე უფრო ცივია; ეკვატორიდგან სამხრეთისაკენ-კი აღმოსავლეთი დასა-ვლეთზე უფრო თბილია. სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაწი-ლებში ბევრი მდინარეებია, ე. ი. აქ ნოტიო და სითბო შეერ-თებულია, ამიტომ ეს ადგილი და განსაკუთრებით ბრაზილიის სამხრეთი ნაწილი ფრიად ნაყოფიერია. ეს ნოტიო უხვად მო-აქვს ატლანტიკის ოკეანიდამ მონაბერ ქარებს.

გასაოცრად მრავალ-ფეროეანი და დიდ-შევენიერია აქაური მცხოვრეულობა, რომელშიაც ბუდობს ყოველ-გვარი ცხოველი:

ფრინველი და მწერი. მაგრამ მეორე მხრით ეს მეტის-მეტი უხევი ბუნება კაცის მოქმედებას ხელს უშლის. ბრაზილიის მაღალი მთები და ფართო მდინარეები აძნელებენ მიმოსცლას; იქ მიწის მუშაობა თითქმის შეუძლებელია, რადგანაც ბრაზილია საესეა უტესი ტყეებით და აუზარებელი მწერებით, რომელიც ნათესს და მოსავალს აოხრებენ. ერთი სიტყვით, რამდენათაც მეტი და მრავალ-ფეროვანია ბუნების სიმდიდრე, იმდენად თავის მიუკარებლობით კაცის მიზანს არ ეთანხმება. ამისგამო ბრაზილიაში ისტორიას ცივილიზაციის ნიშან-წყალი ვერ უპოვა და თვით ევროპის ცივილიზაციასაც, რომელიც გადმოტანილია ბრაზილიაში, აქამომდე მის შუა გულამდინ ვერ მიუღწევია. ამ მდიდარ ქვეყანასთან შედარებით მექსიკა და პერუ უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ, თუმცა აქ იმდენი ბუნებრივი სიმდიდრე არ იყო, როგორც ბრაზილიაში.

რა გვარი ადგილი უჭირავს აზიაში—ბრინჯას და აფრიკაში—ინდის-ხურმას, ისეთივე ადგილი აქ უჭირავს სიმინდს, რომელიც პირველად ჩარტო ამერიკაში მოდიოდა. სიმინდმა მექსიკაში გასაოცარი მოსავალი იცის—ერთი ათხასად და თითქმის ერთი რეასად მოდის. ამ ქვეყანაში აგრეთვე უხეად მოდის კართოფილი, რომელიც, როგორც ჩემოდ ვნახეთ ძლიერ უწყობდა ხელს მცხოვრებლების გამრავლებას ირლანდიაში. მექსიკაში და პერუში ეგრეთვე გასაოცარად გამრავლებულია ბანანი, ¹⁾ რომელზედაც საკმარისია ესთქვათ, რომ ერთი დღიური ბანანით დათესილი მიწა 50 სულს დაარჩენს; ევროპაში-კი ამდენივე ადგილი ხორბლით დათესილი ეყოფა მხოლოდ ორს სულს. აი აქედამ იწყება დედა-მიწის ორ სხვა და სხვა ნაწილში—ერთი მხრით მექსიკაში და პერუში და მეორე მხრით

1) ბანანი—ბალახია ერთგვარი, რომელიც ხის ტოლა იზრდება; ისხამს ფქვილოვან ნაყოფს, რომელსაც მკვიდრნი ხმარობენ პურის მაგიერუმსა, მოხარულს და შემწვარს.

ინდოეთში და ეგვიპტში ციეილიზაციის სრული მსგავსება. ყველა ამ ქვეყნებში ჩვენ ეხედავთ, რომ ხალხი დაყოფილია თოხუმებად—მაღალ და დაბალ წოდებად; მდიდრები ლარიბენს იჯაბნებენ, მაღალი ხარისხის პირნი მედიდურობენ და სიმდიდრეს ჰულანგავენ, ლარიბებს მონებად ჰბოჭავენ; ჩენ ეხედავთ მრავალ ამ გვარ შედევს სიმდიდრის და უფლების უთანასწოროთ განაწილებისა პერუში, საღაც, მაგალითად, ყველა გადასახაუი მდაბიო ხალსს აწვა. ხალხს თავისუფლად არამც თუ ადგილის, ტანისამოსის გამოცვლაც არ შეეძლო. მექსიკის კანონებით შეილი მამის ხელობისავე უნდა ყოფილიყო. მექსიკელები ძრიელ განუვითარებელი ხალხი იყო: ისინი თაყვანს სცემდნენ ყველა იმას, რაც ძველი დროიდან იყო დარჩენილი აღათად და მათი სარწმუნოება ინდოელების სარწმუნოებას ძრიელ წაგავდა. თუ როგორ ეპყრობოდნენ მაღალი ხარისხის პირნი დაბალი ხარისხისას სჩანს იქიდგან, რომ პერუს სამეფო სასახლის აგებაზე 20,000 კაცი 50 წელს მუშაობდა, მექსიკაში-კი—100,000 კაცზე მეტი. აი საერთო დასკვნა ყველა ძველი ციეილიზაციისათვის: იგი ხალხის უმეტესობისათვის არავითარ სასარგებლო. ჰირობებს არ შეიცავდა და ამიტომ სამუდამოდ უნდა დაჭრეულიყო.

ჩენ განვიხილეთ, თუ რა გავლენა ჰქონდა ევროპის გარეშე ქვეყნებზე ბუნების სამს ძალას: ჰავას, ნიადაგს და საზრდოს: ახლა შევჩერდეთ მეოთხე ძალაზე, რომელსაც დაეარქით ბუნების საერთო სახიერება (შეხედულობა). როგორც სიმდიდრის მოხვეჭა და განაწილება დამყარებულია ჰავაზე, ნიადაგზე და საზრდოზე, ამგვარათვე ბუნების საერთო შეხედულობას აქვს. გავლენა ცოდნის მოხვეჭაზე და მის განაწილებაზე. ის, რასაც ჩვენ უწოდეთ ბუნების საერთო შეხედულება, გაიყოფება ორად, რომლიდგანაც, ერთი მოქმედობს ადამიანის გამოხატულობის ნიჭე (ვითრაჟენიე) და მეორე—გონებაზე ანუ ჭკუით განმშველობის მოქმედებაზე. იქ, საღაც ბუნება მეტად მდიდარი

და მძლავრია, აღამიანს ის გრძნობა ენერგება, რომ მისი საკუთარი ძალა სუსტია, მისი ნება და სურვეილი ბუნების მოელენებს ემორჩილება; იქ-კი, სადაც ბუნებას ნაკლები ძალა აქვს, კაცი გრძნობს თავის უაღრესობას და ბუნებას თავის ნებას უმორჩილებს. აქ კაცი იკვლევს ბუნების მოვლენებს და სცდილობს შეისწავლოს და მოიხმაროს ის კანონები, რომელნიც უფლობენ და განაგებენ ბუნების მოელენებს. ცნობილია, მაგალითად, რომ ყველაზე საშიშარი ბუნების მოელენა არის მიწის ძვრა, რომელიც ხშირად ერთი თეალის დახამხამებაში უქადის დაღუპვას, როგორც კაცს, ისე მის ნაშრომს. მართლაც ჩენ ეხედავთ, რომ ეს მოელენა ძრიელ მძიმედ მოქმედებს ხალხის სულიერ მდგომარეობაზე. მაგალითად, პერუში სადაც მიწის ძერა ხშირად იცის, მკეიდრნი მეტად მხდალნი და დაუდევარი ხასიათისანი არიან და ცრუმორჩმუნეობით გამსჭვალულნი. იტალიაში და ესპანიაში მიწა ხშირად იძერის და ამიტომ ამ ქვეყნებში, ფრიად გავრცელებულმა ცრუმორჩმუნებამ შექმნა სასულიერო წოდების ძლიერება და თეით ქრისტეს სარწმუნოებაც დაამახინჯა. გარდა ამისა აღელვებულ გამოხატულებას ძლიერი მოქმედება აქვს ხელოვნების განვითარებაზე: გონება-კი მეცნიერების განვითარებაზე მოქმედობს. ეს განსხვავება მრავალი ფაკტებით მტკიცდება. იტალია და ესპანია არის სამშობლო მრავალ გამოხენილ მექანდაკეთა; მწერლობა ამ ქვეყნებში ძლიერ ხელოვნურია და მეცნიერება-კი დაბლა სდგას ესპანიაში და იტალიაში ძველი დროიდამ დღევანდლამდე. არ გამოხენილა არც ერთი შესანიშნავი ბუნების-მეტყველი, არც ერთი მეცნიერი, რომლის სახელი მთელ ევროპაში ცნობილი იყოს. რომ ისტორიულად დაეახასიათოთ სხვა და სხვა ბარბაროსული ერი, დავინახავთ, რომ ისინი, აღელვებული გამოხატულების და ცრუმორჩმუნეობის გამო, ბუნების საშინელ მოვლენებს აღმერთებდნენ. აღამიანის გამოხატულებაზე მავნე

ბელ ჰავას იმნაირივე მოქმედება ჰქონდა, როგორც მიწის ძერას, ქარიშხალს, ელვა-ქუხილს, მძინვარე მხეცებს და სხვა ამ გვარ გარეშე მოვლენას. თითქმის ყოველთვის შენიშნულია, რომ, როდესაც საღმე რაიმე გადამდები სენი გაჩნდება, მაშინ ხალხში ცრუმორწმუნეობა უფრო მრავლდება.

რომ უკეთესად წარმოეიდგინოთ ორი სხვა-და-სხვა გავლენის შედეგი გამოხატულებაზე და გონებაზე, ჩევნ მოკლეთ და-ვახასიათებთ სხვა-და-სხვა ერის მწერლობას, სარწმუნეობას და ხელოვნებას. ინდოეთის მწერლობა გამოხატულების ნაყოფი იყო. ინდოელები ყველა თავის თხზულებებს — ერამატიკას, მა-თემატიკას, გეოგრაფიას, კანონებს, ისტორიას, მეტაფიზიკას, კა-რაბადინებს — ყველაფერს ლექსად სწერდნენ. ეს გარეგანი ფორ-მაა, მაგრამ მათი შინაარსიც იმ გვარია, რომ კაცს ეგონება ინ-დოელები საგანგებოდ სცდილობდნენ კაცის გონებას რამე ნაი-რად ბრძოლა გაუწიონო. ყველა ამ თხზულებებში და განსა-კუთრებით უფრო იმათში, რომელთაც ეროვნული ხასიათი აქვსთ (რამაინი, მაგაბარათა), მეტად ფიცხელი გამოხატულება გამოს-კერეტს.

ინდოეთის ბუნება მძლავრი და უზარ-მაზარი სახისაა, სა-ბერძნეთში-კი ბუნების ძალა სუსტია. ამის გამო ბუნებას ამ ორ ქვეყანაში ხალხის გაელენაზე სულ სხვა-და-სხვა ნაირი გავლენა აქვს. ინდოეთის ბუნება კაცში აღძრავს შიშის, საბერძნეთში-კი კაცს ნდობას უნერგავს. აი რისთვის ჰერაკლეს ინდოელები თავის ღმერთებს საშიშარ სახისას.

ინდოელებს სწამდათ შემდეგი სამება: ბრამა, სიკა და ვიშ-ნუ. იმათ სიეა წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც მეტად საში-შარი შეხედულობის არსება. ამ ღმერთს წელზე გველი ჰყავს შემოხევული, ხელში უჭირავს მკვდარი კაცის თავი, კისერზე კაცის ძელები ჰყიდია. იმას აქვს სამი თვალი და მხარზედაც შხამიანი სათვალებიანი გველი ჰყიდია. სიეა ჰყავს მეულლე — ღურ-

და ანუ კალი, რომელსაც მუქი-ლურჯი სხეული აქვს და ხელის გული წითელი, რაიცა ნიშნავს სისხლის წყურეილს. კალი ოთხ ხელიანია, ენა ბაგეებიდგან გადმოჰქარდნია, კისერს უმშევენებს ბაწარზე ატმული კაცის თავები.

ბერძნების ღმერთები-კი სულითაც და ხორცითაც ადამიანებს ჰევანან, მაგალითად: დანა—უივ-გული ქალია, კენერა—მშევნიერი და ლმობიერი დედაკაცია, იუნონა—ამაყია, მინერა—გონებით განვითარებულია. საბერძნეთის ღმერთები კაცის ჩეეულებრივს საქმეს აკეთებენ: ნეპტუნი—მეზღვავეა, კულკანი—მჭედელია, აზოლონი—ხან მემუსიკე, ხან მგოსანი და ხან მწყემსია, კუპიდონი—ძრიელ ცელქი ყმაწვილია, მუდამ თავისი მშეილდისრით თამაშობს, იუპიტერი—არშიურ და კეთილი გულის მეფეა, მერკური—ხან ელჩად არის, ხან ქურდობს.

მოკლედ რომ ესთქვათ ინდოელების ღმერთები ძლიერ საშიშნი არიან და კაცის ბუნებასთან ძრიერ დაშორებულნი, ბერძნები-კი თავიანთ ღმერთებს ადამიანს უახლოვებდნენ და მით კაცის ბუნებას ამაღლებდნენ.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. არხეოლოგებმა ¹⁾ აღმოაჩინეს, რომ შუა ამერიკაში სარწმუნეობა დამყარებული ყოფილა განუსაზღვრელ შიშჩე; ღმერთები სრულიად არ ჰევანან აღამიანს, ტაძრები თავიანთი სიღიაღით და აგებულობით შიშს და კრძალვას უნერგავდნენ ხალხს. ამ გვარად აქაც ზემოხსენებული კანონების გავლენა სჩანს.

თ ა ვ ი III.

განხილვა მეთოდისა, რომელსაც ხმათლები მეტაფიზიკები განების კამთხების აღმოსაჩენად.

ძველი და ახალი ქვეყნების ცივილიზაციის განსხვავებას აქამდინ ნათქვამი გვიხატავს: ეკროპის გარეშე ქვეყნებში ბუნება ადა-

¹⁾ არხეოლოგი—მცოდნე სიძველეთა.

მანს იმორჩილებს, ეკროპაში-კიადამიანი ბუნებას. ყოველიციეილიზაციის შესწავლის დროს ეს დიდი კანონი მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. ცივილიზაცია მსოფლოდ მაშინ იქნება პროგრესიული, როდესაც კაცის გონება იმორჩილებს ბუნებას. ეკროპიელ საჟადა მაღალი განკითარება მსოფლოდ ამ ძირითადი წყალობით მოსდა. ეპროპაში კაცის ენერგიის წარმატება აუარებელი ფაკტებიდან სჩანს: აქ უნაყოფო აღგილები გაუაქცეულია ღიდ-ნაყოფიერ აღგილებად, აღგილ-მამულები ხელოვნურად დაცულია წალევ-ვისაგან, შესაუკუნოების საშინელი სენები—ესმი და კეთრი მოისპო, მრაცებელნი მხეცნი გაწყვეტილია. იმ გვარი საშინელი შიმშილობა, როგორც ძევლად მოხდებოდა ხოლმე, ახლა შეუძლებელია განმეორდეს; ამასთანავე ევროპაში გაყვანილია გზები, არხები, აშენებულია ნაეთ-სადგურები, ხიდები და სხვა, და სხვა. გარდა ამისა, ჩევნ ვხედავთ, რომ ბუნების ძალას აღარაუერი არ ემატება, კაცის სულიერი ათსება-კი (გონება) მუდამ პროგრესშია და თანდათან თავისუფლდება გარეგანი გავლენისაგან.

რადგანაც ჩეენ დღი მნიშვნელობას ვაძლევრ გონების მფლობელობას გარეგან ბუნებაზე, ამიტომ საჭიროა გონების კანონები შეგისწავლოთ. ამ კანონების გამოსაკვლევად სხვა საშვალებათა გარდა მეტაფიზიკა¹⁾ ითვლება და ამიტომ მისი კანონები კრი-ტიკულად უნდა განვიხილოთ. მეტაფიზიკოსნი შემდევი საფუძვლით ხელმძღვანელობენ: თუ ჩეენ თეალ-ყურს ვადევნებთ ერთი კაცის შინაგან არსებას და მით შეეისწავლით მას; შესაძლოა საზოგადოდ კაცის სულიერი არსების შესწავლაც. მეტაფიზიკოსები ორი მიმართულებისა არიან: ერთი მათგანი და-საბამად სთვლიან იდეებს, სოფო მეორენი გრძნობას. პირებელთ ეწოდება იდეალისტები, მეორეებს—სენსუალისტები. ამის გამო მეტა-

¹⁾ მეტაფიზიკა არის მეცნიერება ხილული ქვეყნის გარეშე საგნებზე, მათ დასაბამზე და მიზეზებზე, მაგალითად, ღვთაებაზე, სულზე და სხვა.

ფიზიკა ორ სხვა და სხვა გზას აღგია და მათი დასკვნანი სულ სხვა და სხვა ნაირია. მაგალითად, იდეალისტები ამტკიცებენ, რომ აზრის შედგენა სივრცეზე, არის გრძების და არა გრძნობის ჩაყოფი, რაღანაც გრძნობის საშუალებით ჩვენ მხოლოდ იმას შევიგნებთ, რასაც დასასრული აქვს და რაც შემთხვევითია, სივრცე-კი დაუსრულებელი და აუცილებელია: კაცი არ შეუძლიან წარმოიდგინოს სივრცეს საზღვარი და თანვე არც მისი უარსებობაო. სენსუალისტები-ჯი სულ სხვა აზრისა არიან: ესენი ამტკიცებენ, რომ ცოდნა სივრცეზე გრძნობის შედევრა, რაღანაც ჩვენ იმ დრომდე ვერ შევადგენთ აზრს სივრცეზე, სანამ არ გვექნება ცოდნა ნივთიერებაზე; ეს უკანასკნელი-კი მხოლოდ გრძნობის შედევრია. ამ გვარი მაგალითების მოყვანა, რომელიც ცხადად დაგვანახვებს, რომ სენსუალისტების და იდეალისტების დასკვნათა შორის დიდი განსხვავებაა, ბევრი შეიძლება; ჩვენ აქ ორიოდეს კიდევ მოვიყვანთ. იდეალისტები ამბობენ, რომ აუცილებელი და შემთხვევითი ჰეშმარიტებანი, სხვა და სხვა წყაროდგან მომდინარეობენო, სენსუალისტები-კი—ერთი წყაროდგანაო. იდეალისტები ამტკიცებენ, რომ ყველა კაცი კეთილზე, ჰეშმარიტებაზე და მშვენიერებაზე ბუნებითად ერთგვარი შეხედულობა აქვთო; სენსუალისტები-კი ამბობენ, რომ ეს ცოდნა სხვა და სხვა გვარია, რაღანაც იგი წარმოსდგება გრძნობისაგან, რომელიც არის გარეგნი და მრავალ-ფეროვანი გავლენის შედევრი. ამის გამო, მეტაფიზიკოსები, თუმცა მრავალი საუკუნის განმავლობაში გულმოდგინეთ შრომობლნენ, მაგრამ მაინც ვერ შექმნეს საფუძვლიანი სწავლა. ცხადია, რომ მეტაფიზიკა შემცდარ გზაზე იდგა; ეს შეცდომილება აღმოჩინა იმ მეთოდმა, რომელიც ახალ მეცნიერებას აქვს შეთვისებული და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ვერ საჭიროა გარეშე მოვლენათა გამოგვლევა და შესწავლა და შეძეგ საერთო კანონების დასკვნა.

თ ა 3 ი IV.

ქაცის სულის კანონები განიერებიან ზნეობრივ და გონებრივ კანონებად. შედარება ზნეობის კანონებისა გთხების კანონებთან და გამოკვლევა იმ მოქმედებისა, რომელიც მათ აქვს საზოგადოების განვითარებაზე.

მესამე თავში ჩვენ დავანახვეთ მკითხველს, რისათვის მეტაფიზიკური მეთოდი უვარებისად უნდა ცნობილ იყოს. ჩვენ ამ შრომაში აუცილებლად ისტორიული მეთოდით უნდა ეიხელ-შეღვისწავლოთ სულის კანონები, არა მარტო ერთი გვამის, არამედ მთელი კაცობრიობის სულიერ შემოქმედებიდგან. ამ ორი მეთოდის განსხვავებას დავინახავთ შემდეგი მაგალითიდგან. მეცნიერებას დიღხანს ვერ გამოეკვლია ის კითხვა, თუ რომელი სქესი იბადება მეტი—მდედრობითი, თუ მამრობითი. ამ კითხვის გამოცნობაზე შრომობდნენ ფიზიოლოგები¹⁾ და მეტაფიზიკოსნი. ფიზიოლოგები ამტკიცებენ, რომ თუ შევისწავლით კერძო აგებულობას, მაშინ გამოვიცნობთ სქესთა რიცხვის ერთმანეთზე დამოკიდებულობასაც. მეტაფიზიკოსნი გვარწმუნებდნენ: შევისწავლოთ კერძო პირის სულიერი მდგომარეობა და ამით ჩვენ შევიტყობთ იმ კანონებს, რომელნიც სულის მოძრაობას განაგებენ, და ეს მოგვცემს შეძლებას წინასწარ შევიტყოთ, როგორ მიმდინარეობს კაცთა ნათესაობა, ე. ი. რომელი მეტი იბადება—ქალი, თუ კაცი. მიუხედავათ ამისა ფიზიოლოგებმა და მეტაფიზიკოსებმა ვერ გამოიცნეს ეს კითხვა. ისტორიულმა მეთოდმა—კი სულ უბრალო საშუალებით მიგვიყვანა ჭეშმარი-

1) ფიზიოლოგია არის მეცნიერება სიცოცხლეზე, ე. ი. არსებათა შინაგან მოვლენებზე, მაგალითად, გამრავლებაზე, კვებაზე და სხ. აქედამ ფიზიოლოგი არის სიცოცხლის მოვლენათა მკვლევარი და მცოდნე.

ტებამდინ. ეს საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ დაბალებულთა რიცხვს ჩასწერენ. ამ ნაირად აღმოაჩინეს, რომ 20 ქალზე 21 ვაჟი მოდის და საზოგადოდ ყველა ქეეყნებში ვაჟები უფრო მეტი იბადებიან.

ახლა ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, რა საშუალებით უფრო შეიძლება სულის განვითარების კანონების აღვილად ახსნა. საზოგადოების განვითარება ორ-ნიაირია: ზნებრივი და გონიერივი. პროგრესი შესაძლოა მსოლოდ მაშინ, როდესაც ზნება და გონება თავიანთ განვითარებაში მწერბრად მომრაობენ და რამდენადც ეს კავშირი უფრო ახლოა, იმდენად მათაც მეტი და უკეთესი გავლენა აქვთ საზოგადოების წინ მსვლელობაზე. აქედამ წარმოსალება მეტად საფუძვლიანი კითხვა: რომელს მათგანს უპირატესი ადგილი უჭირავს ხალხთა სულიერ განვითარებაში? თანამედროვე მეცნიერების მდგომარეობის-გამო, ძნელია უთუოდ დამტკიცდეს, ვითარდება თუ არა თან-და-თან ზნეობრივი და გონიერივი ნიჭი, ან ბავშვი, რომელიც დაბალებულია განათლებულ საზოგადოებაში, ბუნებით ნიჭიერია თუ არა ველურ ქვეყანაში დაბალებულ ბავშვზე?.. ის-კი ნამდვილად ვიცით, რომ გაცის ნიჭის განვითარება დამოკიდებულია მთელი საზოგადოების ზნებრივი და გონიერივი განვითარებაზე. აქედამ მთელი კაცობრიობის შესახებ ის დასკვნა გამოდის, რომ კაცთა ზნეობრივი და გონიერივი განვითარება დამოკიდებულია იმ ზნეობრივ და გონიერივ ცოდნაზე, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში სუფეს. ყოველთვის ადგილად შესამჩნევია ის საშუალო ზნეობრივი და გონიერივი განვითარება საზოგადოებისა, რომელიც უმეტესობას აქვს. ისტორიიდამ ვხედავთ, რომ ეს განვითარება ყოველთვის ცვალებადი იყო და არამც თუ ორს მსგავს ქვეყანაში, არამედ ორს შემდგომითს შთამომავლობაშიაც-კი არასოდეს ერთნაირი არ ყოფილა. ცხადია, რომ ის პირობები, რომელიც

მოქმედობენ საზოგადოების განათლების მდგომარეობაზე, ფრიად ცვალებადნი არიან.

ქვეყანაზე ვერ ნახავთ იმისთანა საგანს, რომელიც უამთა ვითარების-გამო ისე ცოტად შეცვლილიყოს, როგორც ზნეობრივი დასაბამნი. „ნურავის ნუ უზამ ბოროტს, შესწირე შენი სირვილი მოძმის სარგებლობას, შეიყვარე მოყვასი, როგორც თავი შენი, მიუტევე მტერთა, პატივი ეც მშობლებს, უფრო-სებს“... ამაში და სხვა ამგვარებში მდგომარეობს ზნეობის უდიდეს-ნი მოძლვრებანი, მაგრამ ეს მოძლვრებანი რამოდენიმე ათასი წლის წინეთაც ცნობილ არიან, და ღვთის-მეტყველებს და ზნეო-ბის მასწავლებლებს ერთი ბეჭოც არ მოუმატებიათ ამაებზე. ზნეობრივი წერანი ყოველთვის უძრავნა იყვნენ, გონიერივი განა-თლება-კი მარად წინმავალი (პროგრესიული) იყო; იგი იცვლებოდა, იძალებოდნენ ახალი სწავლანი, რომლებზედაც ძველ მეცნიერებს წარ-მოდგენაც არ ჰქონდათ. ამ გვარად, საზოგადოების ზნეობრივი განვითარება რჩება უცვლელად და მას ცივილიზაციის წარმა-ტებაში იმდენი ადგილი არ უჭირავს, როგორც გონებრივ ელე-მენტებს. გონებრივი განვითარება არამც თუ უფრო წინმავალია (პროგრესიულია), ვიდრე ზნეობრივი, არამედ მას უფრო მტკი-ცე ნაყოფი მოაქვს. ყველა ის, რასაც გონება იძენს, გულმოდ-გინეთ ინახება, იწერება ადვილ-გასაგები ენით და ამგვარად ხდება კაცობრიობის საკუთრებად; ზნეობრივი მოქმედებანი-კი მეტად შემთხვევითია და ისე ადვილი გადმოსაცემი არ არის. ქველმოქმედების შედეგს, მაგალითად, ადგილობრივი ხასიათი აქვს, მისი მცოდნე პირი ცოტაა და ამის გამო მალე-წარმავალია. საქველ-მოქმედო დაწესებულებანი უამთა ვითარების-გამო თა-ვიანთ მიზანს ხშირად აუხვევენ ხოლმე და მათ ადვილად ბოლო ელებათ. ამის გარდა ჩვენ ვხედავთ, რომ, როდესაც ზნეობრივი მოქმედებანი გონებრივ მოქმედებაზე მეფობენ, მაშინ პირველთ უფრო მეტი ზარალი მოაქვთ, ვიდრე სარგებლობა. უმეტარ ადა-

შიანს, რამდენათაც უფრო გულმოდგინეთ და გულწრფელად სწამს ზექობრივი სწავლანი, იმდენად იგი უფრო საშიში და მაკნებელია საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმას ხალხზე უფლება აქვს. ეს მტკიცდება ისტორიული და სარწმუნოებრივი დევნულებით. ყველა გამოჩენილ მდეგნელს წმინდა ზნეობა და კეთილი განზრახვა ჰქონია. თავისუფალი მოაზრე-კი მიბრჯნელობით გამსჭვალული არ არის. მაგალითად, როდესაც კერპთ-თაყვანის-მცემელი რომაელნი ქრისტიანობას სდევნიდნენ, მაშინ ისეთი გარყვნილი იმპერატორები, როგორიც იყვნენ ქომმა-და და გელეოგაბალი, ახალ სარწმუნოებას (ქრისტიანობას) არავითარ ყურადღებას არ აქცევდენენ. იმისთანა სინიდისიანი, კეთილი და უშიშარი იმპერატორები-კი, როგორიც მარჯოზ აკრელი და იულიანი იყვნენ, ქრისტიანობას სასტიკად სდევნიდნენ. ამ გვარსავე შაგალითს ვხედავთ ესპანიაში, სადაც ხალხის სარწმუნოებრივმა გრძნობამ დაპირი სასტიკი მიბრჯნელობა (ფანატიზმი) და მწვალებლების (ერეტიკოსების) სისტემატიური დევნილობა, რომელიც ყოველ მართლ-მორწმუნებასთვის მოვალეობად ირიცხებოდა. ამ სასტიკ ულმობელობას სამღვდელოება ყოველგვარ ღონის-ძიებით ხელსუწყობდა. მალე მას დაეხმარა ძლიერი ინკვიტიციაც¹⁾. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ სამღვდელოება გულწრფელად მოქმედებდა. ამ გვარად, ზნეობა, შეერთებული უმეცრებასთან და უფლებასთან, ყოველთვის ბოროტებას ჰბადავს. ჩვენ ისტორიიდგან ვრწმუნდებით, რომ გონებრივი განვითარება, სარწმუნოებრივ დევნულებას თან-და-თან აქარწყლებდა. საზოგადოდ, დევნულებიდგან მოტანილი ზარალი იმდენად თვითეული მსხვერპლით არ განი-

¹⁾ ინკვიზიცია — რომის პაპებისაგან დაარსებული საიდუმლო სისხლის სამსჯავრო, რომელიც მწვალებლებს და საზოგადოდ კათოლიკეთა სარწმუნეობის მოწინააღმდეგებს და თავისუფალ მოაზრეთ საშინლად სდევნიდა და აუწერელის სატანჯველებითა სიცოცხლეს ასალმებდა.

ზომება, როგორც იმით, რომ იგი კერძო პირის ხასიათს და საზოგადოების აზრს რყვნილა.

ზნეობრივი და გონებრივი გავლენის განსხვავება ცხადად აღმოჩნდება მაშინ, როდესაც შევისწავლით იმ მიზეზებს, თუ რისგან დაეცა მეომრობა ანუ ომის მოყვარეობა და სამხედრო წოდების ხასიათი შეიცვალა. ზნეობის მასწავლებელნი ქადაგებდნენ, რომ თავ-დამცველი ომი სამართლიანია, ხოლო მიხტომითი ანუ თავ-დასხმითი ომი — უსამართლოო. ეს მოძღვრება ბევრისაგან ნათლად იყო გამოთქმული და ყველასაგან კარგად მიჩნეული და გაგებული, მაგრამ საშუალო საუკუნოებში ერთი კვირაც არ გაივლიდა უომოდ; ეხლა-კი ომი იშვიათი მოვლენაა. ცხადია, რომ ომების პროგრესიული შემცირება ზნეობის გავლენაზე არ არის დამოკიდებული. გონებრივი წარმატება-კი ომების რიცხვს თან-და-თან აკოტავებდა. ქველი დროის საზოგადოებაში სამხედრო მოლვაწეობას უპირატესი ადგილი ეჭირა; ხალხთა განვითარებისათანავე გონებრივი შრომა თან და თან მეტ ასპარეზს პოულობს და ეს გარემოება სამხედრო მოლვაწეობას ამცირებს, ასე რომ განათლებულნი ერნი იშვიათად იღებენ მონაწილეობას ომში. ჩვენ აქ მაგალითად მოვიყვანთ ყირიმის ომს. იმ დროს, როდესაც განათლებულ სახელმწიფოებში მშვიდობიანობა სუფევდა, ეს ომი ასტყდა უფრო მცირედ განათლებულ სამეცოთა შორის; სხვა ორი სახელმწიფო-კი, რომელნიც წინად ერთმანეთს მტრობდნენ, ინგლისი და საფრანგეთი, შეერთდნენ საყოველთაო საქმისათვის და მთელი კაცობრიობის დასაცველად იშიშვლეს მახვილი. რუსეთს, რასაკვირველია, უზნეობას და სარწმუნოების მტკიცედ დაუცველობას ვერ დავსწამებთ. რუსეთი მეომარი ქვეყანა იმიტომ-კი არ არის, რომ ზნეობა აკლდეს, არამედ იმიტომ, რომ განვითარება აკლია. აქ ნაკლულევანება გულში-კი არ არის, თავშია.

ინგლისის ხალხის გაცნობა გვიჩვენებს, რომ გონებრივმა განვითარებამ ომიანობის სურვილი მოსპო ამ ერში. ახლა ყოველი ინგლისელი თავის მოვალეობად სთვლის თავისი შვილი მოამზადოს ან გონებრივ, ან სამრეწველო, ან და სახელოსნო საქმისათვის და მხოლოდ ყველაზე უფრო უნიჭონი მიღიან სამხედრო თუ სასულიერო წოდებაში. გონებრივი განვითარება ამცირებს არამც თუ სამხედრო მიღრეკილებას, არამედ თვით სამხედრო წოდების მნიშვნელობას და ნიჭაც, ამის დამტკიცება ისტორიით შეიძლება. ძველად სამხედრო წოდება საზოგადოების ყველაზე უფრო განათლებულ წოდებას შეადგენდა; მათ შორის ღრმა მეცნიერებიც ერივნენ. საბერძნეთის შესანიშნავი მოღვაწენი—სოფონი, თემისტონელი, ეპამინონდი; ფილოსოფოსნი—სოკრატი, პლატონი, ანტისთენი, არსიტი, მელიტი; გამოჩენილი მოღვაწეები და მჭევრნი: პერიგლი, ალკივიადი, ანდოკიდი, დემოსთენი, ესხინი; უდიდესნი პოეტი—ესხილი, სოფოკლი, არხისილისი, ტირტუი, ალკეი; ისტორიკოსები—ფუკიდიდი, კსენოფონტი, პოლიბი... ყველა ესენი თანვე გამოჩენილი მხედარნი იყვნენ. ახლანდელ დროში-კი სამხედრო წოდებაში, რომლითაც მეთექვსმეთე საუკუნის აქეთ მთელი ევროპა სავსეა, ათი შესანიშნავი მეცნიერიც არ ამოჩენილა. ერთად ერთი მაგალითი, როგორც მხედარი და თანვე ღრმა მეცნიერი, დეკარტი იყო. ცნობილნი მხედარ-მწერალნი რაფე და ნეპირი ღრმა მეცნიერებად არ ჩაითვლებიან. ძველად გამოჩენილი სარდალნი თანვე გამოჩენილი პოლიტიკოსებიც იყვნენ; ახლანდელ მხედრობაში-კი ამასაც ვერ ვხედავთ. გუსტავ ადოლფი და ფრიდრიხ დიდი სამხედრო საქმეში ყველაფერს ხელოვნურად განაგებდნენ, პოლიტიკაში-კი დიდ უვიცობას იჩენდნენ; მხოლოდ კრომელზე, კაშინგტონზე და ნაპოლეონზე შეიძლება ითქვას, რომ მათ ორივე საქმე კარგად მიჰყავდათ. ინგლისში ჩვენ ვხედავთ ორ შესანიშნავ სარდალს: მარჯორდომს და კელინგტონს. მარლბორო შე-

საბრალისად უვიცი, უწყალო და მოქრთამე იყო. ველინგტონი ყოველ საჭირო და გონიერ ახალ კანონს წინააღმდეგობას (ოპოზიციას) უწევდა; ერთი სიტყვით, გონებრივი შრომის განვითარებამ დაპბადა ფართო ასპარეზი, რომელზედაც საზოგადოების საუკეთესო ძალა მოღვაწეობას; სამხედრო წოდებას-კი ყოვლად უნიჭო ხალხი რჩება.

ახლა ჩვენ უნდა გამოვიყვლიოთ ის სამი საშუალებანი, რომლებითაც ძველი ერების სამხედრო მიდრეკილება და ნიჭი დაეცა. პირველი არის თრავის-წამლის გამოგონება. სანამ თოფის წამალს გამოიგონებდნენ, საომარი იარაღი ძრიელ მარტივი იყო და ყველა ჯან-საღ კაცს შეეძლო მხედრობა. მართლაც, მეხუთ-მეტე საუკუნემდინ თითქმის მთელი ევროპის მცხოვრებლები ერთ დიდ ლაშქარს შეადგენდნენ, რომელთა შორის სამლენელოებაც ცხოვრება; ამ ნაირად საზოგადოება გაყოფილი იყო ორ წოდებად: სამხედროდ და სასულიეროდ. ამის ერთად-ერთი შედეგი ის იყო, რომ ყველა ის, რაც ნამდვილად ღირს რამედ, უარყოფილი იყო. ბევრი მლენელი იყო და ბევრი მხედარი, ბევრი ქადაგება და ბევრი ომი, მაგრამ მეორე მხრით, არ იყო არც ხელობა, არც ვაჭრობა, არც მრეწველობა, არც ხელოვნება, არც მეცნიერება, არც მწერლობა. თოფის წამლის გამოგონებამ მოითხოვა ძვირფასი იარაღის შემოღება, რის-გამო სამხედრო მოწყობილობა და ჯარის შენახვა ძვირად ჯდებოდა და ამიტომ დაარსდა განსაკუთრებითი მუომართა წოდება. ეს იყო მიზეზი, რომ ღიღი უმეტესობა ხალხისა განთავისუფლდა, სამხედრო საქმეს გადაეჩვიდა და ხალხმა უფრო სასარგებლო მოღვაწეობას, უფრო სასარგებლო ხელობას მიჰყო ხელი, ამ გვარად, დაარსდა მესამე ანუ განათლებული წოდება, რომლის მნიშვნელობა თან და თან მატულობდა და დიდ პოლიტიკურ ცვლილებაში თავს იჩენდა. მესამე წოდებას მე-XIV და მე-XV საუკუნოებში ჯერ არ ჰქონდა გამორკვეული თავისი მიმართუ-

ლება; მე-XVI საუკუნეში მან რეფორმაციაში იჩინა თავი; მე-XVII საუკუნეში იმისმა ენერგიამ მიიღო პრაკტიკული მი- მართულება და თითქმის მთელ ევროპაში მმართველთა ბოროტ მოქმედებებს წინააღმდეგა; მე-XVIII და მე-XIX საუკუნოებში მან იქნია გავლენა ყოველგვარ საზოგადო და კერძო ცხო- ვრებაზე: გააკრცელა სწავლა-განათლება და, რასაც უფრო უგელაზე მუტი მნიშვნელობა აქვს, დააფუძნო საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც არამეტ თუ კანსტრიტუციონური მეფები, არამედ თვით დესპოტიური მფლობელებიც-კი ემორჩილებიან.

მეორე საშუალება არის პალიტიკური უკონომია. ეს დიდი ნაწილი უკადნისა, რომელსაც დიდი კავშირი აქვს მმართველობის ხელოვნებასთან, დიდხანს არაფრად იყო მიჩნეული. თანვე დიდხანს სუფევდა ის აზრი, რომ სიმდიდრე ფულებში არსებობს; რომ ყველა სახელმწიფომ უნდა მიიზიდოს რაც შეიძლება მეტი ოქრო, რაც შეიძლება მეტი საქონელი, რომ თვითეული სახელმწიფო უნდა ცდილობდეს თავისი მეზობლის კეთილ-დღეობის დაქვეითებას. ეს ველური შეხედულობა ჰბადავდა შემაძრწუნებელ და აუარებელი სისხლის დამლვრელ ომებს, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა მთელი ჭვეყნის კეთილ-დღეობის შეფერხებაზე. მხოლოდ მე-XVIII საუ- კუნეში სცადეს პოლიტიკური ეკონომიკიდგან მეცნიერული საგ- ნის შექმნა. ეს ლვაწლი კაცობრიობას შესძინა ადამ სმიტს, რომელმაც 1776 წელს გამოსცა თავისი შესანიშნავი თხზულება „ხალხთა სიმდიდრეზე“. სმიტს სამუდამოდ დაარღვია ძველი აზრი შესახებ მფარველობითი სისტემისა ვაჭრობაში და მრავა- ლი მასთან დაკავშირებული უთავბოლობა. საზოგადოებაც თა- ვისი გონიერივი განვითარებით მზად იყო შეეთვისა სმიტის სწავლა, რომელმაც სძლია ყოველი წინააღმდეგობა და მტკიცე ნიადაგზე დამყარდა; ამ სწავლის გავლენა საზოგადოების სა- მხედრო მიღრეკილების შესუსტებაზე ცხადად სჩანს. თავისუფალ ვაჭრობას მოჰყვა ის შედეგი, რომ სახელმწიფოთა შორის და-

ფუძნდა ის ოწმენა, რომ თვითებული ქცეუნის კეთილ-დღეობა დამოკიდებულია ხალხთა შორის აღებ-მიცემობაზე.

მესამე საშუალება, რომლითაც შესუსტდა ხალხთა სამხედრო მიღრეკილება, არას თრთქლის ძალის შემოღება ზღვაში და სმელეთზე სასაარელოდ, ე. ი. ორთქლ-ნავის და მატარებლის (რკინის გზებზე) გამოგონება. ჩქარმა და იაფმა მისვლა-მოსვლამ დაუახლოვა და გააცნო ერთმანეთს სხვა და სხვა ერნი, რისგამო მოისპო ხალხთა შორის მტრობა. ამ ჭეშმარიტებას ამტკიცებს ის დამოკიდებულება, რომელიც, როგორც ჩვენ ვხედავთ, არსებობს ფრანგებს და ინგლისელებს შორის, რომელნიც მრავალი საუკუნოების განმავლობაში ერთმანეთს ემტერებოდნენ და ერთმანერთი სძულდათ, ახლა-კი ესენი ერთმანეთს ღრმა პატივს სცემენ და მეგობრული გრძნობით აღსავსენი არიან.

ყველა აქ მოყვანილი მსჯელობიდგან, ის საერთო დასკვნა გამოდის, რომ ცვლილება, რომელიც ხდება განვითარებულს ხალხში, საერთოდ დამოკიდებულია მხოლოდ სამს პირობაზე: ერთი, იმ ცოდნის რაოდენობაზე, რომელიც აქვთ უკელაზე უფრო განვითარებულ პირებს; მეორე, იმ მიმართულებაზე, რომელსაც ეს ცოდნა იღებს, და მესამე, ამ ცოდნის გავრცელებაზე, ე. ი. იმ სიადგილეზე და თავისუფლებაზე, რომლითაც ცოდნა საზოგადოების ურკელ წოდებაზე გრცელდება. ერთი სიტუაცია, გონიერივი განვითარება შეიძმს მას, რაც ზნეობრივ სწავლას არ ძალაუძმს. აკეთ და გარგება აქვს დროებითი მოქმედება, რომელიც მაღალ ჭრება და თავის შემდეგ გვადის არ სტაციებს; ხოლო, რაც გონიერ მოგვიპოვა, იგი სამარადისოდ დარჩება.

თ ა ვ ი V.

სარწმუნოების, მწერლობის და მართებლობის გავლენაზე.

ისტორიულ მეცნიერებაში ჩვენ იმ მეთოდით ვხელმძღვა-

ნელობდით, რომელიც შემოღებულია ცოდნის სხვა ნაწილებში და ამ ნაირად მივაღწიეთ შემდეგ დასკვნამდინ: კაცის მოქმედებანი დამოკიდებულია სულიერ და ბუნებრივ გავლენაზე; ეპროცესი სულიერ გავლენას უფრო მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე ბუნების გავლენას; დანარჩენ შეუნებში-კი ბუნებას მეტი გავლენა აქვს. სულიერი გავლენა ორ-ხაირია: გონებრივი და ზნეობრივი, რომლებიდგან ჰირველს უპირატესობა აქვს; მაშასადამე, ციკილიზაციის წარმატება დამოკიდებულია უფრო გონებრივ განვითარებაზე.

კაცის კერძო მოქმედება საჩინოდ ემორჩილება მის ნებას და გულის თქმას, მაგრამ ამათ მხოლოდ მაშინ აქვთ მნიშვნელობა, როდესაც მათ მოქმედებას შევისწავლით მოკლე დროის: წლის, თვის, ანუ დღის განმავლობაში. კაცის ხანგრძლივი მოქმედებების საერთო რიცხვი-კი კერძო ნება-ყოფლობისაგან სრულიად თავისუფალია და დამოკიდებულია მხოლოდ მთელი საზოდადოების გონებრივ მდგომარეობაზე. როგორც წინეთ შევნიშნეთ, სტატისტიკამ დამტკიცა, რომ დანაშაულობის რიცხვი განსაცვიფრებელი სისწორით მეორედება, თუმცა თვითეული დანაშაულობა დამოკიდებულია კერძო ნებაზე და გულის თქმაზე. სამწუხაროდ ისტორიკოსებს ამ ბოლო დრომდინ ვერ შეუგნიათ ეს დიდი კანონი და იმის ნაცვლად, რომ ამ საშუალებისათვის მიემართად, ისინი თავიანთ თხუზულებებს ავსებდნენ მარტივი ფაკტებით და ძირითად მიზეზებს-კი არ იკვლევდნენ. მაგალითადნ, ომებზე დაწვრილებით სწერდნენ და იმას-კი არ ფიქრობდნენ, რომ ხშირად ოშე ერთ-მხრივი და დროებითი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ აქ მხოლოდ ინგლისის ცივილიზაციას გამოვიკვლევთ, რადგანაც ისტორიკოსებმა არ დაგვიტოვეს მასალა, რითაც შესაძლო ყოფილიყო მსოფლიო ცივილიზაციის შესწავლა-შემუშავება. ეს ერთი. მეორე, რომ ჩვენი შეძლების დაგვარ დავასურათოთ კაცობრიობის განვითარების მსვლელობა, საჭიროა ავირჩიოთ იმ გვარი ქვეყანა, რომელშიაც პროგრესი

ძალდაუტანებლად ხდებოდა, ე. ი. იყო არ იყო შედეგი ამბო-
ხებისა, მართებლობის მფარველობისა და უცხო ქვეყნის გავ-
ლენისა. რომ ნამდვილად ამ გვარი სახელმწიფო არსებობდეს,
ეს შეუძლებელია, მაგრამ ინგლისი ამ გვარ სახელმწიფოსთან
ახლოა. ამ უკანასკნელ სამას წელს ინგლისი ყოველ მხრივ
მშეიღობიანად ვითარდებოდა. მთელ ევროპაში სხვა ამ გვარი
მაგალითი არ მოიპოვება. ინგლისის ერის თავისუფლება დამყა-
რებული იყო ძრიელ მტკიცე საფუძველზედ; აქ ყველას სრული
ნება აქვს სთქვას, რასაც ფიქრობს და იმოქმედოს, როგორც ჰსურს;
აქ ყველა თავის შეხედულებას მისდევს და თავის აზრს თავის-
უფლად ავრცელებს. ინგლისმა თითქმის არ იცის, რა არის სარ-
წმუნოებრივი დევნულება. ინგლისში ჩათლად სჩანს კაცის
გონებრივი განვითარება, რომელიც, როგორც სხვა ქვეყნებში,
სხვა და სხვა ზღუდეებით არ ბრკოლდებოდა. ინგლისში გო-
ნებრივი, ჰოლიტიური, მრეწველობითი და კერძო ცხოვრების
განვითარებას არ გამოუცდია უცხო ქვეყნების გავლენა. ამაში
ჩვენ დავრწმუნდებით, თუ ინგლისს შევადარებთ სამს პირველ
ხარისხოვან განათლებულ სახელმწიფოებს: საფრანგეთს, გერმანიას
და ამერიკის შეერთებულ შტატებს. უცხოელებს ძრიელ დიდ
ხანს არ ჰქონდათ ინგლისში მისვლა-მოსვლა და ამიტომაც მათ
არ ჰქონდათ ინგლისზე გავლენა. როდესაც გამეფდა კარლოს
მეორე, ამბობენ, ვითომეც უცხოელებმა ინგლისზე გავლენა
იქონიესო, მაგრამ მათ გავლენა ჰქონდათ მხოლოდ კარის კა-
ცებზე და ზოგიერთ უმნიშვნელო და უსირცხვილო მწერლებზე,
რომელთაც ფრანგული ხასიათი ჰქონდათ მიღებული. საზოგა-
დოდ ინგლისელებს ფრანგებიდგან შესანიშნავი არაფერი არ
შემოულიათ. ფრანგები-კი მუდამ იმ უცხო ხალხის გავლენის
ქვეშ იყვნენ, რომელებსაც მათთან მსვლელობა ჰქონდათ. ფრან-
გებმა ინგლისელებისაგან შემოიღეს სახელმწიფო დაწესებულე-
ბანი და იმათი გენიოსობის გონებრივი ნაყოფით სარგებლობენ.

ცნობილია, რომ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია ინ-
გლისელ მეცნიერთა ფილოსოფიური შედეგია ¹⁾.

გერმანიაში XVIII საუკუნის დამლევიდან იბადება ძლიე-
რი რაზმი ღრმა მეცნიერთა; მაგრამ ეს ქვეყანა საფრანგეთის
გავლენის წყალობთ არის გონებით განვითარებული. ეს გავლენა
ფრიდრიხ დიდის (რომელიც საფრანგეთის მეცნიერებს ძრიელ
დიდს პატივს სცემდა) მეოხებით მოხდა. თუმცა გერმანიის გო-
ნებრივმა განვითარებამ უდიდეს წერტილამდინ მიაღწია და გერ-
მანიას ფრიად ღრმა მეცნიერნიც ჰყვანდა, მაგრამ თვითონ გერ-
მანიის ხალხი-კი უმეტრებაში სცხოვრებდა, სწავლა-განათლება
სულ არ იყო მათში გავრცელებული.

ამერიკაში ჩვენ სულ სხვას ვხედავთ. ამერიკისთანა ცოტა
მეცნიერები არც ერთ ქვეყანაში არ არის, მაგრამ იქ სრულიად
უმეტრებასაც ვერ იპოვით. თუ გერმანიაში მაღალი მეცნიერება.
ძლიერ წინ წავიდა, სამაგიეროდ ხალხში ცოტად იყო გავრცე-
ლებული, ამერიკაში-კი ღრმად სწავლულნი ცოტანი არიან,
მაგრამ სრულიად უვიცხაც იშვიათად შეხვდებით. თქმა არ უნდა
რომ, როგორც გერმანიის, ისე ამერიკის ცივილიზაციასაც, თა-
ვისი ნაკლულევანებანი აქვს, მაგრამ უველა ამას მომავალი გა-
ნვითარება შეავსებს.

ინგლისის ისტორიის შესწავლისათანავე ჩვენ უნდა ვიხელ-
მძღვანელოთ იმ უცხო ქვეყნების ისტორიებითაც, რომელშიაც
ცივილიზაციის რომელიმე პირობა უმეტესად განვითარებული
იყო. ამიტომ ამ თხზულებაში ჩვენ შევისწავლით, მაგალითად,
ცოდნის მოხვეჭის კანონებს—გერმანიიდგან; მთავრობის მფარვე-
ლობას—საფრანგეთის ისტორიიდგან; ეკკლესიის განვითარების

¹⁾ საფრანგეთზე იეგლისის გავლენის დამტკიცება. იხილე ამ წიგნის
მე-XII თავში.

და ხალხის კეთილღეობაზე გავლენის კანონებს — ესპანიის ოსტორიიდგან.

შეუდგებით რა სარწმუნოების, მწერლობის და მთავრობათა გავლენის გამოკვლევას, ჩვენ თავდაპირველად უნდა ვსთქვათ, რომ ესენი არიან შედეგი და არა მიზეზი ჩივილიზაციისა. ისტორია ბევრს მაგალითს გვიჩვენებს, საიდგანაც სჩანს, რომ ხალხი თავის სარწმუნეობას ან შესცვლის და ან გამოიცვლის, მაგრამ ისტორიაში არ ყოფილა იმისთანა მაგალითი, რომ რომელიმე ერი ძველ სარწმუნოებას დაპირუნებოდა. ამგვარათვე ხალხს არ შეუძლიან შეიგნოს განათლებული სარწმუნოების იდეები. ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს: მისიონერთა მოღვაწეობას ველურ ხალხში ძრიელ მცირე და სუსტი ნაყოფი მოაქვს; კერპთ-თაყვანის მცემლების სრულ მოქცევას ყოველთვის ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ისინი ახალი სჯულისას მხოლოდ წესებს ითვისებდნენ და იმავე დროს თავიანთ მამა-პაპათა შეხედულობას მტკიცედ ინახავდნენ და თავიანთ ძველ სარწმუნოებისკენაც მიიწევდნენ. მართალია, მოხდება ხოლმე, რომ რომელიმე კერძო პირი თავისი გონებით და განვითარებით მთელ საზოგადოებას აჭარბებს და ახალს სარწმუნოებრივ შეხედულობას შეჰქმნის; ამით იგი სცდილობს კაცობრიობის განვითარება წინ წასწიოს; მაგრამ ახალი მოძღვრება მანამდინ ვერ იპოვის თანამგრძნობლებს, მანამ საზოგადოება არ განვითარდება და არ შეაგნებს ახალ სარწმუნოებას. მაგალითად, უფიცი ებრაელნი რწმენას ერთ ლოთაებაზე ძალიან ძნელად ითვისებდნენ და ყოველთვის კერპ-თაყვანის-მცემლობისკენ მიიღრიკებოდნენ. ამგვარადვე, როდესაც ევროპაში ქრისტიანობა გავრცელდა, მაშინ მას დაერთო სხვა და სხვა ცრუ-მორწმუნეობანი და კერპ-თაყვანის-მცემლობის წესები, რის გამო ქრისტეს რჯული თითქმის ძირიანად შეიცვალა და დამახინჯდა.

თითქმის ესეგე ითქმის მწერლობაზედაც. შესაძლოა კერძო

პირი თანამედროვე საზოგადოების საშუალო განათლებაზედ მაღლა იდგეს, შაგრამ საზოგადოება ამით არაფერს არ იძენს; რადგანაც ეს პირნი უმეტესობისაგან განცალკევებულნი არიან და მათზე არავითარი გავლენა არა აქვთ. ამით აიხსნება საბერძნეთის და რომის ცივილიზაციის დაცემა, რომელიც მცირე ხანს არსებობდა; ამითვე აიხსნება, რომ გერმანიის მწერლობის საუკეთესო ნაწილმა ეროვნულ ცივილიზაციაზე გავლენა არ იქნია. როდი კმარა მწერლობის შექმნა: საჭიროა მისი ხალხში გავრცელებაც.

სანამდის დავიწყებდეთ მსჯელობას იმაზე, თუ რა გავლენა აქვს მართებლობას საზოგადოების განვითარებაზე, საჭიროდ მიგვაჩინა დავანახვოთ მკვითხვლს ის გავლენა, რომელსაც თვითონ მართებლობა ემორჩილება. ამა და ამ ქვეყნის მმართველნი არიან ის პირნი, რომელთაც ქვეყნის მწერლობა, გაღმოცემანი და ცრუუმორწმუნეობანი შეუთვისებიათ. აქედამ ის დასკვნა გამოდის, რომ მმართველთა მოქმედებანი ექვემდებარება იმ გონიერივ მიღრეკილებას, რომელიც საზოგადოებაში სუფეს, და მართლაც, თვითეული ცვლილება სახელმწიფოს წეს-წყობილებაში, თვითეული დიდი რეფორმა მართებლობისგან შეტანილი ცხოვრებაში იმ საფუძვლით არის შეტანილი, რომელიც იმ ქვეყნის ნიჭიერ მეცნიერებისაგან უკვე აღნიშნული ყოფილა. ამ გვარი რეფორმების მაგალითის მოყვანა ბევრი შეიძლება. ინგლისის ისტორიიდგან მოვიყვანთ ერთ უდიდეს შემთხვევას: „პურის კანონების“ გაუქმებას. ვაჭრობაში მფარველობის სისტემის უსაფუძლობა მე-XVIII საუკუნის საშუალო წლებში პოლიტიკურ-ეკონომისტებმა ცხადად დაამტკიცეს; ამის შემდეგ საზოგადოებამ ცხადად შეიგნო „პურის კანონების“ გაუქმების საჭიროება, და, თუმც ამ კანონის წინააღმდეგ ენერგიული ოპოზიცია იყო შემდგარი, მაინც გაუქმდა. ეს მეტად საყურადღებო მოვლენაა, მაგრამ რადგანაც ამ გვარი ფაკტები ხშირად

ხდება და ყველგან—მეცნიერების, საზოგადოების აზრის და მართველობის მოქმედების ნაყოფია, ამიტომ საჭიროა აღვიაროთ, რომ თვითოული დიდი რეფორმა, რაიმე ახალ კანონს-კი არ შეიქმნა, არამედ რაიმე ძველ კანონს აუქმებს. სხვანაირად რომ ვსთკვათ, მართებლობის მოქმედება, რომელიც იყო მეცნიერების მოთხოვნილებით და საზოგადოების აზრით გამოწვეული, აუქმებს იმ დაძველებულ კანონს, რომელიც თანამედროვე საზოგადოების კეთილ-დღეობას წინ ელობდა.

მეორე შესანიშნავი მაგალითი არის სარწმუნოებრივი დევნულობის მოსპობა. ესეც ძველი ცრუ-მორჩმუნეობის გაუქმებაა და არა ახალი ჭეშმარიტების შექმნა.

მეორე მხრით კაცობრიობის კეთილდღეობას დიდი ზარალი. მოუტანა იმ გარემოებამ, რომ მართებლობა ყოველთვის ცდილობდა ყოველგვარ საქმეში ჩარჩვას. მაგალითად, მრავალი საუკუნის განმავლობაში თავისუფალ აღებ-მიცემობას კანონ-მდებლობა ხელს უშლიდა, მან ყველაფერს მძიმე ბაჟი და გადასახადი დაადო. ამის-გამო გავრცელდა მაჯვათ გაჭრობა (კონდრაბანდობა), რომელიც საზოგადოების ზნეობას ძრიელ აქვეითებდა: ლოთობას, ქურდობას, გარყვნილობას და მრავალ სხვა დანაშაულობას ავრცელებდა ხალხში.

როდესაც მართებლობა სარწმუნოებას ჰქონდა მაშინ პირფერობა და ფიცის ტეხა შრავლდება. ის, ვინც ცდილობს მართებლობაში დიდი თანამდებობა დაიჭიროს, თავის ნამდვილ შეხედულობას მალავს და აუცილებლად ფარისევლობს. როდესაც ფიცის ყოველ უბრალო შემთხვევაში იღებენ, ეს, უმნიშვნელო საგნად ხდება და სხვ. კანონმდებლობა მევანშეობის წინააღმდეგ მხოლოდ სხვა ოსტატობას ბადავს და თვით აღებ-მიცემობისთვის-კი მეტად საზარალოა.

მართებლობის მფარველობას ყველაზე უფრო დიდი ზარალი მწერლობისთვის მოაქვს. ზოგან სცემდნენ კანონებს, რო-

შელნიც თავისუფალ ბეჭედვას ხელს უშლიდნენ და მით საზოგადოებას იმ უფლებას ართმევდნენ, რომელიც ყველას უნდა ჰქონდეს, ე. ი. აზრის თავისუფლად გამოთქმას უკრძალავდნენ. ზოგან-კი დიდი ბაჟი იყო დადებული ქალალდზე, წიგნებზე, უურნალ-გაზეთებზე. ამ ნაირად საზოგადოება ცოდნას მოკლებული იყო. მართებლობის ამ გერმ განკარგულებაზე ჭეშმარიტად შეიძლება სთქვას კაცმა, ორმ ისინი ადებდნენ ხარჯს თვით ადამიანის გონიერების, — ადამიანის აზროვნებასაც ხარჯს ახდევინებდნენ. უეჭიროია ახლაც მოიპოვება იმ გვარი სახელმწიფოები, რომლებშიაც ამ გვარი ფაკტები დღევანდლამდინ ჰყვავის და შეადგენს იმ შესაზარ ძალას, რომელიც გონებრივ განვითარებას აძრულებს.

თ ა ვ ი VI.

ისტორიის დასაწყისი და ისტორიული მწერლობის მდგრამარეობა საშუალო საუკუნეებში.

ჩენ დავამტკიცეთ, რომ ევროპის ცივილიზაციის პროგრესი მხოლოდ ცოდნის განვითარებაზეა დამოკიდებული; ეს უკანასკნელი-კი ემორჩილება ჭეშმარიტების აღმოჩენის სიზრავლეს და მათ გავრცელებას ხალხში. ეს ძირითადი კანონი მტკიცდება მრავალი ისტორიული ფაკტით. მაგრამ, ეიდრე ჩენ შეუდგებოდეთ ისტორიის ცვლილებათა განხილვას, საჭიროა მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს იმაზე, თუ რა ნაირად წარმოსდგა ისტორიული მწერლობა და რა ნაირად იწერებოდა ისტორია სხვა და სხვა ქვეყნებში, სხვა და სხვა დროს.

თავდაპირეელად, როდესაც კაცობრიობაშ წერა არ იცოდა, ისტორიული ამბები ზეპირგადმოცემით ინახებოდა, რომელსაც ერთი თაობა გადასცემდა მეორეს ლექსაც. ამ ლექსებს მდე-

როდნენ ბარდები და მენესტრელები¹). რადგანაც ლექსთ-წყობილება და ძველი ენა უცვლელად იყო შენახული, ამიტომ ფაკტები და შემთხვევანი, რომლის შესახებ შეთხული იყო ეს ლექსები, თავის თავდაპირელ აზრს არ ჰქანავდნენ და არც მას ხინჯდებოდნენ. მას აქეთ-კი, რაც ზეპირ-გადმოცემამ ადგილი მწერლობას დაუთმო, ზეპირთქმულების შემნახველებმა, ბარდებმა და მენესტრელებმა, თავიანთი მნიშვნელობა დაკარგეს და ისტორია სხვა და სხვა გვარი სიცრუით და ფაკტების არევ-დარევით დამახინჯდა. მაგალითად, რომელიმე გამოჩენილი გმირის სახელს სულ სხვა და სხვა პირებს უწოდებდნენ. ჰერკულესის სახელი მიუთვისეს რამდენიმე ძველ გამოჩენილ ავაზაკს და ფალავანს. ისტორიიდამ ვიცით, რომ ინგლისის მეფეებს რიჩარდ I-ს, რომელიც ძლიერ მამაცი და მძეინვარე ხასიათის კაცი იყო, ლომი დარქევს. ზოგიერთმა ისტორიკოსებმა ეს თავისებურად გადასხვათვერეს და ამბობდნენ, „რიჩარდს ლომი იმიტომ უწოდესო, რომ იგი ლომს შეებრძოლა და სძლიაო“.

ბერ ქვეყნებში წერა და ქრისტიანობა ერთ და იმავე ღროს მიულიათ. ეს იყო ისტორიული გადმოცემების დამახინჯების მიზეზი: ახალ სარწმუნეობას კერპ-თაყვანის მცემლობის ცრუ-მორჩწმუნეობა ერთოდა და ამის-გამო სარწმუნოებრივ გარდმოცემებში არევ-დარევა ხდებოდა. მაგალითად, მე-XI საუკუნეში მღვდელმა სემუნდ-სიგბაუსენმა შეთხა „ძველი ედა“, რომელშიაც ძველ ზეპირ-თქმულებას ქრისტიანეთა გალობა დაურთო. ასი წლის შემდეგ გამოიკა მეორე კრებული—„ახალი ედა“, რომელშიაც ბერძნების, ებრაელების და ქრისტიანების თქმულებანი ერმანეთშია არევ-დარეული. საზოგადოდ შენიშნულია, რომ იქ, სადაც ხალხს სარწმუნოება არ შეუცვლია, ისტორია უფრო

¹) ბარდები და მენესტრელები იყვნენ კარი-კარ მოსიარულე მომლერ-ლები, როგორც ჩვენში მესტვირენი.

დაწყობილად და დაუმახინჯებლად შენახულა, ეიზრე იქ, სადაც
მას საჩრდინეობა გამოუცვლია. ინდოეთში, მაგალითად, ბრა-
მინების ოჯულს რამდენიმე ათას წელს უცვლელად აღიარებენ. და
ამიტომ ინდოეთის ისტორია თიმქმის შეუცვლელად შენახულა.
ამ გვარსავე მაგალითს წარმოგეიღენს ჩინეთი, სადაც 2000 წე-
ლია, რაც ბუდას ჭარბშენოებას აღიარებენ. წინააღმდეგ მაგა-
ლითს ექვებავთ სპარსეთში, საჭაც ძევლი რჯული შეიცვალა
მახმალის საჩრდინებად, რის-გამო ხალხის თქმულებანი დამა-
ხინჯდნენ. ამას ისიც უნდა დაუუმატოთ, რომ ისტორიულ ცნო-
ბების დამახინჯებას სასულიერო წოდება ჰლიერ ხელს უწყობ-
და; სასულიერო წოდება, როგორც ერთად-ერთი წერა-კითხევის
მცოდნე დასი, დიდხანს იყო მატიანის შემთხვეველი. სამღვდე-
ლოება ისტორიულ ჭეშმარიტებას არაეითარ ყურადღებას არ
აქცევდა; იგი მხოლოდ სცდილობდა საჩრდინებრივ ღოვგმატე-
ბის სიმტკიცე შეენახა და ცრუმორჩმუნეობას ხელს უწყობდა.
ამის-გამო ეს წოდება თავის მატიანებში შეუსაბამო რწმუნებებს
და ამბებს ისე გაღმოგვცემს, როგორც კაცის სიბრძნის მაგა-
ლითებს. ისტორიული მწერლობის დამახინჯებულად გავრცე-
ლების შედეგი ის იყო, რომ ისტორიას დაერთო მრავალი ყალ-
ბი ფაქტები. მაგალითად, სამღვდელოება ამ გვარ ამბებს თხუ-
ზავდა: ვითომც საფრანგეთის სატახტო ქალაქისათვის პრიამის
შეილის პარისის სახელი დაურქმევიათ, რაღანაც ტროადის
დაქცევის შემდეგ პარისი პარისში ჩამოვიდაო; — ვითომც, ნეაპო-
ლი კვერცხებზე იყოს აშენებული; — ვითომც, წმ. მიქელის
მონაზონთა ძმობა თვით მთავარ-ანგელოზმა დაარსაო; — ვითომც,
თათრები ტარტაროზიდგან, ე. ი. ჯოჯონხეთიდგან წარმოპსდგე-
ბიან, და მას შემდეგ, რაც ოსმალოებს წმ. ჯვარი ხელში ჩა-
უვარდათ, ქრისტიანების ბავშვებს ათი კბილით ნაკლები აქვთო. —
ვითომც, მახმალიანები იმიტომ არ სჭამენ ლორის ხორცს, რომ
ერთხელ მახმალი უზომოდ გაძლა ამით და უგრძნობლად ნეხვზე.

დაეცა, საღაც იგი ლორებმა დაახრჩესო. — ეითომც, იუდა ბაეშობის დროს კუნძულ სკარიოტზე დაუტოვებიათ და ამიტომ მის-თვის ისკარიოტელი დაურქმევიათ; იუდამ ბევრი სისაძაგლე ჩაიღინა, სხვათა შორის მამა მოკლა და დედა ცოლად შეიჩოთოვო. — ეითომც, რომის პაპას იმიტომ ეამბორებიან ფეხზე, რომ, როდესაც წინად ხელზე ეამბორებოდნენ, ერთხელ პაპა ლევანს, ერთმა გარყვნილმა ქალმა ამბორების დროს ხელი ჩამოართვაო, პაპამ ხელი მოიჭრა და მას აქეთ, ე. ი. 500-600 წლის განმა-კლობაში, ეს მოჭრილი ხელი სრულიად არ შეიცვალაო, და ბევრ სხვა ამ გვარ აამეებს სთხუზავდა სამღედელოება. ცველაზე ცხადი მაგალითი, რომ ცრუმორჩმუნეობას დიდი გაელენა ჰქონდა მა-ტიანების შინაარსზე, არის შემდევი: ჩემისის მთავარ-ეპისკოპოსის ცურპინის შესანიშნავი მატიანე, რომელიც 1122 წელს რომის პაპისაგან მოწინებული და კეთილ-მიჩნეული იყო და, რომელიც XIII საუკუნეშიაც დიდი კარლოსის ისტორიის პირველ წყა-როდ მიაჩნდათ, მრავალ ზღაპრულ ამბებს შეიცავს. ამ მატიანის სიტყვით ქალაქი პანქეფონა დაპყრობილი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელმა ჯარმა ლოცვა დაიწყოვო, რისგამო ქალაქის კედლები თავის-თავად დაიქცნენ. ამის შემდევ იმპერატორმა მახმადიანობა თითქმის სულ ერთიანად ამოწყვიტა და აუარებელი ტაძრები ააგოვო. მაგრამ ბოროტი სული დაულალავია: მტერს მიეშეველა მდევი ფერაკუტი, რომელიც ძრიელ ღონიერი და ახოვანი იყოვო: სიმაღლით ოცი წყრთა ჰქონდა და სხეულის სხვა ნაწილებიც ამ ზომისა შესაფერი ჰქონდაო. ბოლოს ამასაც სძლიერო. — მონუმეტის მთავარ-დიაკვანს, ჯოვერის, 1147 წელს შეუთხუზავს ინირების ისტორია, რომელშიაც, სხვათა შორის, აწერილია არტურისაგან ორი დევის მოკელა; ერთს მათგანს (დევს) ჩეცულებად ჰქონდა თავისი მტრების შეჭმაო, მეორე-კი მოკლული მტრის წევრებიდგან ტანისამოსს იქსოვდაო.

მხოლოდ მე-XIV და მე-XV საუკუნეებში გონიერმა შე-

ხედულებამ იჩინა თავი ისლორიულ მწერლობაში, თუმცა იმ დროის ისტორიკოსებსაც საკმაოდ აკლდათ გონიერი მსჯელობა. მაგალითად, მე-XV საუკუნის ისტორიკოსი კომინი ამბობს, რომ ომი დიდი საიდუმლოება არისო და მისი შედეგი განვებაზეა დამოკიდებული.

საშუალო საუკუნოების შემდეგაც ცრუმორჩმუნეობა ლრმად იყო დანერგილი ხალხში. მე-XVI საუკუნეში შესანიშნავმა ეარ-სკვლავთ-მრიცხველმა და მატემატიკის პროფესორმა სტოფლერმა იწინასწარმეტყველა, რომ 1524 წელს ახალი წარლენა მოხ-დებაო; ამან იმდენად ააღელეა საზოგადოება, რომ იმპერატორს, კარლოს V-ს, შესთხოვეს, რათა მას გაეგზავნა მოხელეები მა-ლალი ადგილების საძებნელად, რომ წარლენის დროს იქ და-ხიზნულიყვნენ. მღვდელი არითოდის რჩევით, რომელიც ღვთის-მეტყველების პროფესორი იყო, ააშენეს უზარ-მაზარი კიდობანი, რომ კაცობრიობის მცირე ნაწილი მაინც გადარჩესო. 17 წლის შემდეგ ხალხი ხელახლად აღელდა, რაღვანაც ხმა დავარდა, ეითომც სილეზიაში ოქროს კბილიანი ბაეში დაიბადაო. სა-უოელთაო შფოთი და შიში მხოლოდ მაშინ მოისპო, როდე-საც დოკტორმა გორსტმა ეს მოვლენა ასე ახსნა: ასეთი ბაეში იმიტომ დაიბადაო, რომ მზე სატურნს შეუერთდაო“.

თ ა ვ ი VII.

მოკლე ისტორიული აღწერა გონებრივი მომრაობისა ინგლის-ში XVI საუკუნიდგან XVIII საუკუნის ბოლომდინ.

გონებრიერი ლრმა წყვდიადი, რომელიც ამ სამასი წლის წინად ევროპის ციეილიზაციაში სუდევდა, აიხსნება უმეტესად იმით, რომ კაცს ძეელ თქმულებათა ჭეშმარიტება და შეუცდომლობა სწამდა და მათ შესახებ ვერ ბედავდა ეჭვის შეტანას, მით უფრო, რომ

სამღვდელოება ყოველგვარ სკეპტიკურ შეხედულობას¹⁾ სას-ტიკად სდევნიდა და მუსრავდა, რისთვისაც დიდ და მძლავრ ია-რალს ხმარობდა იგი, როგორიც, მაგალითად, იყო ესპანიის ინ-კვიზიცია; მაგრამ, რაღანაც სკეპტიკური შეხედულობა კაცის გონებას გზას უკელევს, რომ ლირსეულად დააფასოს და გამო-იყელიოს ის ცოდნანი, რომელიც წარსულმა საუკუნოებმა გვი-ანდერძეს, ამაზე-კი დამოკიდებულია მომავალი გონებრივი მო-ძრაობა, ამიტომ ცხადია, რომ სკეპტიკიზმს ყველა დამაბრკო-ლებელ შაზეზებზე უნდა გაემარჯვა და საფუძვლიანი ნიადაგი მოეპოვა. სკეპტიკური მოძრაობის შედეგი ძლიერ ნათლად აღ-მოჩნდა საფრანგეთის და ინგლისის ისტორიაში, სადაც იგი ყვე-ლა ქვეყნებზე უფრო ცხადად და თავისუფლად მოქმედებდა. მა-გალითისათვის ჩენ განვიხილავთ მის უდიდეს ნაყოფს — სარწმუ-ნოებრივი შეწყნარების (არ დაშლას) დაფუძნებას ინგლისში.

პირველად მეფე ელისაბედმა შესძლო სამღვდელოების და-უხმარებლად, სახელმწიფო საქმეების გამგეობა და ორ მოწინა-აღმდეგე სარწმუნოებათა შორის დიდის ხელოვნებით იცავდა მშეიდობიანობას. ამ გეარმა პოლიტიკამ ცოტად თუ ბევრად შემოიტანა ინგლისში ურთიერთისგან სარწმუნოებრივი შეწყნა-რება, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგში, როდესაც პროტესტანტე-ბი²⁾ კათოლიკებს ბარბაროსულად სდევნიდნენ, ელისაბედი პრო-ტესტანტებს ხელს არ უშლიდა. ჩენთვის აქ ის არის საგულის-ხმო, რომ მდევნელი თავიანთ საქციელს პოლიტიკური და არა

1) სკეპტიკური შეხედულობა ანუ სკეპტიკიზმი არის ფილოსოფიური საშუალება ჭეშმარიტებისადპი მისაღწევად, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ კაცი ყველაფერს უნდო და ურწმუნო თვალით უყურებს.

2) პროტესტანტები — საზოგადო სახელია კათოლიკეთა სარწმუნოე-ბის მოწინააღმდეგებისა, რომელიც უარს პყოფენ რომის პაპის უცოდვე-ლობას, მის და ეპისკოპოსთა უზენაეს ხელის-უფლებას, ბერების ცოლ-ქმრობას, ცოდვათა პატივების უფლებას და ზოგიერთ წმ. საიდუმლოთა.

სარწმუნოებრივი მოსაზრებით ხსნილნენ. ყველაზე ცხადი საბუთი, რომ იმ დროის ხალხის შეხედულება შეიცვალა, არის ის წიგნები, რომელნიც ელისაბედის დროს გამოსცეს გუკერმა და ჯუელმა: ჯუელი თავის თხზულებაში „ანგლისის ეკვდესის დაცვა“ ქადაგებს, რომ საღმრთო წერილი და ეკვლესის აკტორი-ტეტი¹⁾ ლრმად და ყოველი ეჭვის გარეშე უნდა გვრწამდესთ, ოცდა ათი წლის შემდეგ გუკერმა გამოსცა წიგნი „ეკვდესის წყობილება, რომელშიაც ამტკიცებს, რომ სარწმუნოებაშიაც გონებრივი მოსაზრებით უნდა ეხელმძღვანელობდეთო. თუმცა ამ ორი მწერლის დედა-აზრის საფუძველი სხვა-და-სხვა ნაირია. მაგრამ დასკვნა ორთავეს ერთნაირი აქვთ. მაგალითად, გუკერიც და ჯუელიც იმ აზრის არიან, რომ სამოქალაქო მმართველობას სასულიერო საქმეებში ჩარევის ნება აქვს. ჯუელი ამას ამტკიცებს მით, რომ ძელად მამამთავრები და წინასწარმეტყველები (მოსე, დაეგითი, სოლომონი) ასე იქცეოდნენო; გუკერი-კი ზემოხსენებულ აზრს იმიტომ რაცხს საჭიროდ, რომ სასარგებლოათ. ცხადია, რომ ეს ორი მწერალი, რომლების თხზულებათა გამოცემის შორის მხოლოდ 30 წელმა განვლო, სხვა-და-სხვა გვარად განათლებულ დროთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს შედარება ზემოხსენებულ ცვლილების დიდ მნიშვნელობას ცხადად გვიხსტავს. როდესაც კაცი დარწმუნებულია თავისი სარწმუნოების ჭეშმარიტებაში, მაშინ იგი მჩად არის ყოველგვარი სისასტიკე ჩაიდინოს, ოლონდ-კი სხვა რწმენის მქონეს თავისი სარწმუნოება მიაღებინოს. მაგრამ, როდესაც კაცი შეიგნებს იმ ცნებას, რომ შესაძლოა თავის რწმენაში თეთი ისიც სცდებოდეს, რომ სარწმუნოებრივი კითხვები შესაძლოა აიხსნას, როგორც გონებით, ის რწმენით და გადმოცემებით, მაშინ იგი უფრო შერიგებულის თეალით უცქერის სხეების შეხედულობას;

1) აკტორიტეტი არის ეჭვს გარეშე და უცილობლად სარწმუნო პირი.

აგრე მოხდა ინგლისში XVII საუკუნეში. 17 წლის შემდეგ გუკერის წიგნის გამოსელისა, ინგლისის ეპისკოპოსებმა ორი კაცი დასწვეს მწვალებლობისათვის (ერეტიკოსობისათვის), მაგრამ ეს იყო სულთ-მობრძანები ბარბაროსობის უკანასკნელი აფეთქება. სკეპტიკურ შეხედულობას და მეცნიერულ გამოკლეულს გასაოცარი ნაყოფი მოჰქონდათ. 26 წლის შემდეგ, რაც მოხსენებული ორი მწვალებელი დასწვეს, გამოვიდა ჩილისგვრიტის შესანიშნავი თხზულება „პროტესტანტების სარწმუნოება“, რომელშიაც იგი შესახებ სარწმუნოებრივი ავტორიტეტებისა ნათლად იქციანოს. ჩილინგრიტი ამბობს: „უკელას ნება აჭვა თავისუფალი მსჯელობა იქონიოს; გონებრივი შთაგონებასი და ეპლესის მოძღვრებანი ერთი მეორეს უნდა ეთანხმებოდეს სკეპტიკურადლებო ჭეშმარიტება საზოგადოებას დიდი ხანია შეეგნო, მაგრამ შემუშავებულად და დანასკულად მხოლოდ ახლა იყო გამოთქმული. ჩილინგრიტის თხზულების წყალობით ლეთის-მეტყველურის (თეოლოგიური) კითხეანი და კამათობანი შემცირდნენ. სამღვდელოება ამაოდ სულილობდა ამ მიმართულების შეფერხებას. სარწმუნოებრივი შეწყნარება და სკეპტიკური შეხედულობა მთელ მე-XVII საუკუნეში ერთმანეთს ხელს უწყობდნენ. სამღვდელოების მნიშვნელობის და გავლენის შესუსტებას საკმაოდ ამტკიცებს ის, რომ მეფე კარლოსის სიკვდილით დასჯის შემდევ, ინგლისს ჰმართავდნენ იმ გვარი პირნი, რომელნიც, არამც თუ სამღვდელოების ავტორიტეტს, არამედ ძველ წესებსაც და დოლმატებსაც-კი უარს ჰყოფდნენ. მართალია, სტუარტების ხელმეორედ გამეფებისათანავე, ეკლესიამ კვალად დაიბრუნა ძველი ბრწყინვალება, მაგრამ ძველი უფლების აღდგენა-კი ველარ შესძლო. მსუბუქი გონების მქონე მეფეს, კარლოს მეორეს, სარწმუნოებრივი კითხვები და კამათობანი საშინლად სძულდა. კარის კაცნი და მწერლები, მეფის წახედვით უარეს უკიდურესობაში ჩაერთდნენ. ამათ ვერ შეითვისეს

სკეპტიკური შეხედულობის ჭეშმარიტი აზრი და საზიზლად დას-
ცინოდნენ საჩიტუნოებას და სამღვდელოებას. მაგრამ ასეთი
უაზრო ურწმუნოება საზოგადოების მისწრავების შედეგი იყო.
ამ უკანასკნელმა თომა ბროუნის თხზულებების ხასიათზე დიდი
გაელერა იქმნია. პირველ თაერი თხზულებაში ბროუნი. აღია-
რებს, რომ მას სწამს ფილოსოფიური ქეაც, ჯადოებიც, მავნე
სულებიც და სხვა ამ გეარი სისულეელები. შემდგომში-კი ყვე-
ლა ამას უარს ჰყოფს და ამბობს, რომ ჭეშმარიტებას მსოფლოდ
გამოცდით და გონიერით შევიგნებთო. იმ დროის პირველ-ხარის-
ხოვან მეცნიერისაგან ამ გეარად აზრის შეცვლა, ცხადად გვიძ-
ტკიცებს, თუ რა სისწრავით იცვლებოდა ინგლისის საზოგა-
დოების გონიერიები მოძრაობა მე-XVII საუკუნეში.

ამ გეარ მოძრაობას მეტად ხელს უწყობდა ბუნების-მეტ-
ყველების განვითარება. მაგალითად, პირველად მეცნიერმა ბოილ-
მა ახსნა სითბოს და ფერის ერთი მეორეზე დამოკიდებულება;
მან პირველმა დაიწყო ქიმიური გამოკვლევანი და ცხადად აღი-
არა, რომ საჭიროა სკეპტიკურად შეხედოთ უმეტესობის შე-
ხედულობასაო. ბოილის მიმართულება ყველაზე უფრო იმი-
ტომ გავრცელდა, რომ მან დაარსა „მეფის საზოგადო-
ება“, რომელიც კარლოს მეორემ დაამტკიცა. ამ საზოგადოების
მიზანი იყო ბუნების-მეტყველების ცოდნის გავრცელება ხალხ-
ში. ამ მეცნიერების გავრცელება და განვითარება არ მოსწონ-
დათ მათ, ვინც ძველ ჩვეულებებს და სამღვდელოებას თაყვანს
სცემდა; ამის-გამო, კარლოს მეორის დროს, ბუნების-მეტყველ-
თა და ლეთის-მეტყველთა შორის მტრობამ უკანასკნელ ხა-
რისხამდე მიაღწია. მაგრამ ამ ბოძლოლაში უკეთესად ბუნების-მე-
ტყველებას უნდა გაეძარვენა, რადგანაც იგი კაცობრიობის წინსკლი-
სათვის (პროგრესისათვის) აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.
საზოგადოდ შენიშვნელია, რომ რამდენადაც ბუნების-მეტყველობა
კითარდება, იმდენად ცრუმონწმუნეობა მცირდება. ამის დამტკიცება

შეიძლება შემდეგი მაგალითებით. ისინი, ვინც ნიაღავ, მათთვის მიუწლომელ ბუნების მოელენათა გაელენის ქვეშ იმყოფებიან, უფრო ხშირად ზესთაბუნების დახმარებას მოელიან, ვიდრე ისინი, ვინც ამ მოელენათა გაელენას იშეიათად ექვემდებარებიან. მაგალითად, მეზღვავენი, რომელთაც ხშირად უხდებათ ლელეასთან და ქარიშხალთან ბრძოლა, უფრო ცრუმორწმუნენი არიან, ვიდრე ხმელეთზე მყოფი მხედრები, რადგანაც ხმელეთზე ცხოვრება ისე საშიში არ არის, როგორც ზღვაში. ანუ, მიწის მუშა ქარხანაში მომუშავეზე უფრო ცრუმორწმუნეა, რადგანაც პირეელის კეთილდღეობა უფროა დამოკიდებული ბუნების მოელენებზე, ვიდრე მეორისა, რომელმაც კარგათ იცის, რომ მისი შრომის ნაყოფი მის მეცადინეობაზე და ნიჭეა დამოკიდებული და არა ბუნების მოელენებზე.

კარლოს მეორის მეფობის დრო ცხადად გვიხატავს, რამდენად წინ წავიდა სწავლა-მეცნიერება. ამ დროში თუ ერთის მხრით ჩვენ ვხედავთ გარეუნილ, დამცირებულ და ულმობელ მეფეს, მოქრთავე მინისტრებს, ხარკით დატვირთულ ხალხს, გაუარცულს ხაზინას და სხვა ამ გვარ შემაძრწუნებელ ფაკტებს, მეორე მხრით, ცხადათ სხანს, რომ მართებლობის მოღვაწეობა ფრიად კეთილ-ნაყოფიერი იყო. მაგალითად, მართებლობამ სამღედლოებას მწვალებლების დაწეს და ხალხზე ხარკის დაღების უფლება ჩამოართეა. ლორდების პალატას სამოქალაქო მსაჯულებზე გაელენა აღარ ჰქონდა. ხალხს მიენიჭა უფლება, რომ გადასახადი თვით ხალხის წარმომადგენლებს გაენაწილათ, და არა სახელმწიფო მოხელეებს, როგორც ეს აქამდისინ იყო.

შემოლებული იყო „Habeas Corpus Act“, „რომლის ძალით შირად თავისუფლებას, თუ კაცს სამსაჯულომ არ გადაუწყვიტა დაპატიმრება, ისე ვერავინ ვერ შეეხება. გაუქმებული იყო ის კანონი, რომელიც წიგნის თავისუფალ ბეჭდევას საზღვარს უდებდა. ცხადია, რომ ხალხის პოლიტიკური შინა-მოძრაობა მმარ-

თველთა ხასიათით და იმათი პირადი მოღვაწეობით არ გაიზომება. მოყვანილი მაფალითები გვიჩვენებენ, რომ დიდი საკანონ-მდებლო რეფორმები, რომელნიც კარლოს მეორის მეფობაში შესრულდა, წინანდელი შემთხვევების და თამამი სკეპტიკური შეხედულობის შედეგი არის. აქვე საჭიროა დავუმატოთ, რომ კარლოს მეორის ბიწიერება ამ რეფორმების აღსრულებაში მოყვანას არამც თუ ხელს არ უშლიდა, პირიქით, ხელს უწყობდა კიდეც. რაღაც მეფე სასულიერო წოდებას უღირსად ეპყრობოდა, ამის-გამო ხალხში სამღვდელოების ავტორიტეტი ძრიელ დაეცა. საქმარისია ვსოდვათ, რომ მეფე ცხადად ჰფარველობდა სამღვდელოების უღმობელ მტერს, გობბეს, და ეპისკოპოსებად ნიშნავდა იმისთანა უნიჭოებს, როგორც ჯონსონი, შელდონი და სხვები იყვნენ, და ისეთ პატიოსან, ერთგულ და კეთილ-საიმედო მოძღვრებს-კი; როგორებიც იყვნენ ტაილანდი, ბარო და სხვანი, მეფე არავითარ წარმატებას არ აძლევდა.

ეს იყო მიზეზი სამღვდელოების დაცემისა; ახლა მათი ერთად ერთი მიზანი შეიქმნა თვისი ძალის და კეთილ-დღეობის შენახვა. სამღვდელოება ხალხზე სრულიად არ ფიქრობდა. იგი არავითარ ღონის-ძიებას არ ერიდებოდა, ოღონდ-კი თავისი ძველი მნიშვნელობა დაებრუნებინა. სამღვდელოება დაუკავშირდა და გამეფებაში დაეხმარა კათოლიკე მეფე იაკობს, იმ იმედით, რომ ახლი მეფე, თუმცა სხვა სარწმუნოების, მაგრამ ღვთის-მოყვარე კაცი იყო და ამიტომ პროტესტანტების სამღვდელოებას მფარველობას თუ არ გაუწევდა, თავის წინა-პარზე უფრო კარგი თვალით მაინც შეხედავდა მას. სამღვდელოების და იაკობის კავშირი გაგრძელდა იქამდინ, სანამ მართებლობა და სასულიერო წოდება ინგლისის ეკლესიის მოწინალმდევებს უწყალოდ სდევნიდნენ და სიკვდილით სჯიდნენ, სანამ საუკეთესო პირთ საპყრობილები აღპობდნენ, ერთი სიტყვით, ეს კავშირი იქამდის გაგრძელდა, სანამ იაკობი ეროვნულ თავისუფლების დამაბრკო-

ლებელ საშუალებებს იგონებდა და აღსრულებაში მოჰყვანდა. მაგრამ, რა წამსაც მეფემ გამოსცა „Declaration of Indulgence,“ რომლის ძალითაც სარწმუნოებრივი შეწყნარება საჭიროდ იყო ცნობილი, სამღვდელოება მაშინვე იაკობს წინააღმდეგა, შეუერთდა მწვალებლებს, რომელთაც იმ დრომდე უწყალოდ სდევნიდა და მოახდინა 1688 წლის ღიღი რევოლუცია (არეულობა), რომელიც იაკობს გვირგვინად დაუჯდა. მაგრამ სამღვდელოება მაღე მიხვდა თავის შეცდომას, რადგანაც ახალმა მეფემ, კილექტმ III, გამოსთქვა სურვილი ინგლისში სარწმუნოებრივი შეწყნარების დაფუძნებისა. ეს განზრახვა მეფის პირველსავე მოქმედებაში აღმოჩნდა: მეფემ პროსკოტერიულებს¹⁾ და ეხმარა და შოტლანდიის საეპისკოპოსოები გააუქმა. იმ დროიდამ სასულიერო წოდების და სამოქალაქო მართებლობის ბრძოლის ახალი ხანა დადგა. ინგლისის ეკკლესიის პრიმატისმა,²⁾ ათმა ეპისკოპოსმა და ექსასამდე მღვდელმა ქვეშევრდომობის ფიცხე უარი სთქვეს და ხალხისგან ამორჩეული მეფე არ აღიარეს. მეფემ საკუთარის უფლებით გადააყენა თანამდებობიდან ამბოხების ამტეხნი. ამ ახალმა შეურაცყოფამ სამღვდელოება სულ მთლად გაღაუმტერა მეფეს და ამიტომ ხელახლად შეუკავშირდა განდევნილ მეფე იაკობს. ამ შეუკავშირების, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, შეთქმულობის შედეგი ის იყო, რომ ყველა საეპისკოპოსო კათედრას ერთ და იმავე დროს ორი წარმომადგენელი ჰყავნდა: ერთი სამღვდელოებისაგან არჩეული და მეორე თითონ მართებლობისაგან. ამ საშინელი უთანხმობის გარდა, სასულიერო წოდების ზნეობრივ დაცემას ხელს უწყობდა ჯამაგირის დაკარგვის შიში: სამღვდელოება, თუმცა გულში იაკობს აღია-

¹⁾ პროსკოტერიელნი იყვნენ შოტლანდიის ქრისტიანენი, რომელთაც ჰყავდათ მხოლოდ მღვდლები და ეპისკოპოსებს-კი უარს ჰყოფდნენ.

²⁾ პრიმატი — უმაღლესი ეპისკოპოსი კათოლიკეთა სასულიერო წოდებაში.

რებდა, მაგრამ საქვეყნოდ-კი ვილჰელმს აძლევდა ფიცს და მით საზიზლარ ორპირობას იჩენდა.

ამის შემდეგაც სამღვდელოება XVII საუკუნეში თან და თან ეცემოდა. შესანიშნავი „სასულიერო კრება“, რომელიც პარლამენტსავით ორი პალატიდგან შესდგებოდა, 1717 წელს განუსაზღვრელ დრომდინ გადაიდგა. ამით სამღვდელოებამ მძლავრი იარაღი დაჰკარგა. გარდა ამისა საზოგადო გონიერების მიმართულებამ ეკკლესიას საუკეთესო მისი ღონე განუყენა: ნიჭიერთ გვამთ მღვდლად წასვლა აღარ სურდათ; XVIII საუკუნიდგან სასულიერო წოდების წევრებს სახელმწიფოს სამსახურში დიდ თანამდებობას აღარ აძლევდნენ; წინად-კი, მაგალითად, მთავარ-მინისტრობა ხშირად სასულიერო წოდების პირებს ეჭირათ. თავადების ანუ ზეითა პალატაში სამღვდელოებას უწინდელ დროს ნახავარი აღილი ეჭირათ, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში მერვედი და მე-XIX საუკუნის საშუალო წლებში მეთოთხმეტედი; ქვედა პალატის კარი-კი 1801 წელს სასულიერო წოდებისთვის სამუდამოდ დაიკუტა.

რაც მოძრაობანიც ჩვენ აქ აღვნიშნეთ, ყველა ამათი საყოველთაო ნიშანი ის იყო, რომ მე-XVII საუკუნეში პოლიტიკა და ზნეობრივი სწავლანი ღვთის-მეტყველობისაგან განცალკევდა. ამის მაზეზი თვით სამღვდელოება იყო. კუმუნისტურების ეპისკოპოსმა პირველმა შეადგინა ზნეობრივი სისტემა ღვთის-მეტყველობის დაუსმარებლად. ეპისკოპოსმა გარბტონმა პირველმა შენიშნა, რომ სახელმწიფო პრაკტიკულის თვალით უნდა უყურებდეს სარწმუნოებასათ, ე. ი. ისე მოიხმაროს სარწმუნოება, როგორც სახელმწიფოსათვის უფრო სამჯობინარი იქნებათ. ეს აზრები შემდეგში იუმშა, ბენტამშა და მიღლმა უფრო ვრცლად შეამუშავეს.

კეთილის-მყოფელი სკეპტიკური მოძრაობის დიდი ნაყოფით ისარგებლა არა მხოლოდ მაღალმა საზოგადოებამ. ამ დიდ ხანაში პირველად დაარსდა საკურაო სკოლები, სასალისო გაზეოები და

სამკითხველოები: სტამბების რიცხვი გამოაქვლდა, უამოიცა სალსის-თვის დანიშნული მეცნიერული თხზულებანი; პირველად გამოიცა საპოლიტიკო გაზეთები, რომელიც საზოგადოებრივ და პოლიტიკური საქმეების მდგომარეობას ხალხს აცნობებდნენ.

1769 წელს მოხდა პირველი მიტინგი¹), რომელზედაც ინგლისის ხალხის მდგომარეობის შესახებ ბჭობდნენ. ამავე ხანებში დამკვიდრდა და გავრცელდა აზრი პირად წარმომადგენელობაზე. სარწმუნოებრივი კითხვების გადაწყვეტაში ხალხმა მონაწილეობის მიღება დაიწყო. ინგლისის მწერლობა ყველას-თვის ადვილ-გასაგები შეიქმნა. ძეელად მკითხველებს მხოლოდ მაღალი წოდება და მდიდარნი შეადგენდნენ, ამისგამო მწერალნი იძულებულნი იყვნენ მხოლოდ თავად-აზნაურობის გემოვნებაზე ეწერათ და თავიანთ მფარველებისთვის გუნდრუკი ეკმიათ; ახლა კი მწერლთბამ ხალხის უმეტესობაში იპოვა საფუძველი; ამიტომაც მწერლებმა თავიანთი თავი უფრო დამოუკიდებლად სცნეს, კილო გაადვილეს და თამამად (გაბედვით) სწერდნენ მასზე, რასაც საყოველთაო ინტერესი ჰქონდა.

ინგლისელების გონებრივ მოძრაობას კიდევ ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ 50 წლის განმავლობაში მეფობდნენ გარეგი I და გიორგი II, რომელნიც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმეებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ეს ორი მეფე უცხო ქვეყნის შვილები და მასთანვე მეტად ზანტები იყვნენ; ისინი ხალხისთვის თითქმის არა ზრუნავდნენ; მათ არ შეეძლოთ იმდენად თანაეგრძოთ ინგლისის ეკკლესიისათვის, რომ სამღვდელოების მნიშვნელობა გაეძლიერებინათ და ეს გარემოება გონებრივ მიმღინარეობის მშვიდობიან განვითარებას მეტად ხელს უწყობდა. სამაგიეროდ გიორგი მესამეს მეფობამ დიდათ დააბრკოლა ეს უკვე შემუშავებული კეთილ-მდგომარეობა.

¹⁾ მიტინგი—ინგლისში ხალხის თავისუფალ კრებას ჰქვიან.

ამ მტარვალ და ფარისეველ მეფის მიზნად შეიქმნა საკუთარი ძალის და უფლების გაფართოვება და ეკკლესიის გაძლიერება. გიორგი მესამეს ყოველი ახალი შემოღებულება ჭირივით სძაგდა; მას წარმოდგენაც არა ჰქონდა მეცნიერებაზე და ხელოვნებაზე, არავითარი ცოდნა ხალხზე და თავის სამეფოზე. მეფის მახლობელნიც მას არ დაუვარდებოდნენ უვიცობაში და სიბოროტეში. თვით ერთადერთი მათ შორის ნიჭიერი კაცი, სახელოვანი ჰიტტი, როდესაც მეფის საბჭოში მონაწილეობა მიიღო, ცდილობდა რამე ნაირად შეთანხმებოდა მეფის მიმართულებას. ამ ნაირად, ამ გამოჩენილმა გვამმაც-კი უღალატა თავის აზრებს. საზოგადოთ ამ მეფეს ყოველი დიალი და კეთილი ეზიზლებოდა, ნიჭიერებს სდევნიდა. მეფის ამ გვარი ხასიათი ცხადათ სჩანს იქიდამ, თუ როგორ ექცეოდა ის შესანიშნავ მოღვაწეს და თავისუფლობის დამცველს, ფოჭსს, რომელსაც მეფემ არავითარი თანამდებობა არ მისცა, საკუთარის ხელით ამოშალა იგი საიდუმლო საბჭოს წევრთა რიცხვიდან და გამოაცხადა: „უმაღ ტახტზე ვიტყვი უარს, ვინემ მაგას მართებლობაში ადგილს მიუსცემო!“ გიორგი მესამე კერძო პირების დევნით არ ჯერდებოდა და ცდილობდა ლორდების პალატის მნიშვნელობის დამცირებას, რომლებშიაც თავისუფალი შეხედულობა მეფობდა და რომელიც ქვემო პალატის უგუნურ ყოფა-ქცევას აფერხებდა:

რომ სავსებით დავახასიათოთ ეს მეფე საჭიროა მოვიყვანოთ შემდეგი ფაკტები, რომელნიც იყვნენ იმისი უგუნური პოლიტიკის შედეგი. გიორგი III-ს განზრახვა ჰქონდა ამერიკის ახალშენებზე (კოლონიებზე) ხარკის დადება. მაგრამ ეს ღონისძიება გონიერი პოლიტიკისების რჩევით თავიდგან აშორებული იყო. გიორგი III-ს ეს პროეკტი ძლიერ მოსწონდა და გადასწყვიტა მისი უთუოდ სისრულეში მოყვანა. მეფემ უმაღლეს წოდებაში და სამღვდელოებაში თანამომხრენი იპოვა და ამერიკულების ომი გამოუცხადა, რომელიც 1400 მილიონ მანეთად და-

უჯდა; ინგლისში დაპკარგა საუკეთესო ახალშენები, მისი აღებ-მიცემობა შეფერხდა და მთელი ევროპის სიმძულვარეც მოუ-პოვა. საბედნიეროდ ამ ომს ის სასარგებლო შედეგი მოჰყვა, რომ, ამერიკელების გამარჯვების წყალობით, მართებლობის მტარვალობას ბოლო მოელო.

მეორე სამწუხარო ამბავი იყო ომი საფრანგეთთან. გიორგი III-ეს და მის თანამოლვაწეებს ვერ შეეგნოთ ის მიზეზები, რომლებმაც საფრანგეთის დიდი რევოლუცია მოაშზადეს და მეფემ საფრანგეთიდგან თვისი ელჩი გამოიწვია. ეს იყო პირველი განხეთქილების მიზეზი; შემდეგ, როდესაც ფრანგებმა ლუი მე-XVI-ს თვი მოჰყვეთეს, გიორგიმ ეს მიიღო როგორც საკუთარი შეურაცყოფა და მაღლე საფრანგეთს და ინგლისს შეა ასტყდა სასტიკი ბრძოლა. ამ ომმა რამოდენიმე მილიონი ადამიანი იმსხვერპლა, მთელი ევროპა შეძრწუნებაში ჩააგდო და ცივილიზაციის განვითარება დიდის ხელით შეაჩერა. ამ ომით ინგლისის მართებლობას ჰსურდა მიეღწია ორ მიზნამდი: გაეუქმებია რესპუბლიკა საფრანგეთში და შეეჩერებინა ინგლისის განახლების მოძრაობა. ამ ომშიაც ბევრი ინგლისელის სისხლი დაინთხა და ინგლისელების ბევრი სიმდიდრეც დაიღუპა. ასე რომ ინგლისის სამეფო უბედურ მდგომარეობაში ჩავარდა. ამავე დროს მართებლობა სდევნიდა მიტინგებს და ბეჭდვითი თავისუფლებას. საქმემ იქამდინ მიაღწია, რომ საუკეთესო მწერლებს ჯარიშებს ახდევინებდნენ და ციხეებში ალპობდნენ; თავისუფლად წიგნის გაყიდვა აღარავის შეეძლო; მიტინგის შესაღებად საჭირო იყო მართებლობისგან ნება-რთვის აღება; ჯაშუშობა გავრცელდა. ხალხი მართებლობის ამ ნაირ განკარგულებებს ცხადად ცხადა; 1795. წელს გამოჩენილმა ფოქსმა გამოაცხადა პარლამენტში: „შესაძლოა ხალხი მოთმინებიდგან გამოვიდეს და მთავრობას ბრძოლა დაუწყოსო“. „Habeas Act“ აღარ მოქმედებდა და აღმინისტრაციული ძალის თვითნებობას საზღვარი აღარ უჩნდა.

შე-XVIII საუკუნის დასასრულს ინგლისი აუარებელ ვალში ჩა-
ვარდა, რის-გამოც მთავრობამ ყველაფერს ბაჟი დაადო; გადა-
სახადის უმეტეს ნაწილს მდაბიო ხალხი იხტიდა.

თუმცა ამ დროს ანგლიისის პოლიტიკური, საფინანსო და
აღმინისტრატიული მდგომარეობა მეტად სამწუხარო სურათს
წარმოადგენდა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადო-
ებრივი განვითარება მაინც წინ მიღიოდა, ხალხი თვით-მოქმედე-
ბას ეჩვევოდა და სამლელოების, დიდ-კაცობის (არისტოკრა-
ტიისა) და მართებლობის მნიშვნელობის დაქვეითებას სცდი-
ლობდა.

შტარვალური შართებლობის ძალა და ღონე მარად რამოდენიმე
გაციება დამოკიდებულია. მათი სიკვდილის შემდეგ, კინ იცის კინ
დაიწერს მათ ადგილს? საზოგადოების აზრის ძალა-კი შემთხვევა-
ზე არ არის დამოკიდებული და ამაზე არც სიკვდილს აქვს რამე
ძალა. შეუძლებელია, რომ საზოგადოებრივი აზრი დღეს აჭერადეს
და სკალ დაჭრეს: იგი კერძო პირებისგან დამოკიდებული არ არის;
იგი შექმნილია კოცელ და საზოგადო მიზეზებისაგან და თამამად
კოცელდება.

ინგლისელების საქებ-სადიდებლად ითქმის, რომ მათ სა-
სოწარკვეთილ (უბედურ) მდგომარეობიდგან ისე იხსნეს თავი,
რომ ამბოხება არ მომხდარა. ეს მოხდა ამიტომ, რომ ინგლისე-
ლებს ჰქონდათ მრავალ საუკუნოებით შემუშავებული მაღალი
ზნეობა და თამამი საზოგადოებრივი აზრი. იმათ წყალობით ინ-
გლისელების უფლებანი თანდათან იზრდებოდნენ. ამ მოპოვე-
ბულ უფლებებში უდიდესად უნდა ჩაითვალოს ჩვენ დროს შე-
მოლებული სამი კანონი: 1) წინადადება (ზიღი) ოეფორმებზე, რო-
მელმაც მედიდური შეწის-მფლობელების ძალა დღდად შეავერსა;
2) მფარგელობითი სისტემის მოსპობა, რომელმაც უფრო უარესად
იმოქმედა-დიდ კაცების ბეჭ-იღბალზე და 3) კათოლიკების ემანის-
ზაცია, კ. ი. პოლიტიკური უფლებების მინიჭება მათგაის, რო-

მელმაც სასულიერო წოდების ძლიერება ძირიანად შეარყად. საზოგადოდ ამ სამი კანონის წყალობით მიწის მფლობელი არის ტოკრატის და სამღვდელოების პოლიტიკური ძალა მეტად შემცირდა, ხალხმა საკუთარი ღონე იცნო.

რომ მართლა ხალხური (დემოკრატიული) აზრები თანდათან ვრცელდება ეს ისეთი ჰემარიტებაა, რომელსაც ყველა თვალხილული ცხადად ხედავს და მისი უარის ყოფა შეუძლებელია.

თ ა ვ ი VIII.

მოქლე ისტორიული აღწერა გონიერივი მომრაობისა საფრანგეთში XVI საუკუნის ნახევრიდგან დუი მე-XIV ტახტზე ას-გლამდინ.

ინგლისის გონიერივი განვითარების ნორმალური და სწორი მოძრაობა განვიხილეთ; ახლა ჩვენ განვიხილავთ ამავე მოძრაობას საფრანგეთში, სადაც იგი სწორი გზით ვერ მიმოვიდოს, და. საფრანგეთში, როგორც ინგლისში, თავდაპირველად სამართლელოებას სხვა წოდებაზე მეტი პოლიტიკური უფლება ჰქონდა, მაგრამ მასთანვე მას საზოგადოებისათვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა: ავიწროვებდა ძრიელთა ბარბაროსულ თვითნებობას და სუსტთა და შევიწროებულთა ჰფარველობდა. მაგრამ ეამთა ვითარების-გამო შემდგომში სამღვდელოება მხოლოდ საკუთარი უფლების დაცვას სცდილობს და სკეპტიკურ შეხედულობას და დამოუკიდებელ განვითარებას ებრძვის. საფრანგეთში სამღვდელოებამ უფრო დიდ ხანს შეინახა თავისი უფლებანი და გავლენა, ვიდრე ინგლისში. საფრანგეთის სამღვდელოებას იმდენი ძალა ჰქონდა, რომ რეფორმაციას¹⁾ წინააღმდეგა,

1) რეფორმაცია: 1520 წელს მარტინ ლიუტერი საქვეყნოდ წინა-

რომელმაც ინგლისში მართებლობას ძალა მისცა, სასულიერო წოდება-კი სამუდამოდ დააუძლურა. ამის-გამო ლვთისმეტყველური მიმართულება საფრანგეთში უფრო ძლიერი იყო და უფრო დიდხანსაც გასტანა მან, ვიდრე ინგლისში, სადაც ეს მიმართულება XVI საუკუნის ნახევრიდან ძლიერ შესუსტდა. მაგალითად, ინგლისის მეფე ჰენრი VIII, რომელსაც, არამც თუ ჯარი, არამედ საკმარისი მცველებიც არა ჰყავდა, საკუთარის ძალით შესცვალა ინგლისელების სარწმუნოება. გარდა ამისა, მეფეებმა—ედვარდმა, მართმა და ელისაბედმა მოახდინეს სარწმუნოებრივი ცვლილებანი ინგლისში. ხალხი ყველა ამას გულგრილად უყურებდა და არავითარი წინააღმდევობა მას არ გამოუცხადებია. ამასთან ინგლისში ყველა ომებს საერო ხასიათი აქვს, საფრანგეთში-კი XVI საუკუნეში უდიდესი ომები სარწმუნოებისათვის ხდება, ან და კათოლიკები და პროტესტანტები ურთმანერთს ებრძვიან.

ზემოხსენებულ განსხვავებას ამ ორი ქვეყნის ცივილიზაციის განვითარებაზე შემდეგი მოქმედება (გავლენა) ჰქონდა: იმ დროს, როდესაც XVI საუკუნის დამლევს, ინგლისს ჰქონდა მდიდარი მურალობა, საფრანგეთში არ ამოჩენილა არც ერთი შესანიშნავი თხზულება, გარდა ლვთის-მეტყველური შინაარსისა, რომელიც ძრიელ გამრავლებული იყო. სასულიერო წოდების გავლენას ამ გვარი შედევრ მოჰყვა მეცნიერებაში, მაგრამ მას არც ზნეობის განვითარებაზე უმოქმედნია უკეთესად. კათოლიკეთა და პრო-

აღუდგა კათოლიკეთა სარწმუნოების სასულიერო წოდების ზნეობით დაცემას და სხვა მრავალს უწესოებას. დასავლეთის ეკვლესიაში. მოძღვრება შისი, ვითარცა—ლვთის-მსახურება სამშობლო ენაზედ, უარის ყოფა წმ. საიდუმლოთა, გარდა ნათლის-ლებისა და ზიარებისა, უარის-ყოფა სასულიერო მთავრობისა, მღვდელთა უცოლობა და სხვ., სწრაფად გავრცელდა მთელს გერმანიაში. მის მიმდევრებს ეწოდება ლიუტერანები ანუ რეფორმატები.

ტესტანტებთა განუწყვეტელი ბრძოლის წყალობით სრულიად არ იყო გავრცელებული აზრი სარწმუნოებრივ შეწყნარებაზე და ამის შესახებ XVI საუკუნეში არც ერთ მწერალს არაფერი არ გამოუთქვაშა. მხოლოდ დამპიტაჭმა გაბედა ამ გვარი აზრის გამოთქმა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი ნიჭით და პატიოსნებით აღსავსე კაცი იყო, ლოპიტალი იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა საშობლო ქვეყანა. იმ დროს საფრანგეთის საზოგადოებაში გავრცელებული იყო ის აზრი, რომ პოლიტიკური მოქმედებანი სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს უნდა ემორჩილებოდეს და ამას მეტად ცუდი შედეგი მოსდევდა. მაგალითად, ამბუაზის შეთქმულობა, ¹⁾ ხალხის ულეტა ბართლომეს დაქანონ, ²⁾ გიზოს და ჟინრი მესამის მოკვლა და სხვა საზიზღარი ბოროტ-მოქმედებანი. მაგრამ ცვლილება აღრე თუ გვიან მაინც უნდა მომხდარიყო და მართლაც დაიწყო კიდეც დიდი მეფის, ჰენრი IV-ის, ტახტზე ასვლიდგან 1589 წელს. ჰენრი მეოთხემდინ მართლ-მორწმუნეობით გამჭვალულნი მეფენი ეკკლესიის და სასულიერო წოდების ინტერესებს იცავდნენ. ჰენრი IV-კი ყველა სარწმუნეობას ერთნაირად ეპყრობოდა და თავისი ქვეყნის მშვიდობიანობისათვის სამჯერ შეიცვალა სარწმუნოება.

1) ამბუაზი არის ქალაქი საფრანგეთში მდინარე ლუარაზე. 11 მარტს 1560 წ. გუგენოტებმა მოახდინეს აქ შეთქმულობა გიზების წინაღმდეგ, რომლებიც სდევნიდნენ პროტესტანტებს საფრანგეთში; შეთქმილობამ ცუდად ჩაუარა: გიზებმა შეთქმულნი თითქმის ყველანი სიკვდილით დასაჯეს... „გუგენოტებად“, იწოდებოდნენ საფრანგეთის პროტესტანტები. „გიზები“, იცვნენ ცნობილი ჰერცოგები საფრანგეთში, რომელთაც ამბუაზის შეთქმულობის დროს ეკავათ მინისტრის ადგილი.

2) ბართლომეს ლამე: ასე ეწოდება გუგენოტების ამოულეტას პარისში კათოლიკეთაგან 1570 წ. 24 მარიამობისთვის ლამეს. შემდეგ დღეებში ჰარისის ხალხის მხეცობას მიჰბაძეს სოფლელებმა და გაიმართა საშინელი ულეტა პროტესტანტებისა. კათოლიკეებმა ამოწყვიტეს ამ ხანებში 30,000 სული პროტესტანტი.

მას შემდეგ, რაც ჰენრი მეოთხემ პროტესტანტობა დასტოადა და კათოლიკობა მიიღო, განვლო ხუთმა წელმა და მეფემ გამოსცა შესანიშნავი ნაწილს ედიგტი (ბრძანება), რომლის მაღით პროტესტანტებს სამოქალაჭო და სარწმუნოებრივი უფლებანი ენიჭებოდა და სარწმუნოებრივ შეწენარებას დიდი ადგილი ეთმობოდა. მაგრამ, თუ ჩვენ მხედველობაში ვიქონიებთ წარსულ ისტორიულ შემთხვევებს დავრწმუნდებით, რომ ეს დიდი პოლიტიკური საქმე მეფის სურვილის ნაყოფი-კი არა, მთელი საზოგადოების გონიერივი მოძრაობის შედეგი იყო.

სკეპტიკური შეხედულობა გავრცელდა საფრანგეთის მწერლობაში XVI საუკუნის საშუალო წლებში. თუმცა რაბლე 1545 წ. ცხადად დასკინის სამლენელოებას და ცრუმორწმუნეობას, მაგრამ იმის თხზულებებში ჩვენ ვერ ვპოვეთ ნამდვილი სკეპტიკური შეხედულობა სარწმუნოებაზე, რომელიც ცხადად საჩანს მონტენის შესანიშნავ თხზულებაში — „უდა“ — ში. ამ თხზულებაში გატარებულია ის აზრი, რომ სასულიერო წოდების წეს-წყობილება მეტად მავნებელი და შეუსაბამოა. რაბლეს და მონტენის შუა იმ გვარივე მსგავსებაა, როგორც ჯუჯის და გუგერის, გუგერის და ჩილინგვორტის შუა.

მონტენის თხზულების გამოსვლის რამდენიმე წლის შემდეგ, გამოიკავა ახალი წიგნი შარონისა „სიბრძნეზე“, რომელშიაც ზნეობრივი სისტემა ღვთის-მეტყველობის დაუხმარებლად არის შედგენილი. შარონის დედა აზრი არის შემდეგი: „ესა და უს ერთ, ამა და ამ სარწმუნოებას, შემთხვევით მიზეზების-გამო აღვიარებს; გულ-მოდგინე ქრისტიანი იმ გვერდების გულმოდგინე მახ-მადინი იქნებოდა, მახმადიანების ქვეყანაში რომ დაბადებულიყოთ. სარწმუნოებათა განსხვავებაზე მწუხარება (ჭმუნვა) უაზრობაა, რადგანაც ის დამოკიდებულია გარეშე ფაგტებზე და არა კაცის ნებაზე. გარდა ამისა, შარონი ამტკიცებს, რომ თვითული სარწმუნოება არის ნაყოფი წინანდელი სარწმუნოებისა, მაგალითად, ეპრაელთა სარწმუ-

ნოება წარმოსდგა ეგვიპტელების სარწმუნოებიდგან, ქრისტიანობა — უბრაელების სარწმუნოებიდგან; მასმადანობა ამ ორი უკანასკნელიდგან. შარონი თანვე ამბობს, რომ სარწმუნოებათა შორის სიმძლუადე არ უნდა არსებობდესო, სარწმუნოება გარეგან დოგმატებისაგან არ უნდა ბრკოლდებოდესო, სული თითოვკე შეიგნებს კრძალვას წინაშე უოკელივე ქმნილების პირველ დასაბამისაო. სამღვდელოება, რასაკვირველია, არ იყო კმაყოფილი სკეპტიკური მოძრაობის წარმატებისა, და მის აღმოთხვრას ურჩევდა მეფეს. მაგრამ ჰენრი IV თვით პაპის შთაგონებასაც ყურადღებას არ აქციევდა და პროტესტანტებს, როგორც უფრო სუსტ მხარეს, ჰეთარველობდა. მეფემ პროტესტანტების მტერი იესოელები (იეზუიტები¹) საფრანგეთიდგან განდევნა. სამწუხაროდ ჰენრი მე-IV უდროვოდ შეიქმნა იმ მიბრჯნელობის (ფანატიკოსობის) მსხვერპლი, რომლის წინააღმდეგაც იგი ასე გულ-წრფელად იბრძოდა. მაგრამ ერთხელ ფესვ-გადგმულს შეხედულებას ვერავითარი საშუალება ვერ შესცვლის. ჰენრი მეოთხის სიკვდილის შემდეგ საფრანგეთის ტახტზედ აფიდა სუსტი ცრუ-მორწმუნედედაკაცი, მარამ მედიჩი, რომელმაც ნანტის ედიკტი განმეორებით დაამტკიცა და თანვე განიძრახა პროტესტანტი, დეტუასის, პალატის თავმჯდომარედ დანიშვნა. ცხადია, რომ იმ მთავრობის ამ გვარი პოლიტიკა, რომელიც კათოლიკობას აღვიარებდა, საზოგადოებრივი აზრის ახალი მიმართულების შედეგი იყო. სარწმუნოებრივი შეწყნარება უფრო ძრიელ განვითარდა ლუი XIII უკანასკნელი 18 წლის მეფობის დროს, როდე-

¹) იესოელები ანუ იეზუიტები იყვნენ წევრნი ეგრედ წოდებული „იესო ქრისტეს საზოგადოებისა“, რომელიც 1534 წელს დაარსა ეგნატე ლოიოლამ რომის პაპის უფლებათა და გავლენის დასაცველად და გასაფართოვებლად. შემდეგში იესოელები იქამდის მივიღნენ, რომ ჰენრი გებდნენ სრულიად წინააღმდეგს ქრისტეს სარსმუნოებრივას.

საც მთავრობის სათავეში იდგა ქარდინალი¹⁾ რიშელიე რომელიც იყო გენიოსი პოლიტიკი. მას ამ მხრივ მთელ ქვეყანაზე, გარდა ნაპოლეონ პირველისა, სხვა ბადალი არა ჰყავს, მაგრამ თანამედროვე საჭიროებებს რიშელიე ნაპოლეონზე უფრო სწორედ აფასებდა. თუმცა რიშელიე სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა, მაგრამ თავის მოღვაწეობაში იგი იმ აზრით ხელმძღვანელობდა, რომ პოლიტიკური ინტერესები წოდებათა ინტერესებზედ არ უნდა იყოს დამოკიდებულიო. ამისგამო რიშელიე აზნაურობის ძალის და მნიშვნელობის შეფერხებას სცდილობდა და სამღვდელოების გავლენას აბრკოლებდა. პირველი მიზანი რიშელიემ აღსრულებაში ვერ მოიყვანა, რადგანაც საზოგადოებაში ამის თანამედრობელი ვერ იპოვა; მეორე მიზანს-კი მან სავსებით მიაღწია. თავდაპირველად რიშელიე შეეცადა, რომ სამღვდელოებას მეფეზე არავითარი გავლენა არა ჰქონოდა. ამიტომაც რიშელიემ ლუი XIII-ეს მოაშორა მოძღვარი ჟოსენი, რომელსაც შეუთვალა, რომ მოძღვარი მთავრობის საქმეებზი არ უნდა ერეოდესო და მეფის მოძღვრის თანამდებობიდამ დაითხოვა. კოსსენის ადგილზე რიშელიემ გამოჩენილი მოძღვარი, სირმონი, დანიშნა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელმა სიტყვა მისცა, რომ სახელმწიფო საქმეებზი არ გავერევიო. როდესაც მთავრობას ფული დაჭირდა, რიშელიემ ექვსი მილიონი გამოართვა ეკვლესიებს და როდესაც ამის შესახებ ორმა ეპისკოპოსმა და ორმა მთავარ-ეპისკოპოსმა უკმაყოფილება გამოაცხადეს, რიშელიემ ისინი თანამდებობიდგან გადააყენა. რიშელიეს ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ შეაყენებდა; თანვე უმეტესობის გონიერივი მიმართულება მას ხელს უწყობდა. რიშელიეს გამგეობის დროს მსაჯულები მღვდლებს ღირსების

1) კარდინალი—უმაღლესი სასულიერო პირია კათოლიკეთში; აგრეთვე წევრი რომის პაპის რჩევისა.

აუხდელად აღრჩობდნენ. მთავარ-ეპისკოპოსი სურდი ორჯელ
იყო გალახული და დაქმაყოფილების. ნაცვლად რიშელიემ მას
თავისი გულ-ძვირობა გამოუცხადა. როდესაც ლანგედოკში არე-
ულობა მოხდა, რიშელიემ ზოგიერთი ეპისკოპოსი თანამდე-
ბობიდგან გადააყენა, ზოგს-კი სახელმწიფოს სასარგებლოდ ქო-
ნება წაართვა. ამ ნაირად იქცეოდა კარდინალი რიშელიე, რო-
მელსაც თანამედროვე მოთხოვნილებანი დრმად ესმოდა და რო-
მელიც სახელმწიფოს სარგებლობას თავის წოდების სარგებლო-
ბაზე მაღლა აყენებდა. რიშელიე გარეშე პოლიტიკასაც ამ გვა-
რი თადარიგით მიუძლოდა. თუმცა კათოლიკების ეკკლესიას ავ-
სტრიის სამეფო სახლთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა, მაგრამ
რიშელიე, მიუხედავად ამისა, ამცირებდა მას და კათოლიკების
მტრებს, პროტესტანტებს, შველოდა. ამ გვარათვე ეპისკოპოდა
რიშელიე ლიუტერანებს გერმანიის იმპერატორის წინააღმდეგ,
კალვინისტებს¹⁾ — ესპანიის მეფის წინააღმდეგ; შველოდა ირლა-
ნდიის პროტესტანტებს, როდესაც მეფე ფილიპე ავიტონებდა
მათ, შველოდა გერმანიის პროტასტანტებს, როდესაც იმპერა-
ტორის ცდილობდა, რომ პროტესტანტები კათოლიკე ეკკლესიი-
სთვის დაემორჩილებინა. გარდა ამისა რიშელიემ დაარსა „პრო-
ტესტანტებთა კავშირი“; ეს იყო ინგლისის და პოლანდიის შე-
კავშირება კათოლიკეთა წინააღმდეგ.

ამ გვარად, რიშელიეს წყალობით, წარმოსდგა საერო პო-
ლიტიკა და სარწმუნოებრივ ომებს ბოლო მოელო. შესანიშნავი
ესტოალის კონგრესი, რომელმაც პირველ-ხარისხოვან სახელ-
მწიფოთა შორის მორიგება მოახდინა, საეკკლესიო ინტერესებს
არავითარ ყურადღებას არ აქციებდა; გარდა ამისა ამ კონგრესზე

¹⁾ კალვინისტები არიან დასავლეთი ევროპის ეკკლესიის ანმანა-
ხლებელის, კალვინის, მიმდევარნი; კალვინი უარს ჰყოფდა ხატებს, წმი-
ლანებს, თავისუფალ ნებას აღამიანში, სასულიონ მთავრობის საჭიროებას
და სხვ.

რამდენიმე საეპისკოპო ქონება მორიგებულმა სახელმწიფოებმა გაიყვეს. მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი ის არის, რომ „30 წლის ომი“, რომელიც ვესტაფიალის მორიგებით გათავდა, იყო უკანასკნელი სარწმუნოებრივი ომი.

რიშელიე ყოველთვის სცდილობდა — „ნიჭიერ ჰირთა სამ-სახურით სახელმწიფოსათვის სარგებლობა მოეტანა“; იგი არავითარ უფრადღებას არ აცეკვდა, თუ რა სარწმუნოების იუგნენ ისინი და ბევრი სამსედრო და სამოქალაქო თანამდებობა მასცა პროტესტან-ტებს, რომელნიც ამით გათოლიკებს უახლოვდებოდნენ. იმის დროს საფრანგეთში რომელიმე მწვალებლის (პროტესტანტის) წინამ-ძლოლობით ერთი დროშის ქვეშ სხვა და სხვა სარწმუნოების მაღვიარებელნი მსახურებდნენ და ამ გვარად საფრანგეთის ხალ-ხში ის აზრი ვრცელდებოდა, რომ ყველა მათ საერთო სახელ-მწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესები აქვთ. პროტე-სტანტების წინამძლოლნი ერთი მეორეზე სტოვებდნენ თავიანთ ბანაკს და კათოლიკე მართებლობისაკენ გადადიოდნენ და ბე-ვრმა მათგანმა სარწმუნოებაც-კი გამოიცვალა, ასე რომ, რო-დესაც, 1621 წელს, პროტესტანტებმა მთავრობას ომი აუტეხეს, ამათის მხრით მხოლოდ ორმა გამოჩენილმა სარდალმა, როგანმა და მისმა ძმამ სუბიზმა, მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში.

კათოლიკეთა სამღედელობამ ისარგებლა პროტესტანტების საუკეთესო მოღვაწეთა განდგომით და საქმის გამგეობა ხელში ჩაიგდო. თუმცა ცხადია, რომ თავისუფალი და სარწმუნოებრივი შეუწინარებლობა ერთად ვერ შეთეისდებიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროტესტანტები XVII საუკუნეში კათოლიკებზე უფრო შეუწინარებელნი შეიქმნენ. აქედამ ნათლად სჩანს, რომ მეტა-ფიზიკების აზრი შესახებ პროტესტანტების ლიბერალობისა ხში-რად არ მართლდება. ისტორიული ფაკტები ამტკიცებენ, რომ პროტესტანტების-მიერ შეწყნარება ყოველთვის გარეშე ფაკტე-ბის გავლენის ქვეშ ყოფილა. მაგალითად, XVI და XVII საუ-

კუნეში კალვინისტები თავიანთ მოწინააღმდეგებს მეტად სას-
ტიკად სდევნილნენ. დღესაც პროტესტანტულ შოტლანდიაში
მღაბიო ხალხი ცრუმორწმუნოებით და ფარისეველობით გამსჭვა-
ლულნი არიან და ქრისტიანული სათნოება მათში არ მოიპო-
ვება, ასე რომ, თუმცა საფრანგეთის ხალხი კათოლიკური სარ-
წმუნოებისაა, თავიანთი შეწყნარებით ბევრად მაღლა სდგანან შოტ-
ლანდიელებზე. შეტად საგულისხმოა შემდეგი მოელენა: როდე-
საც საუკეთესო წარმომადგენლებმა დასტოვეს პროტესტანტების
ბანაკი და მეთაურობა კათოლიკე სამღვდელოებას ჩაუვარდა
ხელში, მაშინ პროტესტანტებში თავი იჩინა წინააღმდეგობაში
(რეაქციაში) და საქმეს უფრო ენერგიულად შეუდგნენ. ვგონებ,
შესაძლოა ამ ფაკტით აიხსნას ის, თუ რისათვის სარწმუნოება,
რომელსაც მთავრობა მხოლოდ ითმენს და არ-კი ჰავარელობს,
უფრო მეტს ენერგიას და სიცოცხლეს იჩენს, ვიდრე სახელმწი-
ფოს მფარველობის ქვეშე მყოფი სარწმუნოება. როცა ეკკლე-
სია მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფება, მისი საჭიროე-
ბანი დამოკიდებულია მთელ სახელმწიფო პოლიტიკურ მოძრა-
ობაზე და ეს, რასაკვირეელია, ასუსტებს იმის ძალას; პირიქით,
როდესაც იგივე ეკკლესია დამოუკიდებლად მოქმედობს, მაშინ
იგი ძლიერდება და სამღვდელოების მეცადინეობით მჭიდროდ
უახლოედება ხალხს. მაგალითად, ინგლისში მეორე-ხარისხოვან
სარწმუნოების მღვდლებს უფრო მჭიდრო კაეშირი აქვთ ხალხ-
თან, ვიდრე სახელმწიფო ეკკლესიის მღვდლებს, თუმცა ამათ
მთავრობა ჰავარელობს.

საფრანგეთის პროტესტანტები მჭიდროდ დაუკავშირდნენ
თავიანთ სამღვდელოებას და კათოლიკებს ცხადად მტრობა და-
უწყეს. პროტესტანტები ნაწილს ედიკტით, რომლის ძალით მათ
თუმცა არ ეძლეოდათ უპირატესობა სახელმწიფოში, მაგრამ
თავისუფლად მაინც შეეძლოთ თავიანთი სარწმუნოების აღი-
რება, აღარ კმაყოფილდებოდნენ. მათთვის საკუთარი თავისუფ-

ლობა აღარ იყო საკმარისი; მათ სურდათ სხეა სარწმუნოებათა თავისუფლება შეეფერხათ. პროტესტანტებმა მალე აშკარად დაიწყეს მოქმედება და თხოულობდნენ, რომ კათოლიკეთა ლიტანიები (დიდებით გასელა) აღკრძალული ყოფილიყო. ისინი კათოლიკეთა სამღედლოებას შეურაცყოფას აყენებდნენ, წირუალოცვის ასრულებას უშლიდნენ, ქალაქ ლარიშელში კათოლიკეებს არ მისცეს ნება, რომ ერთი საყდარი მაინც ჰქონდათ მათ ამ ქალაქში, კათოლიკეთა და პროტესტანტებთა შორის ქორწინებას სდევნიდნენ და საქმემ იქამდინ მიაღწია, რომ, როდესაც 1620 წელს, ლუი XIII ქალაქ პარიზი გაემგზავრა, პროტესტანტებმა მეფეს, როგორც მწვალებელს (ერიტიკოსს) უკადრისად მოექცნენ. გარდა ამისა, პროტესტანტებს ამ ქალაქში არ დაეტოვებინათ არც ერთი საყდარი კათოლიკეებისა, არც ერთი იმისთანა ადგილი, სადაც საფრანგეთის მფლობელს შესძლებოდა შეესრულებინა თავისი სარწმუნოების წესი; ამ გეარად საფრანგეთის მეფემ საკუთარ სახელმწიფოში ვერ შეასრულა ის, რასაც იგი თავისი ცხონებისათვის საჭიროდ რაცხდა, კალვინისტები, ყველა იმათ, ვინც მათ შეედულობას არ ეთანხმებოდა, მეტად სასტიკად ეპირობოდნენ. მაგალითად, ფერიემ, რომელიც თავის დროს დიდი მნიშვნელობის კაცი იყო, უკადრისად მოიხსენია პროტესტანტების სამღედლოების კრება: ამის-გამო სინოდმა იგი შეაჩევნა. ფერიეს შეჩევნება ნიმის დედა ეკკლესიაში იყო წაკითხული; სხვათა შორის იმაში ეწერა, რომ ფერიე არის კაცი მეტად ცუდი ყოფა-ქცევისა, გარეწარი, შეუნანებელი და ურჩი; „ამის-გამო“, — იყო ნათქვამი შემდეგ, — „სახელითა უფლისათა ჩევნისა იქსო ქრისტესი, შთაგონებითა სულისა წმიდისა და ეკკლესიის-მიერ ჩევნდამი მონიჭებული ძალითა, შევაჩევნეთ ჩევნ იგი და აწ შეჩევნებითა ჩევნითა განვაყენებთ მას მორწმუნეთაგან და უგულებულ ვყოფთ მას, რათამც მიეცეს იგი სატანას“. ფერიე იძულებული შეიქმნა სამუდამოთ

და ეტოვებინა სამშობლო და ხალხის მძეინვარებისაგან ისე და-
ეღწია თაეი, ხალხი მაინც დაეცა მის ოჯახს და მთელი მისი
ქონება ააოხრა. პროტესტანტები ამ გვარი საქციელითაც არ
კმაყოფილდებოდნენ; ისინი თანდათან შეუპოვრობას იჩენდნენ
და თეთონ მთავრობის საქმეებშიც ერევოდნენ. პროტესტან-
ტებმა გამოსცეს მრავალი თხზულებაში, რომლებშიც კათო-
ლიკეთაღმი სიმძულვარემ უკანასკნელ წერტილამდინ მიაღწია.
პროტესტანტების საქციელი ყველაზე უფრო ნათლად სჩანს შემ-
დევი პოლიტიკური ფაკტებიდგან. 1615 წელს პრინც კონდე-
საგან დაწყებულ ამბოხებას ბევრი პროტესტანტი მიემხრო და
მონაწილეობა მიიღო ამ ამბოხებაში; თუმცა მათ არავითარი
მიზეზი არ ჰქონდათ, რომ მთავრობის ყოფა-ქცევით უკმაყოფი-
ლები ყოფილიყონენ. ჰენრი IV დროს პროტესტანტებმა კათო-
ლიკე სამლენელოების სიმდიდრე ხელში ჩაიგდეს და თავიანთ
ეკკლესიებს მოახმარეს. 1618 წელს მთავრობამ გამოსცა ბრძა-
ნება, რომ პროტესტანტებს წანართმევი დაებრუნებინათ კათო-
ლიკეთათვის; ამ განკარგულებამ გამოიწვია ბეარნის¹⁾ შესანიშ-
ნაეი ამბოხება, რომლის შემდეგ პროტესტანტები შეიკრიბნენ
დარღმელში და შემდეგი შინაარსის ბრძანება გამოსცეს: კათო-
ლიკეთა ეკკლესიებს უნდა წაერთვას ქონება; დაედევას ხალხს
გადასახადი პროტესტანტების ეკკლესიის სასარგებლოდ; დაარს-
დეს „საფრანგეთის და ბეარნის განახლებული ეკკლესია“... დაჰ-
ჰყევს მთელი საფრანგეთი რეა ოლქად და თითოეულში დანი-
შნეს მთავრად ერთი გენერალი და ერთიც სასულიერო წოდე-
ბის პირი.

ამ ნაირად ძნელად დასაჯერებელ შეუპოვრობამდინ მიაღწია
იმ სამლენელოებამ, რომელსაც შეძლება ჰქონდა. მშევიდობიანი
პოლიტიკით და თავისი ძეველი მტრების შეწყნარებით ესარ-

¹⁾ ბეარნი—მთიანი ნაწილია საფრანგეთისა, პირინეის მთებში.

გებლნა. კათოლიკები პროტესტანტებს შედარებით პატიოსნურად ექცევოდნენ: კათოლიკები ხელმძღვანელობდნენ საერო მთავრობის მოთხოვნილებით; მიბრჯნელებს (ფანატიკოსებს) სამაგიეროს არ უხდიდნენ და წინად ნაბოძ უფლებებს არ ართმევდნენ. საბეჭნიეროთ, კათოლიკეთა და პროტესტანტთა ბრძოლა, რომელმაც შეიღს წელს გასტანა, პროტესტანტების სასარგებლოდ არ გათავდა. ასე რომ არ მომხდარიყო, მაშინ საფრანგეთში მიბრჯნელობა და სარწმუნოებრივი დევნულობა აუცილებლად აღორძინდებოდა. რომ პროტესტანტები მზად იყვნენ აღედგინათ ეკკლესიის ძალ-დატანებითი გაელენა, ცხადად სჩანს მათგან შექმნილ ზნეობრივ წესდებულებიდამ, რომელშიაც კერძო პირების მოქმედებაც და ჩევულებრივი ყოველ-დღიური ყოფა-ქცევაც-კი არის განსაზღვრული. მაგალითად, აღკრძალული იყო ბერძნული ენის, რომელზედაც ოთვების მთელი ძველი მეცნიერებაა დაწერილი, და ქიმიის სწავლა. დაარსებული იყო სასულიერო ცენტრულა, და მხოლოდ მისი ნება-დართვით შეიძლებოდა თხზულებათა გამოცემა. აღკრძალული იყო შეილების კათოლიკეთა სასწავლებლებში მიცემა, ეს სასწავლებლები-კი იმ ტროს ყველაზე უკეთ ზრდილნენ შეგირდებს. კათოლიკე მასწავლებლის დაქირავებაც აღკრძალული იყო. სამის წლის შემდეგ ომის დაწყებიდამ მთავრობის მეთაურობა რაშელიერ მიიღო. კარდინალს არ სურდა ბრძოლა უფრო გაეჩალა და ამის ტომ პროტესტანტებს იგი არ სდევნიდა, მხოლოდ მეამბოხეთა მეთაურებს აძლევდა პასუხის გებაში. ქალაქ ლაროშელის იერიშით აღების და რამდენიმე შეტაკების შემდეგ, რომელშიაც პროტესტანტებმა მეტის-მეტი ჯიუტობა გამოიჩინეს, რიშელიმ პროტესტანტებს მაინც არ წაართვა წინად მინიჭებული უფლებანი.

ზემოხსენებული ფაკტები სკეპტიკური შეხედულების გაერცელების ნაყოფი იყო. ეს შეხედულება ნათლად გამოითქვა იმ

დროის მწერლობაში. იმ დროს, როდესაც რიშელიე საპოლიტიკო ასპარეზზე მოღვაწეობდა, გონებრივ ასპარეზზე მუშაობდა და დიდი გენიოსი, დეკარტი, რომელიც საფრანგეთის უდიდეს მეცნიერად უნდა ჩაითვალოს. ჩეენ არ შევეხებით დეკარტის დიდ შრომებს ბუნების-მეტყველებაზე, მატემატიკაზე, გეომეტრიაზე, ტრიგონომეტრიაზე, ფიზიკაზე, ანატომიაზე, რომლებმაც მრავალი ცრუ-მორწმუნოება გააქარწყლეს. ჩეენ საჭიროდ ერაცხოთ გავაცნოთ მკითხველს მხოლოდ ამ გენიოსის მოღვაწეობის გვირგებინი, მისგან შექმნილი „ახალი ფილოსოფია“. დეკარტი დაიუტერის¹⁾ მოადგილეთ უნდა ჩაითვალოს. დეკარტმა დაამთაერა ის, რაც გერმანიის დიდმა განმანახლებელმა შეუსრულებელი დასტოვა და ფილოსოფიის ძელ სისტემას იმ გეარადვე მოეპყრო, როგორც ლიუტერი—მველ ღვთის-მეტყველურ სისტემას. დიდი თხზულება, რომელსაც დეკარტმა დაარქვა „მეთოდი“, ფრანგების ახალი გონებრივი მიმართულების პირველი გამოცხადება იყო.

დეკარტის ფილოსოფიის ძალა დახასიათდება მით, რომ იგი ანთავისუფლებს კაცს იმ შემცდარი ცნობებისაგან, რომლებიც მას წარსულმა გადმოსცა. დეკარტის ფილოსოფიამ შექმნა ახალი სწავლანი, რომელიც გარდმოცემებზე და ცრუ-მოწმუნოებებზე არ იყვნენ დამყარებულნი. „მე ვწერ“, — ამბობს დეკარტი, — „ფრანგულად და არა ლათინურად²⁾ იმ იმედით, რომ ისინი, რომელნიც თავისი ბუნებრივი გონებით ხელმძღვანელობენ, ჩეენგან გამოთქმული აზრებს პირუთვნელად გასაჯცენ, ვიდრე ისი-

¹⁾ ლიუტერი იყო დასავლეთი ევროპის სარწმუნოების განმანახლებელი; მის მიმდევრებს ეწოდება ლიუტერანები ანუ საზოგადოთ პროტესტანტები. ლიუტერი დაიბადა 1483 წ., გარდაიცვალა 1546 წ.

²⁾ საშუალო საუკუნოების მეცნიერნი ევროპის ყველა განათლებულ ქვეყნებში ლათინურს ენაზე სწერდნენ.

ნი, რომელთაც მხოლოდ ქელი წიგნებისა სჯერათ. თუ ჩეენ
გვსურს”, — ამბობს იგივე მეცნიერი, — „შევიტყოთ ყველა ჭეშ-
მარიტება, რომელსაც ჩეენ მიეწვდებით, მაშინ ჩეენ უნდა გავნ-
თავისუფლდეთ ცრუ-მორწმუნოებისაგან და ის გამოვიკვლიოთ,
რასაც წინად ვაღვიარებდით. ამ გვარად, ჩეენი ცოდნის წყაროდ
ჩეენი გონება უნდა იყოს და არა ძეელი გადმოცემანი“.

თანახმად თავის სწავლისა, დეკარტი უწყალოდ სდევნის
ფარისეველობას და ცრუ-მორწმუნეობას. ამავე შეხედულობისა
იყო ინგლისელი ჩილინგვორტი. საფრანგეთის და ინგლისის გო-
ნებრივი განვითარების მსელელობაში თითქმის სრული მსგავ-
სებაა. მონტენი საფრანგეთში და გუპერი ინგლისში თუმცა სკეპ-
ტიკები იყვნენ, მაგრამ ეკლესიის აეტორიტეტის გაელენისაგან
სრულად არ იყვნენ განთავისუფლებულნი. სამაგიეროდ, დეკარ-
ტი და ჩილინგვორტი-კი თავისუფალი და დამოუკიდებელი სკეპ-
ტიკები იყვნენ და მათ გონების მეფობა დააფუძნეს.

დეკარტი ამბობს: „ყველ-გვარი ცოდნა მხოლოდ გონე-
ბის ძალაზე და არა გარეშე ქვეყნის შესწავლაზე უნდა იყოს
დამყარებულიო. აღამიანმა სარწმუნოება ძეელი გარდმოცემებიდ-
გა: და სხვის მოზღვრებიდგან არასოდეს არ უნდა შეითვისოს,
რადგანაც ღმერთი ჰქვით იცნობებაო“.

დაწერილებით შემუშავებულმა დეკარტის სწავლამ სამუ-
ღ ჭოთ დასცა მთავარი ღვთის-მეტყველური სწავლანი. მეცნიე-
რებაში დეკარტის მეთოდმა დასცა ყველასაგან შეთვისებული
ძეელი აეტორიტეტები, როგორც, მაგალითად, არისტოტელი.

დეკარტის და რიშელიეს შორის გასაოცარი მსგავსებაა. როთავის მოღვაწეობა ცხადად წარმოგვიდგენს იმას, თუ რა ხა-
სიათი ჰქონდა ახალს მისწრაფებას და გონებრივ მოთხოვნილე-
ბას. მათი მოღვაწეობის წარმატება ასურათებს თანამედროვე
საზოგადოების გონებრივ მიმართულებას. სხვა ღროს, როდესაც
ცრუ-მორწმუნეობა უფრო გაერცელებული იყო, მათი სწავლა

ან უყურადღებოთ იქნებოდა დატოვებული, ან და საჩრდინოების წინააღმდეგად იქნებოდა ჩარიცხული (ჩათვლილი). ჩეენ სრული ლონისძიება გვაქვს დაერწმუნდეთ, რომ დეკარტის ფილოსოფია გაერცელდა და იგი ყველა მეცნიერებაში შეითვისა; რიშელიეს პოლიტიკურს სისტემასაც მისი მოადგილენი იცავდნენ და სრულ ჰყოფდნენ.

როდესაც საფრანგეთის ტახტზე ლუი XIV ავიდა, მაშინ მთაერობის სათავეში დადგა კარდინალი მაზარინი, რომელსაც რიშელიეს პოლიტიკა მშეენიერად ჰქონდა შეთვისებული. მაზარინიმ ნანტის ედიკტი შეიწყნარა და პროტესტანტებს დიდ თანამდებობებს აძლევდა, მაგალითად, მარშლობა¹⁾ მისცა ორ პროტესტანტს—ტიურქებს და გასიონეს, მაზარინმა კაეშირი შეკრა კრომელთან, რომელიც, კათოლიკე ეკკლესიის კანონით, სამუდამოდ შეჩერებული უნდა ყოფილიყო, როგორც მწვალებელი და მეფის მკელელი. მაზარინს ეკუთხნის პირინეის შესანიშავი ხელ-შეკრულობა, რომლითაც შეურაც-ჰყო პაპა და ეკკლესიის ინტერესები შეასუსტა.

აქამდისინ ჩეენ მოკლედ განვიხილეთ ის ისტორიული ფაქტები, რომლებითაც სჩანს სრული მსგავსება საფრანგეთს და ინგლისს შორის. ჩეენ ვხედავთ, რომ ორთავე სახელმწიფოში სკეპტიკური შეხედულება თან და თან ეითარდება მწერლობაში და საჩრდინოებაში. ორთავე სახელმწიფოში გამოსცადა შინაომის შედეგები, რომელიც ორივე ქვეყანაში თითქმის ერთმა და იმავე მიზეზებმა გამოიწვიეს და გათავდა მით, რომ თითქმის ერთ და იმავე დროს კარლოს II-ემ ინგლისში და ლუი XIV-ემ საფრანგეთში აღადგინეს ძევლი მართებლობა. ვმ დროდგან-კი ამ ორს სახელმწიფოში ისტორიული მიმოსელის მსგავსება თავდება. ინგლისში შემდეგი პოლი ჯიკური შემთხვევანი ხალხის

¹⁾ მარშლობა—უმაღლესი სამხედრო თანამდებობა საფრანგეთში.

კეთილდღეობას მტკიცე ნიაღაგზე აყენებს. საფრანგეთში-კი ხდება აუარებელი სისხლის დამღვრელი და ყოვლის დამამხობელი რევოლუცია. ამ გასაოცარი განსხვავების თავი მიზეზი უნდა ვეძიოთ მფარველობითს სისტემაში, რომელიც საფრანგეთში უფრო ძლიერად მოქმედებდა, ვიდრე ინგლისში.

თ ა ვ ი IX.

მფარველობითი სისტემის ისტორია და მისი გავლენა საფრანგეთზე და ინგლისზე.

V საუკუნეში რომის იმპერია დაეცა. მას შემდეგ ხუთი საუკუნის განმავლობაში მთელს ევროპაში საშინელი უმეტეს ბა და ცრუმორწმუნოება სუფევდა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ სამღვდელოება, ეს ერთად-ერთი მაშინდელი მოქალაქე რარი და მასწავლებელი ხილხისა, თავისი მფარველობით ყოველგვარ განვითარებას აბრკოლებდა. მაგრამ ბოლოს კაცის გონიერამ, ამ ლვთაებრივმა ნაპერწყალმა, რომლის გაქრობა არა ვითარ ზნე-დაცემულ და უვიც საზოგადოებას. არ შეუძლიან, იჩინა თავი და გარემოცული სიბნელე გაპთანტა. სკეპტიკურმა შეხედულებამ პირველად იჩინა თავი X და XI საუკუნეებში, ამ ხანის ჩასახებისთანავე ევროპაში აღმოცენდა ახალი ფართო პოლიტიკური სისტემა, რომელიც ვითომც და ეწინააღმდეგებ ბოდა დახავსებულს (დაძველებულს) წეს-წყობილებას, მაგრამ ამ სისტემის-გამო ხალხი სამღვდელოების მფარველობიდგან გამოვიდა და არისტოკრატების და ფეოდალების (დიდი მემალეების) ხელში ჩავარდა. ჩვენ განვიხილავთ იმ საფუძვლებს, რომლებზე დაც აშენებული იყო ეს სისტემა ინგლისში და საფრანგეთში; ეს მოგვცემს ჩვენ ღონისძიებას ავხსნათ უახლოვესი მიზეზები იმ განსხვავებისა, რომელიც შენიშნულია ამ ორი სახელმწიფოს პოლიტიკურს სვეში.

როდესაც ნორმანდიის ჸერცოგმა, ¹⁾ ვილჰელმა, ინგლისი და-იპყრო, მაშინ მან ამ ქვეყანაში იმ გვარივე სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება შემოიტანა, როგორიც მის სამშობლო ქვეყანა-ში (საფრანგეთში) არსებობდა, თუმცა-კი ეს წეს-წყობილება ახალი გარემოებების თანახმად შესცვალა. ვილჰელმა თავისი თანამომხრენი, ნორმანდიის ბარონები, ²⁾ ერთგულ ქვეშევრდო-მებად აქცია და უბოძა მათ მიწა-წყალი და სხვა და სხვა უპი-რატესობანი თმ პირობით, რომ ბარონებს, თავიანთ ხელ-ქვეით მყოფი აზნაურებით და გლეხებით, მეფის ერთგულებაზე ფიცი მიეცათ. ამ გვარად ვილჰელმა მოსპო ფეოდალური წეს-წყობი-ლების (სისტემის) ძალა. ვილჰელმა სხვა უფლებებიც წაართვა არისტოკრატებს. მაგალითად, მან აუღვრძალა ფეოდალებს ფუ-ლის მოჭრა და კერძო ომი (ძველად ფეოდალები ერთმანეთს ეომებოდნენ). არისტოკრატების დამცირების შედეგი ის იყო, რომ იგი დაუახლოვდა ხალხს და ეს ორი წოდება მეფის წინააღ-მდეგ მძლავრ მეტოქედ (ოპოზიციად) შეიქმნა, რომელიც სა-მოქალაქო უფლებას და თავისუფლებას თან და თან პოულობდა. ამან მიაჩინა ინგლისელები თვით-მართველობას და დამოუკიდებ-ლობას.

სულ სხვანაირად წავიდა ფეოდალების საქმე საფრანგეთში აქ ფეოდალებს ხალხი ძრიელ დაჩაგრული ჰყავდათ; ამისგამო, მეფე არისტოკრატების წინააღმდეგ შეუერთდა ხალხს. მაგრამ ამ ნაირ წეს-წყობილებას ხალხის კეთილ-დღეობისათვის დიდი სარგებლობა არ მოჰქმნდა: თუ ფრანგებმა იშოვნეს მოქალა-ქური უფლებანი, ესენი მხოლოდ სახელით არსებობდნენ და

¹⁾ ნორმანდია — ნაწილია ჩრდილო საფრანგეთისა. ჰერცოგი — საპა-ტიო წოდებაა აზნაურებისა საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, ესპა-ნიაში და ინგლისში.

²⁾ ბარონი — აზნაურთ წოდებაა ევროპაში, რომელთაც არა აქვთ წოდება. ჰერცოგისა ანუ გრაფისა.

ამიტომ მალე ისევ დაკარგეს. არისტოკრატიის დაუძლებელებამ შეფის გაძლიერებას მეტად ხელი შეუწყო. მაგრამ პალა ხალხს არისტოკრატების ნაცვლად მეტე ჰატონობდა. ამით დასაწყისი მიუკა იმ წეს-რიგს, რომლითაც ძალა ერთის ხელში იკრიბება და რომელიც შემდეგში, ლუი XIV-ის და ნაპოლეონ პირველის დროს, უმაღლეს წერტილამდის ავიდა. ამ გვარმა პოლიტიკურმა მსკლელობამ ხალხში დასტოკა ის ძევები შეხედულება, კითომც დაბალი წოდება უოკელთვის უნდა ქმორჩილებოდეს წარჩინებულ წოდებას; ესეთი შეხედულება-კი ხალხის განვითარებას ძრიელ აბრკოლებდა. ამ წეს-რიგის დასახასიათებლად საკმარისია ესთქვათ, რომ სახელმწიფოს მოხელენი ყველას და ყოველიფერს ზედამხედველობდნენ. სახელმწიფოს მზრუნველობამ იქამდინ მიაღწია, რომ ცხოვრების, როგორც იშვიათი, აგრეთვე ჩვეულებრივი მოვლენანი, თავის ხელში ჩაიგდო. მაგალითად, საკუთრების ანდერძით დატოვება, მოგზაურობა, ბავშვების აღზრდა და სხვა ამ გვარი, სულ სახელმწიფო მოხელეების ზედა-მხედველობის ქვეშ იყო. ამის-გამო, მუდამ მფარველობის ქვეშ მყოფმა საფრანგეთის ხალხმა, თავისი ქვეყნის პოლიტიკური მართვა ვერასდროს ვერ შესძლო; როდესაც საფრანგეთის ერს პქონდა პოლიტიკური უფლება, მაშინ ისინი ვერ ახერხებდნენ თავისუფლების და სიმტკიცის შეერთებას. ერთი ორ დასაბამთაგანი ყოველთვის აკლდათ ფრანგებს: ამათ ხშირად ჭერლიათ მთავრობა, მიგრამ არა თავისუფალი, ამ გვარი მდგრადრება-კი არასოდეს არ მოსწონდათ ფრანგებს და უოკელთვის წინააღმდეგებოდნენ მას და მომავალშიაც წინააღმდეგებან, რადგანაც კაცი იქამდისან არ იქნება თავისუფალი, სანამ აღზრდილი არ იქნება და ეს აღზრდა-კი ის არ არას, რომელსაც სკოლაში კიძენთ... არა, იგი შესდგება თვით-განვითარებიდგან და თვით-მართველობიდგან. თუმცა საფრანგეთში მეტე გაძლიერდა და არისტოკრატია დასუსტდა, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც სჩაგრავდნენ ხალხს. ინგლისში ბატონ-ყმობა XVI საუკუნეში გაა-

უქმეს, საურანგეთში-კი იგი ორი საუკუნე კიდევ არსებობდა
და ეს საზიზღარი წეს-წყობილება მხოლოდ რევოლიუციაშ მოს-
პო. საფრანგეთში ბატონ-ყმობასთანვე დიდ-ხანს მეფობდა ძვე-
ლი განსხვავება წოდებათა შორის და სხვა ძველი ჩვეულებანი.
ყველა შემოსავლიანი ადგილები აზნაურებს ეჭირათ და მათ მი-
ნიჭებული ჰქონდათ მრავალი განსაკუთრებული წყალობანი;
ზოგიერთი მათგანი ისეთი უთავბოლო იყო, როგორც, მაგალი-
თად, არის უფლება მტრედების ყოლისა.

თან და თან გაძლიერება მივარეველობითი სისტემისა, ცხადად
სჩანს რაინდობის დაწესებიდამ. რაინდობა მაღალ-არისტოკრატი-
ული დაწესებულება იყო. რაინდობის მიღება მხოლოდ კეთილ-
შობილს შეეძლო, რომელსაც ამისათვის განსაკუთრებული მომ-
ზადება და აღზრდა უნდა ჰქონოდა. საზოგადოთ ფიქრობენ,
ვითომც რაინდობამ საზოგადოების ზნე და ხასიათი გააუმჯობესა
და ქალების გავლენა გააძლიერათ. მაგრამ რაინდობა მხოლოდ
ორი დასაბამის განხორციელება იყო—საეკულესიო და საარი-
სტოკრატიოსი,—რომელიც საზოგადოების განვითარებას ყო-
ველთვის აბრკოლებდა. საფრანგეთში რაინდობამ დაპბადა მრა-
ვალი ძმობა, რომელთაც ერთს და იმავე დროს სასულიერო და
არისტოკრატიული ხასიათი ჰქონდათ (ტამპლიერის რაინდები,
შ. იაკობის რაინდები და სხვ.); ესენი მხოლოდ სამხედრო თა-
მაშობით და ასპარეზობით იყვნენ გართულნი. საფრანგეთში რა-
ინდობა გაუქმდა 1560 წელს; ინგლისში-კი რაინდობის გავრცე-
ლება ძლიერ აღრე იყო შეფერხებული. ინგლისის საზოგადოება
იმდენად გულ-აურუებული იყო რაინდობაზე, რომ XIII სა-
უკუნეში გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც ზოგიერთნი პირ-
ნი ვალდებულნი იყვნენ რაინდობა მიეღოთ, წინააღმდეგ შემ-
თხვევაში მათ დიდი ჯარიმა უარდახდებოდათ. XIV საუკუნე-
ში მსაჯულებს სამოქალაქო სამსახურისათვის აძლევდნენ რაინ-
დობას. XV საუკუნის დამლევიდგან ძველი რაინდობა სრულიად

გაპერა და ინგლისში იგი თითქმის სასაკილოდ იყო აგდებული. საზოგადოთ ინგლისში მეფეები სცდილობენ მოსპონ არისტოკრატიის დამოუკიდებლობა და გავლენა. „ალის-ფერი და თეთრი კარდის“ ომის შემდეგ, რომელმაც ინგლისის არისტოკრატია ორ წინააღმდეგ ბანაკად გაჟყო, შთანთქა მათი ქონება და ბოლო მოულო შინა ამებს; ამ ომის შემდეგ მეფე პენრი VII და პენრი VIII მეტად ძლიერ სჩაგრავდნენ არისტოკრატებს და ამ ნაირად განახლებისათვის ნიადაგი მოამზადეს, რომელმაც XVI საუკუნეში მთელს ევროპაში დიდი პოლიტიკური ცვლილებანი მოახდინა. შევიწროებული არისტოკრატია და სამღვდელოება ერთმანერთს დაუკავშირდა თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ; ორივე წოდება ძველ გადმოცემებში და ლრმად ფესვ-გადგმულ ჩვეულებებში ეძებდა დახმარებას; ორთავეს სძაგლა პროტესტანტების სარწმუნოება და როდესაც არისტოკრატია ებრძოდა რეფორმის მომხრეებს, იმავ დროს სამღვდელოება მწვალებლებს სდევნიდა. მეფე ელისაბედი ხელავდა არისტოკრატების ქონსერვატიულ¹⁾ ხასიათს, ამისგამო იგი სცდილობდა მოქმედობა და სახელმწიფო სამსახურში მიეღო იმ გვარი პირნი, რომელნიც გონებით, განვითარებით და ენერგიით მაღლა იდგნენ. ელისაბედი ყურადღებას არ აქცევდა კეთილ-შობილებას, მაღალ-შთამომავლობას, დიდს ხარისხს. ელისაბედს საზოგადოდ აზნაურებისათვის მართებლობაში თანამდებობის მიცემა არ სურდა და არც ლირსეულად ეპურობოდა მათ. როდესაც პერკოგები დაიხოცნენ, ელისაბედმა აღარავის არ უბოძა პერკოგობის ხარისხი. შემდეგში იაკობ I და კარლოს II სცდილობდნენ აღედგინათ სამღვდელოების და არისტოკრატიის მნიშვნელობა; მაგრამ კარლოს პირველის ქცევამ, წინააღმდეგ უკვე განმტკიცებულ თავისუ-

¹⁾ კონსერვატიული არის არსებული წეს-წყობილების მომხრე; მეტოქე ყოველი ახლისა.

ფლების სიყვარულისა საზოგადოებაში, გამოიწვია ინგლისის დიდი ამბოხება. ამ ამბოხებას და იმავე დროს მომხდარ ფრონ-დების¹⁾ ომებს საფრანგეთში ჩვენ შემდე თავში განვიხილავთ.

თ ა ვ ი X.

ფრონდის წარუქატებლობა აიხსნება მფარველობითი სისტემით. ფრონდის ომის და თანამედროვე ინგლისის ამბოხების შე-დარღვა.

ინგლისის დიდი ამბოხება შესანიშნავია მით, რომ ის არის ბრძოლა არა მარტო პოლიტიკური დასებისა, არამედ წოდებათა დასებისაც. საფრანგეთის ამბოხება-კი, რომელსაც ფრონდს¹⁾ უწოდებენ, თუმცა ინგლისელებსავით თავისუფლების და თვითნებითი (დესპოტური) მართებლობის დამხობას ეძებდა, მაგრამ იგი მხოლოდ პოლიტიკური ომი და არა წოდებათა ბრძოლა იყო. ამისგამო ინგლისის და საფრანგეთის ამბოხებებს სულ სხვა და სხვა შედეგი მოჰყა. ინგლისში საქმე ხალხმა დაიწყო. ჯერ მე-ფეს ებრძოდნენ და მერე, როდესაც მეფეს არისტოკრატია და-ქმარა, ამ უკანასკნელსაც წინააღმდეგნენ.

ინგლისში ბრძოლის დაწყებისათანავე მცირე მიწის მფლობელნი და მრეწველები პარლამენტს მიემხრენ. მეფეს სამღვდელოება და აზნაურობა დაეხმარა. როდესაც წოდებათა მტრობა ჯერ კიდევ ცხადად არ სჩანდა, პარლამენტმა მაღალი წოდების პირნი დანიშნა სარდლებათ; მაგრამ მათმა საეჭვო საქმი-ელმა და თითქმის ცხადმა ღალატმა მაღე აუხილა თვალი პარლამენტს.

¹⁾ ფრონდა—ასე იწოდებოდა საფრანგეთში დასი, რომელიც წინა-აღმდეგა ლუი XIV-ის დედას, ანჟ უკეთ ვსთქვათ, კარდინალი მაზარინის გამგეობას.

ამის შემდეგ ხალხმა მოინდომა თავისივე ღონით საქმის წაყვანა და წინამდლოლებად თავიანთ მოძმეუბსვე ირჩევდნენ. ამ ცვლილებისათანავე ხალხის ბედიც შეიცვალა. ინგლისის ერმა ჟველგან დასცა მეფის მომხრენი და თვით მეფეც ტუვედ წაყვანა. იმ დროს უდიდესნი სარდლები და შესანიშნავი პირი სულ ხალხის შვილები იყვნენ. ჯაისი, რომელმაც მეფე დაატყვევა, წინად მკერვალი იყო; პოლკოვნიკი არაიდი, რომელმაც ბოროტის-განმძრახველნი განდევნა პარლამენტიდგან, იყო მეურმე. მეფობის დამხობის შემდეგ უდიდესი გავლენა ჰქონდა ასე წოდებულს „მეხუთე მეფობის დასს“, რომლის მეთაურენი იყვნენ მეკასრეები, ხუროები და ფარეშებად ნამყოფნი. თვით კრომველი იყო ლუდის მხდელი; პოლკოვნიკი ჯონის და ამირბარი დინი—მოსამსახურენი; სახელმწიფოს საბჭოს წევრნი: ტიბერინი—მეპურე, სეჭე—ბაყალი და ამ გვარათვე მრავალი უწარჩინებულესნი თანამდებობანი სულ მდაბიო ხალხის შვილებს ეჭირათ. ამას ჩვენ არ უნდა უცქეროდეთ, როგორც შემთხვევითს საქმეს. იმ დროში ამაღლება დამოკიდებული იყო მხოლოდ პირად ლირსებაზე და თუ კაცს ნიჭი ჰქონდა, ის დარწმუნებული იყო, რომ ამაღლდებოდა, რა ხელობისაც უნდა ყოფილიყო ის. ამ გვარი იყვნენ ინგლისის წინამდლოლნი, ანუ უკეთ რომ ვსოდვათ, ის იარაღი, რომლითაც მოხდა ამბოხება ინგლისში.

საფრანგეთში სულსხვანაირად მიღის საქმე; იქ ხალხი შეჩვეული იყო მაღალი წოდების მფარველობის ქვეშ ცხოვრებას; ამიტომ საფრანგეთში ეროვნული მოძრაობის სათავეში სდგანან მაღალი წოდების წარმომადგენელნი: პრინცები, ჰერცოგები, მარკიზები¹) და გრაფები. თავისუფლებისათვის ბრძოლის დროს ეს უცნაური დაახლოვება ხალხისა არის ტოკრატებთან აიხსნება მით, რომ მრავალ

¹ მარკიზი—აზნაურთ წოდებაა საფრანგეთში და იტალიაში, საშუალებ ჰერცოგსა და გრაფს შუა.

საუკუნეთა განმავლობაში დაჩაგრული ხალხი ყოველთვის კრძალვით და მოწიწებით შესცეროდა მაღალ წოდებას და მისგან მოელოდა პირველ სიტყვას და პირველ მოქმედებას. ყოველ განსაცდელ წუთში ხალხი არისტოკრატებისგან მოელოდა ხსნას, მაგრამ არისტოკრატობა ხალხის საქმის წარმატებაზე სრულიადაც ირ ფიქრობდა; იგი მხოლოდ დიდებას და პატივს ეძებდა. ამის დასამტკიცებლად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. საფრანგეთის არისტოკრატიას ძლიერ აღელვებდა და, მათ შორის დიდ უთან ხმოებას ჰქადავდა, ის კითხვა, თუ ვის აქვს ნება იდგეს წინაშე მეფისა. არისტოკრატიას ეს იმისთვის დიდ და საყურადღებო საქმედ მიაჩნდა, რომ მასთან შედარებით თავისუფლებისათვის ბრძოლა სრულიად უმნიშვნელო მიაჩნდა. საფრანგეთის სამფონ სახლობის ძველი წესით დედოფლის წინაშე მხოლოდ იმ აზნაურების მეუღლებს შეეძლოთ დაჯდომა, რომელთაც ჰერცოგზე არა ნაკლები წოდება ჰქონდათ. რედესაც ლუი XIII დროს „ბულიონის“ მეგვარეთა მანდილოსნებს დედოფლის წინაშე დაჯდომის ნება მისცეს, მაშინ ამან ისე ააღელვა მთელი აზნაურობა, რომ ისინი აჯანყებას აპირებდნენ; ამისგამო, „ეს დიდი ლირსება“ სხვათაც ებოდათ. 1648 და 1649 წლებშიაც ამ გვარივე შემთხვევა მოხდა. დედოფალმა რამდენიმე გვარის მანდილოსნებს თავის წინაშე დაჯდომის ნება მისცა. ამ შემთხვევამ ისე ააშფოთა მთელი აზნაურობა, რომელთაც თავისთვისაც სურდათ ამ ლირსების მოპოვება, რომ დედოფალი იძულებული შეიქმნა საჯაროდ გამოეცხადებინა, რომ იგი ამ განსაკუთრებულ უფლებას მანდილოსნებს უკან ართმევს. აზნაურობა ამაზე იხეთქავდა თავს და უდიდეს კამათობას იწვევდა იმ გვარ კითხვებზე, თუ ვინ არის ლირი, რომ მეფის სუფრაზე მიწვეული იყოს, ვინ უნდა ეამბოროს დედოფალს, რა ლირსებისა უნდა იყოს ის პირი, რომელსაც ნება აქვს მეფის სასახლის ეზოში ეტლით შევიდეს, ვის მიენიჭება ის დიდება, რომ მეფეს სუფრაზე ხელ-

შესაწმენდი მიართვას, ვინ უნდა სარგებლობდეს დაუფასებელი უალრესობით, რომ დედოფალს თეთრეული გამოუკვალოს და სხვა, და სხვა. ამ გვარ საგნებს ჰქონდა დაპყრობილი საფრანგეთის აზნაურების გონება და ამაზე ალევდნენ ისინი თავის დროს და ღონებს იმ დროს, როდესაც მათ სამშობლოს შინაომი ბძარვიდა და როდესაც გადასაწყვეტი იყო იმ გვარი უდიდესი კითხვები, როგორც ერის თავისუფლება და სახელმწიფოს მართებლობის შეცვლა. ამის შემდეგ ცხადია, რატომ ფრონდის ომმა ეროვნული საქმის წარმატება ვერ შესძლო, როდესაც ამ ომში მეთაურობდა მაშინდელი აზნაურობა. განა მათ შეეძლოთ გონიერი საქმის წინამძლოლობა? ინგლისში-კი ხალხის მეთაურნი ვიწრო და პირად ანგარებისაგან თავისუფალნი იყვნენ. იმათ იცოდნენ, რომ მათ აქვთ მინდობილი დიდი საქმე და კარგათაც შეასრულეს იგი: ისინი იბრძოდნენ იმ დრომდე, სანამ თვით-ნებობითი მართებლობა არ დაამხეს. და, თუმცა არც ისინი იყვნენ შეუცდომელნი, მაგრამ ჩვენ მაინც მოწიწებით უნდა მოვიხსენიოთ ის პირნი, ვინც პირველი გაკვეთილი მისუა ევროპას და დაანახვა, რომ ძველ თვით-ნებობას და მტარვალობას ბოლო მოეღო.

თ ა ვ ი XI.

დუი XIV-ეს მფარგელთათი სისტემა შეაქვს მწერლობაში.
გონებითი მუშაკთა და მთაგრობის ჯაგშირის შედეგი.

ახლა მკითხველი, რასაკირველია, მიმხვდარი იქნება, თუ რა ნაირად, ერთის მხრით, მფარველობითმა სისტემამ და, მეორე მხრით, ამასთანვე შეერთებულმა მორჩილებრივმა გრძნობამ, რომელსაც ინგლისში არ იცნობდნენ, მოიპოვეს საფრანგეთში ძალა, და ამ ორი ქვეყნის ისტორიის მსვლელობაში დიდი განსხვავება მოახდინეს. ჩვენ ახლა განვიხილავთ ამ სისტემის გავ-

ლენის ნაყოფს საფრანგეთის გონებრივ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურს ისტორიაში.

მორჩილებრივმა გრძნობამ, რომელიც მფარველობითი სისტემის შედევრია, დაპირი ის აზრი, რომ მორჩილება მართებლობისადმი, რომელიც პოლიტიკურს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე არსებობდა, უნდა მწერლობაში და მეცნიერებაშიაც ყოფილიყო შეტანილი. მორჩილებრივი გრძნობა, რომელიც საზოგადოებაში ფრონდის ომის დაწყებიდგან მეფობდა, ომის მოსპობის შემდგომ ხანებშიაც სრულს თავის ღონები დარჩა. ამისგამო, ლუი XIV-თვის ძნელი არ იყო მფარველობითი სისტემის უმაღლეს წერტილამდინ მიყვანა. გარუვნილი, უსინიდისო და გულ-ძვირი მეფე არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, ოლონდ-კი დაემონა თავისი ქვეშევრდომების გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური ძალა. მეფე სამღვდელოებას მჭიდროდ შეუერთდა, გააუქმა ნანსის ედიკტი, მოულოდნელად მიუსია პროტესტანტებს მთელი ხროვები გარუვნილი და თავხედი მხედრებისა და ბარბაროსული ულეტა განაახლა, რომელმაც განდევნა საფრანგეთიდგან ნახევარი მილიონი შროშის-მოყვარე ხალხი. ლუი XIV საშინელი გადასახადებით დასტვირთა ხალხი; მეფე ჯარის გასაძლიერებლად და შესავსებლად საზოგადოებას ართმევდა საუკეთესო მის ძალას, ათი-ათასობით გაჰყავდა მას ახალგაზდები. მეფე მეტად უგუნურად ჰყლანგავდა სახელმწიფოს სიმდიდრეს.

რაც შეეხება მწერლობას, უნდა ვსთქვათ, რომ ლუი მე-XIV მფარველობას ძლიერ ცუდი გავლენა ჰქონდა მასზე. მეფემ მწერლობისათვის დაწესა. სხვა და სხვა ჯამაგირები, თანამდებობანი და ხარისხები. მან მწერლობა საკუთარი საანგარო მიზნების შესასრულებელ იარაღად შექმნა და საზოგადოებამაც შეითვისა თან და თან ის აზრი; რომ ლირსეული მხოლოდ ის

თხზულებაა, რომელიც მართებლობისაგან მოწონებული და და-
საჩუქრებულია.

ჩვენ აქ უნდა ვსთკვათ ისიც, რომ საზოგადოთ მართებლობა არა-
ვის არ უნდა ჰქონდეს. ორი დიდი დასახამი, რომელიც ქვეუ-
ნიერებას ამომავავს არის: სიმდიდრის სიუკარული და ცოდნის
სიყვარული. ამ ორი დასაბამის წარმომადგენელნი შეადგენ არ
დასს, რომლიდგანაც შესდგება უველა განათლებული ქვეყანა. როდესაც ამ ორში ერთს რომელიმეს, მაგალითად, მწერლობას,
მართებლობა განსაკუთრებით ჰქონდელობს, მაშინ ის მთელს სა-
ზოგადოებას ზიანს აძლევს და თვით მწერლობასაც ზნეობით-
აქვეითებს.

საფრანგეთის საუბედუროთ ეს მავნეპელი წეს-წყობილება
სუფევდა იქ ნახევარი საუკუნის განმავლობაში. მან შეაჩერა და
დააქვეითა წინანდელი ცოდნის და მეცნიერების წარმატება, რო-
მელიც აყვავდა რიშელიეს და მაზარინის დროს. მწერლები ისე
უსკად დასაჩუქრებული არასოდეს არ უოფილან მეფისაგან, როგორც
ფური მე-XIV დროს, მაგრამ ამისთანავე არც ვასე სულით დატავნი,
მოხანი და უნიჭონი არასოდეს არ უოფილან, როგორც მის დროს
მწერლები ცოდნის მოციქულობის და ჭეშმარიტების მქადაგებლების
ნაცვლად მოხებად შეიქმნენ.

მართლაც, როგორ შეუძლიანთ მეფეებს და მინისტრებს,
რომელიც თავიანთი საქმეებით არიან გართულნი, დააფასონ
მეცნიერების ცოდნა, რომლის შესასწავლად ხშირად მთელი სი-
ცოცხლეა საჭირო? და თუ მეფე ისურვებს თავისი ხელით სწა-
ვლულების დასაჩუქრებას, სადა აქვს მას მოცული იმისთანა უმნი-
შვნელო. საგნებისათვის, როგორიც არის ფილოსოფია და მეც-
ნიერება, როდესაც მან უნდა შეისწავლოს იმისთანა დანელი საგ-
ნები, როგორც მაგალითად, აზნაურების ჩამომავლობა და წო-
დებათა ღირსებაა; ორდენების, ჯვრების და მენდლების მნიშვნე-
ლობაა! ლუი XIV-ის დანამედროვე მწერლების ისტორია

გვიმტკიცებს, რომ თუმცა მწერლები ლრმად მსწავლულნი და დიდი ნიჭის პატრონნი იყვნენ, მაგრამ უამთა ვითარებას მაინც ვერ წინააღმდეგნენ. ისინი მზად იყვნენ თავიანთი სულიერი და-მოუკიდებლობა შეეწირათ,— და კიდეც სწირავდნენ; — ოღონდ-კი მოეპოვათ მეფის მოწყალება.

მწერლობა არის გონიერი ნაყოფი, პროგრესიული საგანი, მართებლობა-კი წარმოადგენს წყობილების უძრავ საგანს. სანამ ეს ორი დიდი ძალა განცალკევებულია, ისინი ერთი მეორის მოქმედებას და გავლენას ასწორებენ და აუმჯობესებენ და ამ დროს ხალხის ბედ-ილბალიც მარჯვე ნიადაგზეა დამყარებული. მაგრამ, თუ მართებლობა და მწერლობა ერთი მეორეს შეუკავ-შირდა, მაშინ ამის აუცილებელი შედეგი იქ იქნება, რომ პო-ლიტიკური მტარვალობა და მწერლობაში მონური გრძნობა ფეხს გაიდგამს.

ლუი XIV-ის თანამედროვე შესანიშნავი მეცნიერნი: დე-კარტი, პასკალი, ფერმოტი, გასენდი და კერსენი, რომელთ თხზუ-ლებებით ახასიათებენ ამ მეფობას, შრომობდენენ მაშინ, რო-დესაც მეფე ჯერ ბავშვი იყო და მფარველობით წესს არ შეე-ლო მათზე გავლენა? ჰქონდა. სხვა მეცნიერნი, გამომგონებელ-ნი, როგორც, მაგალითად, ვარვსკვლავთ-მრიცხველნი კასსინი, ჟემერი, გუმენსი და სხვები უცხოელები იყვნენ და საფრანგეთში მიწვეულნი იყვნენ მართებლობისაგან. ფიზიოლოგიაში, ანატო-მიაში და მედიცინაში ლუი XIV-მდის საფრანგეთმა დაპირ-მოვალი შესანიშნავი მსწავლული: ჰერე, ჰაოლანი, ფერნელი, ჟებერი, პარე და ბაილუ და თვითონ ლუი XIV მეფობის დროს-კი მათ არ ჰყოლიათ არც ერთი ლირსეული მემკვიდრე. ესევე ითქმის ზოოლოგიაზე, ქიმიაზე და ბოტანიკაზე. ინგლის-კი იმ ხანში მრავალი გამოჩენილი მსწავლული ჰყავდა. ამ გვარი იყო მფარველობითი წესის შედეგი საფრანგეთისთვის. ლუი მე-XIV სიკვდილის დროს თითქმის არც ერთი შესანიშნავი მწერალი

აღარა პყავს საფრანგეთს. ის გამოჩენილი მწერლები, რომელთაც
მთელს ევროპაში სახელი გაითქვეს, ლუის მეფობის პირველ
ხანებში დაიხოცნენ. ამ წესის პოლიტიკური და საზოგადოებ-
რივი ნაყოფი იყო შემდეგი: სამეფოს ნიჭიერი მმართველნი და
პოლიტიკოსები აღარ მოიპოვებოდნენ. ბოროტ-მომქმედნი სარ-
გებლობდნენ დროთი და რაცა სურდათ, იმას სხადიოდნენ;
ხაზინა ცარიელი იყო და სახელმწიფოს აუარებელი ვალი აწვა.
ზნეობით დაცემული და გაღატაკებული ხალხი ძლიერ ემდურო-
და მართველობას. გარეშე მტერი ადგილების წართმევას და
დაწილკებას უქადდა საფრანგეთს.

თ ა ვ ი XII.

დუი XIV სიკვდილა. რეაქცია წინააღმდეგ მფარგელობითი
წესისა და საფრანგეთის რეგოლიუციის მომზადება.

ლუი მე-XIV მოკვდა. როდესაც ნამდვილად გაიგეს, რომ
მეფემ სული განუტევაო, ხალხი დიდ სიხარულს შეეცა. მძლავ-
რობა, რომელიც სტანჯავდა ხალხს, გაჰქრა. ამის შემდეგ დადგა
რეაქცია და უმეტესობა მიეცა თავხედობას და გარყვნილობას. მაგრამ ზნეობით დაცემულ უმეტესობისაგან განირჩევოდნენ
რამდენიმე მაღალ-განვითარებულნი ახალგაზრდები, რომელთაც
სულით და გულით სურდათ თავისუფლების იდეების განხორ-
ციელება. ამ ახალგაზრდებმა პირველად მიაქციეს ყურადღება. ინგ-
ლისის- ცივილიზაციის წარმატებას, რომელიც იმ 54 წლის გან-
მავლობაში მომხდარიყო, როდესაც საფრანგეთის ხალხი ღრმა
ძილს იყო მიცემული.

ლუი მე-XIV სიკვდილის შემდეგ არ მოიპოვებოდა ისეთი,
ცოტათ თუ ბევრად, ცნობილი ფრანგი, რომელსაც ინგლისში
არ ემგზავრა და ინგლისური ენა არ შეესწავლა. საფრანგეთის
მრავალმა შესანიშნავმა მეცნიერმა შეისწავლა ინგლისის მწერ-

ლობა და გააცნო ფრანგებს ინგლისელების შესანიშნავი თხზულებანი. აგრეთვე საფრანგეთის რევოლუციის პირველ-ხარისხოვანმა მოღვაწეებმა შეისწავლეს ინგლისური ენა, მწერლობა, საზოგადოებრივი ცხოვრება და სამთავრო წეს-წყობილება¹⁾). თვით ორლეანის ჰერცოგმა, როდესაც ინგლისი ინახულა, თავის არისტოკრატიულ სიამაყეს მოუკლო და თავისზე დაბალ პირებს წინანდელზე ბევრად უკეთესად ეპყრობოდა. ამ გვარად ინგლისში პოლიტიკური თავისუფლების პირველი გაკვეთილი მისცა საფრანგეთს და შემდეგ მის შემწეობით ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც.

საფრანგეთის ცივილიზაციის ახლად აღორძინების შედეგი იყო მართებლობის და მწერლობის წარმომადგენელთა შორის ბრძოლა. მართებლობას ძვალში და რბილში გამჯდარი ჰქონდა წინანდელი მეფობის შეხედულობანი. იგი ვერ შეურიგდებოდა ინგლისიდგან გადმოტანილს თავისუფალ აზრებს და მის გავრცელების მოსპობისთვის ყოველ-გვარ ლონისშიებას იხმარებდა.

ლუი მე-XIV სიკედილის შემდეგ, 70 წლის განმავლობაში, საფრანგეთის მართებლობამ ათში ცხრა მწერალს მაინც მიაყენა შეურაცხყოფა; უმეტესი მათგანი საპყრობილები დაპატიმრებული ყოფილან. კლუტერ სამჯერ იყო დაპატიმრებული ბასტილიაში. ერთმა დიდი გვარის შვილმა, არამზადამ, სრულიად უმიზუშიდ შეურაცხყოფა მიაყენა ვოლტერს და ერთხელ ქუჩაშიაც-კი გალახა ეს დიადი მწერალი. ვოლტერის თხზულებასაც ასეთივე სამზ.

1) აქ ბოკლს ჩამოთვლილი აქვს ორასზე მეტი (213) საფრანგეთის მაშინდელი ცოტათ თუ ბევრად გამოხენილი პირი, რომელთაც ინგლისურო ენა სცოდნიათ. ჩვენ აქ ზოგს მათგანს დავასახელებთ: მეცნიერნი: ვოლტერი, მაონტესკიე, დენი დიდრო, გელვეცი, დელამბერი და სხვანი; — რევოლუციის მოღვაწენი: ლაფაიეტი, მარატი, კონდინერსე, მანდილოსანი როლანი და სხვანი.

წუხარო ბედი ეწვია: იმისი პირველი ისტორიული თხზულება „კარლოს XII“და წიგნი, რომლითაც მას ჰსურდა გაეცნო ფრანგებისთვის ნიუტონის მეცნიერება, ალკრძალეს. მისივე „ფილოსოფიური წერილები“, რომლებშიაც ვოლტერი ინგლისის წესწყობილებაზე სწერდა, ჯალათის ხელით იქმნა დამწვარი. უანუაკ-რუსო საგრანგეთიდგან განდევნეს და მისი თხზულებანი დასწვეს. გაღვეცი აიძულეს უარი ეთქვა თავის შესანიშნავ თხზულებაზე „გონებაზე“, რომელიც აგრეთვე საჯაროდ დასწვეს. დანეუჯანე თავის თხზულებაში „იოსებ II“ ამბობდა, რომ ბატონ-ყმობა მოსპობილ უნდა იყოსო; ეს წიგნი იყო ცნობილი, როგორც ხალხის გამრყვნელი და ამისგამო თხზულება დასწვეს. დელილ დე-სანი სამუდამოდ განდევნეს სამშობლოდგან და მისი ქონება სახელმწიფოს გადაეცა, რადგანაც მან დასწერა „ბუნების ფილოსოფია“. დეფორუი სწერდა, რომ ინგლისის ტახტის მოცილე უბრალოდ დააპატიმრესო. ეს აზრი დეფორუს დიდ დანაშაულობად ჩაეთვალა. იგი სამი წლით იმისთანა ვიწრო ხერელში ჩააგდეს, სადაც წოლა შეუძლებელი იყო. ვინმე კურიმ დასწერა ჰერცოგ დომინიზე (სატირა¹), რომელიც მორმონ-ტელმა თავის მეგობრებს წაუკითხა. ამისგამო მორმონტელს აუკრძალეს უურნალის გამოცემა. დენი დიდროს პირველი თხზულება ჯალათის ხელით იყო დამწვარი; მეორე თავის თხზულებაში დიდრო ამტკიცებდა, რო ბრძების გონებრივი წყობილება განირჩევა თვალ-ხილულების გონებრივ წყობილებისაგანაც; მართებლობას ეგონა, რომ დიდრო ჩვენზე სწერსო და ამიტომ დააპატიმრეს იგი²).

¹) სატირა — თხზულებაა ერთ-გვარი, რომელშიაც სასაცილოდ არის ჯდებული საზოგადოების რომელიმე მავნე ზნენი და ჩვეულებანი, რათა შეაზიშლოს ისინი ხალხს.

²) აქ ბოკლ ჩამოთვლილი აქვს სამოცამდე სხვა და სხვა ავტორების თხზულებანი, რომელნიც მთავრობისაგან იყვნენ ალკრძალულნი.

ვეონებ, საქმარისი საპუთები მოვიყვანეთ იმ დაბრკოლებათა შესახებ, რომლის გავლენის-გამო საფრანგეთის მართებლობამ ყველა ნიჭიერი პირები თავის მოპირდაპირე მტრად შექმნა და ბოლოს მთელი საფრანგეთის გონებრივი ძალა გადიმტერა. მაგრამ მე მაინც მოვიყვან ერთს მაგალითს იმის შესახებ, თუ რა ნაირად, მაღალ წოდებათა უინის მოსაკლავად, თვით ოჯახებსაც აუპატიურებდნენ. საქსონელს, მორიცს, შეუყვარდა მსახიობი ქალი, შანტილი; მაგრამ ეს უკანასკნელი გაჰყვა ცოლად ერთს მწერალს, ფავარს. მანდილოსნის საქციელმა მეტად განარისხა მორიცი და მან მიმართა საფრანგეთის ტახტს, რომელმაც დაუყოვნებლივ უზოდა მორიცს ფირმანი, რომლის ძალითაც ფავარს თავის კანონიერი ცოლი მორიცისთვის უნდა გარდაეცა. ბედკრული შანტილი იძულებული შეიქმნა მორიცის ალერსს და მორჩილებოდა. ეს იმ გვარ საქციელს ეკუთვნის, რომელიც ადამიანს სისხლს ყელში მოჰვერის. საფრანგეთის უკეთესნი შვილნი ზიზლით უცქეროდნენ მართებლობის ყოფა-ქცევას. მართებლობა-კი თავის შემაძრწონებელ სისტემას არ სტოვებდა. 1767 წელს ალკრძალული იყო საზოგადოთ ყველა იმ თხზულებების გამოცემა, რომლებიც სამმართველო კითხვებს შეეხებოდა. სამი წლის შემდეგ გამოცხადებული იყო, რომ მართებლობის წინააღმდეგ დაწერილი თხზულებების ავტორები სიკვდილით დაისჯებიანო. თართებლობის ერთმა წევრმა შემდეგი წინადადება შეიტანა: წიგნების გამოცემის ნება აღარავის არ ჰქონდესო და მოისპოს ყველა ის თხზულება, რომელიც მართებლობამ არ მოიწონოს და არ დაასაჩუქროსო.

ყველა აქ ნაჩვენი თვით-ნებობის და მტარვალობის წესწყობილებანი, რომელნიც თანამედროვე საზოგადოებას მეტად აღელვებოდნენ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის თავი მცხეზი იყო. მაგრამ საჭიროა ცალკე განვიხილოთ ერთი შეტად საყურადღებო გარემოება, რომელმაც ეს დიდი ამპოხება მოამზადა,—

— ეს არის ქრისტიანობის წინააღმდეგ გამოლაშერება, რომელიც უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე მოძრაობა წინააღმდეგ პოლიტიკური თვით-ნებობისა და მტარვალობისა. ჩვენ წინეთ უკვე განვიხილეთ ის მეტად საგულისხმო ისტორიული ფაკტები, რომლის გავლენის ქვეშ ფრანგები ძველს დროიდგან მოწიწებით უცქეროდნენ თავიანთ მეფეებს და თითქმის ყველა მათგანს შემამკობელ სახელებს უწოდებდნენ: „მშვიდი“, „წმინდა“, „მართლმაჯული“, „დიდებული“, და ყველაზე უფრო თავხედ და გარუვნილ მეფეს „მრავალ-მოყვარე“ დაარქვეს. ასე ღრმად ჩანერგილი გრძნობის შეცვლა ადვილი არ იყო. ფრანგებმა ძველადვე შეითვისეს ის აზრი, რომ ხალხის დიდებას და მეფის სახელს ფრიად მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთში. ეს შეხედულება ძნელად აღმოიფხვრებოდა, მით უფრო, რომ მართებლობა ყოველ პროგრესიულ მოძრაობას სდევნიდა.

სამაგიეროთ, თავ-გასულია და ბიწიერმა სამღედლოებამ თავისი ძველი პოლიტიკური გაელენა დაჲკარგა. ჩადადგა ფამი, როდესაც სამღედლოებას უნდა მიეღო თავისი ხანგრძლივი თვით-ნებითი საქციელის სამაგიერო. სასულიერო წოდების მტარვალური საქციელი ხალხს კარგად ახსოედა. მაღალ-ნიჭიერნი მწერალნი, რომლებმაც ახლა იჩინეს თავი სატრანგეთში, ფრიად აღელდნენ, როდესაც ნახეს, რომ იმ სამღედლოებას, რომელსაც პატიოსნება სრულიად არ მოეპოვებოდა, ხელში ჩაეგდო განუსაზღვრელი უფლება კაცის სიჩილისზე. ეს იყო მიზეზი, რომ რევოლუციონურმა მწერლობამ ამჯობინა თავ-დაპირეელად სამღედლოებას წინააღმდეგომოდა, მასთან დაეწყო ბრძოლა და მხოლოდ მის შემდეგ პართებლობისათვის მოეკიდა ხელი. საუბედუროთ, მწერლობა ლიდათ შესცდა, რაღანაც სამღედლოების დევნის-თანავე, მათ დაჲკარგეს სარწმუნოების პატიოს-ცემა. გარდაწყვიტეს რა სამღედლოების მნიშვნელობის შეფერხება, მათ ამასთანავე სურდათ ქრისტიანობის საფუძვლის

შერყევა. ეს მოხდა მიტომ, რომ ხალხს ვერ შეეგნო ის აზრი, რომ სარწმუნოების და ეკულესის მმართველთა შორის განსხვავება. არსებობს. ხალხს ეგონა, რომ სამლელოების და სარწმუნოების ინტერესები ერთი და იგივეა. ცხადია, რომ ამ დღიდი მღელვარების შემდეგ დიდი ჩევოლიუცია უნდა მომხდარიყო. მართებლობა გრძნობდა განსაკლელს და სცდილობდა-თავისი პოლიტიკის შეცვლას და ასუსტებდა ამლელოების ძალას, მაგრამ ამაოდ. მართებლობამ გააუქმა იქსოელების (იეზუიტების) ძმობა, დაიახლოვა პროტესტანტები, პპირდებოდა ხალხს გადასახადების სწორედ გაწერას და ზოგიერთი მავნებელი, კანონების გაუქმებას და, დასასრულ, მართებლობამ მოახდინა. საერთო კრება ხალხის წარმომადგენელთა, რომელიც 170 წლის, განმავლობაში არ შეკრებილიყო. მაგრამ ყველა ამ გვარი ცდა ახლა გვიან იყო, რაღაც მორიგების დრო სამუდამოდ და-ჰყარება და დადგა ბრძოლის ხანა...

თ ა ვ ი XIII.

ისტორიული მწერლობის მდგრადარება საფრანგეთში XVI საუკუნის დამლევიდგან XVIII საუკუნის დასასრულდამდინ.

იმ დიდმა გონებრივმა მოძრაობამ საფრანგეთში, რომელიც ჩენ აქამომდე დავასურათეთ, ისტორიის წერის მეთოდშიაც დიდი ცელილება მოახდინა. თითქმის XVI საუკუნის დასასრულამდინ, ანუ დუ-ჟაიანის „საფრანგეთის მეფეების ისტორიის“ დაწერამდინ, საფრანგეთის არ ჰყავდა არც ერთი მწერალი, რომელიც უკვე მოგროვებულ და მრავალ-გვარ ისტორიულ მასალებს კრიტიკულად შექვებოდა. თეთი დუ-ჟაიანმა, რომელიც თავისი თხზულება 1576 წელს გამოსუა და თავის დროზე დიდი ისტორიკოსის სახელი გაითქვა, მეტად ცოტა დამოუკიდებლობა გამოიჩინა. იგი ხელმძღვანელობდა იმ გვარი წყარო-

ებით, როგორც, მაგალითად, იტალიელის, ემილის, ისტორია, რომელიც საესეა შეუსაბამო ფაკტებით და ამბებით. მხოლოდ 1588 წელს გამოვიდა მონტენის შესანიშნავი თხზულება, რომელშიაც სკეპტიკური მიმართულება პირველად აღმოჩნდა. მონტენის შემდეგ, 1604 წელს, დე-ტუამ და სუიდა გამოსცეს თავიანთი ისტორიული შრომები, რომლებიც დაგვისაჲ სხანს, რომ სკეპტიკურს შეხედულობას ძლიერი გავლენა მოუპოვებია ისტორიულ მეთოდზე. სციპიონ დუპლემ 1621 წელს გამოსცა საფრანგეთის ისტორია, რომელშიაც პირველად იყო ნაჩვენები ისტორიული ფაკტების დამსაბუთებელი წყაროები. 1699 წელს ფა-პრეპლინერმა გამოსცა პარისში წიგნი — „ისტორიის ისტორია“, რომელშიაც ავტორი თვით ისტორიკოსების თხზულებებს კრიტიკულად განიხილავს. გარდა ამისა იმავე წელს გამოიცა რამდენიმე ისტორიული თხზულება. მაგრამ ყველა ამათზე მაღლალა სფგას შეზერე თავისი „საფრანგეთის ისტორიით“, რომელიც XVII საუკუნის ნახევარში გამოიცა. „საფრანგეთის ისტორიის“ ავტორს უცნაური და ზღაპრული აშშების სიმართლე არ სჯერა. მეზერეს უფრო ხალხის მხარე უჭირავს, ვიდრე მართებლობისა და სცდილობს ხალხთა და არა მეფეთა ისტორიის დაწერას, სამწუხაროთ, რაც ჩვენ უკვე ენახეთ, ლუი მე-XIV მეფობის დროს საფრანგეთის ცივილიზაციის წინ-მსვლელობა ერთბაშათ შექრდა. ამ მეფის მფარველობითი წესი ისტორიულ მწერლობასაც შეეხო და ამაზედაც იმ გვარივე ცუდი გავლენა იქონია, როგორც მეცნიერების სხვა ნაწილებზე.

სიბერის დროს მეზერეს ხაზინიდგან დაუნიშნეს წელიწადში 4,000 ფრანკი; მაგრამ, როდესაც მან თავისი პატიოსნება გამოიჩინა და არ გადათქვა ის, რაც წინად დაეწერა, მას ჯერ 2000 ფრანკი და მერე მთელი ჯამაგირი წაართვეს. ლუი XIV შეილის-შეილის ოსტატმა, ფენელონმა, დასწერა ცნობილი რომანი „ტელემაკი“, რომელშიაც, მეფის აზრით, ავტორი მართე-

ბლობის საქციელს ჰკიუხაესო; ფენელონი მეფემ სასახლიდგან გააგდო. ლუი XIV-მ სამს მწერალს შეუკვეთა იმ ნაირი ისტორიის დაწერა, რომლითაც მეფის დიდების სახელი საშეილიშვილოდ უნდა დაჩინილიყო. ავტორებს მეფე დიდს საჩუქრებს ჰპირდებოდა. ერთმა მათგანმა, იტალიელმა ჰრიმიშ დასწერა ამ გვარი ისტორია იტალიანურს ენაზე, რომელიც შემდეგ ფრანგულად გადმოთარგმნეს; მაგრამ ამ თხზულებაში იმ გვარი ფაკტები იყო მოხსენებული, რომელნიც, მეფის აზრით, საჯაროდ არ უნდა გამოცხადებულიყო: ამისგამო პრიმის თხზულება მეფემ ალკარძალა და თვით ავტორი ბასტილიაში ჩასვეს. დანარჩენი ორი მწერალი, თუმცა საჩუქარს იღებლნენ, მიგრამ ისტორიის დაწერა არც-კი უფიქრიათ. ამის შემდეგ გასაკვირველი არ იქნება, თუ ეიტყვით, რომ ლუი XIV დროს ისტორიული მწერლობა თან და თან ქვეითდებოდა. მაშინდელ ისტორიულს თხზულებებში ყოველი მეფე გმირად არის გამოყენილი და ყველა ეპისკოპოსი წმინდანად. ისტორიკოსები ვერ ბედავდნენ დამოუკიდებელი აზრის გამოთქმას და ეს, მეცნიერების კველაზე უმაღლესი და უძლიერესი ნაწილი—მეცნიერება კაცობრიობის განვითარებაზე—ჩაუვარდა ხელში იმ გვარ უნიჭოდა მლიქენელ ისტორიკოსებს, როგორიც იყვნენ ბულენ კილი, დანიელი, მემბურა და სწე.

რომ მკითხველმა სრული წარმოდგენა იქონიოს ისტორიული მწერლობის მდგოძარეობაზე საფრანგეთში XVII საუკუნის მეორე ნახევარში, საკმარისია განვიხილოთ მაშინდელი უპირველესი ისტორიკოსების, ოდიფიეს და ბოსუეტის, თხზულებანი. ოდიფიე, სხვათა შორის, მოგვითხრობს, რომ ჟალიას¹⁾ დამაარსებელი იგივე ნოე მაჩა-მთავარი იყოვო. ალექსანდრე მაკედონელმა ვერ გაბედა სკვითებთან ომიო, რადგანაც ისინი

¹⁾ ჸალი—ძველად საფრანგეთს ეწოდებოდა.

²⁾ სკვითია—ახლანდელი რუსეთი.

საფრანგეთის ქვეშევრდომნი იყვნენო. იმ დღდ ერისაგან, რომელმაც ახლანდელი საფრანგეთი დაიჭირა, წარმოიშვა ლმერთები, ყოველ-გვარი ხელოვნება და მეცნიერებათ. ანტექტისტე სწორედ მაშინ გაჩნდება, როდესაც საფრანგეთის მეფობა დაიცუვაო. ამ აზრის დაზოგვეა, ამბობს ოდიეი, შეუძლებელია, რადგანაც მას მრავალი წმინდანი მოწმობსო და პავლე მოციქულს თავის ეპისტოლეში სოლონიკელებთან ამაზე ცხადად აქვს ნათქეამიო. საზოგადოთ იდიეი განურჩევლად თაყვანს სცემს ყველა მას, რაც შეეხება სამღედლოებას და სამეფო კარს.

ბოსუეტი უცილოდ დიდი გენიოსი იყო, მაგრამ თანამედროვე ცრუ-მორწმუნეობას მასზედაც დიდი გავლენა ჰქონდა. თავის ისტორიულს თხზულებებში ბოსუეტი სამღედლოებისაგან გამოგონილ ზღაპრებზე ისე სწერს, როგორც ნამდეილად მომხდარ ამბებზე; ძველის-ძველ ისტორიულ გარდმოცემების შესახებ მას ეჭვიც არ შეაჭვს და იმათ ქრონიკულად განმარტებას სცდილობს. ბოსუეტი დიდ ყურადღებას აქცევს ებრაელებს და ამ ჯიუტ და უმეტაზ ხალხზე ისე მოგვითხრობს, ვითომც, ივი იყო დედა-ბოძი, რომლის გარშემო მთელი ქვეყნის საქმეები ტრიალებდნენ. ებრაელებზე წინ მომქმედ ერებზე — სპარსელებზე და ეგვიპტელებზე, — ბოსუეტი თითქმის არაფერს არ ამბობს და სრულიად არ იხსნიებს იმ დიდ ერს, რომელიც ინდის და განგის შესასტანებას და რომელმაც შექმნა ის ფილოსოფია, რომელიც ალექსანდრიის სკოლას საფუძვლად უძევს. ბოსუეტი არ იხსნიებს პლატონის ფილოსოფიის აფრიკულს შტოს, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ქრისტიანობაზე. იგი არაფერს არ ამბობს ორ შესანიშნავ ქალაქზე — კორდოვაზე და ბალდადზე, სადაც განათლება ძლიერ წინ წავიდა; ამას იმიტომ შერება, რომ ეს ქალაქები მახმადიანებს უკუთვნოდა, და თეთო მახმადსაც რომელმაც მრავალ შილიო კერპთ-თაყუანის-მცემელს ერთი ლმერთის ცნება ასწავლა, უწოდებს უსინიდისო მატყუარს. იმავე

დროს ბოსუეტი დიდ ყურადღებას აქცევს და დიდის მოწიწე-
ით მოგვითხრობს ტურინის ეპისკოპოსის, მარტინის, ცხოვრებას
და შიაბნია იგი ნამდვილ დიდებულ კაცად: მარტინის უდიდესი
საქმე-კი რომლილაც მონასტრის დარსება იყო. გარდა ამისა
ბოსუეტი მეტად დიდი აზრის იყო საკუთარ ნიჭიე და სხვებს
არაფრად აგდებდა. იგი კაცის გონებას, არაეთარ ყურადღებას
არ აქცევდა და ყველაზე უმეტეს მნიშვნელობას ზესთაბუნების
გაელენას აძლევდა. სამხედრო საქმეს და მხედართ, — კაცთა-ნა-
თესავთ ამ ამომწყვეტელთ, რომელიც მთელს თავის სიკოც-
ხლეს იმას ანდომებენ, თუ რა საშუალება გამოიგონონ კაცო-
ბრიობის ამოსაწყვეტად და მით კაცობრიობის უბედურება გა-
მრავლონ, აი ეის ადიდებდა ბოსუეტი? ყველა ამათ ის უფრო
მეტს ჰატიეს სცემდა, ვიდრე სწავლა-განათლებას. ბოსუეტი მო-
ნებდა მეფეს, რომელიც მის წოდებას, სამლელელოებას, ჰერ-
ცელობდა.

ოდიეის და ბოსუეტის თხზულებანი, თუ რამდენად ეთან-
ხმდებოდნენ თანამედროვე შეხედულებას, ამის სისწორით განსაზ-
ღერა შეუძლებელია. მაგარამ საეჭვო არ არის, რომ მათი
მომხიბლავი მოთხრობანი და სწავლანი ხალხის ეროვნულ თავ-
მოყვარეობას თავს უქონებდნენ; მით უფრო, რომ რეაქციის
პირველი ნიშნები ამ ისტორიკოსების შემდეგ აღმოჩნდნენ.

რომ აღნიშნოთ თავი და თავი მომენტები იმ დიდი მოძ-
რაობისა, რომელიც მომზადდა ლურ XIV მეფობის დროს,
ჩეენ შეეჩერდებით უმთავრეს ფაკტებზე. თავდაპირველად შევა-
დარებთ ვალტერის და ბოსუეტის თხზულებებს. იმ დროს, რო-
დესაც ბოსუეტი შთანთქმული იყო საეკკლესიო აეტორიტე-
ტების შესწავლით და გონებრივი დამოუკიდებლობა მას არა-
ფრად მიაჩნდა, ვოლტერი ლეთის-მეტყველებას არაეთარ ყუ-
რადღებას არ აქცევდა. თავის გონებას იგი ანეითარებდა ყოველ-
გვარი რეალური ცოდნით და საზოგადოდ ადამიანის გონებას

დიდს ჰატივს სცემდა. თავის პირველს თხზულებაში „კარლოს XII“, ვოლტერი ამ შესანიშნავ მტარეალს აღტაცებით იხსენიებს და ძრიელ მცირე გულის ტკიერილს იჩენს შესახებ იმ საცოდავ ქვეშევრდომებისა და ერებისა, რომელთაც ეს მეფე სჩაგრავდა დიდ მანშილზე შვეციიდგან დაწყებული სათათრემდინ. სამაგიეროთ ამ თხზულებაში ნიშან-წყალსაც ვერ იპოვით ზეს-თა-ბუნებით გავლენაზე. ამით ვოლტერი ძეველ მეთოდს უარს ჰყოფს და საფუძველს აძლევს ახალს ისტორიულს მიმართულებას. 1752 წელს გამოიცა ვოლტერის ახალი ისტორიული თხზულება, რომელსაც ერქვა „ლუი XIV დრო“. თეოთ ამ თხზულების სახელი გვიჩვენებს, რომ ვოლტერმა შეიგნო თვისი ძეველი მიმართულების შეცდომილება, რომელსაც ადგა იგი „კარლო XII“ ისტორიაში, ე. ი., რომ საჭიროა არა მთავრობის, არამედ ერის ისტორიის დაწერა. ვოლტერი თავის ისტორიის შესავალში აცხადებს, რომ იგი აპირებს არა მხოლოდ ერთი პირის, არამედ საზოგადოთ ხალხის მიმართულების აღწერას. რომ ეს დაპირება ვოლტერმა აასრულა, ცხადად სჩანს მისი წიგნის შინაარსიდგან. ამ თხზულების ერთი თავი შეიცავს აღებ-მიცემობის ისტორიას, მეორე—შინაგან მართებლობის, მესამე—ფინანსების, მეოთხე—მეცნიერების და დანარჩენი სამი თავი—ხელოვნების განვითარების ისტორიას. ამ თხზულების გამოსელის ოთხი წლის შემდეგ ვოლტერმა დასწერა ახალი შრომა „ზნეობა, ჩევეულება და ხასიათი ერისა.“ — „მე მსურსო,,.— ამბობს ვოლტერი ამ თხზულებაში,— „საზოგადოების და არა ომების ისტორიის დაწერა. მე მსურს აღნიშნო, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი თავის ოჯახში და რა საქმეს აკეთებდა ის შინაო. ჩემი მიზანია“, — განაგრძობს ვოლტერი, — „აღწერო კაცის გონების ისტორია და არა უმნიშვნელო ფაკტები ჩამოვალო. მე არავითარი საქმე არა მაქვს მძლავრ ბარონებთან, რომელნიც საფრანგეთის. მეფეებს ებრძოდნენ; მე მსურს ვიცი-

დე, რა გზით გადეიდა კაცობრიობა ბარბაროსობიდგან ციცი-ლიზაციაზე” და სხვ.

დაარღეია-რა ამ გვარად ვოლტერმა დაძველებული ისტო-რიული მეთოდი, მან თავისი მიმართულება გადასცა, როგორც თანამედროვე შესანიშნავ ისტორიკოსებს — მონტესკიეს და ტი-ურგოს, აგრეთვე სხვა მეორე-ხარისხოვან მწერლებს, მაგალითად, მალეს, მაბლის, კილის, დიუკლოსს და ენესს. ყველა ეს მწერ-ლები მეფეების და ომების აღწერას ძრიელ მცირე ყურადღებას აქცევდნენ. ესენი თავიანთ შრომას ანდომებდნენ კაცო-ბრიობის და ციცილიზაციის განვითარების აღწერას. ცხადია, რომ ისტორიულს მწერლობაში ეს დემოკრატიული (საერო) მიმართულება მოხდა იმ მოძრაობის გავლენის წყალობით, რო-მელმაც დიდი რევოლუცია მოამზადა. ვოლტერის მოღვაწეობის ყოველ-მხრივ დახასიათებისათვის საჭიროა დავუმატოთ, რომ მას არ უყვარდა კერძო ფაკტების შესწავლა, თუ ეს ფაკ-ტები ვერ ახსნიდნენ საზოგადო მოვლენებს. თავის დრამატიულს თხზულებებში ვოლტერი კერძო პირთა გულის თქმას-კი არ ახასიათებდა, არამედ მთელი რომელიმე ერის თვისებას. დრამა „მახმადში“ დასურათებულია დიდი სარწაუნოებრივი ცულილე-ბა, „აღზირში“ — ამერიკის დაპყრობა და სხვ. გარდა ამისა ვოლტერმა ლირსეულად დაფასა ფეოდალური სასტემა და ახსნა რომის პაპის გაძლიერების მიზეზი. მან პირველმა შემოიტანა წინადადება მსოფლიო თავისუფალ ვაჭრობაზე. მან პირველმა ახსნა, თუ რა განსხვავებაა და დამოკიდებულებაა საზრდოს და ხალხის გამრავლებას შეუ. ვოლტერამდის საზოგადოება საშუა-ლო საუკუნოებს განცვითრებით უკქეროდა: მან განფანტა ეს ბავშური შეხედულობა. ვოლტერი (ლოკსავითინგლისში) სცდი-ლობდა მოესპო ის კრძალვითი პირ-მოთნეობა, რომელიც მწერ-ლებს ჰქონდათ შეთვისებული შესახებ ძველი ისტორიისა ვოლ-ტერი ხშირად ხმარობდა იმ იარალს, რომელიც უფრო მარ-

ჯვე და ხერხიანია მაშინ, როდესაც შეუსაბამო შეხედულებას ებრძეის კაცი, — ეს იარაღი არის გესლიანი დაცინეა. ბოლოს, ვოლტერი ყველაზე უმეტესად სცდილობდა დაემხო აეტორი-ტეტი სამღედელოებისა და კლასიკური ისტორიისა, რომელსაც ზღაპრული ხასიათი ჰქონდა.

როგორც ზემოთაც ესთქვით, ვოლტერის მიმართულება კარგად შეითვისეს მისმა თანამედროვეებმა. 1734 წელს მონტესკიემ გამოსცა პირველი შრომა, რომელიც რომაელების პირველ ნამდეილ და გონიერულ ისტორიად უნდა ჩაითვალოს. 14 წლის შემდეგ ამავე მონტესკიემ გამოსცა მეორე შესანიშნავი თხზულება „თეისება კანონთა“, რომელ შიაც დასკვნითს მეოთხდს ფრიად ფართოდ ხმარობდა. მონტესკიემ იმით მოგეიტანა უდიდესი სარგებლობა, რომ მან ჩამოაცალა ისტორიას მრავალი იგავები და უმნიშვნელო ბიოგრაფიული წერილმანები. მონტესკიე ამბობს, რომ კაცობრიობის ისტორიაში და ბუნების მოვლენათა სწავლაში მტკიცე კავშირიაო. მართალია, მონტესკიემ „თეისება კანონთა“-ში ეცადა, მაგრამ სწორედ ვერ ახსნა ის ბუნებითი კავშირი, რომელიც არსებობს, ერთის მხრით, სამოქალაქო და პოლიტიკურს კანონმდებლობას და, შეორე მხრით, ჰავის, ნიადაგს და საზრდოს შუა, — მაგრამ ეს ახსნება მით, რომ მის დროს ბუნების-მეტყველება ჯერ კარგად არ იყო შემუშავებული და პოლიტიკური ეკონომიკა და სტატისტიკა ხომ სულაც არ არსებობდნენ.

რაც შეეხება ტიურგოს, იგი თავის შესანიშნავ ლექციებში ვოლტერის და მონტესკიეს მიმართულებას მიზდევდა. საზოგადოთ ეს სამი დიდებული მწერალი დემოკრატიულ მოძრაობას იცავდნენ და თავიანთი ცოდნით და მახვილი სიტყვით აღვიძებდნენ ხალხს, რათა იგი სამშობლო ქვეყნის მმართველთა წიიააღმდეგ წასულიყო. ამ გვარად საფრანგეთში ყველაფერი

ერთი შედეგისაკენ იყო მიმართული და ყველაფერი ცხადად ამბობდა, რომ საშინელი და სასტიკი ბრძოლა მოახლოვებულია.

თ ა ვ ი XIV.

საფრანგეთის რევოლუციის უახლოესი მაზეცება.

მესამე თავში ჩვენ ვცდილობდით აგვეხსნა, თუ რა ნაირად ლურ XIV სიკვდილის შემდეგ მზადდებოდა საფრანგეთის რევოლუციის ნიადაგი. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მე-XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გონებრივი მოძრაობა საფრანგეთში იყო მიმართული სამღვდელოების წინააღმდეგ. პოლიტიკურ შეცდომებს იგი არ ეხებოდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდგან იწყება ამ მოძრაობის მეორე ხანა, რომელიც რევოლუციას პირ და პირ წინამიუძღვის. გრანებრივი მოძრაობა აღარ ებრძვის სამღვდელოებას და თანამედროვე პოლიტიკურ წეს-წყობილებაზე გამოილაშერებს. სასულიერო წოდების წინააღმდეგ მოძრაობას თვითონ მართებლობა კანონ-მდებლობით ამთავრებს. განსაზღვრა იმ წუთისა, თუ როდის მოხდა ეს ცვლილება, ისე შეუძლებელია, რთორც შეუძლებელია ავტინათ ის კითხა, თუ როდის ჩაისახა მთელი ისტორიული ხანა, ან რომელიმე საზოგადოებრივი საჭიროების სურვილი. ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ მხოლოდ, თუ რომელ წელს გამოვიდა ესა და ეს კანონი, მაგრამ პირველად როდის იგრძნეს ამ კანონის საჭიროება, ამის ფაღაწყვეტით თქმა-კი შეუძლებელია. ჩვენ აქ თუობით მივიღებთ 1750 წელს, რომლის ახლო ზანებში მეტად საჩინო შემთხვევანი მოხდა. ამ წლის ახლო ზანებში დაიწყო საფრანგეთში პოლიტიკური უკონომიის სწავლითა არა ჩვეულებრივი განვითარება, რომლის წყალობით საზოგადოებამ შეიიგნო, რომ მართებლობის მფარველობითს წესს, მაგალითად, აღებ-მიუშობაში, ზარალის მეტი არასფერი არა მოაქვს. 1755 წლიდგან ჩამოვარ-

და განხეთქილება მართებლობას და ხალხს შუა. ეკონომიური და საფინანსო კითხვების ახსნის სურვილი თუ რამდენად იყო გა-ვრცელებული იმ ღრმას საზოგადოებაში, სჩანს იქიდგან, რომ ნეკერისაგან 1781 წელს გამოცხადებული, საფრანგეთის ფინან-სების მდგომარეობის ანგარიშის, 6,000 ცალი, პირველსავე დღეს გაიყიდა. შემდეგ დღეებში ორი სტამბა დაუყენებლად ბეჭდავდა ამ ანგარიშს. იმ ხანებშივე გამოიცა უან-უაკ რუსოს შესანიშნავი თხზულებანი, რომელშიაც სარწმუნოებას თითქმის არ ეხება. რუსო წინააღმდეგა მხოლოდ სამოქალაქო და საპოლიტიკურ ბოროტ-მოქმედებებს. რუსოს თხზულებებს დიდი გავლენა ჰქონდა თანამედროვე საზოგადოებაზე.

ამავე ხანებში მართებლობა სამღვდელოების წინააღმდევ მიმართულებას დაადგა. 1749 წელს გენერალ-კონტროლიორმა, მაშომ, გამოსუა შესანიშნავი კანონი, რომელიც უკრძალავდა სარ-წმუნოებრივი საზოგადოებების შედგენას მართებლობის ნება-დაურთველად. ამის შემდეგ მაშო პროტესტანტებს კათოლიკეთა სამღვდელოების დევნულობისგან იფარავს. იმავე წლებში სა-ფრანგეთის სამღვდელოება ორ დასად გაიყო და ერთი მათგანი მართებლობას მიემხრო. 1787 წელს ტულუზის მთავარ-ეპისკო-პოსმა წარუდგინა პარლამენტს მეფის ბრძანება, რომლითაც პროტესტანტებს ყველა მოქალაქური უფლებანი ენიჭებოდათ. იესოელების (იეზუიტების) ქმობის უკანასკნელი წამნი დათვლი-ლი იყო. 1761 წელს იესოელებს აეკრძალათ ახალი წევრების მიღება; მათი სასწავლებლები დაკეტეს და მრავალი მათი შესა-ნიშნავი თხზულებანი დასწვეს. 1762 წელს მართებლობამ გა-მოსუა კანონი, რომელიც იესოელების ქმობა გაუქმებული იყო; მათი ქონება საჯაროდ გაყიდეს და თანვე გამოცხადდა: „ამ გვარ საზოგადოების არსებობას წესიერი სახელმწიფო უერ მოითმენსო“.

იესოელების ძმობის გაუქმების შემდეგ, სასულიერო წოდების მნიშვნელობა ძლიერ დაეცა. საკმარისია ვსთქვათ, რომ გამოჩენილი მჭევრ-მეტყველის, მასიანითნის, სიკვდილის შემდეგ (1775 წ.) საფრანგეთის სამღვდელოებაში არ ამოჩენილა არც ერთი შესანიშნავი მეცნიერი, არც ერთი შესანიშნავი მწერალი. ძველი მოლვაწეები და წინამძლოლნი ალარ მოეპოვებოდა სამღვდელოებას. სასულიერო წოდებამ დაპკარგა მართებლობის ნდობა, ხალხის პატივის-ცემა და გახდა დაცინვის საგნად. სამღვდელოების საბედნიეროდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მწერლობამ მას თავი დაანება და მართებლობის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება.

საზოგადოდ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ XVIII საუკუნის ნახევარში საფრანგეთის მეცნიერნი მთელ თავიანთ ძალას და ლონეს ბუნების შესწავლას ანდომებდნენ. ამ გზით მათ დაპტადეს ლვთის უარის-მყოფელი (ატეისტური) სწავლა და პოლიტიკური მოძრაობა გააძლიერეს. ეს ლვთის უარის-მყოფელი სწავლა საესებით გამოითქვა შესანიშნავ „ენციკლოპედიაში“, რომელიც 1751 წელს გამოიცა და „ბუნების სისტემაში“—1780 წ.. გარდა ამისა ამ სწავლას ავრცელებდნენ მრავალი მეორე-ხარისხოვანი მწერალნი—დამილაფილდი, დელეირი, მარშალი, ნეკონი, ტუსენი და სხვანი, და მას ცხადად იცავდნენ კონდორისე, დალამბერი, დენი დიდრო, გელეგრი, ლაპლასი, მირაბო და სენ-ლამბერ.

ყველაზე შესანიშნავი ლვთის უარის-მყოფელი თხზულება არის გელგვეციის წიგნი, „სულზე“, რომელიც 1758 წელს გამოიცა. ამ თხზულებაში ერთ ადგილსაც ვერ ნახავთ, საიდგანაც სჩანდეს, რომ „სული“ (როგორც ჩვეულებრივ ხმარობენ ამ სიტყვას) არსებობდეს. მასში გულვეცი იმ ახალ მეცნიერულ წინადაღებას ამტკიცებს, რომ ადამიანს და სხვა ცხოველებს შუა

განსხვავება არის მხოლოდ მათი გარეგანი აგებულების განსხვავების შედეგი. მაგალითად, ხელები, ადვილათ მოსახრელი თითების ნაცვლად, ცხენის ფლოქვების გვარად რომ თავდებოდეს, მაშინ კაცს არ ეცოდინებოდა არც სწავლა, არც ხელოვნება და ადამიანის ერთად-ერთი ზრუნვა მხეცებისაგან თავის დაწევა და საზრდოს შოვნა იქნებოდა. გარდა ამისა, გელვეცი ამტკიცებს, რომ კაცს აქვს ორი ნიჭიო: შთაბეჭდილების მისაღები და მეხსიერება; გონება, მსჯელობა და ზნეობრივი მისწრაფებანი ამათი ნაყოფიაო; სათნოება, ბიწიერება, თავ-მოყვარეობა და მეგობრობა განისაზღვრება მხოლოდ მით, რომ კაცი ეძებს სიამოვნებას; კეთილის სიყვარული მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კეთილია, ისე შეუძლებელია, როგორც ბოროტების სიყვარული მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ბოროტებააო; რაც ვართ და რაც გვაქვს ყველა ეს გარეგანი ქვეყნის წყალობით შეგვიძენიაო.

ამ ნაირი აზრები ისე ეთანხმებოდნენ მაშინდელ გონებრივ მიმართულებას, რომ გელვეცის სახელი მთელს ევროპაში გაითქვა და ამ აზრების გავლენა, განსაკუთრებით საფრანგეთის საზოგადოებაზე, თან და თან მატულობდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბუნების-მეტყველების ყველა ნაწილი ფრიად განვითარდა. მსწავლულების მთელმა დასმა—პრემი, ფურიემ, დალიმბარმა, კულომბმა, ეპინუსმა, მალუსმა და ფრენელმა შეამუშავეს და დააწინაურეს სწავლა სითბოზე, სინათლეზე და ელეკტრონზე. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქიმია, როგორც მეცნიერება, ლაგუაზეს ფრენელია. ამ მეცნიერმა მრავალი გენიოსური გამოკვლევანი შესძინა ქიმიას. მან გამოიკვლია დამუავების და დაწვის კანონები, აგრეთვე დაამტკიცა, რომ სუნთქვას ნამდვილი ქიმიური ხასიათი აქვსო.

დედა-მიწის მეტყველებას (გეოლოგიას) ბევრი ღვაწლი შესძინა ბიუფონმა და რამდენიმე სხვა მეცნიერმა. მაგრამ ამ მეცნიერებას ყველაზე უმეტესი სარგებლობა მოუტანა უუდი-

დესმა ბუნების-მეტყველმა კიუპე, რომელიც იყო გეოლოგის, როგორც მეცნიერების, დამთუძნებელი. კიუპემ ცხოველთ-მეტყველებასაც (ზოოლოგის) დიდი სარგებლობა მოუტანა. მან დაარღვია ლინეის-მიერ ცხოველთა და მცენარეთა ხარისხებად დაყოფა, რომელიც მათ გარეგან სახიერებაზე იყო დამყარებული და დაამტკიცა, რომ მათი შესწავლა და ხარისხებად დაყოფა იმათ შინაგან აგებულებაზე უნდა იყოს დამყარებულიო. გარდა ამისა კიუპემ მრავალი სხვა გამოკვლევანი შესძინა ცხოველთ-მეტყველებას.

კიუპეზე უფრო მაღლა სდგას მეორე მეცნიერი ბიშა, რომელმაც შენიშნა, რომ არც კიუპეს ხარისხებად დაყოფა არის საკმარისიო, რადგანაც ჩვენ, არა მარტო ორლანოები, არამედ ისიც უნდა შევისწავლოთ, თუ რისაგან შესდგება თვით ორლანოები და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლო ცხოველების შეუცდომლად ხარისხებად დაყოფაო. ბიშო შესანიშნავია თავისი თეორიით სიცოცხლეზე, რომელსაც ბევრი მეცნიერი მის საუკეთესო ღვაწლად სთვლის. „საერთოდ სიცოცხლე ორ სხვა და სხვა შტოდ განიყოფებაო“, — ამბობს ბიშო: „ერთი ეთვისება ცხოველთ, მეორე მცენარეებს. პირველს, რომელიც მხოლოდ ცხოველებს ეკუთვნის, ჰქვია ცხოველი სიცოცხლე, მეორეს, რომელიც ცხოველებსაც და მცენარეებსაც ეკუთვნის, ჰქვიან ორლანოთა სიცოცხლე. ამის-გამო მცენარეები მხოლოდ ერთი სიცოცხლით ცხოვრობენ, კაცს-კი ორი სხვა და სხვა გვარი სიცოცხლე აქვსო. ორლანოთა სიცოცხლით კაცი მხოლოდ თავისი თავისათვის ცხოვრობს, ცხოველის-სიცოცხლით-კი სხვებსაც შეეხებაო. პირველს ეკუთვნის, მაგალითად, საჭმლის მონელება, სისხლის მოძრაობა და სხვ.; ამათ კაცი ვერ გრძნობს: მეორით-იქ კაცს შეუძლიან თავის ნებით მოძრაობა და მსჯელობაო. თუ ჩვენ დაუკვირდებით საზოგადოთ კაცის ორლანოებს, რომელნიც ასრულებენ სიცოცხლის სხვა და სხვა მოქმედებებს, ჩვენ გა-

ვოკუდებით იმ შესანიშნავი ფაქტით, რომ პირველის ორლანოები მეტად უთანასწორონი არიან, მეორისა-კი, ე. რ. ცხოველი სიცოცხლის ორლანოები,—თანაბრიანიო ჭიმეტრიული). ამ მეორეებს შეუძლიან დროებითო შეჩერება, მოსვენება, ორლანოთა სიცოცხლის შეჩერება-კი სიკვდილიაო“:

საფრანგეთის მეცნიერებმა ბევრი ღვაწლი შესძინეს მცენარეთ მეტყველებასაც (ბოტანიკას), სახელდობრ—ანდასონმა, მონსომ, დეფონტენმა და უსიმ და მიწალთ-მეტყველებას (მინერალოგიას) —დელილმა და ჰაუმმა.

ამ დიდ მეცნიერთა საერთო ძალით ბუნების-მეტყველება გასაოცრად დაწინაურდა და ადამიანის და გარეგანი ბუნების ერთი მეორეზე დამოკიდულებას ნათელი მოჰვინა. ამ დამოკიდულობიდგან ბევრი რამ აიხსნა შესახებ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისა, რომელმაც გამოიწვია სწავლის შეძენის ხალისი და სურვილი. პარისის სამეცნიერო კრებებზე კითხულობდნენ სახალხო ლექციებს; სამკითხველო დარბაზზებში (აუდიტორებში) იკრიბებოდნენ სხვა და სხვა წოდების პირნა, სადაც მათ აკავშირებდა საერთო სურვილი—ცოდნის შეძენა. აქ უვიცობა ცოდნის წინაშე პირქვე ემხობოდა. და უმაღლესი და საოცრად მარტივი სიამოგნება, —სიამოგნება, რომელსაც გრძნობს კაცი ახალი ჭეშმარიტების შეძენით, შეიქმნა იმ დიდ კავშირად, რომელმაც შეაერთა აქამდინ განცალკევებული წოდებანი. აქ ხალხმა შეიგნო, რომ წოდებათა განსხვავება—უმეცრების მეტს არასფერს წარმოადგენს და გარეგანი ბრწყინვალება ამაռებაა. სამკითხველოებიდგან ეს მიმართულება ვრცელდებოდა ხალხში და დიდ გავლენას იქნდა საზოგადოებაზე და იმს ჩვეულებებზე. ამ უკანასკნელი აზრის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ მაგალითს შესახებ ტანისამოსის ხმარებისა. წინანდელ მდიდრულ, მრავალ-ფეროვან, ოქრო-ვერცხლით მოწყობილს და ფარჩის ტანისამოსს თითქმის აღარავინ იცვამდა.

თვით გვაროვანთა მანდილოსნები უბრალო სადა კაბებში დადიოდნებს და, როგორც ამბობენ, კრებებზე მამა-კაცები ჯვრებს და ვარ-სკვლავებს ტანისამოსის ქვეშ მალავდნენ. მაგრამ დემოკრატიული მიმართულება ყველაზე უფრო კლუბების დაარსებაში გამოიხატა, რომლებშიაც ყველა წოდების პირს შეეძლო შესვლა, ოღონდ-კი ცოტა განათლება მაინც ჰქონოდა და ამ გვარად, რაც პირ-ველი გაგონება იყო, საზოგადოება იმის ნაცვლად, რომ გე-თაღშობილობით და არა-გეთაღშობილობით გარჩეულიყო, ახლა განათლებით და გაუნათლებლობით ირჩევოდა. პარისის პირვე-ლი კლუბები გაიხსნა 1792 წლის ახლო ხანებში. მალე მათ მიიღეს პოლიტიკური ხასიათი და იქამდის გაძლიერდნენ, რომ მათ წინააღმდეგ მართებლობა სხვა და სხვა საშუალებას ხმა-რობდა, მაგრამ ამაռდ.

აქ თავდება ის გრძელი და ძნელი გზა, რომლითაც ფრან-გებმა მიაღწიეს მთელი პოლიტიკური წყობილების დაქცევის საშინელ წამამდინ. სარევოლიუციო მასალა უკვე მზად იყო, რომ-ლის აფეთქება მხოლოდ ერთს ნაპერწყალს ელოდდა, და ეს ნა-პერწყალი, მოულოდნელად, შორის ქვეყნიდგან გადმოვარდა. ამერიკა აღუდგა ინგლისის მართებლობას და დამოუკიდებლობას მოიპოვა. 1776 წელს ამერიკელებმა უჩვენეს ევროპას ის კეთილ-შობილური და უკვდავი უწყება (დეკლარაცია), რომელიც ყველა მეფის კარზე უნდა იყოს გაკრული. ეს დეკლარაცია აცხადებდა, რომ მთავრობათა მიზანი ხალხის უფლებათა და თა-გისუფლების განმტკიცებაა. ახალხაზდა რესპუბლიკის გამარჯვებას ფრანგები აღტაცებით მიეგებნენ. ბევრი მათგანი გაემგზავრა ოკეანის გაღმა და ვაჟკაცურად იბრძოდა იქ ამერიკის განთა-ვისუფლებისათვის; როცა ესენი სამშობლოში დაბრუნდნენ, თან მოიტანეს დემოკრატიული აზრები თავისუფლებაზე და ერთო-ბაზე. ამის შემდეგ ფრანგებისათვის საჭირო იყო მხოლოდ მი-

შაბაა ამერიკის მაგალითისათვის და მიპახეს კიდევ: 1789 წელს
საფრანგეთში იფეთქა დიდმა რევოლუციამა...

ნაწილი მეორე.

III ა 3 ი I.

მოკლე ისტორიული აღწერა გონიერი მოძრაობისა ესპანია-
ში V საუკუნიდან XIX საუკუნის ნახევრამდინ.

ამ თხზულების პირველს ნაწილში მე ვცდილობდი დამე-
მტკიცებინა ოთხი დასაბამი დებულება, რომლებიც, ჩვენის აზით,
ცივილიზაციის ისტორიის საფუძვლებად უნდა ჩაითვალოს: 1)
კაცობრითის პროგრესი დამოკიდებულია მოკლესათა კანონების გა-
მოკლევაზე და ამ კანონების გავრცელებაზე საზოგადოებაში; 2) ამ
გამოკლევამდინ საჭიროა თავი იჩინოს სკეპტიკურმა შეხედულობამ,
რადგანაც იგი ჯერ ესმირება მოკლესათა კანონების გამოკლევას და
შემდეგ ამ უკანასკნელის დახმარებით თვით სკეპტიკური შეხედულება
კითარდება; 3) ეს გამოკლევანი გონიერივი ჭეშმარიტების გაუღე-
ნას აძლიერებენ და ზენებრივ მოძღვრებათა გავლენას ამცირებენ,
რომლებიც უფრო უძრავი არიან და უფრო ნაკლებათაც კითარდე-
ბან და 4) ამ მოძრაობას და, მაშასადამე, ცივილაზაფიასაც, ძრიულ
აბრკოლებს მფარველობითი წესი, რომლის ჭეშმარიტების გიგულისხმებთ
იმ გვარ შეხედულებას, კითომც საზოგადოებას წარმატება არ ექნება,
თუ ადამიანის უკეთა მოქმედება ზედა-მხედველობის და მოფარველო-
ბის ჭეშმარიტების არ არის.

ჩვენი გეგმის თანახმად, ჩვენი შრომის მეორე ნაწილი შეი-
ცავს ესპანიის, შოტლანდიის, გერმანიის და ამერიკის შეერთე-
ბული შტატების ისტორიის გამოკვლევას, ¹⁾ რათა აქსნათ ის

¹⁾ სამწუხაროდ, როგორც წინასიტყვაობაშიც გქვონდა მოხსენებული,
ბოკლს არ ტასცალდა ამ გეგმის შესრულებაში მოყვანა.

ძირითადი კანონები (პრინციპები), რომელთაც ინგლისში საკ-
მარისი განვითარება ვერ შეიღეს.

ესპანია ძრიელ წააგას ცხელ ქვეყნებს, და, როგორც
უველა ამ გვარი ქვეყანა, ყოველთვის ცრუ-მორწმუნოების ბუდე.
იყო, რომლის გავრცელებას და გაძლიერებას თვით ბუნება ხელს
უწყობდა. ხშირი შიმშილობა, მიწის ძვრა, გადამდები სენი და
მავნებელი ჰავა ადამიანის დღეგრძელობას ამოკლებდნენ და ამის-
გამო იგი დახმარებას ევედრებოდა ზესთა-ბუნებას. უველა ეს
ბუნებრივი მიზეზები ესპანიაში უფრო ძლიერი იყო და უფრო
მეტი გავლენაც ჰქონდა იქ ხალხზე, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყ-
ნებში. ჩრდილოეთ ნაწილის გარდა, მთელს ესპანიაში იცის
ხშირი გვალვა. აქ მეტის-მეტი ცხელი ჰავაა და მცირე ნოტიფ;
ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ესპანიის მდინარეები მე-
ტად ღრმა კალაპოტში მიმდინარეობენ და ამიტომ მოსარწყავად
სრულიად ხელ-მიუწოდომელნი არიან; გარდა ამისა, აქ წვიმა იშვი-
ათია. გოლვის შედეგი — შიძშილია და შიმშილისა — სხვა და სხვა
გადამდები სენი. ამასთანავე ხშირს მიწის ძვრას ესპანიაში ხალ-
ხის გამოხატულებაზე (вօօбраженіе) დიდი გავლენა ჰქონდა
და ჰბადავდა მათში ცრუ-მორწმუნეობას. რადგანაც ესპანიაში
მიწის მუშაობას სხვა და სხვა მიზეზები აბრკოლებენ, ამიტომ
იქ ხალხი უფრო მწყემსობას მისდევს. უველა ამ მიზეზების და
თანვე მახმადიანებთან ხანგრძლივი ომების წყალობით, ხალხს
ენერგია ეკარგებოდა და იგი თადარიგიან მუშაობას ვერ ეჩვე-
ვოდა. ხალხის ამ უმეცრებით და ცრუ-მორწმუნეობით სამღვდე-
ლოებამ ისარგებლა და მასზე დიდი გავლენა და უფლება მოი-
პოვა.

რომის იმპერიის დაფუშვის შემდეგ, ესპანიაში 170 წლის
განმავლობაში კუსტ-გოტების ეროვნული სარწმუნოება, შესანი-
შნავი ჰარიონის მწვალებლობა (ერესი) სუფევდა. V საუკუნის
დამლევს ფრანკებმა მართლ-მორწმუნეობა აღიარეს; აშისგამო მათ

ვესტ-გოტებთან შეტაკება მოუხდათ და ამ ორ ერთა შორის ასტყდა სარწმუნოებრივი ომი, რომელმაც თითქმის მთელი საუკუნე გასტანა. ამ ბრძოლამ, ერთის მხრით, ვესტ-გოტები და-სუსტა და, მეორე მხრით, არიოსების სამღვდელობა, რომელიც მეფეს შეუკავშირდა, მეტად გააძლიერა. ამ დროიდამ სამღვდელოების გავლენა ესპანიაში თან და თან მატულობს. VII საუკუნის დამლევს ლათინების სამღვდელოებამ ვესტ-გოტების მეფე გააქრისტიანა და ამ გვარად არიოსების სამღვდელოების ძალა ლათინების სამღვდელოებას დარჩა. თუ რა გვარად იზრდებოდა სასულიერო წოდების გავლენა სჩანს იქიდგან, რომ XII საუკუნეში მეფეები პირქვე ემხობოდნენ ეპისკოპოსების წინაშე; ეპისკოპოსებს ჰქონდათ უფლება სამსჯავრო საქმეების გარჩევაში მონაწილეობა მიეღოთ; მწვალებლებს (ერეტიკებს) ისე სასტიკად არსად არ სდევნიდნენ, როგორც ესპანიაში; იქ ებრაელებსაც მეტად შეუბრალებლად სდევნიდნენ; მეფეები ვალდებულნი ხდებოდნენ დაეცვათ სარწმუნოების სიწმინდე.

711 წელს მთელი ესპანია, მიუდგომელი მთიულეთის გარდა, მახმადიანებისგან იქმნა დაპყრობილი. ამის შემდეგ ესპანიელებმა სამშობლოს განთავისუფლებისათვის ასტეხეს თავ-აღებული ბრძოლა, რომელმაც თითქმის რვა საუკუნე გასტანა. მაგრამ ამ საშინელმა ბრძოლამ, რომელმაც ჩაყლაპა ესპანიის ნივთიერი და ზნეობრივი ძალა, არამც თუ არ აუნო სამღვდელოებას, პირიქით, უფრო ხელი შეუწყო. მახმადიანების უფლებამ ხალხი საშინელს სილატაკე ში ჩააგდო; სილარიბემ უვიცობა დაპბატა და უვიცობამ ცრუ-მორწმუნეობა გააძლიერა, რომლითაც სამღვდელოება, როგორც თავისი ძალის გამავრცელებელი იარაღით, სარგებლობდა; გარდა ამისა, ომებმა, სახელმწიფოს და სარწმუნოების განთავისუფლებისათვის და ღამოუკიდებლობრისათვის, მართებლობა და სამღვდელოება ერთმანეთს დაუახლოესა. როდესაც, 1492 წელს, ქრისტიანთა უფლებანი ხელახლად დამ-

ყარდა, საღვთის-მეტყველო ელემენტი ესპანიელებს და მათ
მართებულობას ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი. XV საუ-
კუნეში გრენადასთან ომი იმიტომ მოხდა, რომ მეფე რზაბე-
ლას სურდა ქრისტიანობის გავრცელება. ფერდინანდმა და იზა-
ბელამ გამოსცეს კანონი, რომლის ძალითაც ებრაელები უნდა
განდევნილ ყოფილიყვნენ ესპანიდგან. მათსავე მეფობის დროს
ურწმუნოების ამოსაფხვრელად ინკვიზიცია¹⁾ იყო დაწესებული.
კარლოს V, რომელიც ფერდინანდის შემდეგ მეფობდა, ამავე
პოლიტიკის მიმდევარი იყო. კარლოსის დროს სამი დიდი ომი
მოხდა: საფრანგეთთან, გერმანიის მეფეებთან და ოსმალეთთან;
ამათში ორი უკანასკნელი ომი სარწმუნოებრივი იყო. თუ რა
სასტიკობამდინ მიაღწია კარლოსის მიბრჯნელობამ (ფანატი-
კოსობამ) სჩანს იმ საშუალებებიდგან, რომლებსაც ის ნიდერ-
ლანდების მწვალებლების წინააღმდეგ ხმარობდა. ამბობენ, კარ-
ლოსის მეფობის დროს, ნიდერლანდში ამოწყვეტილი იყო ორმუ-
და-ათი ათასიდგან ასი ათასამდინ მწვალებელი. კარლოსმა გამოსცა
მთელი წელი კანონებისა, რომელთ ძალითაც ყველა მოქმე-
დება წინააღმდეგ კათოლიკე სარწმუნოებისა სიკვდილით დას-
ჯილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ კარლოსი ასე ბარბაროსულად
იმიტომ-კი არ იქცეოდა, რომ ის ან გარყვნილი, ან ავი ადამია-
ნი ყოფილიყოს, სრულიათაც არა. მეფე ძრიელ კეთილი გულის
კაცი იყო; მას იმდენად ეთვისებოდა მეგობრობა, რომ, ამბო-
ბენ, ვინც ახლო გაიცნობდა მეფეს, უეჭველად შეუყვარდებოდა
მასაო. კარლოსი იყო თანამედროვე მიმართულების იარაღი და
ძალა არ ჰქონდა ამ მიმართულებას წინააღმდეგომოდა.

ფილიპე II-ემ მწვალებლების დევნით თავის წინაპართ გა-
დააჭარბა. ფილიპეს მეფობის პირველს ათს წელს პროტესტან-

¹⁾ ინკვიზიცია ნიშნავს გამოკითხვას; ეს იყო საიდუმლო სამსჯავრო,
სადაც საშინელის ტანჯვა-წვალებით ასამართლებდნენ მწვალებლებს და
საზოგადოთ რჯუ ის მოწინააღმდეგებს.

ტების სარწმუნოება ესპანიაში ძირიანად აღმოფხვრილი იყო. იმის შემდეგ ფილიპემ ჰოლანდიელებთან სასტიკი ბრძოლა ასტება, რომელმაც 30 წელს გასტანა. ამ ოში ესპანიელები დაუჯერებელ ბარბაროსის იჩენდნენ. სარდალი ადგა ქადულობდა, რომ 5—6 წელში ჩემის გამგეობისა ჰოლანდიაში, მე 18,000 კაცი დავსაჯე სიკვდილითაო; ამათ რიცხვში არ ჩაითვლება ამაზე უფრო მეტი ოში დახოცილები. მიბრჯნელობით და უზომო უფლების მოყვარეობით დაბრმავებულმა ფილიპემ ააგო უზარმაზარი ხომალდი, რომლითაც მას იმედი ჰქონდა დაემცირებინა ინგლისი, სადაც პროტესტანტები თავს აფარებდნენ, მაგრამ ინგლისელებმა დაამარცხეს იგი.

ამ მტარვალობაზე უფრო გასაოცარია ის კავშირი, რომელიც ცხადათ სჩანს ფილიპეს და მის თანამედროვეთა მიმართულებას შორის. ქვეშევრდომნი, არამც-თუ არც ერთხელ არ აჯანყებულან ამ ბარბაროსის წინააღმდეგ, რომელიც შეუბრალებლად აფრკვევდა მათ სისხლს და სიმდიდრეს და თანვე მეტად მტარვალი, სასტიკი და იმდენად ამაყი ხასიათის იყო, რომ კეთილშობილთა საუკეთესო წარმომადგენელთაც დაჩოქილებს უნდა ელაპარაკათ მეფესთან. პირიქით, ხალხი თითქმის აღმერთებდა მას. ამ შესანიშნავი ფაქტიდგან სჩანს ის მტკიცე კავშირი, რომელიც უოველთვის და უოველგან მონებრივი გრძნობის და ცრუ-მორწმუნებას შეა ასესდობს. ამ კანონს ამტკიცებს ის, რომ, როდესაც მართებლობა და სამღვდელოება ერთმანერთს აღარ ეთანხმებიან, მაშინ ხალხი არჩევანშია, თუ რომელს მხარეს, სასულიეროს, თუ სამხედროს, მიეკერძოს იგი. ამ გვარს მეტად იშვიათს ისტორიულს მაგალითს წარმოადგენს შოტლანდია. ესპანიაში მეფე და სამღვდელოება მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან. ესპანიელების გასაოცარმა მონებრივმა ხასიათმა თავი იჩინა იმათ მრავალ გვარ ლექსებში, სამღვდელოების ყრილობათა განკარგულებებში, სამოქალაქო კანონ-

შდებლობაში და მეფის იმ განსაკუთრებით უფლებაში, რომ, მაგალითად, განსვენებული მეფის საყვარელი ცხენი ხელ-შეუხებლად იყო ჩათვლილი, მეფის სიკვდილის შემდეგ მისი მეუღლე სამუდამოთ ქვრივად უნდა დარჩენილიყო და სხვ.

მონებრივი თვისების და ცრუ-მორწმუნოების შეერთებულ-მა მოქმედებამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ ხალხი სამღვდელოებას და მართებლობას ბრმად ემორჩილებოდა და ესპანიელები შეიქმნენ მამაც მხედრებად; რის-გამო, მათ XV საუკუნის დამლევს მახმადიანებს სძლიერს, მოიპოვეს სრული დამოუკიდებლობა და თვისი სამფლობელო გასაოცრად გაადიდეს.

1478 წელს ესპანიაში იყო რამდენიმე დამოუკიდებელი და ერთმანერთის მოსისხლე სახელმწიფო: გრენადა, კასტილია და არაგონია. 1590 წლამდინ ესპანია არამც-თუ ერთ სამეფოდ შეიქმნა, არამედ მან თან და თან მოიპოვა: არტუა, ფრანშ-კონტე, ნიდერლანდი, მილანი, ნეაპოლი, სიცილია, სარდინია, ბალეარის და კანარის კუნძულები. ამასთანავე ესპანიას დიდი გავლენა ჰქონდა ევროპის საჭმეებზე. ერთი ესპანიის შეფე გერმანიის იმპერატორათაც-კი იყო და მისმა შვილმა ინგლისის ქალი-მეფე კოლუდ შეირთო. ესპანიამ დასჭაბნა და ყველგან აჯობა ძლიერს ოსმალეთს. იგი საფრანგეთსაც ყველგან სლევდა და ერთი მისი მეფე მადრიდში დატყვევებული ჩამოიყვანა. ამერიკაში მას ეკუთვნოდა მექსიკა, შუა ამერიკა, პერუ და სხვა მრავალი ადგილები; აგრეთვე ბევრს ადგილებს ჰუნობდა ესპანია აზიაში და აფრიკაში. ესპანიაში მხედრობა დიდად გაძლიერდა და სამხედრო წოდებამ ჩანთქა მთელი მისი ნივთიერი და გონიერივი ძალა. ესპანიის საუკეთესო მწერალნი, მაგალითად, ქალდერონი, სერჭანტესი, ლოპე-დე-კეპა მხედრები იყვნენ.

ესპანია თუმცა დიდ დიდებაში იყო, მაგრამ მისი კეთილ-დღეობა მტკიცე ნიადაგზე არ იყო დამყარებული. მისი დიდება ხელოვნურად შექმნეს რამდენიმე ნიჭიერმა მამულის შვილებმა; იგი არ

იყო შედეგი ესპანიის ერთს დამოუკიდებელი ნებისა და მისწრა-
ფებისა. ამისგამო ესპანიის დიდება აუცილებლად უნდა გამქრა-
ლიყო, როდესაც მთავრობა უნიჭოებს ჩაუგარდებოდა ხელში.
რომ უკეთ შევიგნოთ, ეს, საჭიროა შევადაროთ ერთმანერთს
ესპანია და ინგლისი. ინგლისელები ყოველთვის ფხიზლად იცავ-
დნენ თავიანთ დამოუკიდებლობას და თითოვე ასრულებდნენ
იმ დიდ პოლიტიკურ და საზოგადო საქმეებს, რომელნიც ხელს
უწყობენ მშვიდობიანს და შეუყენებელს პროგრესს. ამისგამო ინ-
გლისს ვერ ავნეს ისეთმა სუსტი ტვინის, გარყვნილმა და
უვიცმა მეფეებმა, როგორიც იყვნენ ჰენრი III, კარლოს I,
ანა, გიორგი II და გიორგი III. განსაკუთრებით ამ უკანას-
კნელმა მეტად უვარებისი და საზარალო წეს-წყობილება შემოი-
ტანა. ესპანიაში-კი რამდენიმე შესანიშნავი მეფეების—ფერდი-
ნანდის, იზაბელასი, კარლოს V და ფილიპე II ენერგიის და
გამჭრიახობის ღვაწლი, რომლის შექმნაში ხალხი მხოლოდ შე-
უგნებლად პასივურს მონაწილეობას იღებდა, შემდეგმა უნიჭო
მეფეებმა სულ ცოტა ხანში დააქვეითეს და გაანადგურეს. ეს
მეფეები იყვნენ: ფილიპე III, ფილიპე V და კარლოს II. ამ
მეფეების ერთი საუკუნის მთავრობის განმავლობაში (1598—
1700 წ.წ.), ესპანია მეტად დამცირებული შეიქმნა და თვისი.
საუკეთესო ძგილები დაკარგა. ამ დამცირებასთანავე სამღვდე-
ლოების უფლება თან და თან ძლიერდებოდა; ხალხის თანა-
გრძნობა მთავრობიდგან ეკკლესიაზე გადავიდა და ამ უკანას-
კნელის პოლიტიკური გავლენის ნაყოფი მეტად შემაძრწრუნე-
ბელი იყო. ზარმაც და ბრჯგუ (გონებით მძიმე) მეფის, ფილიპე
III, მეფობის დროს, მართებლობის სათავეში იდგა ლერმა, რო-
მელიც გრძნობდა, რომ მისი მდგომარეობა იმ დრომდე მტკიცე
არ იქნებოდა, სანამ იგი მხოლოდ მეფისგან იქნებოდა დამო-
კიდებული; ამიტომ, მან მჭიდრო კავშირი შევჭრა სამღვდელოე-
ბასთან და ამ გვარად ხალხი ორის დესპოტიზმის უღელში ჩაე-

ბა. XVII საუკუნეში სამლელოების ზომაზე გადამეტებული
 გაძლიერება ცხადათ სჩანს შემდეგი ფაკტებიდგან: მონასტრების
 და ეკკლესიების რიცხვი და მათი სიმდიდრე გასაოცარის სის-
 წრაფით იზრდებოდა. მაღრიდში შეკრებილმა სახელმწიფო საბ-
 ჭოს წევრებმა (კორტესებმა) განაცხადეს, რომ ხალხს სასულიე-
 რო წოდების სასარგებლოდ სცარცუავენო და ესპანიაში მხო-
 ლოდ მამა-კაცთა მონასტრები 9,000-მდინ იქნებათ. 1623 წელს
 ორი ძმობის, ღომინიკელებისა და ფრანცისკულების, მონასტრებ-
 ში 32,000 ბერი ითვლებოდა. სევილის მთავარს ტაძარში 100
 მლეცელი იყო. სევილის ეპარქიაში 14,000 და კალაორის ეპარ-
 ქიაში 18,000 შინა მლეცელი (კაპელანი) ირიცხებოდა. ამ
 ხანებში ესპანიაში მწერლებს სასულიერო წოდების მიღება დიდ
 დიდებად მიაჩნდათ. სერვანტესი, თავისი სიკედილის სამის წლის
 წინედ, ბერად შედგა. ლოპე-დე-ვეგა მლეცელი იყო და ინ-
 კვიზიციაში მსახურებდა; მან 1623 წელს ერთი მწვალებლის
 დაწვის დროს კოცონზე (ცეცხლზე) მონაწილეობა მიიღო.
 ბრწყინვალე ნიჭის მქონე დრამატიკოსი, კალდერონი, ფილიპე IV მოძღვარი იყო. კალდერონმა თავისი შესანიშნავი ნიჭი იმ-
 დენად დაამცირა მიბრჯნელობით, რომ მას ინკვიზიციის მგრ--
 სანს უწოდებდნენ. დრამატიკოსები, ისტორიკოსები, პოეტები,
 ერთი სიტყვით, ყველა გამოჩენილი მწერალი ან ბერად, ან
 მღვდლად და ან ინკვიზიციის მოხელედ მიდიოდა. მონასტრებს
 და ძმობებს საკუთარი (თავიანთი) ისტორაკოსები ჰყვანდათ,
 რომელნიც თავიანთ ურიცხვ თხზულებებში ჰქადაგებდნენ სარ-
 წმუნოებრივი დევნულების საჭიროებას. ფილიპე III მეფობის
 დროს სამლელოების ძლიერი გავლენა დაგვირგვინდა მავრე-
 ბის¹⁾ განდევნით ესპანიიდგან.

1) მავრები—არაბების მოდგმის ხალხია, რომლებმაც 711 წელს
 დაიპყრეს ესპანია.

ბედ-კრული მავრების დევნა ესპანიაში დაიწყეს XV საუკუნის დამლევს, როდესაც ყველა მავრები დაიმორჩილეს ესპანიელებმა, რომელთაც სამშობლოს კეთილ-დღეობა და მცწალებლობის აღმოფხვრა ერთ და იმავე კითხვად მიაჩნდათ. ზოგი საშინელი ტანჯვით და ზოგიც კოცონით და მუქარით, ესპანიელებმა იქამდის მიიყვანეს საქმე, რომ ესპანიაში, როგორც ამბობენ, ერთი მოუნათლავი მავრი აღარ დარჩა. მაგრამ ესპანიელები ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ. 1566 წელს ფილიპე II გამოსცა კანონი, რომელიც ავალებდა მავრებს ყველა იმის დატოვებას, რაც მათ ძველს სარწმუნოებას მოაგონებდა: დედანა, ნაკიონალური ტანისამოსი, მამა-პაპათა ჩვეულებრივი თავის-გართობა, აბანო და სხვ. ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ამ საბრალო ერმა საშინელი თავ-განწირული ამბოხება მოახდინა, რომელიც 1568 წელს დაიწყო და მხოლოდ 1571 წელს გათავდა. სამწუხაროდ, ვერც ამ ამბოხებამ შეასმინა ესპანიის მართებლობას, რომ ამ გვარ მიბრჯნელობას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. თუმცა ამბოხების შემდეგ მორისებებს (მონათლულ მავრებს) ძალა და ღონე გამოცლილი ჰქონდათ და მათ არ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ განსაკუთრებით სამღვდელოება მაინც თავისას არ იშლიდა და ყოველ-გვარი ღონის-ძიებით მართებლობას მიბრჯნელობას უღვიძებდა,—და რაც სამღვდელოებამ ვერ გამოიტანა ფრთხილი ფილიპე II-საგან, ის მან ფილიპე III-ის დროს მოიპოვა. 1602 წელს ვალენტიის მთავარ-ეპისკოპოსმა წარუდგინა ფილიპეს წერილი, რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ ღმერთი იმ ღრმდე არ დაეხმარება ესპანიას, სანამ იქ ურწმუნონი იქნებიანო. სასულიერო წოდების მაღალ-ხარისხოვან წევრთა შორის მრავალი თანამოაზრენი და მომხრენი იპოვა ამ წერილმა. ტოლედოს მთავარ-ეპისკოპოსი მხოლოდ ერთში არ ეთანხმებოდა ვალენტიის მთავარ-ეპისკოპოსს. ეს უკასა: კუნელი ამბობდა, რომ შეიძ

წელზე უმცროსი მორისკების ბაზებით შეიძლება დაგტოვოთ ესპანიაშიან; კალენციას მთავარ-ეპისკოპოსი-კი თხოულობდა: დიდი და ჰატარა გავწევიტოთ, რადგანაც ქრისტიანობას ერთი მაკრის დატოვებაც წაჭიდლწავო. დომინიკელების შესანიშნავი ბერი ბლედა თხოულობდა, რომ ყველა, როგორც მონათლული, ეგრეთვე მოუნათლავი მავრები უნდა ამოვწყვიტოთ, რადგანაც, ამბობდა იგი, ძნელი გასარჩევია, რომელია ნანდვილი ქრისტიანი და რომელი არაო; მაინც სულ ერთია საიქიოს ღმერთი გაარჩევს და ნამდვილს კათოლიკეს სამოთხეს მიანიჭებსო. მინისტრს, ფერმას, ეშინოდა საკუთარი უფლების დაკარგვა და სამღვდელოების წინააღმდეგობას ვერ ბედავდა. 1609 წელს მინისტრმა მოახსენა მეფეს, რომ მავრების განდევნა აუცილებლად საჭირო არისო. ფილიპემ უპასუხა: „ეს დადი გარდაწყვეტილებაა, იუს. იგი აღსრულებაში მოუკანიშიო!“ და მართლაც იგი შემაძრწუნებელი ბარბაროსობით იყო აღსრულებაში მოყვანილი. თითქმის ერთი მილიონი შრომის-მოყვარე ზალხი ანაზდეულად დევნილი შეიქმნა! მორისკებს სდევნიდნენ, სცარცვავდნენ, აწვალებდნენ, ხოცავდნენ, შიმშილით სტანჯავდნენ და სწვავდნენ. კეშმარიტი წყაროებიდამ ცნობილია, რომ ერთ ლაშქრობაში ესპანიიდგან აფრიკაში გაგზავნილი იყო 140,000 მავრი, რომლიდგანაც 100,000 კაცი საშინელს ტანჯვაში დაიხოცა.

სამღვდელოება დიდს სიხარულს მიეცა. მთელს ესპანიაში ერთი მწვალებელი აღარ მოიპოვებოდა და ახლა სასულიერო წოდება მართლ-მორწმუნე მცხოვრებლებს მიბრჯნული გატაცებით უხატავდა სამოთხის მადლის სურათებს, რომელიც ზეცა მწვალებლებისაგან განწმენდილ ქეყანას გადმოსცემდა...

მაგრამ შრომის-მოყვარე ერის განდევნის საშინელმა შედეგმა მალე იჩინა თავი: საუკეთესო მეურნეები და მოხელეები ესპანიაში განდევნილი მორისკები იყვნენ. მათ შემდეგ მეურნეობა, ხელოვნება და ხელოსნობა თან დჰ თან ეცემოდა, ბევრი

ადგილ-მამული შეუმუშავებლად იყო მიტოვებული და განადგუ-
რებული სოფლები ყაჩაღების ბუდეთ შეიქმნა. მცოვრებლებთა
რიცხვიც თან და თან კლებულობდა. მაგალითად, მაღრიდში
XVII საუკუნის დასაწყისში 400,000 სული ცხოვრობდა, **XVIII**
საუკუნის დამდეგს-კი იქ 200,000 მცხოვრებიც აღარ იყო. სა-
ქარხნო წარმოება იმდენად დაეცა, რომ სევილიაში 16,000 სა-
ფეიქრო იყო, რომელშიაც 130,000 კაცი მუშაობდა და
ფილიპე V დროს დარჩა მხოლოდ 300. ტოლედოში 5% მაუ-
დის ქარხნიდგან, კამეტი-ლა დარჩა. აბრეშუმის მრეწველობაც
საშინლად დაეცა. საზოგადოთ, მთელმა ესპანიამ დაკარგა, რო-
გორც მრეწველობითი, ეგრეთვე ვაჭრობითი, მნიშვნელობა.
მთელს ესპანიაში საშინელი სიღატაკე ჩამოვარდა და მცხოვრებ-
ლებმა არ იცოდნენ, როგორ დაეხსნათ შიმშილისაგან თავი.
მართებლობას თითქმის გროშიც აღარ გააჩნდა. მეხარკები
მკვიდრთ გადასახადში ავეჯეულობას ართმევდნენ და საქმემ იქმ-
დის მიაღწია, რომ როდესაც საწყალ კაცს აღარაფერი ებადა,
მეხარკები სახლებს სახურავებს ხდიდნენ და ჰყიდნენ. ხალხი
იჭულებული შეიქმნა რამე ნაირად დაეღწია თავი და საღმე და-
ხიზნულიყო. მთელი სოფლები დაცარიელდა. ქალაქებში **XVII**
საუკუნის დასასრულს ორი მესამედი სახლებისა დაქცეული იყო.
ესპანიის ჯარი იმდენად გაიხრწნა, რომ თავის დანიშნულებას
სრულიად ვეღარ ასრულებდა. როდესაც 1643 წელს ესპანიე-
ლებმა „როკრუას“ ომი წააგეს, მხედრების უმეტესობამ ბანაკი
დასტოვა; ვინც ადგილზე დარჩა, ჯამაგირს ვერ ღებულობდა
და შიმშილით იღუპებოდა. მცხოვრებლები თვით სატახტო ქა-
ლაქში და შარა გზებზე შიმშილით იხოცებოდნენ, ყაჩაღები
დაუსჯელად დანავარდობდნენ.

ამ სასოწარკვეთილ მდგომარეობიდგან მხოლოდ ერთად-
ერთი საშუალებით შეიძლებოდა დახსნა. ეს იყო სხვის მფლო-
ბელობის ქვეშ ჩავარდნა და, მართლაც, ასე მოხდა. სუსტი გო-

წების მქონე მეფის, კარლოს II, სიკვდილის შემდეგ, 1700 წ.
ესპანიაში გამეფდა ბურბონი ფილიპე V, საფრანგეთის მეფის,
ლუი XIV, შვილის-შვილი, რომელიც, როგორც ჩამომავლო-
ბით, ეგრეთვე აღზრდით ნამდვილი ფრანგი იყო; ფილიპე V
უკელა თანამდებობას ესპანიაში ფრანგებს და უცხოელებს აძ-
ლევდა. მხედართ-მთავრად ჯერ იყო ინგლისელი ჰერცოგი ბერ-
კი და შემდეგ ფრანგების მარშალი დესსე და ჰერცოგი კან-
დომი; საფინანსო და სამხედრო სამინისტროსაც ფრანგი არია
განაგებდა. მას შემდეგ, რაც ლუი XIV გარდაიცვალა და ფი-
ლიპემ მეორე ცოლი ითხოვა, ფრანგებმა დაპყარეს თავიანთი
გავლენა ესპანიაზე; მაგრამ ამ ქვეყნის სეს მაინც ისევ უცხოე-
ლები განაგებდნენ. ამ ხანებში უმთავრესი ადგილი ესპანიაში
ეჭირათ იტალიელს, ალბერტოს და ჰოლანდიელს, დაპერდას.
უკელა ამას ისიც რომ დავუმატოთ, რომ მაშინდელი, ესპანიის
მმართველთა შორის არც ერთი გამოჩენილი ესპანიელი არ ჰქო-
ვია, ადვილი მისახვედრი იქნება, თუ რა დიდი გავლენა ჰქო-
ნიათ უცხოელებს ამ ქვეყანაში.

უცხოელების წყალობა იყო, რომ მთავრობა სცდილობდა
ეკკლესიის უფლებანი შეესუსტებინა და სასულიერო წოდები-
სათვის წაერთმია მოხვეჭილი სიმდიდრის ნაწილი. არია სცდი-
ლობდა ჩამოერთმია სამღვდელოებისათვის განსაკუთრებითი
უფლებანი და თითქმის დაიყოლია კიდეც ფილიპე. საჭირო იყო
ნკვიზიციის გაუქმებაც, მაგრამ ეს წინადადება დატოვებულ
იქმნა, რადგანაც ხალხის აჯანყებისა ეშინოდათ. 1707 წელს
სამღვდელოებამ დაუთმო მთავრობას თავისი სიმდიდრის ცოტაო-
დენი ნაწილი, როგორც მისესხებული ფული. ალბერთონმა არც
ეს იკმარა. იმის წინადადებით სამღვდელოებას გადასახადი დაა-
დეს და ვინც ამ კანონს არ დამორჩილდა, დასაჯეს. გარეშე
პოლიტიკაში ალბერთონი უფრო თავამად მოქმედებდა. იგი არა-
ვითარ უურადლებას არ აქციერდა ესპანიელებში ლრმად ჩანერ-

გულ მწვალებლების და მეტაურე მახმადიანების სიმძულვარეს იგი მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. ალბერონი კავშირით შეეკრა მახმადიანებს და დაეხმარა მათ ფულით და იარალით.

აი ამნაირად იჩინა პირველად თავი სარწმუნოების წინააღმდეგმა მოძრაობამ. ესპანიის სალსს, რომელიც უმეცრებაში საკუსდებოდა, იგი არც-ებ შექმნება. ამ დროის მწერლები მოწმობეა, რომ ესპანიის ახალგაზღობა, არც დაბალი და არც მაღალი წოდებისა, არაეითარ სწავლას არ იძენდა. სასწავლებლები და სხვა სამეცნიერო დაწესებულებანი არსად არ მოიპოვებოდა. სასულიერო წიგნების გარდა სხვა წიგნები სულ არაფრად მიაჩნდათ ესპანიელებს. მაღრიდში XVIII საუკუნეში არც ერთი წიგნთ-საცავი არ იყო. დეტრასი, რომელიც ესპანიელი იყო და სალამინაკში სწავლობდა, ამბობს, რომ მხოლოდ ჩუთი წლის უნივერსიტეტში ყოფნის შემდეგ გავიგვე, რომ მატემატიკური მეცნიერებანი არსებობენო. საფრანგეთის ელჩი მაღრიდში, ჰერცოგი სენ-სიმონი ამბობს, რომ ესპანიაში მეცნიერება დანაშაულობაა და უმეცრება სათნაობა. ერთი ინგლისელი მოგზაური სწერს, რომ საშუალოთ განათლებული ინგლისელი ესპანიაში სწავლულ კაცად ჩაითვლებათ. თუ რა სიძულვილით ეყიდებოდნენ ესპანიელები ყველა მას, რასაც განათლების ნიშან-წყალი ეტყობოდა, სჩანს იქიდან, რომ როდესაც ერთმა გამბედავშა მართებლობის მოხელემ შემოიტამა წინადადება, რომ საჭიროა მაღრიდის ქუჩები აუარებელი სიბინძურისგან. და ნაგვისაგან გავასუფთავოთ და გატარების სიბინძურისგან. მაღრიდელნი დიდად აყაყანდნენ და თვით ესპანიელი ექიმები ამტკიცებდნენ, რომ სიმყრალე ჰაერის გასაწმენდათ არის საჭიროება. იმ დროის ესპანიის ექიმები იმდენად უმეცარნი იყვნენ, რომ საფალარათო წამლის და სისხლის გამოშვების მეტი არაფერი არ იცოდნენ.

ესპანიაში XVIII საუკუნის ნახევარში კანონმდებლობის,

ფიზიკის, ანატომიის და ბოტანიკის კათედრები სულ არ მოი-
ჰოვებოდა. ხელოვნება ხომ სულ ერთიანად დაეცა. ერთი სიტ-
ყვით, ყოველგვარი ცოდნა, მრეწველობა, აღებ-მიცემობა,
ყველაფერი დაცემული იყო.

ამ გვარად უცხოელებს წინ ედვათ ძნელი საქმე დავრდო-
მილი ქვეყნის აღდგენისა, და მათ იმდენად გააუმჯობესეს ეს-
პანის მდგომარეობა, რამდენადაც ეს შესაძლო იყო იმისთანა
ხალხში, რომელიც არავითარ თანაგრძნობას არ უცხადებდა მათ.
უცხოელების შემწეობით დაარსებული იყო მადრიდში და სი-
ვილიაში ექიმთა საზოგადოებანი. მათ სამხედრო და ზღვის საქ-
მეს ახალი აგებულება მისცეს; მოიწვიეს დახელოვნებული მად-
ნის მთხრელნი, რათა შეემუშავებინათ მდიდარი, მაგრამ უყუ-
რადლებოდ დატოვებული, ესპანიის მაღნები; იმათ გახსნეს ყო-
ველგვარი ქარხნები და საჭირო ოსტატები მოიწვიეს ჰოლან-
დიიდგან და ინგლისიდგან. ესპანიის დიპლომატიაში უპირველე-
სი ადგილები უცხოელებს ეჭირათ. ფილიპე V სიკვდილის შემ-
დეგ 30 წელს ესპანიაში სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვა-
წენი იყვნენ: ირლანდიელი უოლლი, ჰენრელი—გრამალიდა და
სიცილიელი—ესკილაჩე. საფრანგეთის მინისტრის შუაზელის წყა-
ლობით 1767 წელს როგორც იყო აღსრულდა დიდი ხნის
ნატურა: იესოელები ესპანიიდგან განდევნეს. საფრანგეთში აღზრ-
დილი ესპანიელი, კასტილიის პრეზიდენტი, ბრანდა, ყოველს
ლონის-ძიებას ხმარობდა, რომ ინკვიზიციის თვითონებობისათვის
ფრეთები მოეკვეცა. მან ინკვიზიციის გაუქმების გეგმაც შეადგინა
და საქმე იქამდინ მიიყვანა, რომ 1781 წლის შემდეგ არც ერთი
მწვალებელი (ერეტიკოსი) აღარ დაუწვამთ ესპანიაში. ფლორი-
და ბლანქაშ, რომელიც ყველაფერში პბაძავდა გრიმალიდს და
მისი ჰოლიტიკის მიმდევარი იყო, შეჰქრა მშვიდობიანობის პი-
რობა ოსმალეთთან, ტრიპოლითან, ე. ი. იმ ერებ-

თან, რომელთ ულეტა ესპანიელებს ყველა საქრისტიანო მართებლობის უწმიდეს მოვალეობად მიაჩნდათ.

მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის რეფორმები, რომლებმაც ესპანია გააძლიერეს, მრეწველობა და ხალხის ენერგია ააღორძინეს, უმეტესობით კარლოს III წყალობით მოხდა. კარლოსი ესპანიის სხვა მეფეებთან შედარებით განათლებული კაცი იყო. იგი თავ-გამოდებით ებრძოდა სამღვდელოებას, რომელიც თავის მხრით ყველა ძალით და ღონით სცდილობდა შეენახა საკუთარი უფლებანი. მართებლობა ამაოდ სცდილობდა ცრუმორწმუნე და თითქმის ბარბაროსი ხალხის სვე-ყოფა წესიერი კანონდებულებით გაეუმჯობესებინა. როდესაც კარლოს III ავიდა ტახტზედ ესპანია მესამე ხარისხის სახელმწიფოდ ძლივს ჩაითვლებოდა, მის დროს-კი იგი პირველ ხარისხოვან სახელმწიფოდ შეიქმნა. კარლოს მესამემ სამხედრო და ზღვის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დააყენა, გადასახადების უფრო სამართლიანი სისტემა შემოიღო, თავისუფალი ვაჭრობის კანონები დააფუქნა, ხალხის განათლების საქმე წინ წასწია და კარგ გზაზედ დააყენა, სატახტო ქალაქი მდიდრული შენობებით დაამშვენა, მშვენიერი გზები და არხები გააყვანინა და სხვა. ამაებს ისიც უნდა დაუუმატოთ, რომ კარლოსი ხალხის გადასახადის შემსუბუქებას სცდილობდა. მაგალითად, იმან აკრძალა რომის პაპისთვის ფულის შეკრება და გაგზავნა. მაგრამ ამ რეფორმებმაც ვერ უშველეს ესპანიას, რადგანაც განათლებული მეფის პოლიტიკას ხალხის გონებრივ მიმართულებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

1700 წლიდგან 1788 წლამდინ ესპანია ყოველმხრივ პროგრესს შია. მაგრამ რეაქცია, რომელიც ხალხის უმეტრებაში ბუღლობდა, უცდიდა მხოლოდ მარჯვე დროს, რომ დაექცია ყველაფერი, რაც ხელოვნურად იყო აშენებული. ეს რეაქციონური ხანა კარლოს IV გამეფებასთანვე დადგა 1788 წელს. კარლოს IV იყო ნამდვილი ესპანიელი, სამღვდელოების ერთგული, ცრუ-

მორწმუნე და უმეცარი. ამ მეფეს თავისი წინაპრების ლიბერალური პოლიტიკის გაუქმებისათვის ხუთი წელიც არ დასჭირებია. სამღვდელოებამ და ინკვიზიციამ ხელახლად მოიპოვეს თავისი ძველი ძალა. მწერლობა და მწერლები დევნილი შეიქმნენ. კარლოს III-ს მინისტრები თანამდებობიდან დაითხოვეს, არანდი და ფლორიდა ბლანკა დაამპატიმრეს. ამ ნაირად კარლოს IV თავისი მამის საუკეთესო თანამშრომლები თავიდგან მოიშორა და დაიახლოვა იმ ნაირი პირნი, რომელნიც თავისი უვიცობით თვით მეფეს არ ჩამოუვარდებოდნენ და რომლებმაც ესპანია უკანასკნელ მდგომარეობაში ჩააგდეს. ამ დესპოტიურ მართებლობის დასახასიათებლად მოვიყანთ ერთს უწყებას, რომელიც კარლოს IV მინისტრმა გაუგზავნა უნივერსიტეტებს. ამ უწყებაში სხვათა შორის მოხსენებული იყო: მეფეს ფილოსოფოსები-კი არ სჭირია, არამედ ერთგული ქვეშევრდომებით.

მე-XVIII საუკუნის დასასრულს ესპანიის საქმეები ისეთ სამწუხარო მდგომარეობაში იყო, რომ ფრანგების შემოსევამ მთელი ესპანია საშინელს უბედურებაში და დამცირებაში ჩააგდო. ბედკრულმა ესპანიის ხალხმა საკუთარი ლონით ფეხზედ წამოდგომა ველარ შესძლო, რადგანაც ესპანიაში რამდენიმე ჩამომავლობა პოლიტიკურს მოძრაობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა და იგი თვითმართველობას სრულიად მიჩვეული არ იყო. მე-XIX საუკუნეში სამჯერ სცადეს ესპანიისათვის კონსტიტუციის მინიჭება; ჰაგრამ ამაოდ: „უმეცარი და ცრუმორწმუნე ხალხი თავისუფლებას ვერ ითვისებდა და დესპოტიური მართებლობა ყოველთვის აღვილად იმარჯვებდა ესპანიაში. ფრიად შესანიშნავია, რომ სამოქალაქო უფლებანი და ქალაქების თვით-მართველობა ესპანიაში ინგლისზედ ბევრად აღრეცოფილა შემოლებული, მაგრამ ესენი მხოლოდ თავისუფლების ფორმის წარმოადგენდნენ; ნამდვილი თავისუფლება-კი არ მოიპოვებოდა მათში. ესპანიის მართებლობა რაიმე მიზნისათვის უბოძებდა ხოლმე რომელიმე

ქალაქს უფლებებს და ოოცუ უზღოდა უკან წართმევდა, ასე რომ მე-XVII საუკუნის დასასრულს ძველად მინიჭებული უფლებანი არც ერთს ესპანიის ქალაქს აღარ შერჩენოდა. თუ რა ღრმად იყო ჩანერგილი ხალხში მონებრივი თვისება და ცრუმორწმუნეობა სჩანს შემდევგიდვან: იქსოველების განდევნის ერთი წლის შემდევ, როდესაც კარლოს III თავის დღეობას ჩვეულებრივ გამოეცხადა ხალხს, რათა ებოძებინა ის, რასაც მას ხალხ სთხოვდა, ხალხმა ერთ ხმად ითხოვა იქსოველების დაბრუნება, რათა ესპანია გაბელნიერებული ყოფილიყო წმიდა მამათა ცქერით. იმ ბარბაროსულ დაწესებულებას, რომელზე უარესიც კაცის გონებას არასოდეს არ გამოუგონია, ე. ი., ინკვიზიციას, ესპანიაში საჰოგაზოებრივი აზრი ცხალად იცვდა. ესპანიელებს რომ ინკვიზიცია ძლიერ მოსწონდათ, მტკიცება შემდევი ფაქტით. 1889 წელს ერთი მწვალებლის სიკედილით დასჯის დროს უწარჩინებულების აზნაურნი უბრალო მოსამსახურის თანამდებობას ასრულებდნენ, და თავის თავს ბედნიერად რაცხდნენ, რადგანაც ამით ეკულესიას მორჩილებას უცხადებდნენ.

ესპანიას დასაბაზიდანვე კულათერი მოეპოვებოდა, გარდა ცოდნისა, რომელიც არის საზოგადოების განვითარების პირველი ძალა. ესპანიას იმისთანა მდებარეობა აქვს, რომ შეეძლო მსოფლიო ვაჭრობა ხელში ჩაეგდო. ამ ქვეყანას ჰქონდა მინიჭებული მოქალაქური უფლებანი, დამოუკიდებელი პარლამენტი, მდიდარი ქალაქები, მშენიერი ხელოვნება, აუსარებელი ბუნებრივი სიმდიდრე, ძვირფასი მაღნეულობა, ერთი სიტყვით, მას ჰქონდა ყველა ის, რაც კაცის სულიერს და ხორციელს მოთხოვნილებებს უხვად დაკმაყოფილებს; ამასთანავე ესპანიელები განთქმულნი იყვნენ კეთილშობილური ხასიათით, მამაცობით, პირდაპირობით და ზომიერობით. მაგრამ ყველა ამაებს არ მოჰქონდათ და იქამდისინ არც მოუტანს ესპანიას საჩვენებლობას, სანამ ესპანიელები უფროუბობის წყვდიადში ჩენებინ შთანთქმულნი.

საუბედუროდ ესპანიის და საფრანგეთის უცნობდა მართებლობის
სასაჩვენებლო მოღვაწეობას. თუმცა ესპანიის ინკიზიცია 1820
წელს სამუდამოთ გაუქმებული იყო, მაგრამ გაუქმდა მხოლოდ
მისი გარეგანი ფორმა; ის გრძნობა-კი, რომელმაც ინკიზიცია
დაპატიჟა, ეხლაც სუფევს ხალხში. 1809 წელს მონაზონთა
ძმობანი გაუქმებულნი იყვნენ და მათი ქონება სახელმწიფომ
მიითეისა; მაგრამ ხალხს მონაზონების მხარე ეჭირა, და ამიტომ
ცოტა ხნის შემდეგ მონასტრები კელავ აღადგინეს. 1836 წელს
მართებლობამ წაართვა სასულიერო წოდებას აუარებელი სიმ-
დიდიდრე და 1845 წელს-კი გამოიცა კანინი, რომლითაც სამ-
დედელოებას უკან უბრუნდებოდა წართმეული ქონება. 1855
წელს ლიბერალების დასმა სამდედელოებას განსაკუთრებითი
უფლებანი მოუსპო. ამან გამოიწევია ამბოხება, რომელიც 1856
წელს შესწყდა მით, რომ ლიბერალებმა საქმე წააგეს. 1857
წელს ხალხის წარმომადგენლებმა, კორტესებმა, დამტკიცეს
კანონი, რომლის ძალით აკრძალული იყო საეკკლესიო ქონების
გასყიდვა და ეპისკოპოსებს ძეელი უფლებანი უბრუნდებოდათ.

ასე და ამგვარად, იმ დროს, როდესაც მთელი კაცობრიობ-
ბა სისწრაფით ვითარდებოდა, ესპანია უმეცრების და ცრუ-
მორწმუნეობის მორეეში ცურავდა, და მისცემოდა ღრმა ძილს;
დღეს ესპანია ყველა ეროვნის ქვეყნებზედ უკან სდგას, თუმცა
თავი მოწინავე ქვეყანად მიაჩნია. ესპანიას თავი მოაქვს მით,
რისაც მას უნდა რცხვენოდეს: იგი მედიდურობს თავისი აზრის-
სიძეელით, თავისი, ვითომ-და, მართლმორწმუნეობით, მწვალე-
ბელთა სიძულეილით და მიბრჯნელობით... .

თ ა ვ ი Ⅱ.

შოტლანდის მდგრამარეობა მე XI V საუკუნის დასასრულამდინ.

ზემო მოყვანილ მოკლე ისტორიულ მიმოხილვაში ჩეენ

ენახეთ, თუ რა ცუდი გ-უ-დ-კ-ო-ს-ლ-ა ცრუ-მორწმუნეობას და
მონურის თვისებას ესპანიის ხალხის გონებრივ და პოლიტიკურს
ზრდაზედ. შოტლანდიის ისტორია წარმოგვიდგენს იმ გვარიეე
ცრუ-მორწმუნეობის განვითარების მაგალითს, როგორიც ჩვენ
უკვე უნახეთ ესპანიაში. ამ თუ ქვეყანაში ცრუ-მორწმუნეობამ
დაპირადა სამღედელოების უზომო გაელენა, სარწმუნოებრივი
შეუწყისარებლობა, მოუთმენლობა და ფარისევლობა. მაგრამ,
მეორე მხრით, შოტლანდია წარმოგვიდგენს გასაოცარ განსაკუ-
თრებითს მოელენას, რომელსაც ჩვენ ამ ნაწილში ავხსნით.
თუმცა შოტლანდიელები სარწმუნოების მხრით ცრუ-მორწმუ-
ნები და კონსერვატორები არიან, მაგრამ ისინი არამც თუ
ესპანიელებსავით მონური თვისებისა იყვნენ, არამედ მთელს ქვე-
ყანაზედ არ მოიპოვება ისეთი ერი, რომელსაც თავისი მართებ-
ლობის წინააღმდეგ იმდენი ებრძოლოს, რამდენიც შოტლან-
დიელებს. მარტო ერთი დინასტიიდან (სამეფო გვარიდან) შოტლანდიელებმა მოჰკლეს იაკობ I და იაკობ III, წინააღმდე-
გნენ იაკობ II და იაკობ VII; იაკობ V დააპატიმრეს, მართა
ციხეში ჩასვეს და შემდგომ ტახტიდან ჩამოაგდეს; იაკობ VI
დატყვევებული დაპყავდათ მთელს მხარეში და კარლოს I წი-
ნააღმდეგნენ, შეიპყრეს იგი და, რაც ისტორიაში არას ოდეს
არ მომხდარა, დიდ ფასად მიჰყიდეს ინგლისელებს. შოტლანდიის
ჰაეს და გეოგრაფიულ მდებარეობას ძლიერ ცუდი გაელენა
ჰქონდა ამ ქვეყნის კეთილდღეობაზედ. ორვერის და შოტლანდიის
კუნძულები მეტად ხელს უწყობდნენ სკანდინავის მეკობრების
ცარცუა-გლეჯას, რომელნიც ხშირად თავს ესხმოდნენ და აოხრებ-
დნენ შოტლანდიას. თვით შოტლანდია მთიანი ქვეყანაა და
ამიტომ იქ გზების გაყვანა და მისელა-მოსელა დაბრკოლებული
იყო. ერთად-ერთი ამ ქვეყნის ნოკიერი ადგილი, სამხრეთი შოტ-
ლანდია, ინგლისელებისაგან იყო აოხრებული. გამუდმებითი

შიშიანობის-გამო შოტლანდიური ეკატერინა კარლაქერი ცხოვრება
სრულიად არ აყო განვითარებული.

14 საუკუნის განმაელობაში უცხოელები სცდილობდნენ
დაეპყრათ შოტლანდია; ამიტომ ეს ქვეყანა ყოველთვის აწიო-
კებული იყო და ხალხის კეთილდღეობა ვერასოდეს ვერ დამ-
ყარდა შოტლანდიაში. I საუკუნიდგან მე-V საუკუნემდი შოტ-
ლანდია რომაელებს ეჭირათ. მაგრამ მშეიდობიანობის მუდმივ
მტრებს, რომაელებს, თავიანთ სამშობლოში არ ჰქონდათ შექ-
მნილი კეთილდღეობა და, თქმა არ უნდა, რომ უცხო ქვე-
ყანაში უფრო ვერ შეიტანდნენ მას. რომაელების ძალამ და
უფლებამ მოუპოვა მათ სიმდიდრე, სიმდიდრეშ-კი მათი უფლება
დაამხო. ამ ხანებში რომის იმპერია სისწრაფით ეცემოდა და
იმის გავლენა კაცობრიობაზედ თან და თან სუსტუდებდა. მე-V
საუკუნის ნახევარში რომაელებმა თავიანთი ჯარები გაიყვანეს
შოტლანდიიდგან. რომაელების შემდეგ შოტლანდიის დასავლეთ
ნაწილში ირლანდიელები და სკოტები დამკვიდრდნენ და აღმო-
სავლეთის ნაწილის მკვიდრთ, პიკტებს, აუტეხეს ბრძოლა. ამ
ბრძოლამ 400 წელს გასტანა და გათავდა მით, რომ მე-IX
საუკუნის ნახევარში სკოტებმა გაიმარჯვეს. მე-IX საუკუნეშივე
ნორვეგიის მეკობრები გამაგრდნენ შოტლანდიის ზოგიერთ
ადგილებში, და 300 წელს მთელი მხარე შიშის ქვეშ ჰყავდათ;
1263 წელს ერთ ლაშქრობაში ნორვეგიელებმა საშინლად
აათხრეს შოტლანდია, მაგრამ სუსხი პავისაგან და ზღვის ღელ-
ვისაგან ნორვეგიელების ჯარი და ხომალდები სულ დაიღუპა.
ამ ლაშქრობის შემდეგ შოტლანდია გადურჩა ჩრდილოეთ მე-
კობრეებს, მაგრამ მშეიდობიანობა მაინც ვერ ეღირსა მას. 1290
წლიდგან ინგლისელები სცდილობენ შოტლანდიის დამონავებას.
შოტლანდიის დაპრობა ინგლისელების მიზნად შეიქმნა და ამ
მიზნის მისახევად ინგლისის მეფეები (ედვარდ I, II და III და
რიჩარდ II) ყოველგვარ ლონისძიებას ხმარობდნენ. აქ დასახე-

ლებული ინგლისის მეფეები მეტად სასტიკად ეპურობოდნენ შოტლანდიას: ქალაქებს აოხრებდნენ, მონასტრებს სწუავლენ და ხალხს შეუბრალებლად ხოცავდნენ და სცარცვავდნენ. გა-მუდმებული შემოსევის შემდეგ უეპველად შიმშილობა და სა-შინელი სილატაკე უნდა ჩამოვარდნილიყო შოტლანდიაში; გა-მუდმებულივე ომიანობის წყალობით შოტლანდიაში მიწის შე-მუშავება ძლიერ დაეცა; მეურნეები ზოგან თავშესაფარ ადგი-ლებში იხიზნებოდნენ, ზოგან-კი ამოწყვეტილნი იყვნენ. შიმში-ლისაგან გაცოფებულნა მტაცებელნი მხეცნი თითქმის შუა სოფ-ლებში და ქალაქებში ნავარდობდნენ და ადამიანებს ხლეჩდნენ. შიმშილობამ იქამდინ მიაღწია, რომ კაცის მჭამლებიც აღმოჩ-ნდნენ: ჩვენ ვიცით თანამედროვე წყაროებიდგან, რომ ერთი ცოლ-ქმარი, რომელნიც ბოლოს სასამართლოს საუვარდნენ ხელში, დიდი წნის განმავლობაში იმით ცხოვრობდნენ, რომ იჭერდნენ ადამიანებს და მათს ხორცს და სისხლს სჭამდნენ.

მხოლოდ 1400 წლიდგან მტერი აღარ. შეჰსევია შოტლან-დიას და მას შეეძლო თავისი ძალა საკუთარი კეთილდღეობი-სათვის მოენდომებინა; მაგრამ შოტლანდიელების კეთილ-დღეობას ძრიელ აბკროლებდა მაღალი წოდება და სამღვდე-ლობება. შოტლანდიის მოქალაქენი მეტად უძლოურნი იყვნენ და უმალლესი წოდების გაძლიერებას-კი თვით შოტლანდიის ბუ-ნება უწყობდა ხელს: მიუწდომელი მთები, ტბები, ჭაობები და გზების უქონლობა აძლევდნენ შოტლანდიის წინამდომლებს იმისთანა თავ-შესაფარს, საღაც თვით მეფეები თავიანთი ჯარით ვერაფერს აკლებდნენ მათ. 1346 წელს შოტლანდიის მეფე დავით II, ინგლისელებმა ტყვედ წაიყვანეს და ორი წელი ჰყავდათ დატყვევებული; ამ დროს შოტლანდიის აზნაურობა თვითნებობას მიეცა და მათმა ძლიერებამ იმატა. ეს იყო მიზე-ზი, რომ შემდგომში შოტლანდიის მეფენი იძულებულნი შეიქ-მნენ მოქალაქეებში მოეძებნათ დახმარება; მაგრამ იმ დროს

შოტლანდიაში დიდი ქალაქები სრულიად არ მოიპოვებოდა და შოტლანდიელებში არ იყო გავრცელებული მოქალაქობრივი თვისება. ზემო ნაჩერნების მიზეზების-გამო მრეწველობის ნიშან-წყალიც არ მოიპოვებოდა შოტლანდიაში. ამიტომ იქ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეკონომიური წარმატება შეფერხებული იყო. შოტლანდიელებმა არავითარი ხელობა არ იცოდნენ: ყველა საჭირო იარაღი და საოჯახო ავეჯულობა იმათ სხვა ქვეყნებიდგან მოჰკონდათ.

შოტლანდიის უდიდეს ქალაქებში მცხოვრებელთა რიცხვი ძლიერ ცოტა იყო. მაგალითად, უძველეს ქალაქში, გლაზგოში, 1000 კაციც არ ცხოვრობდა, აბერდინში—2900, სატახტო ქალაქში ედინბურგში—16000 და სხვა დიდ ქალაქებში ამაზე ნაკლები. ქალაქის სახლები ფაცხებს წააგავდნენ და სახლებს ლერწმის სახურავი ჰქონდათ. საზოგადოთ შოტლანდიის უმეტესი ქალაქები სოფლებს ჰგეანდნენ. ამის შემდეგ, გასაკეირველი არ არის, რომ ლარიბი, დამცირებული და უმეცარი მოქალაქობა უმაღლესი წოდების მფარველობას ეძებდა. თვით ქალაქის თავის (უფროსის) ამორჩევა უმაღლეს წოდებაზე იყო დამოკიდებული, რომელიც ხალხთა წარმომადგენელთა არჩევანსაც განაცემდა.

ამ გეარ უძლურ მოქალაქებისაგან დახმარება დიდ სარგებლობას არ მოუტანდა შოტლანდიის მეფეებს; ამიტომ იმათ მიმართეს ერთ მეტად ძლიერ წოდებას—სამღვდელოებას, რომლის გაძლიერებას, როგორც ჩენ უკვე ვიცით, ხალხში გაერცელებული ცრუ-მორწმუნეობა ხელს უწყობდა. შოტლანდიის ბუნება ხალხში ყოველთვის შიშის და ამაო-მორწმუნეობას ნერგავდა. ქარი-შხალი, ნისლი, ნიადაგ მოლრუბლული ცა, ხშირი ჭექა-ჭუხილი, ელვა, გრიალი, წყალ-დიდობა და სხვა ამ გეარი ბუნებრივი მოვლენანი შოტლანდიაში აღელვებდნენ კაცის გამოხატულებას და ნერგავდნენ მათში რწმენას ზესთაბუ-

ნებისადმი. ამდენ ბუნებოიუ ფანსაცდელებს ზედ ერთობოდა
ომიანობა, რომლის დროს სამღვდელოება უწინასწარმეტყვე-
ლებდა ხალხს ლეთის ნებას. ამის-გამო ხალხი ხსნას და სულის
სიმშეიდეს ეკლესიაში ეძებდა და მრავალი შოტლანდიელი სა-
სულიერო წოდებას იღებდა. მე-XIV საუკუნეში, როდესაც
შოტლანდიის უბადრუკმა მდგომარეობამ უმაღლეს წერტილამ-
დინ მიაღწია, სამღვდელოება მეტად გაძლიერებული იყო. და
მას უფრო მეტი სიმდიურე ჰქონდა, ვიდრე ყველა დანარჩენ წო-
დებებს ერთად; ამასთანავე უმეტება უფრო და უფრო მჭიდ-
როდ ფეხს იკიდებდა ხალხში. მე-XV საუკუნემდინ შოტლან-
დიაში არც ერთი უნივერსიტეტი არ მოიპოვებოდა და მთელს
შოტლანდიაში ძნელად ნახავდით იმისთანა აზნაურს, რომელ-
საც ხელის მოწერა შესძლებოდა. ერთი მწერალი ამბობს, რომ იმ
დროის შოტლანდიაში გაველურებული ადამიანების ჩიცევი უფ-
რო მეტი იყო, ვიდრე პირუტყვებისათვის. ეკლესიისთვის ეს
ფრიად სახელდახელო იყო: იგი თავის სიმდიდრეს უმატებდა და
იმის გაელენა იმდენად გაერცელდა, რომ მეუემ მიჰმართა
სამღვდელოებას დახმარებისათვის. ეს იყო უკანასკნელი საშუა-
ლება უჩჩ არისტოკრატებთან საბრძოლებელად.

თ ა ვ ი III.

შოტლანდიას მდგომარეობა XV და XVI საუკუნეებში.

XV საუკუნის დასაწყისში ცხადად აღმოჩნდა, რომ მარ-
თებლობას და სამღვდელოებას კავშირი ჰქონდათ შეკრული,
და მათ ამ კავშირით სურდათ აზნაურობის დამხობა. ამას ჩვენ
ნათლად ეხედავთ ალბინის პოლიტიკაში, რომელიც შოტლან-
დიას მართავდა 1406 წლიდან 1419 წლამდინ. ალბინმა თა-
ვის მიზნად გაიხადა სამღვდელოების დაცვა და მასთანვე აზნაუ-
რობის დამცირება. როდესაც ძლიერმა ბარონმა, დონალდმა,

ხელთ იგდო როსსის საგრაფო, ალბინმა, სამღვდელოების დახმარებით, ძალით ააღმართა დონალდს ხელი ამ საგრაფოზე და მას მართებლობისადმი მორჩილება გამოაცხადებინა. ამ გვარი შემთხვევა შოტლანდიაში იმ დროს პირველი გაგონება იყო.

ამის შემდეგ მართებლობა უფრო ენერგიულად მოქმედებდა და როსსის საგრაფოს გარდა მან ჩაიგდო ხელში დასაცლეთის კუნძულები. ალბინის პოლიტიკას უმეტესი ენერგიით განაგრძობდა იაკობ I, რომელიც სამღვდელოებას მრავალ გვარს შეღავათს აძლევდა და იმავე დროს ბრძოლებს აპატიმრებდა, სჯიდა მათ სიკედილით და მათ ქონებას ხაზინას უსაკუთრებდა. მაგრამ ვერც ამ პოლიტიკამ, რომელმაც მთელი თავისი ღონე კერძო პირებთან ბრძოლას მოაწოომა, შესძლო იმის აღმოფხვრა, რაც ძეალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი შოტლანდიას. საზოგადო ბოროტების კერძო საშუალებით აღმოფხვრა შეუძლებელი იყო; ამის-გამო იაკობ I-ის ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა და მამაცობაც ძვირად დაუჯდა: 1436 წელს აზნაურობა წინააღმდეგა მას და მოჰკულა იგი. ამის შემდეგ აზნაურები სწრაფად აღორძინდნენ. სამხრეთ შოტლანდიაში მეტად ძლიერნი იყვნენ დუგლასები; ამ ოჯახიდებან ერთ გრაფს იმდევნივე შემოსავალი ჰქონდა, რამდენიც თვით მეფეს. ჩრდილოეთ შოტლანდიაში უძლიერეს აზნაურებად ითვლებოდნენ გრაფები კრაფორტი და როსსი.

იაკობ II-ე პოლიტიკაში თავისი წინაპრის გზას დაადგა. მან, 1440 წელს, მოტყუვებით დაპატიმრებინა და მოაკელევინა ორი მცირე-წლოვანი გრაფი, დუგლასები. 1452 წელს იაკობ II დუგლასის გვარის წარმომადგენელი მიიტყუა და საკუთარის ხელით მოჰკულა იგი. ასე თამამად მოქმედებდა მართებლობა. სამღვდელოებას ამ გვარს მოქმედებებზე დიდი გავლენა ჰქონდა. ოცი წლის განმაელობაში იაკობ მეორის უახ-

ხლოესი მრჩეველი იყო ეპისკოპოსი კენედი, რომელიც ეუბნებოდა მეფეს, რომ, თუ არისტოკრატების საერთოდ მოსპობა ძნელია, მათი თეოთეულად ამოწყვეტა ხომ აღვილია. ამის დასამაგალითებლად კენედიმ მეფეს ერთად შეკრული სსჩები უჩვენა და უთხრა: „ერთად ამათი დამსხერევა ძნელია, ცალ-ცალკე-კი აღვილად დაიმტკრევაო“. მაგრამ არისტოკრატია მკვადრნიადაგზე იდგა და მართებლობა ვერას აკლებდა მას. 1482 წელს, არისტოკრატიამ შეიპყრო იაკობ III, დააპატიმრა ივი და 1488 წელს მოჰკლა კიდევა. იაკობ IV-ც თავის მამა-პაპათა პოლიტიკას შეუდგა; მეფე სამლედელოებასთან კავშირს იცავდა და არისტოკრატიის დამცირებას სცდილობდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, არისტოკრატია არამე-თუ ჰერგავდა თავის ძალას და ღონეს, არამედ, იაკობ V მცირე-წლოვანების დროს, იმდენად გაძლიერდა, რომ შოტლანდიის მაშინდელი მმართველი (რეგენტი), აჯანი, იძულებული შეიქმნა ამ თანამდებობაზედ ხელი აეღო და შოტლანდია დაეტოვებინა. დუგლასებმა მეფე შეიპყრო და მთავარ-ეპისკოპოსს, ბიტონს, დიდ-ვეზირობაზე მალატანებით უარი ათქმევინეს. მაგრამ სამლედელოებამ ისევ მალე იჩინა თავისი ძალა. ბიტონმა შეთქმულება მოახდინა, რომლის შემწეობით 15 წლის იაკობი, 1582 წელს, გამოექცა დუგლასებს. იაკობმა მალე დაიახლოება სასულიერო წოდება და არისტოკრატიას სასტიკი დევნა დაუწყო. შეეიწროებულმა და გაბრაზებულმა არისტოკრატიამ, სამლედელოების ჯიბრზე საიდუმლო საქმეები დაიჭირა ინგლისთან და არისტოკრატიის დიდმა უმეტესობაში პროტესტანტობა მიიღო. იაკობი, თავის მხრით უფრო დაუახლოება სამლედელოებას. მეფე იმდენად გტრობდა არისტოკრატიას, რომ იმათ სიკვდილის დასჯას თვით ესწრობოდა. 1535 წელს იაკობმა მიიღო წოდება „დამცეველი სარწმუნოებისა“. 1538 წელს მან მეორე ცოლად შეირთო მარიაშ დე-გიზი და ამით დაუმეგობრდა. კათოლიკე სარწმუნოების უძ-

ლიერეს სამეფო სახლს. სასტიკა ჭუბაულებამ აიძულა პროტესტანტები, რომ მათ ინგლისში შეეფარათ თავი. ამ პროტესტანტებს მხოლოდ დუგლასების იმედი ჰქონდათ, რომელნიც ჰენრი VIII სასახლეში შეხიზნულიყვნენ, ამათ ბევრი თანამოაზრენი ჰყავდათ შოტლანდიაში და, როგორც იყო, ამ უკანასკნელებისთვინაც დადგა მოქმედების დრო. 1542 წელს იაკობმა მოსთხოვა არისტოკრატებს, რომ ისინი ინგლისთან საომრად წასულიყვნენ, მაგრამ არისტოკრატებშა ცივი უარი შეუთვალეს. სამღვდელოებას იმედი ჰქონდა, რომ ეს ომი საშუალოდ დამხობდა მწვალებლობას. ამ მიზნით მან რამოდენიმე წარჩინებული პირი მიიმხრო და ცოტაოდენი ჯარი შეკრიბა. მაგრამ ამასობაში ინგლისელები უეკრად დაეცნენ შოტლანდიელებს, აჯობეს მათ და აუარებელი ტყვე გარეკეს ინგლისში. მოულოდნელმა დამარცხებამ იაკაბის ჯანმრთელობაზე საშინელი გავლენა იქონია: იგი იმავ წელს ციებ-ცეცლებით გახდა ავად და გარდაიცვალა. იაკაბმა მემკვიდრეობა თავის მცირე-წლოვან ასულს, მარიამს, დაუტოვა. მეფის სიკვდილის შემდეგ არისტოკრატია ხელ-ახლად გაძლიერდა. 1543 წელს, ანგუსი, დუგლასი და ბევრი სხვა არისტოკრატი დაპრუნდნენ შოტლანდიაში და დააბრუნეს თავიანთი ქონება და უფლება. ამათ დააპატიმრეს რეგენტი ბიტონი და მისი თანამდებობა გრაფს არანს მისცეს. ლორდი მაკსკელის წინადადება, რომ ხალხს მიეცეს ნება საშშობლო ენაზე გადმოღებული დაბადების (ბიბლიის) წაკითხვისა პარლამენტმა შეიწყნარა და მართებლობამაც დაამტკიცა. ამით რეფორმაციას შოტლანდიაში გზა ეხსნებოდა. 1545 წელს, პროტესტანტმა არისტოკრატებმა ღალატით მოჰკლეს მთავარ-ეპისკოპოსი ბიტონი და ხელში ჩაიგდეს ანდრიუსის ციხე-დარბაზი. ამ მუხანათურ საქმეში მათ ხელს უწყობდა გამოჩენილი ჯონ-ნოჯსი, კაცი დაუღალავი, მამაცი, გამბედავი და უშიშარი. 1547 წელს, ფრანგებმა დაუბრუნეს ანდრიუსის მისი ციხე და ნოკსს კა-

ტორლა გადაუწყვიტეს, ოოშელაშიაც ბან თრი წელი დაჭყო. ამის შემდეგ, 1559 წლამდინ, ნოკის ინგლისში და სამზღვარ გარეთ იმყოფებოდა. ამასობაში არისტოკრატები ნიადაგს ამზა-დებდნენ შოტლანდიის მთავარი ეკკლესიის დასამხობლად. ნოკის-მა, შოტლანდიაში დაბრუნების რამდენიმე დღის შემდეგ, 11 მაისს 1559 წელს, პერტში წარმოსთვა სიტყვა, ოომლის შემ-დეგ დაიწყო რევოლუცია.

ხალხი ეკკლესიებს სცარცუავდა, მონასტრებს ანგრევდა და მართებლობის ჯარიც დაამარცხეს; მარიამმა დასტოვა სატახტო ქალაქი და 29 ივნისს პროტესტანტები დიდის-დიდებით ედინ-ბურლში შევიდნენ. აზნაურების დიდმა უმეტესობამ კავშირი შე-ჰქონდა, რათა ურთიერთს დაეხმარონ და მტარეალური მართებ-ლობის წინააღმდეგ იბრძოლონ. ამ აზნაურებს დაერქეათ „ლორ-დებ კონგრეციისა“. 1560 წელს, ამათ შეკრეს პირობა ინგლი-სის მეფესთან, ელისაბედთან, ოომლის ძალით ფრანგების ჯარი შოტლანდიიდან უნდა გასულიყო და მათი ადგილი ინგლისე-ლების ჯარს დაეჭირა. ამ გვარად 150 წლის ბრძოლა არის-ტოკრატებსა და სამღვდელოებას შორის რეფორმაციის დაფუძ-ნებით და არისტოკრატების გამარჯვებით გათავდა, მაგრამ გა-მარჯვება ხანგრძლივი არ იყო. სამღვდელოების ძევლი იერარ-ქია, ახალ იერარქიად შეიცვალა, რომელიც ხალხის ცრუ-მორ-წმუნეობაში დიდ დახმარებას პოულობდა და მით არისტოკრა-ტებისთვის მეტად საშიშო შეიქმნა. ამ ორ წოდებათა შორის შეტაკების მიზეზიც მალე აღმოჩნდა. არისტოკრატები არ ფიქ-რობდნენ მითევისებული საეკკლესიო ქონების დაბრუნებას. 1560 წელს, ავგისტოში, ნოკისმა და მისმა თანამოღვაწეებმა სთხოვეს პარლამენტს, რომ წართმეული დაუბრუნდეს ეკკლესიას. ამაზე არისტოკრატებმა არაეითარი პასუხი არ მისცეს ნოკის. 1566 წელს სამღვდელოების თხოვნა განმეორებული იყო. არისტოკ-რატებმა უპასუხეს: „რეფორმაციულ სამღვდელოებას ეკკლე-

სიის ქონებიდგან ერთი შეექვესელი „ერგებაო“. სამღვდელოება მეტად აღელდა: იგი ყველგან ქადაგებდა, რომ არისტოკრატები არიან ეკულესიის მტერნი და სატანის მომხრენი. არისტოკრატებიც, თავიანთის მხრით, სამღვდელოებას შეურაცყოფას აყენებდნენ და სასაცილოდ იგდებდნენ. 1572 წელს გრაფმა მორტონმა რეგენტობა მიიღო და მეტად სასტიკად დაუწყო დევნა სამღვდელოებას. სადაც საეკულესიო თანამდებობანი განთავისუფლდებოდა, იქ მორტონი არავის აღარ ნიშნავდა და ადგილის შემოსავალს თვითონ იღებდა. მან საჯაროდ გამოაცხადა, რომ შოტლანდიაში იქამდის მშვიდობიანობა არ ჩამოვარდება, სანამ რამოდენიმე ჩვენ წინააღმდეგ მქადაგებელ მღვდელს არ ჩამოვალჩიობთო.

როგორც ვხედამთ ეკულესის და არისტოკრატების შეული განხეთქილება მოხდა. სამღვდელოება ხალხს უკავშირდებოდა და დემოკრატიულ მოძრაობას აქეზებდა. 1575 წელს სამღვდელოებამ ფრიად ნიჭიერი, თამამი და მოხერხებული ანდრიუ მალგვილის გავლენით დაიწყო წაქეზება ხალხისა, რათა ეპისკოპოსობის თანამდებობა გაუქმებული ყოფილიყო და სასულიერო წოდების ყველა წევრს თანასწორი უფლება მიჰნიჭებოდა. 1580 წელს სამღვდელოებამ მართლაც გამოაცხადა, რომ ეპისკოპოსობის თანამდებობა უქმდებაო. მაგრამ მართებლობა ამ აზრს არ თანაუგრძნობდა და 1581 წელს რობერტ მონგომერი დანიშნეს გლოვოს მთავარ-ეპისკოპოსად. სამღვდელოებამ, თავის მხრით, საერთო კრებაზე განუცხადა მონგომერს, რომ თუ იგი მიიღებს მართებლობისაგან შეძლეულ თანამდებობას, მაშინ მას ეკლესია შეაჩვენებს. მონგომერი შეშინდა და მთავარ-ეპისკოპოსობაზე უარი განაცხადა. ამ გვარად მართებლობამ ვერაფერი ვერ გააწყო სამღვდელოების წინააღმდეგ, გარდა იმისა, რომ მან ერთი გამოჩენილი მქადაგებელი მღვდელი განდევნა შოტლანდიიდგან. 1581 წელს თავი იჩინა როტკენის

შეთქმულობამ, რომლის უკანასხვათ შეფე იაკობ VI დაპატიმ-
რებული იყო. ამის შესახებ სამღვდელოება აცხადებდა ხალხში,
რომ მეტად სასარგებლო საჭმე მოხდა. სამღვდელოება მეფის
განთავისუფლების შემდეგაც არ სტოვებდა თავის პოლი-
ტიკას. მღვდლები და სხვები საჯაროდ სწყევლიდნენ მეფეს
და ევედრებოდნენ ზეცას, რათა მან თავისი რძსხვა მოუვ-
ლინოს იაკობს. 1586 წელს ინგლისის მეფემ, ელისაბედმა, გა-
დასწუვიტა შოტლანდიის მეფის დედის, მარიამის, სიკვდილით
დასჯა. იაკობმა გამოუცხადა სამღვდელოებას, რომ მათ მისი
დედისთვის, მარიამისთვის, ელოცათ, მაგრამ მღვდლებმა უარი
განუცხადეს მეფეს. 1594 წელს ჯონ-როსმა მეფე და მისი თანა
მოღვაწენი გამცემლებლად და სამშობლოს მოღალატედ აღიარა.
1596 წელს დაგოთ ბლექიმ ერთ თავის ქადაგებაში სთქვა: „მეფე
სატანა არისო და პარლამენტის ლორდები და ყველა არისტო-
კრატები გამცემელნი და ეკკლესიის მტერნი არიანო“. იმავ
წელს მელგილმა პირველად შეურაცყო მეფე. 1596 წლის ქრის-
ტეშობის თვეში მღვდელმა ჟელშიმ ურთ ქადაგებაში უთხრა
თავის მრევლს: „მეფე აქამდისინ მხოლოდ ერთ სატანას ჰყავდა
შეპყრობილიო და როდესაც იგი განდევნეს მის მაგიერ შვილი,
უფრო უარესი, სატანა შევიდა მეფეშიო, და ამიტომაც, ცხადია,
რომ მეფე თავის ჭკუაზე არ არისო და მას უფლება უნდა წა-
ერთვასო“.

ყველა აქ მოყვანილი ფაკტები ამტკიცებუნ, რომ სამღვდე-
ლოება მეტად განრისხებული იყო და მის სასოწარკვეთილებას
საზღვარი არა ჰქონდა. თუმცა სამღვდელოების მოქმედება იმ
ნაირი იყო, რომ იგი ჩვენი დროის ადამიანს ზიზღლს მოჰვერის,
მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, ერთის მხრით; რომ სამღვდე-
ლოება მოქმედებდა გახრმნილი და უვიცი დროს გავლენის
ქვეშ და, მეორე მხრით, ჩვენ უნდა ვაფასებდეთ იმ დიდ სარგებ-
ლობას, რომელიც მან შოტლანდიას მოუტანა. პროტესტან-

ტების სამღვდელოება ყოველი აურანდის თავისუფლების მცველი იყო, ყველა გაჭირებაში და შიშში იგი წინ მიუძღვდა ხალხს, უნერგავდა მას დემოკრატულ შეხედულებას, ასწავლიდა ხალხს პოლიტიკური შემთხვევების დაფასებას და არისტოკრატების სურვილს და ლტოლვილებას ყოველთვის ზიზღით დასკინდა. ამ გვარად სამღვდელოებამ აღძრა ხალხში დამოუკიდებლობის სურვილი, რომელმაც იაკობის და კარლოს I დესა პოტიურს პოლიტიკას სძლია.

თ ა ვ ი IV.

შოტლანდიის მდგომარეობა XVII და XVIII საუკუნეებში.

ინგლისის ტახტზე ასვლისთანვე იაკობმა თავისი ახალი ჩალა სამღვდელოების დამკირებას მოანდომა, რადგანაც ეს უკანასკნელი წოდება მეფეს ხელს უშლიდა მტარვალურს მართველობაში. 1584 წელს მეფემ დროებით აღადგინა ეპისკოპოსობა. მაგრამ 1592 წელს იაკობი იძულებული შეიქმნა დაეთმო სამღვდელოებისათვის: პარლამენტმა გამოსცა კანონი, რომელიც არღვევდა ეპისკოპოსების უფლებებს და აფუნქებდა პროტესტანტობას, ე. ი. იმ გვარ სარწმუნოებრივ სისტემას, რომელიც თავისუფლებაზე იყო დამყარებული, და ამ სახით იგი შოტლანდიის ეკკლესიის მოთხოვნილებებს ეთანხმებოდა. ეს გამარჯვება ძლიერ ძვირად დაუჯდა სამღვდელოებას და ხალხს, რადგანაც განრისხებული მეფე არავითარ საშუალებას არ თაკილობდა, ოღონდ-კი თავისი სურვილი შეესრულებინა. იაკობმა გამოიწვია ჩრდილოეთის ავაზაკი-მთიულები და სამხრეთის ბარონები, რომელნიც 1 იანვარს 1597 წელს სატახტო ქალაქში ჩამოვიდნენ და იძულებული ჰყვეს სამღვდელოება, რომ იგი მეფეს დამორჩილებოდა, რომელსაც სურდა ეპისკოპოსობის აღდგენა. გარდა ამისა მეფე სასულიერო „საზოგადო კრების“

ჭავლენის დამცირებას და მოხილებას სკულილობდა. ამ შეზნით მან ჩრდილოეთის სამღვდელოებას „საზოგადო კრებაში“ მონაწილეობა მიაღებინა, რაღაც აც ჩრდილოეთი შოტლანდიის მღვდლები სრულიად არ იყვნენ გამსჭვალულნი დემოკრატიული აზრებით, მაგრამ მეფემ ეპისკოპოსობის აღდგენა ჯერ-ჯერობით მაინც ვერ მოახერხა და იგი უფრო მარჯვე დროს ელოდებოდა. ამ მდგომარეობაში იყო საქმე, როდესაც ეკკლესიისაგან დაცულს შოტლანდიის თავისუფლებას დაღუპვა მოელოდა. ელისაბედი გარდაიცვალა და შოტლანდიის მეფე ინგლისის ტახტზედ ავიდა. 1604 წელს იაკობმა სამღვდელოების „საზოგადო კრება“ საკუთარის უფლებით გადასდო და შემდეგ წელშიაც ეს განკარგულება გაიმეორა. მაგრამ, როდესაც სასულიერო წოდებამ, მეფის აღკრძალვის მიუხედავად, მაინც გახსნა „საზოგადო კრება“, მაშინ მართებლობამ უბრძანა მათ, დაიშალეთო; გარდა ამისა იაკობმა 14 სასულიერო წოდების პირი დააპატიმრა და ექვსიც სამუდამოდ სამშობლოდგან განდევნა. 1610 წელს „საზოგადო კრებამ,“ რომლის წევრები მართებლობისგან იყვნენ დანიშნულნი, აღადგინა ეპისკოპოსობა და, რაც შოტლანდიისათვის დიდი დამცირება იყო, შოტლანდიის სამი მთავარ-ეპისკოპოსი ინგილისის მთავარ-ეპისკოპოსმა აკურთხა ლონდონში. მთავარ-ეპისკოპოსები დაბრუნდნენ შოტლანდიაში და მათაც თავის მხრით სხვები აკურთხეს ეპისკოპოსებად. ამ დროიდან სამღვდელოება და ხალხი ახალ მტარვალებს ჩაუვარდათ ხელში. მიიღეს-რა მართებლობისგან დანიშნულმა ეპისკოპოსებმა ვრცელი უფლება, მაშინვე დაუწყეს სამღვდელოებას დევნა. გარდა ამისა ისინი ართმევდნენ ქალაქებს თვით-მართველობას და მათ მაგიერ სახელმწიფო მოხელეებს აყენებდნენ; მათ მიითვისეს პარლამენტში ლორდების დანიშნენის უფლებაც და სატახტო ქალაქის მცხოვრებლებს ძლიერ სასტიკად ეპყრობოდნენ.

მტარვალობას, რასხუროვანი ასება უნდა გამოეწვია
და მართლაც 1637 წელს აძიოდება დაიწყო. 1638 წელს
„საზოგადო კრებამ“ გააუქმა ეპისკოპოსობა, გადააყენა ეპისკო-
პოსები და აღადგინა წინანდელი დემოკრატული პრესვიტერი-
ული წეს-წყობილება. 1639 წელს შოტლანდიელებმა მეფე კარ-
ლოს I-ელს ომი გამოუტადეს. 1641 წელს შოტლანდიელები
შეუერთდნენ ინგლისელებს და რამდენჯერმე დაამარცხეს მეფე.
ბოლოს შოტლანდიელებმა კარლოსი შეიპყრეს და, რომ ომში
დახარჯული ფული დაებრუნებინათ, მეფე დიდ ფასად მიჰყიდეს
ინგლისელებს.

თუ რა განუსაზღვრელი იყო ის სიმძულვარე, რომელიც
ამ მეფის მტარვალობამ ჩანერგა ხალხში, სხანს იქიდგან, რომ
მისი მოადგილე, კარლოს II, თბულებული შეიქმნა თვისი მშობ-
ლის პოლიტიკა მავნე პოლიტიკად გამოეცხადებინა. და თვისი
საკუთარი შეცდომილებანიც საქვეყნოდ შეენანა.

მაგრამ ამ რევოლიუციის ნაყოფი არ იყო დამყარებული
მტკიცე ნიადგზე. კარლოს II და იაკობ II მეფობა მათი წი-
ნაპრების პოლიტიკის განმეორება იყო. 1660 წლიდგან 1688
წლამდინ შოტლანდიელებმა გამოსუადეს შეუსაბამო დესპოტიუ-
რი მართებლობის საშინელება. ამ დროს არისტოკრატია და-
უძლიერებული და დამცირებული იყო და ხალხს შეუბრალებ-
ლად სდევნიდნენ და სკარცულვდნენ. 1633 წელს გამოცემული
ყველა კანონები გააუქმეს. ახლად აღდგენილ ეპისკოპოსობის
სამავეში იდგა ცბიერი, ულმობელი და ხარბი შერმა, რომელიც
სდევნიდა ხალხს და ძველი წირვა-ლოცვების ნების არ აძლევდა:
მართებლობის დესპოტობას საზღვარი აღარ უჩნდა. იგი უსევდა
ხალხს გამხეცებულ მხედრებს და თუ ვინმე ცოტაოდენ წინააღ-
მდეგობას უწევდა, მას სკარცულვდნენ, აუპატიურებდნენ და
ჰკლავდნენ. 1674 წელს სატახტო ქალაქიდგან განდევნილ იყენენ
ის ვექილები, რომელნიც საშვავროებში უდანაშაულო პირებს.

იცავდნენ. 1678 წელს ათას გამოიწვია მთიულები, რომელიც სამი თვის განმავლობაში სკარცვავდნენ, ხოცავდნენ და სწვავდნენ მცხოვრებლებს. იაკობ II იმდენად ავი ადამიანი იყო, რომ თავისი ქვეშევრდომების ტანჯვის ცქერაში სიამოვნებას პოულობდა. მის მეფობის დროს ძნელად დასაჯერებელი ბარბაროსობა ხდება: ასანდად და ნიტდად შე მხედრებმა წართვეს მშობლებს ყველა ბავშვები ექვსი წლიდან ათ წლამდინ და მათ დახოცვას აპირებდნენ; მართებლობამ აუარებელი ხალხი გადასახლა ხაშმიან ადგილებში; ამ დროს ბევრ მამაკაცებს ყურებს აჭრიდნენ და დედა-კაცებს ხელებზე და კისერზე დალებს ასვამდნენ.

მთავრობის ამ ნაირმა საქციელმა ხალხი მოთმინებიდგან გამოიყვანა, 1688 წელს შოტლანდიელები შეუერთდნენ ინგლისელებს და წინააღმდეგნენ იაკობს, რომელიც იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო და, როგორც კარლოს II ქმნა ეს, მოემხრო თვისრ ერთად-ერთი მეგობრები — მთიულები. ამ ველური ხალხის შემოსევა გათავდა მით, რომ ამათ დასტაცეს მკვიდრთ აუარებელი სიმდიდრე. 1745 წელს მთიულები უკანასკნელად შამოქსივნენ შოტლანდიას და ინგლისს, შემდეგ დაბრუნდნენ თავიანთ მთებში და მას აქეთ შოტლანდია და ინგლისი მათ აღარ შეუწუხებიათ.

1745 წლის შემდეგ შოტლანდიასათვის დგები მშვიდობიანი და განუწყვეტელი პროგრესის ხანა. მას შემდეგ ამ ქვეყანაში კეთდება გზები და მშვიდობის-მოყვარე მცხოვრებნი უახლოვდებიან მთიულებს და განათლება შეაქვთ მათში. მალე შოტლანდიაში მხედრების ნაცვლად პირველ ადგილს მჩერებელები და მოქალაქენი იქერენ. XVII საუკუნეში აღებ-მიცემობა და XVIII საუკუნეში მწერლობა ფეხს იდგამს. შოტლანდიელების სასტიკი ხასიათი თანდათან ჩვილდება. რომ იმ დროის შოტლანდიაში მოქალაქეები და მრეწველები უპირატეს ადგილს იქერენ, სჩანს იქიდგან, რომ არისტოკრატებს ერთმევათ მსაჯულობის უფლება! იმ

საზოგადო მიზეზების გაუკურნებლივ აზნაურობა მთელს ევ-
როპაში დასცა, შოტლანდიის არისტოკრატების დაუძლურება
ორი აღვილობრივი მიზეზის შედეგი იყო. ერთი, რომ შოტ-
ლანდიის და ინგლიისის შეერთებამ (1707 წელს) ორთავე სამე-
ფოს კანონმდებლობა გააერთა და 145 შოტლანდიის ლორდე-
ბიდგან, მხოლოდ 16-ს მიეცა ხმა ინგლიისის პარლამენტში. მცი-
რე რიცხვის და უმეცრების-გამო, შოტლანდიის ლორდებს ინ-
გლიისის პარლამენტში არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდათ.
მათი უძლურება და მოუხერხებლობა პარლამენტის საქმეებში
იყო იმის მიზეზი, რომ შემცირდა ის პატივის-ცემა, რომლითაც
შოტლანდიელები ეპყრობოდნენ თავიანთ არისტოკრატებს. მიუ-
ხედავად თავიანთ არა სასურველ მდგომარეობისა ინგლისში,
შოტლანდიის არისტოკრატები მიეშურებოდნენ ლონდონისაკენ,
სადაც ყველა კეთილშობილები თავს იყრიდნენ ბოლმე. შოტ-
ლანდიის აზნაურებს თანდათან ავიწყდებოდათ სამშობლო ქვე-
ყანა და სამშობლოც თავის მხრით ივიწყებდა მათ. ამ გვარად
XVIII საუკუნეში მოისპო ის უუძველესი კავშირი, რომელიც
შოტლანდიის ხალხს და აზნაურობას შეა სუფევდა.

მეორე მიზეზი აზნაურობის დაუძლურებისა ის იყო, რომ
1745 წლის ამბოხების მოსპობის შემდეგ, შოტლანდიის უძვე-
ლესნი კეთილ-შობილნი, რომლებმაც ამ ამბოხებაში მონაწი-
ლეობა მიიღეს, იძულებულნი შეიქმნენ დაეტოვებინათ თავიან-
თი ქვეყანა, და, როდესაც მათ, 40 წლის შემდეგ, შოტლან-
დიაში დაბრუნება დაიწყეს, ამათ აქ ახალი წეს-წყობილება დახ-
ვდათ; გარდა ამისა ამ დროს განმავლობაში, როგორც თვით,
არისტოკრატების, აგრეთვე მათი წინანდელი ხელ-ქვეითების
შეხედულება შეცვლილიყო.

როგორც წინათ ვსთქვით, შოტლანდიის პროგრესი მრეწ-
ველობის და აღებ-მიცემობის განვითარებასთანავე დაიწყო. ამა-
ნაც დიდი გავლენა იქონია კეთილ-შობილურ ჩამომავლობის

მნიშვნელობის დაცემაზე თას შესრულებისაში პირველი ადგილი სიმღიღრეს ეჭირა, სიმღიღრე-კი მრეწველობის და ვაჭრობის ნაყოფი იყო. შოტლანდიის მრეწველობის და აღებ-მიცემობის განვითარებას ყელაზე უმეტესად ინგლისთან შეერთება დაეხმარა. ამის შემდეგ შოტლანდიაში ამერიკასთან პირ-და-პირი მისვლა-მოსვლა გამართა ასე; რომ რამდენიმე წლის განმავლობაში შოტლანდიის ქალაქები — გლაზგო და გრინუჯი პირველ-ხარისხოვან ნავთ-სადგურებად შეიქმნენ და ქალაქი ჰაისლი მრეწველობის ცენტრად გახდა. შოტლანდიაში თანდათან სხვა-და-სხვა წარმოება იბადებოდა, მათ შორის ყველაზე უფრო წინ წავიდა ტილოს ქსოვა. 1749 წელს ებერდინში დაარსებული იყო შოტლანდიის პირველი ბანკი და მას შემდეგ საფინანსო საქმეც კარგად წავიდა შოტლანდიაში. 1768 წელს დაიწყო დიდი საქმე: აღმოსავლეთი და დასავლეთი შოტლანდიის არხით შეერთება.

ამ ახალმა მოძრაობამ წამოაყენა ორი ძლიერი წოდება: მრეწველები და გონებით მშრომელნი. ამ გვარად შოტლანდია თანდათან მდიდრდებოდა და მასთანვე ცოდნის ყველა ნაწილში აღმოჩნდნენ დიდი მეცნიერნი. XVIII საუკუნემდინ-კი შოტლანდიას მხოლოდ ორი შესანიშნავი მწერალი ჰყვანდა: ბუკანინი და ნეპირი. საუბედუროთ, შოტლანდიის ხალხმა ძველ ცრუ-მორწმუნოების მორევიდგან მაინც ვერ იხსნა თავი. გასაოცარი ის არის, რომ XIX საუკუნის საშუალო წლებამდინ მრეწველობის და გონებრივმა განვითარებამ და მეცნიერების მთლიმა დასმა შესამჩნევად ვერ შეამცირეს სამღვდელოების უფლება და ხალხის კონსერვატორული შეხედულება სარწმუნოებაზე. განმარტება ამ შესანიშნავი მოვლენისა იქნება ქვემო თავუბის საგანი.

განხილვა გონებრივი მოძრაობისა შოტლანდიაში XVII
საუკუნეში.

შესახებ შოტლანდიის ისტორიისა ამ ნაწილის დანარჩენ
ორ თავში ჩვენ განვიხილავთ შემდეგს: 1) რომ ერთი და იგი-
ვე ერთ პოლიტიკაში ლიბერალია, ხოლო სარწმუნოებაში არა
და 2) რომ თავისუფალმა და სკეპტიკურმა მწერლობამ, რომე-
ლიც შოტლანდიელებს XVIII საუკუნეში ჰქონდათ, ვერ შეამ-
ცირა ამ ხალხის ცრუ-მორწმუნეობა. პირველ მიზეზს ჩვენ ამ
თავში განვიხილავთ. წინამავალ თავებში ჩვენ ნაჩვენები გვქონ-
და ის პოლიტიკური შემთხვევები, რომლებმაც სამღვდელოებას
და ხალხს შუა ვიწრო კავშირი დაპირისება, და მათი შეერთე-
ბული ძალა მართებლობის წინააღმდეგ მიმართეს, რომელიც,
თავის მხრით, ან არავითარ ყურადღებას არ აქციებდა ეკკლე-
სიას, ან არა და სდევნიდა მას. ჩვენ ვნახეთ, რომ XVI საუ-
კუნის დასასრულს სამღვდელოება ხალხში ეძებდა თავ-შესაფარ
ბანაკს და XVII საუკუნის პირველ ნახევარში იგდა ხალხის ბედ-
ილბალს უკვე განაგებდა. მაგრამ სამღვდელოება ხალხში უმეტ-
რებას ნერგავდა და გონებრივ მოძრაობას აბრკოლებდა. სამ-
ღვდელოების ბრძოლა მაღალ წოდებასთან რეფორმაციის შემ-
დეგ ახლო ხანებში დაიწყო და გათავდა მით, რომ ეპისკოპო-
სობა გაუქმდა (1638 წ.); ამოდენა დროს განმავლობაში სამ-
ღვდელოება ეკკლესიას და ხალხის თავისუფლებას, ორივეს
ერთნაირის ენერგიით, იცავდა. ამან, რასაკვირველია, სამღვდე-
ლოების გავლენა განამტკიცა ხალხში და შეეცადა, რომ ერთ
და იმავე დროს პატრიოტული გრძნობა და ეკკლესიის სიყვა-
რული ერთნაირად ჩანერგულიყო ხალხში.

1630 წელს კრომველი შამოესია შოტლანდიას, დაიმონავა

(დაიმორჩილა) ხალხი და სასტუციუროებას, როგორც თავისის პოლიტიკის მტერს, სასტიკი დევნა დაუწყო. მაგრამ კრომველ-მა ვერ დასცა შოტლანდიის სამღვდელოება, რადგანაც იგი მტკიცე ნიადაგზე იდგა და ხალხს მტრების წინააღმდეგ აქეზება და. ამ გვარად ხალხი მჭიდროდ შეკავშირებული იყო სამღვდელოებასთან; სულის მამები-კი ყველა პოლიტიკურ შემთხვევას და საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრების მოვლენას კრუ-მორწმუნეობის დაწს სდებდნენ. კარლოს პირველთან ბრძოლა უფრო სარწმუნოებრივი, ვიდრე პოლიტიკური, ომი იყო. შოტ-ლანდიელები თავის თავისუფლებას იცავდნენ და იმავ დროს სცდილობდნენ წარმართი მეფე და ინგლისის წარმართი ეკკლესია დაემხოთ. ორი სამეფოს შეერთების დროს, ინგლისელები მხოლოდ სამოქალაქო კავშირს ეძებდნენ, შოტლანდიელები-კი თხოულობდნენ, რომ სარწმუნოების შესახებ პირობა ყოფილი-ყო შეკრული.

კრუ-მორწმუნე შოტლანდიელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ომი ღვთის მფარველობის ქვეშ ხდება და მას სხვა-და-სხვა სასწაულები წინ მიუძღვის. რადგანაც სამღვდელოების და ერის შეერთებულმა მოქმედებამ მთელი მე-XVII საუკუნე გასტანა, ამიტომ სულიერმა მამებმა ძლიერ დიდი გავლენა მოიპოვეს ხალხზე და გონებრივი განვითარება თითქმის ერთი საუკუნით შეაჩერეს. ჩვენ აქ დავახასიათებთ იმ დროის მქადაგებელთა მოღვაწეობას. ქადაგებდნენ ყველა ეკკლესიაში თითქმის ყოველ დღე; ყოველი მქადაგებელი სცდილობდა, რაც შეიძლება დიდხანს არ გაეთავებინა სიტყვა; ქადაგებდნენ იქამდი-სინ, სანამ მსმენელნი მთლად არ დაიქანცებოდნენ. ზოგიერთ ეკკლესიებში ყოველ დღესასწაულ დღეს რამოდენიმე ქადაგება ითქმოდა, და ერთ სატახტო ქალაქის ტაძარში კვირაში 24-ჯერ ქადაგებდნენ. ხალხიც ძლიერ მუყაითად უსმენდა მღვდლებს: აქ მოვიყვანთ ერთ შემთხვევას: 1653 წელს საზრდოებელი ხალ-

წი ამ წესით მოიქცა: ოთხი ასაკის დაიწყო მარხვა-მარხულობა და ამ დღეს რვა საათი ეკულესიაში დაჭყვეს. შაბათს სამი ქადაგება მოისმინეს; კვირას 12 საათი დაჭყვეს ეკულესიაში და ორშაბათს, სამადლობელოდ ღვთისა, ოთხზე მეტი ქადაგება მოისმინეს.

რაც შეეხება იმას, თუ რა ნაირად ეპყრობოდა სასულიერო წოდება ხალხს, ეს სჩანს შემდეგი ფაკტებიღგან. ყველა ეკულესიებში სამღვდელოება მრევლთა შორის რამდენიმე მართლ-მორწმუნე პირს ირჩევდა; ესენი შეადგენდნენ ასე წოდებულს „საეჭვალესიო ქრებას“; მას მინიჭებული ჰქონდა ურჩი მოქალაქეების დასჯის უფლება. ამ კრებას შეეძლო დამნაშავესთვის საკუთრების წართმევა და საზოგადოებიდგან მისი განდევნა. ამ სამჯავროს სათავეში იდგნენ მღვდლები, რომელნიც კაცის კერძო ცხოვრებასაც-კი დესპოტიურად ეპყრობოდნენ. მაგალითად, საგანგებოდ დანიშნული ჯაშუშები თვალს ადევნებდნენ, რომ არავინ დაჲკლებოდა ქადაგებას. მქადაგებლის სახელი, როგორც წმინდა რამ, უბრალოდ არ უნდა ყოფილიყო მოხსენებული და მათი სახელის მოხსენება დაბეჭდილს წიგნებში ნება-დაურთველად არ შეიძლებოდა.

შოტლანდიის სამღვდელოებამ თავის მრევლს შესძინა შემდეგი უშესაბამო აზრები: ვინც სამღვდელოებას ეწინააღმდეგება, ის, როგორც საიქიოს, ისე სააქაოს, დასჯილი იქნებაო. მხოლოდ მღვდელმა იცის საიდუმლონი ღვთისა და ამის-გამო მას შეტყობილი აქვსო, თუ ვის, რა მოელის საიქიოს. მღვდელს ყოველი პირის ცხონება და წაწყმედა ხელთა აქვსო... ამის დასამტკიცებლად ბევრი დაუჯერებელი ამბავი იყო გავრცელებული ხალხში სამღვდელოებისაგან: ერთი კათოლიკი, რომელმაც მქადაგებელი ჯონ-გელ შის დაცინვა გაბედა, ანაზღეულად მოკვდაო; ერთ ქალს, რომელმაც მღვდელი გალანძლა, ენა და ლრძილები დაუსივდაო; სამმა პირმა გაბედა და მღვდელს ქადაგება

გააწყვეტინა; სამრეკ მალუთაშვილი; ერთმა აზნაურმა მქა-
დაგებელი საქადაგოდგან ჩამოათრისა; სამაგიეროდ იგი მაღლე ვი-
ლაცამ მოკლაო. ამათის თქმით, სამლელოების შეურაცყოფის
სამაგიერო შთამომავლობაზედაც გადადიოდა. ვინც მლვდელზე
საჩივარს შეიტანდა, მას ლვთის რისხეა მოელოდა და სხვა, და
სხვ.

სამლვდელოების მედიდურობას და პატივის-მოყვარეობას
საზღვარი არა ჰქონდა. ისინი თავის თავს უწოდებდნენ: ლვთის
ელჩებად, ანგელოზებად, სამოთხის ლამპარად და სხვ. ამასთა-
ნავე სამლვდელოება ამტკიცებდა, რომ მქადაგებლის სიკვდილის
დროს აუცილებლად რაიმე სასწაული ხდებაო...

რათა სამლვდელოებას ჩაენერგა ხალხში სარწმუნოებრივი
ცრუ-მორწმუნება, რომელიც მის მიზანს ასე ხელს უწყობდა,
მქადაგებელნი აშინებდნენ ხალხს შემაძრწუნებელი ამბებით ბო-
როტ სულებზე და საიქიოს სატანჯველებზე. ისინი ასწავლიდნენ
ხალხს, რომ დედ-მიწა და ჰაერი მავნე სულებით არის საკუთხევი;
სატანა და მისი თანაშემწენი ყველგან, სადაც-კი რაიმე ბორო-
ტების ჩადენა შეიძლება, უეჭველად გაჩნდებიან და საშინელი
ცბიერებით სცდილობენ, რომ ქრისტიანის სული ხელში ჩაიგდო-
ნო. ამ გვარი მოთხრობებით მლვდლებს ხალხი იმდენად შეში-
ნებული ჰყვანდათ, რომ ყოველთვის, როცა მქადაგებელი ეშმაკს
იხსენიებდა, საშინელს კვნესას და ოხვრას მოჰყვებოდა მრევლი.
დაშინებულს შოტლანდიელს შესაზარი სურათები ნიადაგ თვალ-
წინ ეხატებოდა და მცირე ხმაურობა საშინლად ათრთოლებდა
მას. უფრო შემაძრწუნებელი მოთხრობები იყო გავრცელებული
ხალხში შესახებ ჯოჯოხეთის სატანჯველისა; ამაებს, ზემომო-
ხსენებული ავი სულების ამბავი ზედ ერთობოდა და ართმევდა
შოტლანდიელს ყოველივე იმედს სააქაო ცხოვრების ბედნიერე-
ბაზე და ცხონებაზე. ამ გვარად, არამც-თუ მხოლოდ ეშმაკი
იყო მიზეზი ყოვლისა უბედურებისა, არამედ თვით ისიც, რო-

მელიც ჩვენ ყველა ჯიშუ... ასე უიგვაჩნია (ე. ი. ლვთაება); შოტლანდიის სამლელოებას აზრით ხვი (ე. ი. ლვთაება) იყო შურის-მაძიებელი, ცბიერი, სისხლის მსმელი; იგი ყოველ-გვარ ლონის-ძიებას ეძებდა, რომ რამე ნაირად ევნო აღამიანისათვის.

ამ ბნელით მოცული მოძლვრების გავლენით კაცის ყველა კეთილი გრძნობა ცრუ-მორწმუნეობით და შიშით დახშული იყო. შოტლანდიელი ყოველივე ბუნების მოვლენას, ყოველი სენის გაჩენას ზესთა-ბუნებას აწერდა. კუდიანი გარსკვლავი, მრწის-ძერა, შიშილიანობა, გადამდები სენი და ავადმყოფობა, ომი, პირუტყვების ჭირი, ცუდი მოსავალი, ცივი ზამთარი და სხვა ამ გვარი მოვლენა შოტლანდიელებს ლვთის რისხვად მიაჩნდათ.

ცო-ცოტაობით სამლელოებამ შექმნა ვრცელი. ზნეობრივი კანონები, რომლებსაც ცხოვრების ყველა მცირე შემთხვევა მხედველობაში ჰქონდათ მიღებული. შოტლანდიაში აღამიანის ბუნებრივი მიღრეკილებანი—სიამოვნება, გართობა, მხიარულება, სიცილი,—ცოდვად ითვლებოდნენ. ლვთისნიერი კაცი არ უნდა სტკბებოდეს ბუნების მშვენიერებითო... იმ დროს შოტლანდიაში მოლექსეობა დანაშაულობად ირიცხებოდა; მუსიკა ქორწილშიაც-კი აღკრძალული იყო; ცეკვა „საზოგადო ქრება“ განსაკუთრებითი კანონით აღკრძალა; ლარიბთა ნათლობაში და ქორწილში ყოველ გვარი სიმხრარულე დაშლილი იყო; მდიდართ ქორწინებას ჩვეულებრივ მღვდელი უნდა დასწრებოდა, რომ თვალ-ყური დაეჭირა და ქორწინება მდიდრულად არ გადაეხდათ. აგრეთვე სამლელოებას ცოდვად მიაჩნდა, რომ შოტლანდიელს კათოლიკთა ქვეყანაში ემგზავრა, ან და კათოლიკე თავიანთ სასტუმროში მიელოთ. შოტლანდიელი ქალისათვის სასტუმროში მოსამსახურეთ შესვლა, ან მარტო ცხოვრება, ცოდვად ირიცხებოდა. შაბათობით და ორშაბათობით, რადგან ეს დღეები კვირასთან ახლოს არიან, ვაჭრობა და სხვა საქმის კე-

თება ცოდვა იყო. აგრენდას მემკული ცხებოდა კვირა დღით
მგზავრობა, მეგობრების ნახვა, ბალის მორწყვა, წვერის მოპარ-
სვა, ცხენზე შეჯდომა, სეირნობა, ბანაობა და სხვა, და სხვა.
საზოგადოთ სამლელოების-მიერ აღკრძალვას სამზღვარი არ
უჩნდა; ამან ხალხში ბუნების წინაღმდეგი და შეუსაბამო ასკეტობა
დაჭიბადა და მთ ადამიანის სიცოცხლე მძაფრიანი, სასტივი, ბნელი,
ციკი და უნუგეშო გასადა... აი რა შემაძრწუნებელი საშუალებე-
ბით დასთრგუნებს XVII საუკუნეში შოტლანდიელების ეროვ-
ნული ხასიათი! ძველ ასკეტურ სწავლათ თვით-მოკვდინებაზე
კაცობრიობისათვის ზიანი არ მოჰქონდა, რადგანაც ფილოსო-
ფია, ერთის მხრით, არ იყო უმეტესობაში გარტელებული და,
მეორე მხრით, ფილოსოფოსებს ხალხზე ხელის უფლება არასო-
დეს არ ჰქონიათ. სამდგვდელოებას არ ესმოდა, რომ კაცობრიობ-
ბის განვითარება კაცის მოთხოვნილების და სურვილის დაკმაყოფი-
ლებაზე არის დამოკიდებული; რომ ადამიანის კანონიერი და საჭირო
დაკმაყოფილება იმაში მდგომარეობს, რომ მან არავითარი გნება
(ზიანი) არ მოუტანს არც თავის თავს და არც სხვას.

პროტესტანტებს საზოგადოთ ჰგონიათ, რომ მათი სარწმუ-
ნოებრივი სისტემა იმ ნაირია, რომ არ შეუძლიან იმდენი ზარა-
ლი მოუტანოს საზოგადოებას, როგორც კათოლიკე სარწმუ-
ნოებას. ეს დიდი შეცდომაა. ერთად ერთი საშუალება, რომ საზო-
გადოება დაცული იყოს, რომელიმე წოდების მტარგალობისაგან
მდგომარეობს იმაში, რომ ამ წოდებას რაც შეიძლება ნაჭლები ხელის
უფლება დაეთმოს.

ადამიანის სულიერ და ხორციელ ბუნების დათრგუნვაში
შოტლანდიის სამლელოებას არც ერთი სასულიერო წოდება,
გარდა ესპანიისა, არ შეედრება. ესპანიის ინკვიზიცია, როგორც
შოტლანდიის სამლელოება, მეტად უმოწყალო და სასტივი
იყო; იგი კაცის საუკეთესო მხარეს ულმობელად სჩაგვრიდა და
სარწმუნოებრივი თავისუფლების ყოველივე ნიშან-წყალს სდევ-

ნიდა. მაგრამ ისინი ეჭირა და უკარისი დანენ: შოტლანდიის ეკკლესია პოლიტიკურს ასპარეზზე ლიბერალური იყო, ესპანიისა-კი უველაფერში თავის მონურს ხასიათს იჩენდა. შოტლანდიე-ლებს ესეც რომ არ ჰქონოდათ, მათი მდგომარეობა აუტანელი იქნებოდა...

თ ა ვ ი VI.

განხილვა გონებრივი მთამრაობისა წმოტლანდიაში XVIII საუ- კუნეში.

შოტლანდიის გონებრივი ცხოვრების ისტორიის და ანა-
ლიზის შესავსებლად საჭიროა განვიხილოთ ის თავისებური მოძ-
რაობა, რომელმაც XVIII საუკუნეში იჩინა თავი. ეს მოძრაო-
ბა იყო ღვთის-მეტყველური იმ მიმართულების წინააღმდეგი
რეაქცია, რომელსაც XVII საუკუნეში უპირატესი აღვილი
ეჭირა. დესპოტურ მართებლობასთან ხანგრძლივმა და სასტიკმა
ბრძოლამ დაპირი გონებრივი სიცხიზლე და ენერგია, რომელიც
ამ ბრძოლის შემდეგაც დარჩა შენახული, და რომლის ნაყოფი
იყო XVIII საუკუნის დაბადებული მწერლობა.

შოტლანდიის გონებრივ მოძრაობას ერთი გასაოცარი ხა-
სიათი აქვს. უველა ქვეყნებში, სადაც გონება წინააღმდეგა
ეკკლესიის უფლებას, იქ არსდებოდა ინდუკტიური ფილოსოფია,
რომელიც ასე აიხსნება: „არ იყოს შემოღებული მეცნიერებაში
არავითარი დასაბამითი მიზეზი (პრინციპი), რომელიც ფავტებით
დამტკიცებულია არ არის. ღვთის-მეტყველებაში-კი თავიდანვე აღე-
ბულია რამდენიმე დაუმტკიცებელი დასაბამითი მიზეზი და სხვა
დასკვნა აქვედგან გამოპყავთ; ამას ჰქვიან დედუკტიური მეთოდი.
ინდუკტიური მეთოდი კერძო ფაქტებიდგან და გამოცდილებიდ-
გან ეძებს საზოგადო კანონებს; დედუკტიურ მეთოდს-კი სა-
ზოგადო, დაუმტკიცებლად აღებულ კანონებიდგან გამოპყავს

კერძო კანონ ები. საფრანგეთი... შუალა ასტრიგან სჩანს, თუ რა ნაირად, ინდუკტიური მეთოდის გაძლიერებით XVIII საუკუნეში მთავარ ეკულესის საფუძველი შეერყა. ინგლისში ბეკონის¹⁾ ფილოსოფიამ, რომელიც ინდუკტიურს მეთოდზე იყო დამყარებული, დაპატიჟის ის მოძრაობა, რომლითაც ინგლისის ეკულესია დაიმხო კარლოს I დროს. თუ რამდენად თვალსაჩინო იყო ინდუკტიური მეთოდის წარმატება ინგლისში სჩანს იქიდგან, რომ სამღვდელოება სცდილობდა ეს მეთოდი ღვთის-მეტყველებაშიაც შეტანა, მაგრამ მისმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც ღვთის-მეტყველების აშენება ინდუქციაზე შეუძლებელია.

რადგანაც შოტლანდიის მწერლობამ შეითვისა დედუკტიური მეთოდი, რომელიც ღვთის-მეტყველებასაც ჰქონდა შეთვისებული, ამიტომ შოტლანდიის მწერლობამ ხალხში ღრმად ჩანერგილი ცრუ-მორწმუნეობის ამოფხვრა ვერ შესძლო. XVIII საუკუნემდინ შოტლანდიაში ყველა გამოჩენილი და შესანიშნავი მეცნიერი, ნეპირის გარდა, იყვნენ სასულიერო წოდებისა. სამღვდელოება მართავდა ხალხს, რომელიც მხოლოდ ქადაგებიდგან და სასულიერო წოდების თხზულებიდან იძნდა ცოდნას; საეკულესიო წიგნები-კი დედუკტიური მეთოდით იყვნენ შედგენილნი. ღვთის-მეტყველური სისტემა დაფუძნებული იყო განყენებულ დასაბამზე, რომელიც ღვთისაგან გადმოცემულად ითვლებოდა და ამიტომაც მათზე იჭვის შეტანა შეუძლებელიად მიაჩნდათ. ამას, რომ ისიც დაუმატოთ, რომ ყველა სასწავლებელი შოტლანდიაში სამღვდელოების ხელში იყო, მაშინ ადვილგასაგები შეიქმნება, თუ რისათვის დედუკტიურ მეთოდს მთავარი ადგილი ეჭირა შოტლანდიაში; სადაც თვით ახალი მეცნიერება ვერ განთავისუფლდა ამ მეთოდისაგან.

¹⁾ ბეკონი იყო ინგლისის გამოჩენილი ფილოსოფოსი. დაიბადა 1561 წელს, გარდაიცვალა 1626 წ.

თუმცა მე-XIX საუკუნე-დღისში და საფრანგეთში რამდენათმე დაუბრუნდნენ დედუკტიურს მეთოდს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდა, როდესაც მეცნიერებამ მოამზადა მრავალი მასალა, რომელიც დედუკტიურის საჭირო იყო; შოტლანდიაში-კი დედუკტიური მეთოდი ყოველთვის მეფობდა.

რადგანაც ჩვენ აქ ვაპირებთ განხილვას, თუ რა ნაირად XVIII საუკუნეში ამ მეთოდმა სწავლის სხვა-და-სხვა ნაწილში იჩინა თავი, ამიტომ საჭიროა მკითხველმა შეითვისოს და მხედველობაში იქონიოს ინდუკტიური და დედუკტიური მეთოდების განსხვავება.

შოტლანდიაში საერო ფილოსოფიის დამფუძნებელი უკილობელად ფრანსის გიუტჩესონი (1694—1747) უნდა ჩაითვალოს. მან პირველმა გაბედა ღვთის-მეტყველების დაუხმარებლად ზეობრივი სწავლის აშენება (აგება) და ღვთის-მეტყველების სწავლის წინააღმდეგ სცნო, რომ გონებას შეუძლიან გამოიკვლიოს იმ გვარი ამოცანები, რომლებიც აქამდისინ კაცის გონებისათვის მიუწდომელად მიაჩნდათ. გიუტჩესონი წრფელი მომხრე იყო თავისუფალი პირადი მსჯელობისა. იგი მხნედ წინააღმდეგა ასკეტობას, რომელსაც სამღვდელოება თვისი ქადაგებით ავრცელებდა ხალხში. გარდა ამისა გიუტჩესონი ამტკიცებდა, რომ მშვენიერებას კაცზე დიდი გავლენა აქვსო და უიმისოდ კაცი ყოველმხრივ ვერ განვითარდებაო; იგი იკვლევდა იმ კანონებს, თუ რა გვარად იბადება აღამიანში წარმოდგენანი მშვენიერებაზე. გიუტჩესონი ამბობდა, რომ ჩვენ პატივს უნდა ვცემდეთ მშვენიერს ხელოვნებას არა მარტო იმიტომ, რომ ისინი სასიამოვნონი არიან, არამედ იმიტომაც, რომ მათ კაცობრიობისათვის სარგებლობა მოაქვთო. გიუტჩესონი იცავდა იმ აზრს, რომ სიმდიდრის სურვილი ბოროტება არ არისო და ამტკიცებდა, რომ ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მაღალ ზეურბას არ დაბრუნებულებსა. ერთი სიტუაცით, იგი გულ-მოდგინეთ იცავდა

დამიანის ბუნებას და უცვლოთა კუნძული, საძღვდელობას წარმო-
ადგენილი ჭირნდა, ოფერტუ ცოდვებით სავსე საგანი.

შოტლანდიის მეორე შესანაზნავი მეცნიერი, აღამ სმიტი,
სარწმუნოების დაუხმარებლად, კაცის ცხოვრების მოქმედებათა
კანონების მეცნიერულად ახსნას სცდილობდა. მან გამოსუა,
1759 წელს, „თეორია ზნეობრივ გრძნობათა“ და 1776 წელს—
„ხალხთა სიმდიდრე“. პირველ თხზულებაში სმიტი განიხი-
ლავს ადამიანის ბუნების თანაგრძნობითს მხარეს და მეორე-
ში—თვით-მოუკარებითს (ანგარებითს) მხარეს. მაგრამ, რადგა-
ნაც ამათი ყოველმხრივი გამოკვლევა შესაძლოა მხოლოდ მა-
შინ, როდესაც მასალა საკმარისად იქნება შეკრებილი, სმიტის
დროს—კი ეს მასალა ძლიერ ცოტა იყო და მათ შეკრებას კიდევ
რამდენიმე საუკუნე დასჭირდებოდა, ამიტომ სმიტი იძულებული
შეიქმნა ინდუკტიურ მეთოდზე უარი ეთქვა და მიერთ დედუკ-
ტიური მეთოდი. ამასთანავე სმიტმა ძალიან ხელოვნურად
ისარგებლა ერთი თავისებური საშუალებით, რომელიც იმაში
მდგომარეობს, რომ თუ ესა და ეს საგანი ინდუქციას არ ექვემ-
დებარება, მაშინ შეიძლება გონებაში გავყოთ განუყოფელი
ფაკტები და მათზე მსჯელობა ვიქონიოთო. ამ მეთოდით გეო-
მუტრიაში ხშირად ხელმძღვანელობენ. მაგალითად, ხაზს ყო-
ველთვის ორი ზომა აქვს, სიგრძე და სიგანე, მაგრამ როდესაც
საჭიროა ამოცანის გაადვილება, მაშინ ამბობენ, რომ ხაზს ერთი
ზომა აქვსო. ამით ჭეშმარიტებისაგან ისე ცოტად არიან დაშო-
რებული, რომ მას გეომეტრიულ დასკვნაზე არავითარი გავლე-
ნა არა აქვს. ამ გვარათვე პოლიტფონ-ეკონომისტები, რომ გა-
ადვილონ თავიანთი საგანი, ყველა კანონი და ცხოვრებითი
დამოკიდულება გამოჰყავთ ანგარებიდამ, კაცის ზნეობრივ მხა-
რეს—კი პოლიტიკური ეკონომიკა არავითარ ყურადღებას არ აქ-
ცევს. მიუხედავად ამისა პოლიტიკური ეკონომიკის თეორიები
მეცნიერულად საფუძვლიანები არიან, თუმცა კერძო შემთხვე-

ვებში შესაძლოა, რა უფრო და უკავენ შეწყნარებულნი, ან და გამოცდილებით იყვნენ შეცვლილნი. ამ მეთოდით ადამ სმიტი შესანაშნავად ხელმძღვანელობდა. სმიტს თავის „თეორია ზნეობის გრძნობაზთა“ -ში კაცის ყოველივე მოქმედება მხოლოდ თანამგრძნობლობიდგან გამოჰყავს და ადამიანის ანგარებით მხარეს -კი ზრავითარს ყურადღებას არ აქციეს. „ხადხთა სიძალე-დრეში“ -კი სმიტს კაცის ყოველი მოქმედება ანგარებიდგან გა-მოჰყავს და თანამგრძნობლობას აქ სრულიად არ იღებს მხედ-ველობაში. პირველი შეხედვით ეს ორი თხზულება ერთმა-ნეთს სრულიად არ ეთანხმება, მაგრემ ეს უთანხმობა მალე ჰქონება, როდესაც ამ თხზულებებს ისე განვიხილავთ, როგორც ერთი შრომის ორს ნაწილს, რომლებითაც დიდებულმა მეცნი-ერმა სკადა ორი სხვა და სხვა გზით შეექმნა მტკიცე საძირკვე-ლი მომავალი მეცნიერებისათვის კაცის ბუნებაზე. პირველი თხზულება დამყარებულია თანამგრძნობლობაზე, რომელიც, ამ-ბობს ადამ სმიტი, ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების ნა-ყოფიან. კაცი თავის ცოდნას და წარმოდგენას გარეშე ცხოვ-რებიდგან იძენს; იგი შედის სხვის მდგომარეობაში და რაც საჭებარი და მართალი ჰგონია, იმას ჰბაძავსო. ამ დედა აზრზე სმიტს დამყარებული აქვს და ხსნის მრავალ საზოგადოებრივ მოვლენებს. მაგალითად, რისთვის თანაუგრძობს კაცი სხვის ბედ-დნიერებას და წარმატებას? როგორ წარმოსდება ერთგულება? რა მიზეზია, რომ ფილოსოფოსები სწავლას და განათლებას თანაუგრძნობენ? რა მიზეზის-გამო არსებობს დასაჩუქრება და დასჯა და საიდგან წარმოსდება ხასიათების განსხვავება? ყველა ამას და სხვა ამ გვარსავე მოვლენებს სმიტი განიხილავს განსა-კუთრებით, როგორც თანამგრძნობლობის შედეგს, თუმცა იმავე დროს სმიტი გრძნობდა, რომ თანაუგრძნობლობის დაკმაყოფი-ლება ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს; ცხადია, რომ ეს უკანასკნე-ლი თვით-მოყვარეობის შედეგია. თუმცა ადამ სმიტი საგანს

ერთი მხრით უცკერიშ, აიღობას ~~უკავშირის~~, თავის შრომის საზ-ლვარში, რაც შესაძლო იყო, ყველაფერი მიმოიქმედა, რომ ოღონდ-კი ჭეშმარიტებას დაახლოვებოდა.

ადამ სმიტის მეორე თხზულება, როგორც ვსთქვით, დამყარებულია ანგარებაზე, რომელსაც იგი რაცხს ყოველი მოქმედების თავ-და-პირველ წყაროდ. სმიტი თავის თხზულებას „ხალხთა სიმდიდრეს“ ორი დებულებიდგან იწყებს: 1), რომ სიმდიდრე მიწის ნაყოფი-კი არ არის, არამედ შრომისა და 2) რომ სიმდიდრე რამოდენიმედ დამოკიდებულია შრომის ხასიათზე. (ავ-კარგიანობაზე) და რამოდენადმე იმაზე, თუ მშრომელთა რიცხვზე რამდენი არა-მშრომელი მოდის. ამ ორი დებულებით ადამ სმიტი იკვლევს ყველა საზოგადოებრივ მოვლენებს და ხელ-მძღვანელობს მხოლოდ (მარტო) კაცის თეით-მოყვარეობით და ანგარებით; ზნეობრივ იძულების გავლენას-კი იგი მხედველობაში არ იღებს. კაცი ეძებს თავის სარგებლობას და ამით სხვის სარგებლობას უნდა და არ იღებს. ამისგამო, ამბობს სმიტი, კაცის თეით-მოყვარეობა შევიწროვებული არ უნდა იყვესო. ამავე შეთოლით სმიტმა ბევრი სხვა საზოგადოებრივი და ეკონომიკური მოვლენანი ახსნა.

ადამ სმიტის თანამედროვეთაგან ერთი უპირველესთაგანი, მეცნიერი თავისი ნიჭით და სახელ-განთქმულობით არის დავით, იუმი, რომლის პოლიტიკურ-ეკონომიკური შრომანი 1752 წელს გამოიცა. თუმცა იუმი კარგი ენის პატრონი და თანვე ლრმა და გამჩედავი მოაზრე იყო, მარგამ მას არ შეეძლო სმიტსაერთ ყველაფერის ერთად დანახეა და წარმოდგენა. ამისგამო იუმის თხზულება „ინგლისის ისტორია“, თავისი მშვენიერი და შემუშავებული კილოთი, თუმცა სამაგალითო ხელოვნურ შრომას წარმოადგენს, მაგრამ აქ აეტორი ისე ეერ ხიბლაეს კაცს, როგორც ის, მამაცნი და კეთილ-შობილნი მოღვაწენი, რომელნიც XVII საუკუნეში თავისუფლებისთვის თავ-განწირულნი იბრძოდნენ. ძლი-

ერი, მაგრამ აუშფერული დოკუმენტების მიხმარება დიდ მოძრაობის კერძო მხარეებს და მოპენტებს აღვილად სწედებოდა; მაგრამ მან ეერ შესძლო მთელი საუკუნის საერთო სურათის დახატვა, მიუხედავად ამისა, იუმმა შექმნა ბევრი შესანიშნავი თეორია, ყველაზე უფრო-კი საყურადღებოა იუმის „მიზეზების თეორია“ და „იდების ასოციაცია“. „მიზეზების თეორიასთან“ მჭიდრო კავშირი აქვს იუმის „სასწაულთა თეორიას“, რომელიც დღესაც უარ-ყოფილი არ არის მეცნიერებისაგან. იუმმა აგრეთვე შეამუშავა „სარგებლობის თეორია“. გარდა ამისა მან შთამამავლობას დიდი ღვაწლი მოუტანა საკუთარი ეკონომიკური თეორიებით, რომლებიც ვაჭრობის თავისუფლებას იცავდნენ. იუმამდინ ეგონათ, რომ მოვაჭრე სახელმწიფონი ერთმანეთის მოკამათენი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ იუმა დაამტკიცა, რომ ეს შეცდომა არისო. იუმის მეცნიერულ ასპარეზზე მოღვაწეობიდგან ყველაზე უფრო გასაოცარი ის არის, რომ მან შეამჩნია სმიტის შეცდომა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ფასი საში ელემენტიდგან შესდგება: ხელფასიდგან, მოგებიდგან და ღალიდგან (რენტიდგან); იუმმა-კი დაამტკიცა, და ახლაც ასეა მეცნიერებაში მიღებული, რომ ფასი შესდგება მხოლოდ ხელფასიდგან და მოგებიდგან, რენტა-კი ფასის ელემენტი არ არისო. თუმცა იუმის მიერ აღმონახენი თეორიები საკმარისად საფუძვლიანები არიან, მაგრამ იმისი მეთოდი ნამდვილი დედუკტიური იყო. იგი იდეებს დიდ ყურადღებას აქცევდა, ფაკტების გამოკვლევას-კი ძლიერ მცირე ალაგს ზომობდა. იუმს არაფრად მიაჩნდა ბეკონის ფილოსოფია, რომელიც ინდუქტიურ მეთოდზედ არის აშენებული. დედუკტიურ მეთოდის განმარტების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს იუმის მეორე თხზულება „სარწმუნოების ისტორია“, რომელშიაც ავტორი სცდილობს ახსნას, თუ როგორ იბადებიან და ვითარდებიან სარწმუნოებრივი იდეები. თავდაპირველად იუმმა მიიღო ის განყენებული დებულება, რომ ერთი ღმერთის

რწმენის შინედ კაცობრიობათ — უკული ძრავალი ღმერთი სწამდა, რაიცა ადამიანის ველური მდგომარეობის ნაყოფია. ამ დებულების მისალებად, გონებას მრავალ ღმერთებიდგან ერთ ღმერთზე გადასვლა ბუნებრივი ეგონა. ამ გვარადვე, როდესაც იუმი რომაელების და ბერძნების ძველ სარწმუნოებაზე მსჯელობს, იგი მხოლოდ განყენებულ აზროვნობას ხმარობს; საზოგადოთ-კი იუმს მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ გვარი ფაქტები, რომელნიც მის მიზანს ეთანხმებიან, სხვა ფაკტებს-კი ის თავიდგან იშორებს.

ახლა ჩვენ გადავალთ განყენებული აზროვნობიდგან ბუნების მეტყველებაზე, რომელშიაც, ვგონებ, ინდუკტიურ მეთოდს უფრო მეტი ადგილი უნდა ეჭიროს, ვიდრე დედუკტიურს. იმ ცოდნის ნაწილებში, რომლებიც უორლანო საგნებზე მსჯელობენ, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კანონებს სითბოზე. XVIII საუკუნის დასაწყისში პროფესორმა ბლექმა დააფუძნა თეორია „დაფარული სითბოს დედა“ — ზე. ამ თეორიამ მისცა დასაბამი იმ სწავლას, რომ ნივთიერება და ძალა საუკუნონი არიან და დადგინა, რომ სითბო და სინათლე ერთგვარი საგანი არისო. მაგრამ ამ თეორიის ინდუკტიურად შექმნა შეუძლებელი იყო, რადგანაც კაცი „დაფარულ სითბოს“ ვერ იგრძნობს; ამიტომ, ეს დიდი აღმოჩენა მხოლოდ გონებაში დაიბადა და აღმოჩნდა, როგორც ნაყოფი განყენებული დედუქციისა. ამ გვარივე განყენებული აზროვნებით ბლექის მეცნიერების მიმდევარმა დესლიმ დამტკიცა, რომ სითბო და სინათლე ერთი და იგივე არიანო, რომელიც შემდეგში გამოცდილებით დამტკიცდა. გარდა ამისა ლესლმა დამტკიცა, რომ ნივთიერს ქვეყანაში არ არსებობს არც სიცარიელე და არც შეჩერება, და ესრედ წოდებული „ბუნების გაყოფა“ ორლანიულად და არაორლანიულად მხოლოდ ჩვენს გონებაში არსებობსო.

გრატონმა დედუკტიური მეთოდით XVIII საუკუნის და-

სასრულს შექმნა შესათი თავის და გიური თეორია. — XVIII საუკუნის საშუალო წლებში გეოლოგიურ მეცნიერებაში ინგლისელები ინდუკტიური მეთოდით ხელმძღვანელობდნენ; შოტლანდიელები-კი — დედუკტიურით.

ჩენ აქ უნდა ვსთქვაო, რომ ყველანაირი გეოლოგიური ცვლილების ძირითად მიზეზად ცეცხლი და წყალი ითვლება. მაგრამ გეოლოგები არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს იმის შესახებ, თუ ამ ორ მიზეზში, რომელს უფრო დიდი ადგილი უჭირავს. კერნერი გეოლოგურ ცვლილების თავდაპირველ მიზეზად წყალს რაცხდა და, იმისი თეორიით, თავდაპირველად მთელი ქვეყანა ერთ ლიდ ზღვას წარმოადგენდა, რომელშიაც მოძრაობა აღიძრა; ამისაგან კლდეები და ნიადაგი წარმოსდგა; ამის შედეგ ეს წყნარი მოძრაობა საშინელ დელვად გარდაიქცა, რომელთა შორის აღმოცენდა სიცოცხლე და ორლანიული ქვეყანაოთ. გოტტონი-კი თავ-და-თავ მომქმედად ცეცხლს რაცხდა და ყველა გეოლოგიურ მოელენას „სითბოს კანონებით“ (რომლის აღმოჩენა ბლეგს ეკუთვნის) ხსნიდა. ამ ოჩხა მეცნიერმა, კერნერმა და გოტტონმა, თავიანთი სწავლა დედუკტიურ მეთოდზე დააფუძნეს და ინდუკტიურად სრულიად არ განიხილავდნენ ბუნებას; მაგალითად, გოტტონი ვულკანებზე (ცეცხლ-მქმენავ მთებზე). მსჯელობდა, ვულკანი-კი მას თავის დღეში არ ენახა.

ჩენ დავამთავრეთ განხილვა გონებრიელი მოძრაობისა შოტლანდიაში XVII და XVIII საუკუნეებში. ამ ორ ხანათა განხვავებამ უნდა გააოცოს მკითხველი. XVII საუკუნის მწერლობა წმინდა ლეონის-მეტყველური იყო და, როგორც ნაშობი სამღვდელოებისა, აქტებდა უმეცრებას, შეუწყარებლობას, ცრუმორწმუნეობას და ფარისევლობას. XVIII საუკუნის მწერლობა-კი შექმნილი იყო შესანიშნავ მეცნიერთა მთელი დასისაგან, რომელთაც შეიტანეს სინათლე ცოდნის ყველა ნაწილში და შოტლანდიას მაღალი აღგილი მიანიჭეს ეკროპის ცივილიზა-

ციის ისტორიაში, მაგრამ თა მართავულ მობპს ერთი განსაკუთრებითი თეისება ჰქონდა; ორივე დიდის უმეტესობით დედუქტიური იყვნენ. ამ განსაკუთრებით თეისებაში უნდა ვეძიოთ ის მიზეზი, რომ გამბედაემა და გენიოსურმა მწერლობამ XVIII საუკუნისამ ისეთი სუსტი გავლენა იქონია შოტლანდიელების ეროვნულ ხასიათზე. დედუქტიური მეთოდის მეცნიერული დასკვნანი უმეტესობისათვის გაუგებარია; თეალსაჩინო ფაქტებიკი, რომელიც ინდუქციას აქვს მასალად, უბრალო გონიერებისაც-კი აღვილად მისახვედრია. აი რატომ ინდუქტიურ ფილოსოფიისათანავე იღუიძებს საზოგადოებრივი გონიერა, სკეპტიკური შეხედულება და დემოკრატიული მოძრაობა. ამ აზრს ამტკიცებს ინგლისის და საფრანგეთის მწერლობა. საბერძნების, გერმანიის და შოტლანდიის მწერლობა-კი თავისი მეთოდის წყალობით მხოლოდ პატარა წრის ხვედრი ხდება და უმეცარი უმეტესობა-კი მასზე დაშორებული იყო. საკმარისია ესთეტიკა, რომ გარდა ადამ სმიტის წმინდა დემოკრატიულ თხზულებისა „საფსის სიმდიდრე“ — სი, რომელსაც ათი ათასობით მკითხველი ჰყავდა, გარდა ამისა, ეგონებ არც ერთი შოტლანდიური თხზულება ხალხში გაერცელებული არ ყოფილა.

თუ რამდენად გამაგრებული იყო გონიერი მოძრაობის წინააღმდეგ ცრუ-შორწმუნეობის მეფობა შოტლანდიაში სჩანს თანამედროვე შოტლანდიელების ხასიათიდგან, მათი აზროვნებილ-გან და ტრადიციებიდგან. სანამ ჩენ ამ ნაწილს დავამთავრებდეთ საჭიროთ ერაცხო მოეიყვანოთ ერთი გასაოცარი შემთხვევა, რომელიც ნათლად ხატაშა შოტლანდიელების გონიერი მფლობარეობას. 1853 წელს, ხოლორა, რომელიც ევროპის სხვა-დასხვა შხარეში ნაერდობდა, შოტლანდიასაც ეწვია. შოტლანდიის მდგომარეობის პირობები იმ გვარი იყო; რომ ხოლორა იქ აღვილად უნდა გაერცელებული იყო, რადგანაც ხალხი ცუდად იკვებება, ბინძურად ინახავს თავის თავს და სცხოვრობს უსუფ-

თაოდ და ნოტიო სახლებით აუგაა: ამ სენის გაჩერვა შოტ-ლანდიაშია მოსალოდნელი იყო, ამიტომ მართებლობა და მცხოვრებლები უნდა შეცდილიყვნენ და საჩქაროთ შემოელოთ ის ჰიგიენური საშუალებანი, რომელიც ყოველმა გონიერმა კაცმა იცის. ამის ნაცვლად, სამღვდელოებამ საზოგადო მარხულების დადება გადასწყვიტა, რომელიც ხალხის ცუდ სას-მელ-საჭმელთან შოტლანდიელებს მთლად დაასუსტებდა და ავით, რასაკვირველია, სენი უფრო სისწრაფით გავრცელდებოდა. მაგრამ სამღვდელოებამ ვერ გაძედა საკუთარი უფლებით მარხულობის გამოცხადება და მართებლობას მიართვა წერილი. შოტლანდიელები ძლიერ თანაუგრძნობდნენ ამ წერილს და, როგორც სჩანდა, მართებლობა ამ შემთხვევაში იმდენად ფრთხილად მოიქცეოდა, რომ მათ ეროვნულს თავმოყვარეობას არ შეურაცყოფდა. მაგრამ, ლორდმა ჰალმერს(ზონმა ამჯობინა შოტ-ლანდიელების და მათი სამღვდელოების შეურაცყოფა და ნება არ დართო მავნებელ ღონისძიებაზე. მან გაუგზავნა ედინბურ-ლის სამღვდელოებას წერილი, რომელშიაც იგი ურჩევდა მათ, რომ ისინი ქალაქების გასუფთავებას ცდილიყვნენ. ეს ფაკტი ცხადათ ახასიათებს, ერთის მხრით, შოტლანდიელების გონებრივ სილატაკეს და, მეორეს მხრით, მამაკობას, რომლითაც ადმინისტრატორს ჩვენ დროში შეუძლიან ცრუ-მორწმუნეობას წინ აღუდგეს.

ცელი ცრუ-მორწმუნეობა, რომელიც ერთ დროს ყველგან სუფევდა, თან და თან ჰერგავს თავის გავლენას უა ძალას. სწავლას და მსოფლიო სწავლას შეუძლიან გააუქმოს ეს შესაბარი შეცდომანი.— მეცნიერება გვასწავლის, რომ ყველაფერში წეს-წყობილება და კანონი სუფევს; ამიტომ იგი არღვევს ძველ ღვთის-მეტყველებას, რომელიც ზესთა-ბუნების ძალაზედ და გავლენაზეა დამყარებული და კეშმარიტს სარწმუნოებას უკავშირდება.— რამდენათაც მეცნიერება წარმატებაში მიდის, იმ-

დენად ჰქონება ცრუ-მორწვევლითა და კაცის გონიერა თაეისუფლდება იმ მონურ შიშისაგან, რომელსაც იგი დიდი ხანია შეპყრობილი ჰყავს. და ეს თაეისუფლება აღრე თუ გეიან აუცილებლად უნდა დადგეს. შეიძლება ჩეენმა საუკუნემ ვერ იხილოს ეს განთაეისუფლება, მაგრამ, როგორც ის მართალია, რომ კაცის გონიერა წარმატებაში მიღის, აგრეთვე ისიც მართალია, რომ მისი განთაეისუფლების სათი დაჰკრავს.

დასასრული.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქართველ მკითხველს.

წინასიტუკაობა.

ბოკლი.

I. განსილვა დამხმარებელ საშუალებათა ისტორიას შესწავლითათვის. დამტკიცება კაცთა მოქმედების სისწორისა. ამ მოქმედებას განაგებენ სულიერი და ფიზიკური კანონები და ამიტომ არიგებანონების შესწავლა საჭირო.—11 გპ.

II. ბუნების კანონების გავლენა საზოგადოების წყობილებაზე და კერძო ზირების ხასიათზე.—16 გპ.

III. განსილვა მეთოდისა, ორმედსაც ხმარობენ მეტაფიზიკურ გონიერების კანონების აღმოსაჩენად.—31 გპ.

IV. კაცის სულის კანონები კანიურთებიან ზნეობრივ და გონიერივ კანონებად. შედარება ზნეობის კანონებისა გონიერის კანონებთან და გამოკვლეულა იმ მოქმედებისა, ორმედიც აქვსთ მათ საზოგადოების განვითარებაზე.—34 გპ.

V. სარწმუნოების, მწერლობის და მართებლობის გავლენაზე.—42 გპ.

VI. ისტორიის დასაწერისი და ისტორიული მწერლობის მდგრამარეობა საშუალო საუკუნეებში.—49 გპ.

VII. მოკლე ისტორიული აღწერა გონიერივი მოძრაობისა ინგლისში XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდინ.—53 გპ.

VIII. მოკლე ისტორიული აღწერა გონიერივი მოძრაობისა საფრანგეთში XVI საუკუნის ნასეპრიდგან ლუი მე-XIV ტახტზე ასკლამდინ.—66 გპ.

IX. მფარველობითი სისტემის ისტორია და მისი გავლენა საფრანგეთზე და ინგლისზე.—81 გპ.

X. ფრონდის წარუმატებლობა ათხსნება მფარველობითი სის-